

# סְחַקְבָּא לִבְנָה

וְעַדְעָה אֶתְמָלֵת

Գ ը ս ե ա Յ թ օ լ յ ա զ ա ց ը պ ը

---

# Ա Հ Ա Խ Ա Վ Ե Ր Թ Ի Ս Վ Վ Ը Ն Ք

**ზურა ოდილავაძე  
0830რიის ორსულობა**

ყდის დიზაინერი: თამუნა თათელაძე  
დამკაბაღონებელი: ლადო ლომსაძე

© ზურა ოდილავაძე, 2013  
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა  
თბილისი, 2013  
ყველა უფლება დაცულია  
შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“  
დავით აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი  
ელფოსტა: [info@sulakauri.ge](mailto:info@sulakauri.ge)

[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)

ISBN 978-9941-15-255-9

Zura Odilavadze  
**AMERICAN FAIRYTALES**

Cover design by Tamuna TaTeladze

© Zura odilavadze, 2013

All rights reserved

Bakur Sulakauri Publishing, Tbilisi 2013  
150 Agmashenebeli Ave. 0112 Tbilisi, Georgia  
E-mail: [info@sulakauri.ge](mailto:info@sulakauri.ge)

## **სარჩევი**

კინოეპოპეა – „ტოტალიტარიზმის ძეგლი – ტორტი რესპუბლიკური“ .....	5
ხაშურის საავადმყოფოს ტუალეტის სურნელება .....	81
სპექტაკლი – „ორ ცეცხლს შუა“ .....	119



**ჭირობეობა - „ტოტაციტაჩიზასის  
ცხრი - ტოჩიში ჩასვაფარიზი“**

## **ჭირობეობა**

ისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნი...

დათო ჩიჩუას ბავშვობის ყველაზე ტკბილი მოგონება:  
მამა ფხიზელა, ტახტზე წევს და უურნალ „Хирургия“-ს  
ცისფერყდიან ნომერს კითხულობს; ხალისიანი დედა საა-  
ხალწლოდ ფენოვან „ნაპოლეონს“ აცხობს; ის ნამცხვრის  
საოცრად მომხიბვლელ მოყვითალო კრებს დათოს ლამბა-  
ქზე უღებს; ოთახში ღუმელი გიზგიზებს.

## **ზოცვის პირები. განვითარების განვითარები**

**ქახი 1.**

### **ჩანგვის მიზანი და მიზანის მიზანი**

მკეთებლის თვალით, თბილისის №1 რესპუბლიკური კლი-ნიკური საავადმყოფო მადისალმძვრელი ოთხკუთხა ფენო-ვანი ნამცხვარია. განსაკუთრებით გემრიელი, კრემიანი ფენები მე-8-დან მე-12 სართულამდეა განთავსებული. აქ კოპნია სეიფებში გარეშე თვალს ორნი განრიდებულან – 1% მორფინის ჰიდროქლორიდი 2%-იან პრომედოლთან ერთად. შეყვარებული წყვილის განმარტოებას შიგადაშიგ უხეში და თავქარიანი 1%-იანი ომნოპონი არღვევს. მე-12-ზე საოპერაციოებია – ეს ხავერდოვანი 0,005%-იანი ამპულირებული ფენტანილისა და ნახევარლიტრიან შტან-გლასებში მოლივლივე, მომაჯადოებელი 2%-იანი კოკაი-ნის სამყაროა... მოდით, ნუ დავაფრთხობთ მათ უმანკო, ბავშვურად მშვიდ ძილს – სანახებიდან ფეხაკრეფით გამო-ვიდეთ და ჩუმად მოვიხუროთ კარი. ჩუუ...

მაშ ასე, გავაგრძელოთ. ტორტ „რესპუბლიკურს“ სხვე-ნის სახით ბეზე ამშვენებს – უკრემო, ჰაეროვანი და იდუ-მალი. ნამცხვრის მართკუთხა პარალელეპიპედს შუაწელში კიბე და ლიფტი კვეთს. მათი დანიშნულება, მორფინისტის აზრით, მხოლოდ ისაა, რომ სუსნიებმა საწადელ ფენებში

როგორმე შეაღწიონ და მადიანად მიირთვან კრემი.

ვინ დათვლის, საავადმყოფოს შენობისთვის ექიმინტერნს – დავით ჩიჩუას – რამდენი წრე ჰქონდა შემოვლილი, რა რთული გზა განვლო გურმანმა კრემის საპადოებისკენ სავალი ბილიკების გასაკაფად?! ერთი შეხედვით, სამწლიანი მოგზაურობის მანძილი არ გახლდათ დიდად შთამბეჭდავი და სულ რაღაც 1500 კილომეტრს შეადგენდა... თუმცა, დათოს შემთხვევაში კილომეტრაჟი სრულიადაც არ გახლდათ წამყვანი მაჩვენებელი, რადგან ინტერნს ხიფათიანი გზა შენობის გარედან გაევლო – საბურთალოს ზურგის ქარითა და თეთრი ხალათის ამაყადაფრიალებული აფრით!

ერთი სიტყვით, დავით ჩიჩუას ექიმობასთან ერთად მთამსვლელობაც აეთვისებინა. გაბედული ალპინისტი 12-სართულიანი საავადმყოფოს კარნიზისა და რამდენიმე ფანჯრის რაფის გავლით, ყოველგვარი დაცვის გარეშე, როგორც ეს დიდ რაინპოლდ მესნერს სჩვეოდა, მთავარი ექთნების ოთახში აღწევდა, კოხტა სეიფებს აღებდა და ამპულირებულ „პატარებს“ იტაცებდა. შეიძლება ასეც ითქვას – პანაწინა ჭიანჭველა ტყბილ ტორტზე დაცოცავდა და გემრიელ ნამცეცებს შეექცეოდა.

კრემოვან ფენებთან მიახლოება შედარებით უხიფათო 5-6 საათის შემდეგ ხდებოდა, როდესაც თანამშრომლები თავიანთ სოროებში გაძვრებოდნენ და ცენტრალური ლიფტის წინა პატარა მოედანი გარეშე არსებათაგან თითქმის ცარიელდებოდა. საბაზისო ბანაკი მწვერვალის დასალაშქრად სწორედ აქ იშლებოდა. ექიმი დავით ჩიჩუა, „სვიაზკაში“ თავის მეგობარ ნიკოლოზ ბუჩუკურთან ერთად, თეთრ ხალათებში შემოსილნი, ამ იმედის კუნძულზე დგებოდნენ და მოჩვენებითი გულგრილობით ოპერატიულ სივრცეს „ალივერებდნენ“...

როგორც კი დერეფანში მოსეირნე მარტოსული

ავადმყოფი თუ თითი-ოროლა მომსვლელი ჩაივლიდა, დავითი დიდ ფინურ ფანჯარას მარდად აღებდა და ოიობის გავლით, შენობის გარე კარნიზის მოლიპულ ტრასას ადგებოდა. წინ საბჭოური თბილისის პეიზაჟი იყო გადაშლილი: ნახევრადმიძინებული ქალაქი, იშვიათი მსუბუქი ავტომობილები, ტროლეიბუსები, „გმირთა მოედნის“ თავზე – ფაბრიკის საკვამურიდან ამოფრქვეული ბოლის ლრუბელი... ზურგში კვლავ საბურთალოს ქარი იკვრევინებოდა ხელს და დროდადრო ფეხებქვეშა უფსკრულის რუხი, ხორცლიანი ასფალტი ახსენებდა თავს – ამ დროს, საავადმყოფოს შიდა ეზოს მწვანე, იშვიათი ბუჩქნარიც კი მეტად იმედის მომცემად გამოიყურებოდა. გაშლილი ხელიბითა და კედელზე აკრული ტანით დათო წინ მიიწევდა, ნიკოლოზი კი თითქმის მიხურულ ფანჯარასთან „ატასზე“ იკავებდა პოზიციას. ლიფტის წინ, ერთ ციდა ადგილზე, მეწყვილესთან ერთად, დათოს გულის ნაწილიც ფრიალით რჩებოდა, რათა მთამსვლელი უხილავი, მაგრამ ყველაზე გამძლე თოკით დატოვებულ სამყაროსთან დაეკავშირებინა. სივრცეში დაკიდებულ ექიმ-ინტერნს ცალი თვალი სულ ოდნავ შედებულ ფანჯარაზე ეჭირა და ხშირი, ჩუმი შეძახილებით – ბიჭო, მანდა ხარ?! – ამონმებდა, რამდენად მზად იყო ნიკა, მთელი ხმით დაუყოვნებლივ დაეყვირა: „გადავარდა, დათო გა-და-ვარ-და!!!“.

„მიდიხარ მარცხნივ ან მარჯვნივ, გააჩნია, რომელი განყოფილების მთავარი ექთნის სეიფში გინდა შეყო თავი, სადაა მეტი კრემი“ – გვიყვებოდა დათო სამწლიანი ალბინიადის დასრულების შემდეგ. სანამ ყველა „8000“-იანს მრავალგზის დალაშქრავდა, როგორც ეს გაბედულმა იტალიელმა მთამსვლელმა რაინჰოლდ მესნერმა შესძლო, სულ რაღაც ხსენებული 1500 კილომეტრი იყო გასავლელი...

– დაითვალე, ძმაო, და ნახე რამდენი გამოვა – კალკულატორით ხელში გვიმტკიცებდა დათო მასთან გასაბოლე-

ბლად ასულ ბიჭებს. ეჭ, დრო გახლდათ მართლაც ჰეროიკული და თანაც – პიპური. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა – ჯიშიანები წავიდნენ, „დვარნიაჟკები“ გადარჩნენ და მეტად მომრავლდნენ. სადღაა მესნერები, ოცნება გაქრა.

– ჰო, ასე ვიანგარიშოთ: საშუალოდ, 50 მეტრი მთავარი ექინის კაბინეტამდე, აქეთ-იქით გამოვა 100 მეტრი. თითო სართულზე ორი ქირურგიული განყოფილებაა თავისი ორი სეიფით – ესეც შენი 200 მეტრი. სულ სამი კრემიანი სართულია. ხომ არ გამოვტოვებდი რომელიმეს – ცოდოა ამპულები, ძილში რომ გაიპარონ?! გამოგვივიდა 600... გგონიათ, ტრაპეზი დასრულდა? სუფრას ვინ აალაგებს, გარეცხილ თევზებს ადგილზე ვინ დადებს? ძმაო, ხომ უნდა დაბრუნდეს გამოცვლილი ამპულები სეიფში, პონტი რომ არ დაიწვას? ესე იგი, ორ-ორი გზა გინევს და დღეში გამომდიოდა 1200 მეტრი! ეს ყველაფერი სამ წელზე გაამრავლე და მიიღებ... 1314 – ...1317,6 კილომეტრს... ვაა?! მაიცა, რაღაც არ ემთხვევა, ადრე 1500 გამომდიოდა... ნუ იყოს, ცოტაც არ წავიტრაბახო?!

– 1317 და 6 რაღაა ვითომ, შე მელოჩნიუო, აკი მეს-ნერი ვარო? – წამოაძახა ნიკამ თვითმარქვია ალპინისტის. სიცილს ერთბაშად ყველანი ავყევით, როგორც ეს გრძელ, მეგობრულ გაბოლებას სჩვევია ხოლმე.

– ეეე, ამ კუანას უყურე, ბიჭო! კაი იყო არა, შე ჩემა, ლიფტთან დგომა და მერე დარმავოი ამპულების კეთება?! 6 – ძმაო – 600 მეტრია! 600 მეტრი მეთორმეტე სართულის ვიზრო კარნიზზე, საბურთალოს ზურგის ქარით! მიდი, აბა, ერთი, სცადე, თუ ეგეთი მაგარი ხარ! მესნერს კიდე თავი დაანებე, შე ფარჩაკო! ახლახანს ძმა დაებრიდა ჰიმალაებში. ძმის ამბავი რომ შეიტყო, მწვერვალიდან ახალი დაბრუნებული იყო და ისევ ზემოთ უჟანგბადოდ მიაწვა! უკანა გზაზე შვიდი თითო მოეყინა და მოაჭრეს! ჩემი ძმაა,

კაროჩე, ნალდია! ეჰ, შენ რა იცი ჩვენი, მთამსვლელების, შენი საქმეა ა-ტა-სი და მორჩა!

ამ ხიფათიანი გზის მეტრი კი არა, მართლაც რომ ყოველი სანტიმეტრი, თითოეული მილიმეტრიც კი უნდა ჩაგეთვალა. რაფის სიგანე ტერფს ბევრად არ აღემატებოდა და დაახლოებით 20-25 სანტიმეტრს შეადგენდა. ფანჯრის გავლის შემდეგ კი „ცხოვრების გზა“ იმდენად ვიწროვდებოდა, რომ შენობის გასწვრივ დაყოლებულ კარნიზზე გაცოცებისას დათოს ფეხის წვერებზე დადგომა უწევდა, ის ტერფებს ბალერონივით შლიდა და კედელს ისე მიუყვებოდა. „ამ დროს მთელი იმედი თითებზე იყო!“ – აღნიშნავდა იგი – „თითები ობობასავით მქონდა, ბეტონის ხორკლებში შეზრდილი“.

გზად სანიტრების სათავსო ოთახს გაივლიდა, შემდეგ ექთნების საპროცედუროს, რამდენიმე პალატას მნილიარე ავადმყოფებით, და ბოლოს – მთავარი ექთნის კაბინეტი.

– კარგი, თუ ზაფხულია, ფანჯარა ღიაა, ანიავებენ, კრემი რომ არ გაფუჭდეს. სხვა დროს კი ფანჯრის ლრიჭოში მაკრატლის გაყრა მინევდა. ცალი მუხლით მაკრატელს მთელი ძალით ვაწვებოდი და გაჩენილ სანათურში გრძელი სამედიცინო კორცანგით ფანჯრის საკეტს ვწევდი. ახლა უყურე: ასეთი საკეტი ორია, ზემოთ-ქვემოთ და მთავარი საფრთხე! – მუხლით მიწოლისას, ხშირად, მაკრატელი ლრიჭოდან უცებ სხლდებოდა და ქვემოთ, უფსკრულში მიექანებოდა – ინერციით მთელი ტანი წინ იწევდა. ერთა-დერთი შანსი წონასწორობა შეგენარჩუნებინა, კედელში შეზრდილი მტევანი იყო, ცალი თანაც! მეორე ხელი ხომ კორცანგის გაყრით მქონდა დაკავებული. არც ვიცი, რა ძალამ გადამარჩინა. უბრალოდ, ვაორმაგებდი კედელ-თან თითების მიწოვის ძალას, „პრისოსკებივით“, ხომ იცი. მოკლედ, ხელი კი არა, რვაფეხასავით საცეცი გამომება! აქამდე ერთი რამ მესიზმრება – რესპუბლიკურის ეზოს

ბეტონზე თავისუფალი ვარდნა: წინ საბურთალოს პეი-ზაჟია – „გმირთა მოედანი“, „ვაჟა-ფშაველა“, „პავლოვი“; თეთრ ხალათს აფრიალებს ქარი; ქვემოთ – ასფალტი, მწვანე ბუჩქები, ეკლიანი, უფოთლო, გამხმარი ტოტები სახეში მესობა; გული ფართხალებს, კისერში მაწვება, მახრჩობს... ოფლში მეღვიძება. მაშინ ისე არ მეშინოდა, საფრთხე მხოლოდ შემდეგ აღვიქვი.

## პატი II.

### „ბატითიანებაცი სახეობის“ მონახვი

სასაცილო დათოს თხრობაში მხოლოდ ერთი რამ გახლ-დათ. წარმოიდგინეთ, ვთქვათ, გულ-მკერდის ქირურგიაში წევხართ და წიგნს კითხულობთ, მაგალითად, რ. კარელი-ნის „Тайна спасения“, ან დეკანოზ ზ. ანთაძის „რატომ გვს-ჯის ღმერთი?!“ სხვას აბა ფილტვში საეჭვო წარმონაქმ-ნის გამო პატერაციის წინა დღეს რა წაგაკითხებს?! თქვენ პირდაპირ ფართო მინაა და წითელი ჩამავალი მზე. ამ დროს გარეთ, ფანჯრის რაფაზე, თეთრხალათიან მამაკაცს ხედავთ. მე-10 სართულია! მოჩვენებამ თქვენ წინ ჩაიფრინა და უკვალოდ გაქრა ეთერში!

– მერე შეხვალ პალატაში, ავადმყოფს თვალს ჩაუ-კრავ, გაულიმებ და იდუმალი გამომეტყველებით გაან-დობ: „სუუ... ნაშა მყავს იქით, მორიგე ექთანი!“ – ნაშად ალბათ „რესპუბლიკურის“ გარშემო მფრინავი ანგელოზი თუ ჰყავსო... აბა, ამგვარ აბსურდულ ტყუილზე სხვა რა უნდა ეფიქრა გაოცებულ ავადმყოფს?

...მთავარი ექთნის კაბინეტი პატარა ოთახია, ასე, 3X3-ზე. შიგ მაგიდა, სეიფი, „უპონტო“ წამლების კარადა, ბინ-

ტები, მარლა, კედელზე ჩამოკიდებული ხალათი. გასაღები ხშირად ხალათის ჯიბეშია, თუ არადა მაგიდის მარჯვენა ზედა უჯრაში – მოსახერხებელია, „ქათმის“ ხელი კარგად სწვდება, ალბათ ტვინიც და იმიტომო. მოგვიანებით, ეჭვების გაჩენასთან ერთად, გასაღებს იატაკზე დაგებული ლინოლეუმის ქვეშ გადაუნაცვლებია – „რაღაც იყიდეს, მაგრამ რა – თვითონაც არ იცოდნენ. მთავარ ეჭთნებს ყნოსვა სხვანაირად აქვთ განვითარებული. ბიჭო, ეგრევე გრძნობენ ამპულების მშვიდი ძილის დარღვევას!“

– დღეში 200-250 ამპულა მაინც გამომქონდა, მეტიც! წარმოიდგინე, რამდენი შრომა მიწევდა! 100 ამპულის წვერის კარგად მოხერხვა, ფრთხილად წამლის ამოღება და მერე მათი შედუღება-თავების მობმა არ გინდა?! ჯერ მარტო ალზე კუკლები რომ დაამზადო, რამდენი სპირტიანი შარიკი უნდა გააკეთო?!. მაგრამ წამალი ხომ იცი, რას არ გაგაკეთებინებს! ზურა, იმდენი მქონდა, ხშირად ჩაყვინთულებს ბოთლებით გვექცეოდა! ჰკითხე, თუ გინდა, ნიკას.

მოპოვებული წამლის შესანახად დათოს ფრანგული სუნამოს პატარა ბოთლები ჰქონია გამზადებული – „ხომ იცი, სპირტიანია და ამიტომ გარანტირებულად სტერილურიო. აბა, როგორია, ამდენს იშრომებ და ნიკოლოზის მოთრეული ჭუჭყიანი ბოთლის გამო ყველაფერი წყალში გეყრებაო?!”

– სისხლში წამალთან ერთად ფრანგული დუხის ნარჩენებიც შედიოდა. აბა, „რესპუბლიკურის“ სხვენზე ბოთლების გამოსარეცხად ამდენი ადუღებული წყალი სად მექნებოდა? დავდიოდით მე და ნიკალა დუხის და „ტუალეტნაია ვადას“ სუნებით აყროლებული – პირი მქონდა „იორ“-ის ფლაკონივით. ასწორებს ფრანგული სუნამოს პუზირში ჩასხმული წამალი – ქალებთან მაგრად ვპაკაზუხობდი! დაბადების დღეზე ნაშების დასანახად ჯერ წამლიან „

იორ“-ს გავაძრობდი და მერე ბიჭებს ვუკეთებდი! ვალე-რიანის პუზირში გადასხმულ ფრანგულ სუნამოებს ისევ ქალებს ვჩუქნიდი. ნაშებსაც სულ ვალერიანკანარევი დუხის სურნელი ასდიოდათ. ნიშტიაკ, რესპუბლიკურში მიდის, საავადმყოფოს არომატის ფონზე, კოცნისას ვერც გაარჩევ. ეჰ, ნეტაი იმ დროს!

იმჟამად დათო იმდენად გაუთამამდა სიმაღლეს, ნიძლა-ვიც კი დადო მერაბასთან – ერთ საათში რესპუბლიკურს მთლიანად შემოვუვლიო. რაღა თქმა უნდოდა, ისედაც „იასნი“ იყო, გარედან, კარნიზზე სვლით... საავადმყოფოს ეზოში შეკრებილი უდარდელი გოგო-ბიჭები აღტაცებით უცქერენ, „რესპუბლიკურის“ კედელზე აფრიალებულ თეთრი ხალათის პატარა დროშას! „მაზიანი არ შესდგა, 1000 მანეთი დიდი ფული იყო მაშინ, ვერ გაბედა მერა-ბამო“.

ქუთაისელი მერაბა დათოს დიდ მეტოქეობას უწევდა ძველი ბიჭობით, მორფინისტობით და რაც მთავარია, გოგონებთან წარმატებით. ცოდნა-განათლებით და საუ-ბრის სტილით ვერა, ქუთაისურად ბაზრობდაო. ნაკლებად, მაგრამ ამასაც აფასებენ ქალებიო – სიამაყით ამბობდა ინტერნი და მრავალმნიშვნელოვნად თითო საფეხქელთან მიჰქონდა. შეძლებულიც იყოო, ჩემსავით ექიმი მშობლები ჰყავდა, თან ისეთი სიმპათიური მამაკაცი, იშვიათადო.

– თითქოს ვმეგობრობდით კიდეც. ერთად ვჩალიჩო-ბდით „დუბლიონკებს“. მე და მერაბა ლამაზმანებთან ვიწყებდით ბაზარს. ისე უბნელდებოდათ ქალებს მერაბას დანახვაზე თვალები, ვერც კი ამჩნევდნენ, როგორ ვაცლი-დით ჯიბიდან გასახდელის ნომერს. ნიკა მიდიოდა გარ-დერობში კანადური „დუბლის“ გამოსატანად. აბა, მისგან სხვა პონტი მაინც არ იყო, ხომ გახსოვს რა მორიდებული კლიენტიცა. ცირკი იყო, რომ შეგეხედა! რესპუბლიკურის დერეფანში გაკვირვებული გარდერობშიკის თვალწინ,

ჩქარი სვლით მიაბიჯებს ქალის ფართხუნა ბეწვიან ქურქში გამოწყობოლი, გრძელთმიანი მამაკაცი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დათოსთვის ფულისა და სხვა მატერიალური ფასეულობების მოპოვების საკითხი ჯერ ისე მნვავედ არ იდგა – წამალი ხომ საკმარისზე მეტი ჰქონდა. ქურქების მოპარვა, ძირათადად, მერაბასთან სიმარჯვესა და სიმამაცეში შეჯიბრების ერთ-ერთი სახეობათაგანი იყო. ფულის პრობლემა მეტად საჭირბოროტო მხოლოდ შემდგომში შეიქნება, იმუამად კი უდარდელი, იღბლიანი ხანა იდგა. ნარკოტიკისადმი ლტოლვა ძლიერი ჰქონდა, თუმცა სენი იმ სტადიაში იყო, როდესაც ჯერ კიდევ მთელი ნებისყოფის მოხმობით სხვა, არანარკომანული საქმეების კეთებაც შეიძლებოდა.

მერაბამ და დათომ ერთმანეთი რესპუბლიკურის სხვენზე გაიცნეს. ისე ნაკლები შეხება ჰქონდათ, რადგან მერაბა ქართულ სექტორზე სწავლობდა. საავადმყოფოს შენობის თავზე მე-13 სართულად სხვენია. მისი არსებობა მხოლოდ განსაკუთრებით საქმეში ჩახედულებმა თუ იცოდნენ. აქ „რესპუბლიკურის“ „ელიტარული“ საზოგადოება გასართობად და დასასვენებლად იკრიბებოდა. სხვენზე იკეთებდნენ ქვედა სართულებზე მოპოვებულ წამალს, ახალგაზრდა ექთნებთან „ტასაობა“ და სიგარეტის გრძლად გაბოლება ჩვეულებრივი ამბავი იყო, ხშირად ქალებთან უფრო მჭიდრო კონტაქტის დამყარებაც. აზარტული თამაშების მოყვარულებს ქვემოთ მოპარული რამდენიმე მაგიდა ჰქონდათ ჯოკერის, კინგის, სეკას ან დებერცის სათამაშოდ გაშლილი. ერთი საცურაო აუზილა გვაკლია სახურავზეო – ღიმილით აღნიშნავდა დავითი.

რაღა უნდოდა გარეთ?! ისე გაივლიდა თვე, წელიც, დათოს იშვიათად თუ მოუწევდა სახლში ტამსაცმლის გამოსაცვლელად მისვლა. „რესპუბლიკური საავადმყოფოსა და წამლის გაერთიანებული სამეფო“ – ასე უწოდა

მან, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდის გაერთიანებული სამეფოს ანალოგით, ამ შენობაში განთავსებულ სამყაროს. „ბიტლები“, დედა-დედოფალი და ბობი ჩარლტონი დათოს გულით უყვარდა, უფროსი გულშემატკივრების გადმოცემით – სტენლი მეთაუზიც, თითქმის წაუკითხავად და საუბარში მოსახსენიებლად – ჯონისც. „ამერიკელებიც ჯიგრები არიან, მაგრამ მაინც ახალი ერია, სულ 200 წლის ისტორიის. არა, ამერიკაც მიყვარს, ოლონდ ინგლისი მაგრად ასწორებს, სვეტური ამერიკაა, რა!“ დათოც ამ „გაერთიანებული სამეფოს“ მონარქად მიიჩნევდა თავს – უკეთესი გამოსავალი მაინც არ ჩანდა, დათოც მონდომებით აკეთილშობილებდა ტოტალიტარულ „სახელმწიფოს“ სახელწოდებით – „ტორტი რესპუბლიკური“:

– ყველაფერი ადგილზე გვაქვს „რესპუბლიკურში“ – ნამალიც, ნაშებიც და ფულიც. ძმაო, სწავლა-განათლება გინდა? ნაირ-ნაირი კათედრებიც აქაა, ჩემს სამეფოში. რაღაზე გავიდე ქალაქში?!?

იმავე წელს ბაკურიანში შემთვრალმა მერაბამ გოგონების თვალწინ „რუსული რულეტკა“ გაითამაშა. შემთხვევითი ტყვია გავარდა, საცოდავ მერაბას თავის ქალა აეხადა...

– არ უნდა დაელია, ბიჭო! მკეთებლის დალევა ვის გაუგია, ხომ იცი, აგიუჟებს. წავიდა მერაბა საიქიოს „ნაგანის“ ტყვიით თავში. რას შვება ნეტავ ახლა, სადაა?..

მოკლედ, დათოს სასიცოცხლო სივრცე შეუმჩნევლად „რესპუბლიკური“ საავადმყოფოთი შემოიფარგლა. კრი-ტიკულად განწყობილმა ადამიანმა ამ საცხოვრებელ ადგილს შესაძლოა ზოოლოგიური ბინადრობის არეალიც უწოდოს, ან ბუნაგი... შეიძლება – სოროც. გემოვნების და არჩევანის საკითხია. ასე იყო თუ ისე, „გაერთიანებული სამეფოს“ მონარქი საკუთარი ცხოვრების წესით ტკბებოდა და კიდეც იტანჯებოდა:

– ესაა, ბიჭო, ქვეყანა?! მეცნიერი და მწერალი „ვოლგებს“ ჩალიჩობს, თუ შავი „ოცდაოთხი“ გაარტყა, ხომ ვააბშებ კოსმონავტია! „ერის მამებს“ ბეთჰოვენი იმიტომ უყვართ, „ლუნნაია სონატას“ დედამოტყნული ლენინი რომ უსმენდა! მექრთამე პროფესორები მორალს გვიკითხავენ! რაზეა, ბიჭო, ბაზარი?! ეს ფარჩაკები ჯინსებს ვერ უშვებენ! თუმცა, ვინ ჩაიცვამს ამათ ჯინსებს, ტრაკზე „სლავა კასს“ დააწერენ! აღარც გავიკეთო, მაგის დედას შევეცი?! ეჰ, მხოლოდ ჩვენ, მორფინისტებს გვიყვარს „ბიტლები“ და ვუდსტოკი...

### პატიო III.

#### „ჩეინის ფაჩეის“ მიღება

დათოსთვის ინფორმაციის, მუსიკის, ზოგადად კი თავისუფლების ერთადერთ ცხოველმყოფელ წყაროს იმდროინდელი „ამერიკის ხმა“ და „C“-ის რადიოსადგურები წარმოადგენდა. მხოლოდ ტრანზისტორიდან გაგონილ შეძახილს – „This is a voice of America“ და „BBC world service“ – შეეძლო გარეთ მიმდინარე მოვლენებისადმი სრული აპათიიდან ინტერნის გამოყვანა, რაღა თქმა უნდა, თუ წამალს არ ჩავთვლით. ამ ჩახშობილი, შიშინებიანი, ხან სრულიად გამქრალი, ხან კი ოდნავ გასაგონი „ლვთაებრივი“ ხმისთვის მას მთელი დღეები შეეძლო ესმინა. სიმღერაც კი დაწერა ლ. ბერსტაინის ცნობილ მელოდიაზე, რამელსაც მუდამ ღიღინებდა თავისთვის. დათოს ყურისთვის „ვესტ საიდური ისტორიის“ მუსიკაზე დადებულ „ამერიკის ხმის“ მისალმებაში ყველაზე ტკბილად მოსასმენი ერთი, თავისუფლების სიმბოლოდ მიჩნეული, მომნუსხველი სიტყვა უღერდა –

„This is a voice of America, This is... of America, This is... of America, Americaaaa!“.

რადიომიმღებიც საუცხოო ჰქონდა – „Sharp“! ვ. ი. ლენინის 100 წლისთავთან დაკავშირებით, რაიკომის განაწილებით, როგორც რაიონის „ელიტის“ წარმომადგენლებს, მის მშობლებსაც 100 მანეთიანი იაპონური ტრანზისტორის ყიდვის ნება დართეს. კარგა ხანია, ჯერ კიდევ სკოლის უკანასკნელი კლასებიდან მოყოლებული, დათოში საბჭოთა რეალობისადმი, მისი სიცრუით გაუღენთილი ყოველდღიური ყოფისადმი პროტესტის გრძნობა დღითი-დღე მატულობდა. რადიოეთერით სინიავსკის, ბუკოვსკის, გინზბურგის, სახაროვის, ბონერისა და სოლუენიცინის ძლივს გაგონილმა გამოსვლებმა კი საბჭოთა წყობის არსში საბოლოოდ გაარკვია. დამწყებმა სტუდენტმა უკვე კარგად იცოდა, რომ მისი მთავარი მტერი კოლექტივიზმი იყო:

– ამ დაშაბლონებულ ტიპებს ყველაფრის ვირთხები-ვით ეშინიათ, შენ კიდევ, ბიჭო, „პროტესტანტი“ ხარ და გოიმები ამიტომ ვერ გიტანენ! მაგათ ერთი კაიფი აქვთ – როგორმე თავის მონურ კოლექტივში ჩაგითრიონ და იცოდე, არ დანებდე! – ხშირად ახსენებდა ხოლმე დათო, ჰიპებისა და მორფინისტების მაღალი დანიშნულების შესახებ, ბეჭებამდე თმამოზრდილ, წამლით გაუღენთილ, დაყვინთულ წიკოლოზს.

– თვალები გაახილე, უყურე, ბიჭო! შიშმა ჯერ შვა მონობა, შემდეგ მას დაემატა სიაბანდი და კომუნისტური სიმღერაც წავიდაა: „შიშმა – მონობა, მონობამ – სიაბან-დები და... თხამ ვენახი შეჭამაა!“ – იდეალიზმი, კაი ტიპობა, მოკვდა – დადგა „ათას ყლეზე გადამხტარი“ ღიპიანი ბიძების, ნაზი ტოტალიტარული დეიდებისა და მათი კდემამო-სილი ქალიშვილების ეპოქა!.. ეჰ, გაიდია, არა?! კაროჩე, შენ კვადრატულ თავში მხოლოდ ოთხკუთხა აზრები შედის. ისმინე, ჭაბუკო: ფარისევლობავ ქართველების კისერზე

გამობმული ლოდი უნდა გერქვას შენ! – ასე ვიქნებით გერასიმეს „მუმუსავით“ კარგახანს... არ გავიჩხიროთ?

არანაკლებ მნიშვნელოვანი მომნუსხველ „რადიო-ხემბში“ მუსიკალურ-გასართობი პროგრამების მოსმენა შეიქნა. როკ-ენ-როლის ჰანგებს მოჰყვებოდა ის თავისუფლების მაცოცხლებელი წყარო, რომელსაც დათო ხარბად, მთელი არსებით იწოვდა. ჰიპები და „LSD“, ჯიმი ჰენდრიქსი და სიუზი ქვატრო, რომ არაფერი ვთქვათ „ბიტლებზე“ და „როლინგებზე“, ხმაურიან, ენერგიულ „Black Sabbath“-ზე, „Deep Purple“-სა და „Riah Heep“-ზე, „Led Zeppelin“ -ელ რობერტ ბლანტისა და „Pink Floyd“-ელ დავიდ გილმორის ვოკალზე – მომავალი ექიმისთვის ცველანი სათაყვანებელ კერპებად იქცნენ. ინტერნი მოსკოვიდან ჩამოსული „ფარცოვსჩიკებისგან“ მათ სურათებს იძენდა და რუდუნებით კედელზე აკრავდა. დათო ამ „ლვთაებებს“ გარეგნობითაც ბაძავდა, ცხოვრების წესითაც და როგორც წარმოედგინა, მსოფლმხედველობითაც. ერთი გაგების ხალხი ვართო – ხშირად უთქვამს ჯიმი ჰენდრიქსზე.

რადიომიმდები განსაკუთრებით კარგად „რესპუბლიკურის“ სხვენზე იჭერდა. აქ მოისმინა დათომ ალტა-მონტში მომხდარი საზარელი ამბავიც! „გოლოსმა“ გადმოსცა, თუ როგორ მოკლეს „როლინგების“ კონცერტზე დაქირავებულმა მცველებმა – „შავმა ანგელოზებმა“ – ადამიანი და იმედგაცრუებული ამბობდა:

– ალტა-მონტში მოკვდა, ძმაო, თავისუფლების სული... ჰიპები როკი ბიზნესად იქცა! ჰიპი, ჰიპობა, როგორც უტოპია, როგორც „ყვავილების შვილების“ ოცნება, გარდაიცვალა და დასამარდა! ალტა-მონტმა დაადო სამგლოვიარო ლენტი ჩემი მორიგი ოცნების საფლავს.

ՊՈՅԱՆ ԵՐԵՒԱՆ  
ՏՈՎԵՎԱԿԻՉՈ ԵՎ ԿԱՅԱԾՈ

Եակու Ա. Տուրեա Կամաց պատճենների հայտնութեան վեցական առաջնահանձնութեան մասին Հայաստանի Հանրապետութեան օրենսդրութեան մաս է:

რადგან „რესპუბლიკურის“ სხვენზე ესოდენ აქტიური, გარეშე პირთაგან დამალული ცხოვრება ჩქეფდა, დათოს იმდროინდელი თავგადასავლებიც ხშირად ამ ადგილთან იყო დაკავშირებული. სწორედ აქ დაინტ „სამეფოს“, ერთი შეხედვით წყნარ, უშფორთველ ყოფაში საგანგაშო ამბავი.

დათომ იმდენი ცვალა და ცვალა ამპულები, იმდენი უკეთა ძმაბიჭებს, რომ რაღაც კრიტიკული დროის თვის მთელი რესპუბლიკური საავადმყოფო გამოცვალა. კველა სეიფში მოწყენილი, წყლიანი ამპულები დაგროვებულიყო. უბრალოდ, ვერც ავადმყოფები ასწრებდნენ ექიმ-ინტერნის მიერ ჩამოსხმული წყლიანი კუკლების საკმარისი რაოდენობით მოხმარებას და ვერც მთავარი ექთნები ახალი, ჩხრიალა ამპულების საავადმყოფოს აფთიაქიდან ამოზიდვას. ასე გაჩნდა ვეებერთელა დისპალანსი დათოს მიერ გასწევით და ავადიყოფით გვის მიერ მოხმარებული ნარკო-

ტიკების მოცულობათა შორის. როგორც იტყვიან, დაირღვა დებეტ-კრედიტი. მკეთებელის ყოველდღიური დესერტი შეიცვალა: მენიუში მორფინისა და პრომედოლის ადგილი ნაზა ფენტანილმა დაიკავა. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ მე-12 სართულზე, საოპერაციობში მოიპოვებოდა. საშოვარზე გამოსულ დათოს მოქმედების არეალისა და კონტაქტების გაზრდა ანუ – „გაბაზრება“ მოუწია. დაიწყო ამ საზარელი და ამავდროულად მომაჯადობებელი ზღაპრის შემდეგი თავი – „ტრაგიკული ამბავი დაცემისა და გაფარჩიკებისა დავითისა, რესპუბლიკურის მონარქისა“.

...თიკა იყო მრგვალთვალება ექთანი ანესთეზიოლოგი, რომელსაც ნებისმიერი ხერხით სურდა დაგებულ ბადეში ექიმი საქმრო გაება. მახის ძირითად სატყუარას, თუ გნებავთ საკენკს, თიკას გაბედული ყოფაქცევის გარდა, წამალი წარმოადგენდა. ამიტომაც მრავალრიცხოვანი საქმროები მხოლოდ ერთი სოციალური ჯგუფიდან ჰყავდა – კარგპატრონიან, ბევრფულიან, ლამაზგარეგნობიან მკეთებელთაგან. უკანასკნელი მახასიათებელი თიკას მამაკაცებისადმი ჩამოყალიბებულ მოთხოვნებში მარტოოდენ სასურველი და არა აუცილებელი პირობა იყო.

მორფინისტებსაც თავისებურად უყვარდათ თიკა – ძირითადად დილით, ჰა-ჰა შუადღემდე, სანამ ექთნის მიერ ოპერაციაზე გაწეულ ფენტანილს სხვენზე გაიკეთებდნენ – როგორც იტყვიან, სანამ არსებობდა სილრმისეული ინტერესთა თანხვედრა.

დათო იყო ბიჭი, რომელიც თითქმის არ ატყუებდა თიკას და ექთნისადმი ტრფობაში საკუთარ თავსაც ადვილად არწმუნებდა. მამაკაცის სიყვარული განსაკუთრებით უწამლობის ჟამს მატულობდა და ისეთ ხარისხს იძენდა, რომ დათოს არც კი სჭირდებოდა ვნების ხელოვნურად გაღვივება. ფენტანილის გაჩერის პირველ 20-30 წუთში თიკასადმი ინტერნის ლტოლვა მატულობდა კიდეც. შემდგომ

პერიოდში გრძნობის ინტენსივობა სწრაფად იკლებდა და პირველივე საათის ბოლოს ნულოვან ნიშნულს უბრუნდებოდა. ასეთი ტრაგიკული, წინააღმდეგობებით აღსავსე გახლდათ თიკას და დათოს სიყვარულის ისტორია.

ეს მოხდა, როგორც სხვა ყველაფერი – კარგი და ცუდი, რესპუბლიკურის სხვენზე...

მანამ კი დათო ფენტანილის ძიებაში თიკას საოპერაციოში შებოდიალდა. ნარკოზი მორფინისტების რისხვას, რუხი მგელივით ბრაზიან კათედრის ასისტენტს ექიმ-ანესთეზიოლოგ მატილდა მაღლაზონიას მიჰყავდა. დიდი ხანი არ გაჩერებულა. დაბლვერილი მატილდას მრისხანე მზერით განადგურებულმა, ბრძოლის ველის მინიმალური დანაკარგებით დატოვება გადაწყვიტა და საბოლოოდ დახედა თიკას ფენტანილის ყუთისგან გამობერილ ჯიბეს.

იმხანად ნარკოტიკი ექთნებს ედოთ, რათა დათოსნაირ ხელმაჯვე ოსტატებს წამალი არ გაეწიათ. შემდეგ ექიმებებმა ჩაიჯიბეს და საჭიროებისამებრ თითო ცალობით აძლევდენ ექთნებს, თიკასნაირ მოხერხებულ ანესთეზისტებს „დათოებისთვის“ რომ ვერ მოეპარათ. ბოლოს ალბათ „ცეკას“ მდივანს გადასცემენ და ის გაანაწილებს ფენტა-ნილს სპეცმაღაზიებიდან – მნარედ ხუმრობდა ინტერნი.

ასე იყო თუ ისე, თიკას ფენტანილიანი ჯიბის თვალიერებისას მან იქვე, ხალათის გასწვრივ, ექთნის საიდუმლოდ მოძრავი მოკლე თითები შენიშნა. ისინი ინტერნს მკაცრად და ამავდროულად სიყვარულით უბრძანებდნენ – „ნადი, ნადი! ნუ მწვავ! დამელოდე, გა-მო-ვალ!“ თითქმის უცნობი თიკას „ზახოდით“ გაოგნებულმა დათომ ზემოთ აიხედა და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა ყოფილიყო – ქალის დიდი, მრგვალი, წყლიანი თვალებიც იმავე ტექსტს იმეორებდნენ.

საბჭოთა საქართველოში „სექსი არ იყო“, სასიყვარულო გრძნობების აშკარად გამუღავნებაც სამარცხვინოდ ითვლებოდა. დათოც მკაცრი საბჭოური სექსუალური

აკრძალვებით გახლდათ აღზრდილი – ბავშვობაში მშობლები ხშირად სჯიდნენ და ყოველდღიურად საკუთარ მანკიერებას ახსენებდნენ. ამის გამო ის მეტად მორცხვ, უინიციატივო პიროვნებად ჩამოყალიბდა. სწორედ დაბალი თვითშეფასების გამო უფრთხოდა ის ქალთა სქესს, თუმცა შორიდან, პლატონურად მუდმივად რამდენიმე გოგო ერთდროულად უყვარდა: ზოგი – მეტად, ზოგიც – ნაკლებად, ერთი-ორი კი – თავდავიწყებით. რა ექნა? – იკეთებდა წამალს ექიმ-ინტერნი და ასე ებრძოდა არასრულფასოვნების კომპლექსს.

– ბიჭო, პრინციპში, არც ვიცნობდი, ერთი-ორჯერ მერაბასთან ერთად მყავდა სახურავზე ნანახი, სიგარეტს ეწეოდნენ. კარიჩი, პირველმა თვითონ დამიზახოდა. წამალიც მაგრად მინდოდა, თან მერაბაც დაბრედილი იყო უკვე.

... სხვენზე, საკმარისად მჭიდრო დაახლოების შემდეგ, შეყვარებულები დათოს სახლში განმარტოვდნენ, სადაც მათი ურთიერთობის სტილი საბოლოოდ გაირკვა. პირველივე ხანმოკლე კონტაქტის შემდეგ დათომ უკმაყოფილო ექთანს განუცხადა: „მე, თიკა, ჩემო კარგო, ამის კეთება წამლის გარეშე არ შემიძლია, თან, ხუთი ამპულა მაინც უნდა იყოსო... იქნება წამალი – იქნება სექსი, არა და არაო“. იქვე, მოშტერო თიკასთვის დააზუსტა, – არაო კი არა, უწამლოდ ვერაო, არ გამომდის კარგადო! თიკაც დაუყოვნებლივ ნარკოტიკების მოპოვების ეკლიან გზაზე შედგა. კარდიოლოგიის ინსტიტუტში მომუშავე ბიძის, რაიონში მცხოვრები ექიმი მშობლებისა და მრავალრიცხოვანი ნაცნობ-ნათესავების შავი დღისათვის გადანახული მორფინ-პრომედოლები დათოს და თიკას ვნებიან რომანს შეენირა.

ქალი სულ მეტად და მეტად გაუმაძლარი ხდებოდა, მან გემო გაუგო ნარკოტიკით გახანგრძლივებულ სქესობრივ აქტს, გაჭიანურებული პროცესით წარმტაც ტკბობას!

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ფიზიკური სიახლოვის მომ-ხიბელელობა ურთიერთდა კმაყოფილებაშია და მხოლოდ ამ შემთხვევაში მოაქვს მას ორივე პარტნიორისთვის ბედნიე-რება. გაუთავებელი, არასასურველი შრომით დაკავებული ინტერნი კი სატრაის სულ უფრო იძულებდა:

– ცუდი ნაშა ნაღდი არაა, მაგრამ ძალაინ გოიმურად იცვამს, რა. დამბრიდა თავისი ყვითელი პლატფორმებით და ჟაბოიანი ბლუზებით. რუსთაველზე არ გინდა გახვიდე ეგეთთან?! კიდე... გამოგიტყვდები და გეტყვი! საზარელი ლოშნია ტიპია! საზიზღარი წებოვანი ნერწყვი და ტუჩები აქვ! რომ მკოცნის, ასე მგონია „ნფ-2“ წებო აქვს იმ დღით პირში ამოვლებული! ფუფ, ჩემი დედას...! – ზიზღითა და საკუთარ თავზე გაბრაზებით გამანდო დათომ, მოულო-დნელად ლომკაში რომ დამიძახა მე-8 საავადმყოფოდან განეულ ფენტანილზე, მაშინ.

თიკასთან შეხვედრისას მუდამ ცდილობდა, წამალი სასიყვარულო პროცესის დაწყებამდე გაეთრია და შემ-დეგ რაიმე მიზეზით მოტყვდომოდა. მამაკაცის ერთი-ორი წარმატებული მცდელობის შემდეგ, გმირული ღვანლის გარეშე ჩაეგდო ხელში ჯილდო, ექთანმა ჭკუა ისწავლა. ქალი ისე ღრმად ინახავდა ამპულებს, რომ თიკას მიმოხილ-ვითი სინჯვა-ფერების დროს დათოს ნარკოტიკის ძიებაში გაწაფული ხელიც კი ვერსად პოულობდა სანახს. მამაკაცი დანებდა, მისი და თიკას ვნება ხომ ერთ საერთო ადგილას იმალებოდა. ამ შემთხვევაში ალბათ სიტყვა „იმალებოდას“ ნაცვლად, უფრო უპრიანია ვიხმაროთ სამედიცინო ტერ-მინი – „ლოკალიზება“.

ორივე შეყვარებულის სრული გაშიშვლების შემდეგ, დათოს არსაიდან გაჩენილი ულუფა ეძლეოდა, შიშველივე იკეთებდა და პრიხოდის დასრულებისთანავე ზურგზე წვე-ბოდა. სულ ეს იყო მამაკაცის შრომა, დანარჩენი თიკას აწვა კისერზე! დათო კი ცდილობდა, ზიზღის ობიექტისთვის არ

შეეხედა, საერთოდაც ნაკლები ყურადღება მიექცია და შეგრძნების კონცენტრირება წამლის მოქმედებაზე მოეხდინა – იყოს და იხტუნაოს, მაგ ჩემისამო.

ასე თვალებმილულული იწვა დათო და ფიქრობდა თავის სასტიკ ხვედრზე: რაინპოლდ მესნერზე, „ბიტლებზე“, „როლინგბზე“, რატომდაც ნაკლებად, მაგრამ სინანულით იხსენებდა გაპარულ ჯიმი ჰენდრიქსს და წინა დღეს სიგარეტით ამომწვარ, ძლიერ ნაშოვნ „ლევისებს“. ყოველივეს კი წითელ ხაზად მოწყენილ საბჭოთა ყოფაზე დარდი გასდევდა... „ჭერზე წყლის ჟანგიანი ლაქაც გადიდებულა, ხორთუ-მიანი სპილოს ფორმა მიუღია, გვერდზე მოყვითალო ბაჭია... ნამგალით და უროთი?! ფური, აქაც არ მანებებენ თავს ეს დედაძალლები!“ – საოცნებო დრო საკმარისზე მეტი ჰქონდა.

თაფლობის თვე დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ქალის მზარდი მადის დასაკმაყოფილებლად საჭირო წამალი ფრიად ძნელი მოსანახი შეიქნა – თიკამ ყველა შესაძლებელი წყარო ამონურა. მას მხოლოდ „რესპუბლიკურში“ ოპერაციებზე ყოველდღიურად მოტეხილი 2-3 ამპულა ფენტანილია შველოდა. დათოც მოწყალედ იღებდა შემ-ცირებულ ქრთამს. ამიტომაც შაბათ-კვირის დადგომა თიკას ჭირივით სძულდა – უქმე დღეებში ხომ გეგმიური ოპერაციები არ ტარდებოდა. დადგა სიყვარულის უწამლობით გამოცდის ხანა.

## პატი II.

### ჩიბაჭაბოვი - მოჩვენისტის ლაცატი ცხენა ბახევას გვე!

ერთ ლომკიან კვირა დღეს, დილაადრიან შეღვიძებულ დათოს ქვემოთ სისველე უგრძნია... ინტერნი მიხვდა – ეჰ,

ისევ ძილში გავათავეო. მწარე, ცივი, მყრალი ოფლისა და ლაპისებრი მასის, დამწვარი ძვლის მსგავსი სუნი. პირში – საზიზღარი, „დამპალი კატის“ გემო. ადგა, ამოიპანა, გამოიცვალა და ისევ ჩაწვა. უამთა სვლა ორშაბათს სავარაუდო გმიჩერვამდე შეჩერებულიყო... ლომქისგან გახევებული და სივრცეში დაკიდებული დათო მეხსიერებით სატელეფონო წიგნაკს ფურცლავდა: „ზურა?... „ბანაჯუ?... ამ ნიკალას ხო პასტაიანი არაფერი აქვს! უი! ვანო არ ჩანს?!.. არა, გუშინ დამირეკა...“

უცებ კარზე ზარი! მოულოდნელობისგან შეცბა – ვაა, რა გაასწორებს ლევანა თუა?!. დრო ისევ გაეშვა! წამოვარდა, კარები გააღო... თიკა თავის დაქალ ექთნებთან ერთად, ბამბანერკითა და შამპანურებით ხელდამშვენებული, ლომქაში ლოგინად გაშელართულ დათოს თავზე დაადგა! მამაკაცის სიძულვილმა უკანასკნელ ზღვარს მიაღწია! მაინც მოსინჯა სავარაუდო წამლის არსებობა და... არაფერი. დათოს გული ჩაუწყდა. „მაგის დედას შევეცი! რაღაც იმედი გამიჩნდა, რამე ექნება-თქო. აბა ისე იმ გოიმთან სუხოიზე ნძრევა როგორია, ბიჭო!“ გაბრაზებით მიამბობდა დათო, მე-8 საავადმყოფოდან გათრეულ ფენტანილზე და „გორილასგან“ დაადებულ ორ ქილა კოკაინზე რომ დამპატიუა.

– ეს კრახი უწამლოდ არ დამადგა, თანაც შამპანურებით ხელში! ხომ იცი, დებილის როჟა აქვს, მილიმის ძროხის თვალებით – დღეს ჩემი დაბადების დღეაო! მერე მე პრიჩომ, მაგის დედას რო შევეცი, ჰა?! მე ლომქაში ვარ! ოო, როგორ ვერ ავიტანე იმ წუთიდან! ერთი სული მქონდა, პანლური დამეადებინა და გარეთ გამეგდო! მონობა ძნელი ასატანია, ძმაო, სიაბანდი სიყვარულის თამაშთან ერთად – ორმაგად. დავიღალე რა, მომპეზრდა! არა და ისეთი სიფათი მქონდა, ყველასთან დავიწვი, მიხვდნენ, ამხელა კაცი წამალზე ტყნაურობსო. რაგორია, ჰა?

ერთი-ორი ჭიქა შეუსვამთ, თიკა მოშინაურებულა, ყავაც გაუმზადებია, მაცივრიდან ხილიც გამოუღია. შემდეგ ფეხზე სახლის ფლოსტებიც მოურგია.

– ჩემს ტერიტორიაზე, დაქალების დასანახად ცოლივით იქცეოდა, ეს ჩემისა! სულ გადავირიე, შენ აზრზე ხარ, ამ პრასტიტუკას ფეხზე დედაჩემის ჩუსტები ეცვა! ზემოდან, ხომ იცი, ნასვამი ქალი და, თან მეხვევა! ეს ჩემისა, თავის მოკლე ჭკუით პრელუდიას ატარებს, ანუ მახურუშებს, რა, – განგვიმარტა დათომ მე და ოდნავ გაჩხერილ ნიკოლოზს. – ამასობაში ცოტაც შევთვერი და ვხედავ, ის რომაა, მირანდა, რეანიმაციის ექთანი, თვალებს მიუუჯუნებს. იმ დებილს ხელი მოვკიდე, ბებიაჩემის ოთახში გავიყვანე და პირდაპირ ვუთხარი: გოგო, ხომ გახსოვს, ისე პონტი არ არი-თქო! და, რას მეუბნება ეს კრახი, ნახე რა! – ჩვენ ვქნათო და სალამოთი ბიძაჩემი წავა ლაბორატორიიდან და ასიანი მოვიპარავო. ასიანიო, ბიჭო, გაიგე! ზალოგში ტყნაურს მთხოვს, ეს დედაშეცემული! ჯერ ისე როგორია და ახლა პოსლეზე! სულ გადავირიე! აბა, ეხლა შენი დაქალებიანად დაახვიე, თორე შენი დედას შევცემ-თქო! უცებ მოტყდნენ! გამოცდილი ექთნები იყვნენ, ეგრევე აზრზე მოვიდნენ, იცოდნენ, მთვრალი მორფინისტი რაცაა...

თვალებმიბნედილი, შემთვრალი მირანდა კი 15 წუთში ამობრუნებულა...

– სალამოა, ვწევართ ბიჭო, მირნად სიგარეტს ვაბოლებთ... ზარი! ერთი, ორი... ხანგრძლივი რეკვა! წამოვლასლასდი, ლომკაში ვარ, ძლივს დავდივარ, თან ესეც მთელი დღე არ წავიდა, არც მე მინდოდა მარტო ყოფნა. გლაზოკში გავიხედე – თიკა! წამალი აქ წალდი მოტანილი! დავეტაკე მირანდას – დავაი შუსტრად ჩაიცვი-თქო! ის გიუგი განუწყვეტლივ რეკავს, კარებს ანგრევს! მერე გავიგე, მიმხვდარა! ქალს რას გამოაპარებ? პლატფორმიანი ფეხები დასცხო კარებს! მირანდამ ჩაიცვა, თმები

შეისწორა. ვუყურებ – აუფ, უკრასკოდ ესეც რა სტრაშნია! კაშმარია, ნატყნაურები დასიებული სახით და დაწითლებული თვალებით! ლოგინს ოდნავ ხელი გადავუსვი და კარი გავაღე. დგას აცრემლებული, ტირის მრგვალი, ცისფერი თვალებით, მუშტისოდენა ცრემლებით, ეს საწყალი... უცებ შემოვარდა, ტრუსიკიდან ერთი პაჩქა პრატყორმებით, 10 ამპულა, მაგის დედას შევეცი! ვერაფერი ვერ მოვასწარი, ბიჭო! რა ლომკა მომიწყო, წარმოიდგინე! თან სპეცომ ნოხზე ქნა, ბამბითაც რომ ვერ ამელო ვერაფერი! კაროჩე, ლამე მარტომ 2 ბოთლი არაყი დავლიე! აი, ამას ამოვატანინე. პირველად ვიყავი ასეთ ლომკაში! კინალამ გავაფრინე!

– ძლივს გავაკავე, ღამით ვენებს იჭრიდა! – დაამოწმა ნიკამ.

დილით, 7-ზე დადგომია თიკა, 5 ამპულით. თითქოს შერიგებულან და იგივე... ჩამქრალი სიყვარული აალებადია ხორცით, მაგრამ ტკბობის დასრულების შემდეგ პარტნიორებს შორის უარეს ზიზღს იწვევს. დათოსა და თიკას ურთიერთობა ძლიერ დაიძაბა, ექთანი ჩასაფრებაში ჩამჯდარ ცხოველს დაემსგავსა...

ერთ მშვენიერ დღეს ცუდლუტმა თიკამ „რეკორდ“-ის შპრიცში ამოღებული ფენტანილი დათოს ჯიბეში ჩაუსრიალა. ინტერნიც სხვენზე ავარდა და დაუყოვნებლივ გაიჩირა. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ დროისთვის დათოს მორიგი ახალი ექთანი ჰყოლია ვნებიანად დაკერილი. ახლად ამოკვირტული რომანის შესახებ თიკამ სხვა, „პერეხვატისთვის“ მზად მყოფი მორიგი მორფინისტი საქმროსგან დაუყოვნებლივ შეიტყო.

გაკეთებისთანავე დათოს ფეხები მოეკვეთა, პირდაპირ სახით სხვენის მტვრიან ფიცარნაგზე ნაჯახივით დაენარცხა. შპრიცში აქამდე დაუდგენელ ბოროტმოქმედს რელა-

## ქსანტი ჩაესხა!

რელაქსანტი არის წამალი, რომელიც შეუვანისთანავე მთლიანად ადუნებს (თიშავს) ყველა კუნთს და ამითი 5-7 წუთით სრულიად აჩერებს სუნთქვას. პრეპარატი გამოიყენება ანესთეზიოლოგიაში ოპერაციის დროს, რათა სუნთქვას იქნას გათიშული და შესაძლებელი გახდეს სპეციალური აპარატურის მეშვეობით ავადმყოფის ხელოვნურ ვენტილაციაზე გადაყვნა.

ვინ აუტანდა დათოს სხვენზე ხელოვნური სუნქვის აპარატს?! – აი, რაზე უნდა ეფიქრა ფიცარნაგზე გაშხლართულ, სუნთქვაშეკრულ, ღია პირით მტვრის სქელ ფენაში ჩარგულ ექიმ ჩიჩუას. ისე, რალაც დადებითის დანახვაც შეიძლებოდა მის მდგომარეობაში – სახისა და კისრის კუნთების სრული მოდუნების გამო მტვერს კი არ ყლაპავდა, არამედ სველი ტუჩებით უნებურად აგემოვნებდა.

რელაქსანტის სასახელოდ და გიორგის საბედნიეროდ უნდა აღინიშნოს, რომ წამალი მხოლოდ კუნთებს თიშავს და სრულიად არ ეხება გულს და გონებას. გასაჭირისგან ათასმაგად გააქტიურებული ინტერნის ტვინის უჯრედები გამოსავალს ჰქებდნენ... დათოს ქვედა, მე-12 სართული-დან ანესთეზიოლოგ მატილდა მალაზონიას ხმა მოესმა. ის ავადმყოფის პატრონს ფულის აღებისას პრანჭვით უძალიანდებოდა. ტოტალიტარული დეიდა მატილდა დასანახად ვერ იტანდა ნარკომანებს და განსაკუთრებულად სდევნიდა კოლეგა დავით ჩიჩუას. ერთხელ პირდაპირ სახალხოდ უყვირა კიდეც – საოპერაციოში შენ რა გინდა, შე მორფინისტონ?! ამ დროს დათო ექთნის მაგიდიდან მოპარულ ფენტანილიან შპრიცს ჯიბისკენ მიაქანებდა და ის-ის იყო უნდა მომტყდარიყო. მკეთებელიც განუსაზღვრელი, მაგრამ ჩუმი, შიშნარევი ზიზღით პასუხობდა მტარვალ კათედრის ასისტენტს. ამგვარი განსაკრთომელი ურთიერთობა ჰქონდათ ქალბატონ მატილდასა და ინტერნ

დავით ჩიჩუას.

ამ ფონზე ადგილი მისახვედრია, თუ რა საწინააღმდეგო აზრის მატარებელი სიგნალები ცირკულირებდნენ დათოს მტვერში ჩადებულ თავში – დავიბლავლო „მი-შვე-ლეთ!“ თუ გავჩერდე? დრო გადიოდა, ნინ უსასრულოდ გრძელი, უჯანგბადო 5-7 წუთი იყო. ტვინიც ფიქრობდა და აზროვნებდა... დაძახებამდე დათომ სცადა, ოდნავ მიღლაგებულიყო. თვალწინ სისხლიანი „რეკორდ“-ის შპრიცი ეგდო, ბლაგვი ნემსით გაგლეჯილი ვენიდან ნაკადით ჰიპოქ-სიისგან გაშავებული სისხლი მოედინებოდა... მეტი ვერა-ფერი შენიშნა ისეთი ლირსშესანიშნავი, მოსატეხი, რადგან თვალის კაკალსაც ვერ ამოძრავებდა. ამ მოქმედებასაც ხომ პანაწინა, მაგრამ ესოდენ აუცილებელი თვალის კუნ-თები რელაქსაციის გამო ვეღარ ასრულებდნენ. „ხალა-თიც, სავარაუდოდ, მტვერში ამოგანგლული მექნება და მატილდასთან საბოლოოდ დავიწვებიო“ გაიფიქრა დათოს საღად მოაზროვნე ტვინმა. სცადა რაიმე მოძრაობა გაე-კეთებინა, თუნდაც თითო მოეკავა, რათა სხვენზე სავა-რაუდოდ ამოვარდნილი მატილდას გამჭრიახი მზერისგან შპრიცი მაინც დაემალა... ამაოდ! გააქტიურებული ტვინის უჯრედებს თითოს კუნთებიც, როგორც სხვა დანარჩენი, ოდნავადაც არ ემორჩილებოდნენ. დათომ ყოველგვარი მორიდება გვერდზე გადადო და მთელი ძალ-ღონით დაი-ყვირა: „მატილდა დე-იდა-ა! ჩემო საყვარელო მატილდა დეიდა, მიშველე რა-ააა!“

...ისევ ფიასკო! კრინტიც ვერ დაძრა! საკუთარი ხმა ვერ გაეგო მის დაცქვეტილ ყურებს! სულ ერთი, პანაწინა ბგე-რის დაბადებასაც ხომ ნეკნთაშორის კუნთების შეკუმშვა სჭირდებოდა, მას მოჰყვებოდა ფილტვებით ჰაერის ამო-სუნთქვა, მისი ხმოვან იოგებში გავლით და შემდგომი ხმის წარმოქმნით. ჰირიქით, გარშემო რაღაც განსაკუთრებული სიჩუმე ჩამონილიყო... „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა

შინა“ – გაიფიქრა მტვრიან სხვეზე გაწოლილმა დათომ. ამ დროს, მხოლოდ ერთი სართულით დაბლა, მთავარ ექთან-თან მატილდას საუბარი და მისი მაჯის საათის წიკნიკიც კი ესმოდა... ქალის „Orient“-ია, 300 მანეთი ებრაელებთან“.

ტვინის უჯრედები 4-5 წუთს ძლებენ უჟანგბადოდ და მერე იბრიდებიან. ეს ჭეშმარიტება რეანიმატოლოგ დავით ჩიჩუას ნეირონებმა და მათგან შემდგარმა ორივე ნახევარსფერომ კარგად უწყოდა... და მაინც! – ლიძავისა და „კორპუსების“ პლაზზე, ქალებთან საპაკაზუხოდ ყვინთვი-სას ნავარჯიშებმა ინტერნის ტვინმა ტოტალურ ჰიპოქსიას 7-8 წუთს გაუძლო!

ამასობაში სართულით ქვემოთ მატილდა დეიდამ ფულის აღებაც მოასწრო და შემდეგ მთავარ ექთანს გაესაუბრა. ქალმა „Orient“-ზე სიამოვნებით დაიხედა და საოპერაციოში შემოხეტებული ექიმ-მორფინისტების გამოსავლენად გაეშურა. დათოს ჯერ ფეხის თითები აუმოძრავდა, შემდეგ რელაქსანტისთვის დამახასიათებელმა ტრემორმა, ანუ კრუნჩებებმა დაუარა და.... მტვერში ამოსვრილი ინტერნი ზეზე წამოდგა! პირველი ფრაზა, რომელიც მას უნებლიერ წამოსცდა, ასეთი გახლდათ: „მატილდა მაღაზონია, მაინც შენი დედიკოს შევეცი!“. მტვერი ჩამოიფეროთხა და დაამატა: „ოხ თიკა... თიკაა, მე შენი პრასტიტუკა დედასაც შევეციი-ი!“.

### კახეი I.

„ახ ბანიკითხო“ ენ „ახ ბასინენო!“

მაგალითს უდიდესი ძალა აქვსო. თიკამ იმდენი უყურა დათოს, რომ დაინტერესდა – ასეთი ნეტა რა ხილია ეს წამალიო?! ცნობისმოყვარეობა წარსულში განცდილმა

ალერსის სიამოვნებამაც გააღვივა. სექსისგან მიღებულ კაიფს ქალი მისდაუნებურად ნარკოტიკს უკავშირებდა და წამლისგანაც იმავეს ელოდა. ყოყმანის შემდეგ გასინჯა და როგორც ეს ყველას ემართება, შეჯდა... შეჯდაო?! კაცებსაც გაუსწრო! ექთანი ნაირ-ნაირი საავადმყოფოების სეიფებში ადვილად აღწევდა და იკეთებდა და იკეთებდა. დაწვისთანავე ახალ საავადმყოფოში იწყებდა სამსახურს და ისევ წამალი, წამალი, წამალი... მერე გაბარიგდა. „რომ ვნახე, ვეღარ ვიცანი საწყალი!“ – გულრწფელი სინანულით ყვებოდა დადარდიანებული დათო.

– სახეზე სინიაკი, დიდი ჩავარდნილი ცისფერი თვალები, გაშებული მზერით... კაროჩე, ქერათმიანი ჩონჩხი, დიდი, გამხმარი ბაგებით! პატარა, კოხტა ცხვირი, ფხანისგან შესივებული. თმები?!.. აი, ძველ, ნაგავში ნაგდებ თოვი-ნას რომ აქვს, ისეთი: მეჩხერი, გაქონილი, თითქოს წყლით გადავარცხნილი. ფეხზე დავხედე... ჩულქის ქვეშ კოჭ-წვივი გადახვეული ჭუჭყიანი ბინტით. კოჭში დაუწყია კეთება, ვენები აღარ ჰქონდა ჩემსავით.

თიკასგან „ნოქსირონ ატ კაშლია“ ვიყიდე. ერთი ზახოდი დამიადა, წესიერი მყიდველები მომიძებნეო. ვიფიქრე, გაუსწორებ და გავუიმავ-მეთქი. ძალიან არც მე მინდოდა, მაგრამ ისე – „ради старой дружбы“... „ეჲ, თუ ძმა ხარ, რაღა დროს ეგაო, დამთავრდა ჩემი ტყნაური, მე ქალი აღარა ვარ, დათოო. ხომ კარგად იცი შენ მაინც, მორფინისტებს სქესი არ გვაქვსო“. ბარიგობაზე დაუჭერიათ. ხაშურელმა მშობლებმა სახლი გაყიდეს, ფული გადაიხადეს და გაათავისუფლეს. მერე არც მინახავს. ვიღაცამ მითხრა, მგონი „от передозировки“ დაბრედილა...

გავაგრძელებ ამ საშინელი და ამავდროულად მიმზიდველი, მორფის მსგავსად ორბუნებოვანი ამბის თხრობას. ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი დათო ჩიჩუა, გადატანილი ჰიპოქსიისგან გაბრუებული, სისხლსა და მტვერში

ამოვლებული ხალათით მე-12 სართულზე კოლეგასთან, განყოფილების გამგე ზაზა (ზიზი) ძაგანიასთან ჩალას-ლასდა.

– რას გავხარ, ბიჭო?! კუბოდან ამოგილეს?! რას გიგავს ხალათი?!

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი ზაზა ძაგანია დავითის უფროსი მეგობარი გახლდათ და როგორც ინტენსიური თერაპიის განყოფილების გამგე, ექიმ ჩიჩიუას დამრიგებელიც. ზიზიმ დაუდენელი ლოგიკური ჯაჭვის აგებით დათოს თავს დამტყდარი გასაჭირო ზუსტად გამოიცნო:

– ბიჭო, რელაქსანტი გაიკეთე სახურავზე? კარგად გადარჩენილხარ, აი! სანამ უნდა სდიო წამალს, შე მორფინისტო, ჰე?! კარგი რა, კარგი რა, არ კმარა?! მოეშვი რა მაგ საზიზლრობას და მაგარი ექიმი გახდები. ახლაც კი შენ-ნაირი მცოდნე განყოფილებაში არავინ გვყავს! დაარტყი რა, ტორმუზი, მოიყვანე ცოლი და ეგაა, რა!

პირდაპირ გასაოცარი გახლდათ ექიმ ძაგანიას გამჭრიახობა – საიდან იცოდა სხვენი, რელაქსანტი? სახეზე ხომ მხოლოდ „კარგად გადარჩენილი“ დათო იყო. ეს საიდუმლო ბოლომდე გაურკვეველი დარჩება ჩვენთვისაც... აღნიშნულ საკითხზე დიდად არც დავითის უანგბად-მოწყურებული და ამიტომ დაჩლუნგებული ტვინი დაფიქრებულა. ინტერნი პირდაპირ საქმეზე გადაერთო:

– ვსიო, ძმაო, ბოლოა! წყალი არ გაუვა! არ გჯერა?! მე ვიყო არამზადა... განდონი ვიყო, თუ არ მოვიყვანო ცოლი. ამ თვეშივე! სიტყვა – სიტყვაა! პირობას ვდებ ამათ წინაშე!

ასეთი მაღალი საზოგადოების მოხმობა, დათოს აზრით, პირობას გარკვეულ დამაჯერებლობას სძენდა და მომენტის სიდიდადესაც ხაზს უსვამდა. ზიზიმ გარშემო მიმოიხედა, კედელზე უხვად ეკიდა ანესთეზიოლოგ მამა-დამა-არსებელთა დიდი პორტრეტები: უელსი, მორტონი, ჰიკ-

მენი და პიროვნეული მკაცრი გამომეტყველებით უცქერდნენ  
დათოს ოდნავ შელურჯებულ სახეს.

განყოფილების გამგემ სიცილი ძლივს შეიკავა:

– ბიჭო, შენ თავი ხომ არ მიგირტყია? რეებს ბოდავ?!

ჰიპოქსიისგან ჭკუიდან გადახვედი, თუ რა გჭირს?

დათო მიხვდა, რომ აშკარად გადააჭარბა და სხვენზე  
მომხდარი ამბის თავის სასარგებლოდ შემოტრიალება  
კვლავ სცადა:

– არა, რა, მეცნიერების ამბავში ვთქვი, გარე? ცოლსაც  
მოვიყვან და დისერტაციასაც დავიცავ კიდე! თემაზე ხომ  
მოვილაპარაკეთ – „შოკი, ნარკოზი და ჰემოდინამიკა“.

ის-ის იყო, გადატანილი უბედურების სანაცვლოდ  
დათოს სულ ორიოდ ამპულის მათხოვრობა უნდა დაეწყო,  
კრები გაიღო და კაბინეტში ქალბატონი მატილდა შემო-  
ბრძანდა. ხალათიანმა „აფთარმა“ განყოფილების გამგეს  
ჰირადად ხელში ოპერაციიდან მორჩენილი ფენტანილი  
გადასცა:

– მთავარი ექთანი წავიდა, შენ ვერ გნახა, ქვემოთ ყოფი-  
ლხარ, რეანიმაციაში. მე დამიბარა და მანდ, შენთან შევი-  
ნახე. ესეც ჩაიბარე, ბოლო ოპერაციისაა. კარგად ჩაკეტე,  
იცოდე! ხომ იცი, ხოდა თუ ვსკე!

„აფთარმა“ დათოს შეშინებულ სახეს ზიზღით დახედა  
და საკუთარი ძალაუფლებით მოხიბლულმა ბრძოლის  
ველი დატოვა. ზიზიმ იქვე მდგარი ჰირადი მცირე სეიფი  
გახსნა და მსუქანი ფიგურით შიგთავსს გადაეფარა. დათო  
სიხარულისგან ოდნავ შეხტა კიდეც. სხვენზე გაგონილი,  
მთავარი ექთნისთვის მატილდას დაბალი ხმით ნათქვამი  
ფრაზა გაახსენდა:

„...კარგი, კარგი ვეტყვი... არა უშავს, დღეს ზიზისთან  
შევინახოთ...“

საქმე კი შემდეგი გახლდათ: ძირითადი, სტრატეგიული  
დანიშნულების სეიფის გასაღებიან, ტოტალიტარულ

დეიდა მთავარ ექთანს, ხაშურში მეზობლის ქვისლის ბაბუა გარდაცვლოდა. ხომ ვერ მოაკლდებოდა სატირალს?! გასაღებსაც ვერავის ანდობდა, რადგან მთავარ სეიფში მოთავსებული ფენტანილის ძირითადი მარაგი მის კისერზე ირიცხებოდა. ექთანმა სავარაუდო ოპერაციების-თვის საჭირო წამალი მატილდა მალაზონიას დაუტოვა და ახლობლის დასაფლავებაზე გაეშურა. შაბათ-კვირა დგებოდა, ფენტანილის რაოდენობაც, შესაბამისად, 3-4 დღისა იყო... ასე რომ, დათოს ამგვარი ემოცია სავსებით გასაგები იყო – გაუხარდებოდა, აბა რა იქნებოდა?! „გადატანილი გასაჭირისთვის ღმერთა ამდენი ფენტანილის პრასვეტით დამაჯილდოვაო!“ – გაიფიქრა.

კოლეგებს ბევრი აღარ უსაუბრიათ, კაბინეტი მალე დატოვეს. სეიფის გასაღები ისევ მარჯვენა ზედა უჯრაში განთავსდა, რადგან ვერც ზიზის წარმოედგინა, რა საფრთხე უნდა დამუქრებოდა მე-12 სართულზე, ჩარაზული კარის მიღმა, არაწვად კარადაში შენახულ ფენტანილს?

შაბათ დილით შემოვლაზე მისულ განყოფილების გამგეს სანახი კარგად ჩაკეტილი, ოღონდ ცარიელი, უნამლოდ დახვდა. ფანჯარა ქარს ოდნავ შეეღო... ვითომ ქარს? თითქოს მიხურა წასვლის წინ?... საკეტებიც ჩამონია ფინურ ფანჯარაზე... აღშფოთებულმა ზიზიმ მორიგე ექიმს, ქმარგაცილებულ დონარა გაბედავა-ვასილევსკაიას საორდინატოროში შეუარა და მომხდარის შესახებ უამბო.

– რაღაც საეჭვოდ ჩამომიჯდა გუშინ ჩვენი ინტერნი. შენთან ერთად მორიგეობა მაგრად მევასებაო და დაღამებამდე აქ იყო. მერე მოულოდნელად გაქრა.

ქალბატონ დონარას ის აღარ უთქვამს, რა ტკბილი ტუჩები ჰქონდა დათოს. „რა უცნაური, რაღაც მტვრის მსგავსი ეგზოტიკური სურნელი ასდიოდაო!“ გაუფიქრებია დონარა გაბედავა-ვასილევსკაიას, დათოს მოულოდნელი გაუჩინარების შემდეგ. მთელი ღამე მამაკაცს ამაოდ

ელოდა და გამთენისას სასტიკად გაპრაზებულა, საბანში გახვეულა და ჩაუძინებია.

მორიგეობიდან ჩემთან მოვარდა ტაქსით, როგორც არაერთხელ გაუკეთებია, ოთახებში ხალათის გაუხდელად დაქროდა. კარგად გავიჩირეთ! გავაპოლეთ – ესეც მაგრად, გრძლად! ზედ კაი ჩაიც დავაყოლეთ, ინდურ-ქართული. ფენტანილის და დონარას ამბავსაც იქვე მომიყვა. ქალბატონს „დამპალი საფერფლის“ სუნი ჰქონია პირში და ჩაცმულობაზე აღარაფერს ვამბობო:

– ზურა, აი, ინდურ კინოებში რომ აცვიათ ჰაეროვანი ჭრელაჭრულები, ტანზე შემოხვეული, ტომარასავით უფორმო! მუხლებზე მეჯდა პირსახოცის წითელ წინდებში, თვალნასულ ჩულებზე ჩაზმანული, მაგარია, ჰა?! ქალს, ბიჭო, ნებისმიერი ნაკლი ეპატიება, კაი ტიპი თუა და „სვეტსკად“ ჩაცმა უნდა იცოდეს, ხუთიანზე, არა? ხომ არ დავიმატოთ?

ამოიღო, სამ-სამი გავიწუილეთ... ისევ კაი „ქიშვარდი“ და ზედ – ჩაი. არ ანებებს თავს დონარას მორთვა-მოკაზ-მულობას.

– დავაი, ერთი ყანწიც მაგლეჯინე... უუუ, რა გაასწორა!.. კაროჩე, ლიშბი კაი ტიპი იყოს, რა... ზეიდან კაი ფრანგული სუნამო და ეგაა, რა! დონარას ლურჯი-ოქროსფერით თათრული ჩუსტები, ძალიანაა, ხომ მეთანხ-მები? დავტოვე კიდეც მარტო, რა მექნა როო? სანამ ეგ ხავერდებს გაიხდიდა პირსახოცებთან ერთად, მე ჩემი დამემართებოდა! თან შეთვრა და ნასვამი ქალი ხომ იცი, რა საზიზლრობაცაა. ფენტანილიც შემომხვდა ზიზის სეიფში, მოუწყენიათ უჩემოდ პანანინა ამპულებს... მოდი, ხუთხუთი ვიგლიჯოთ და წავედი მორიგეობაზე!

ზიზის მეცნიერულ კვლევებში გამობრძმედილმა ტვინმა ფენტანილის გაუჩინარების შემოქმედი ადვილად გამოიცნო. შემდეგ იმასაც მიხვდა, რა გზით შეაღწია

ინტერნმა კაბინეტში. ერთი იყო მეცნიერისთვის გაუგებარი:

– რა მიკვირს იცი, დონარა, როგორ სიამოვნებას უნდა განიჭებდეს რაიმე, იმის გულისთვის ასე რომ გარისკო?! ლამით, მე-12 სართულზე, ჩაკეტილ ფანჯარაში?!

– რაზე ამბობ, ზიზი?

– რა და ვიცი ვისი წალებულიცაა და როგორც – გასაოცარია! მაგრად მაინტერესებს, რა არი ასეთი?!

ასე ერთი საათი გულითადად ისაუბრეს, ყოველივე ნარკომანის შესახებ მიმოიხილეს. განსაკუთრებით ის, თუ რა თავგანწირვით, დილიდან საღამომდე, დაღამები-დან დილამდე იღვწოდენ „რესპუბლიკურის“ მკეთებელი ექიმები, რათა თავიანთი სარჩო მოეპოვებინათ. ყველა სათითაოდ გაარჩიეს.

– ადამიანმა ყველაფერი უნდა გამოსცადოს. მით უმეტეს, ანესთეზიოლოგები ვართ. არ გავსინჯოთ ერთი, რის-თვის იკლავს ეს ხალხი თავს?

დონარას გასული ღამე გაახსენდა, დათოს გულწრფელი, შეყვარებული თვალები... ის, თუ როგორ ერთმნიშვნელოვნად მიახვედრა მამაკაცს მზაობის შესახებ და... მისი უეცარი გაუჩინარება:

– ჰო, გასაოცარია, სექსზე მაგარი რა უნდა იყოს?! მოდი, გავსინჯოთ, ჰა?...

ბევრი არც უფიქრიათ, ქალი ინტენსიური თერაპიის პალატაში შევიდა და 5 ამპულა გამოიტანა – ორი 1%-იანი მორფინი და სამი 2%-იანი პრომედოლი. კუნთში გაიკეთეს...

დონარას გაუმართლა! ისე ცუდათ გახდა, რესპუბლიკურის ტრამალებზე მოძიებულმა დათომ მდგომარეობიდან ძლივს გამოიყვანა – კუჭის სოდიანი წყლით ამორეცხვებით და დაუსრულებელი რწყევით. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ ზაზა ძაგანიას – „ზიზი ექიმს“ კი – არა! მან

წამალს გემო გაუგო და დაჯდა! ანუ ფენტანილზე შესკუპდა და, როგორც ეს ჩვეულებრივ უფროს ასაკში ნარკომანიის გზაზე შემდგარებს ემართებათ, მალევე დავიდა იმ ფსკერამდე, რომელსაც დათო მხოლოდ ოცდაათწლიანი კეთების შემდეგ მიაღწევს. იმდენი იყეთა, იყეთა ვნებიანად, თავდავიწყებით, სანამ ორჯერ ინფარქტმა არ გლიჯა და სამწლიანი ჩხერის შემდეგ არ დაიბრიდა...

აქედან დათომ დიდად შთამაგონებელი დასკვნები გამოიტანა! პირველი – არ განიკითხო! არ თქვა სხვაზე, ამას შეხედეო, ამ მორფინისტსო, თორემ გაჭირვება შენ, ან უარესი – შენს შვილს მიუკაუნებს, და მეორე – არ გასინჯო! არ მიეკარო წამალს, ვინც არ უნდა იყო შენ და რა მაღალი წარმოდგენაც არ უნდა გქონდეს საკუთარ თავზე! განსაკუთრებით ნუ დამშვიდდები უფროს ასაკში, თორემ აუცილებლად დაჯდები, როგორც ეს თიკას და ზიზის მოუვიდათ – ექთანს, ზრდასრულ ქალს და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, განყოფილების გამგესა და ქართველ მეოჯახეს. ნუ მიიჩნევ შენს უპირატესობას საკუთარ დამსახურებად, უბრალოდ იცოდე, ნარკოტიკით გამოცდას რატომლაც ღმერთმა აგაცდინა.

**ՊՈՎՅԱ ԵՎ ՏԵՍԱԿԱՑՈՒԹՅԱՆ  
ՍՊԱՀԱԿԱՌՈՂԻ ԸՆ ԵՎ ԵՎԱՅԱԿԱՐԱԿԱ  
ԵՎ ԵՎԱՅԱԿԱՐԱԿԱ, ՖԱԲԱԾՈ ԸՆ ՔՐԴԱՑՈՒԹՅԱՆ**

**ՔԱՅԻՆ I.**

**ՅՈՒՅԱՍՄ ԸՆ ՀԱՅՈ**

Ծառուս Շեդարյեծոտ շուգարճելո ցեղազրյեծա հիվելու կալա-  
პութի մուղանունեծունա. նարյութուկուլ ճամուկունեծունաս,  
րոցորու սայրուու պուշելու մոնոնաս, աժամիանո ցուուն  
ալույզամիս, ծրճուու տուույմուս Շելունեծունա րոմ ցածքունա,  
մաշուն. օմեանագ տօնուուսուս հիամպայունելու կուլուրուլ ցեղա-  
րյեծանու սածքուուտուսուուս նարմունունելագ ցասառուարու  
րամ մոխճա! „ցասառուարուու?!” – ածա, սեզացարագ րոցոր  
Շեյզասգեծունա ծեցուծեց հիաբարյեծունու օմերյուսունուսունեծուն,  
մատուան երտագ პածլու პոյասուս նասագյեծուս ցամոցյենա դա  
սայրուածունուս չածոյցուտուուլո! սածոցագույնունուս մալալո  
ոյենեծուս ածրուս դա սակուտարու օնտյերյուսուս ցատուալուսոնուն-  
եծուն դատոմ, րոցորու ոյնա, րյուսպունուուրու սաացագմոցուո  
դագուցա դա յալայուս սաելուունեծու ծոնչեմուս ցեղազրյեծանու  
հիայնա. սածքուա սայարուցուուս ելուունեծու րոխունու կոլու-  
յիտուունուտ պունուգ սունույացա:

– ბიჭო, თითქოს დამოუკიდებლადაც აზროვნებენ, წიგნიც იციან, ატრაკებენ კიდეც, მაგრამ ზომიერად, დაშვებულ ფარგლებში... როგორ ვთქვა?.. დისიდენტობით იპრანჭებიან, რა... ანუ პროტესტიც ჯოგურია. კაროჩე, „რამკიანი პროტესტიანეტები“ არიან. ეგ ბოზები, ზურა, მხოლოდ „საამურ“ მონობას აფერადებენ, ეგაა მაგათი როლი – დაახლოებით ეს სიტყვები ჩამესმოდა მე, ფილარმონიის რბილ სავარძელზე მიყვინთულს. დათო კი ყურში მონდომებით ჩამყვირდა, რათა როგორმე ჯაზის ველური ვნებით გაუდენთილი ჰანგები გადაეფარა...

მანამ კი ექიმ-ინტერნი დავით ჩიჩუა, ლამაზმანებთან გამართულად რომ ესაუბრა, შესაბამისი ლიტერატურის მოძიებას შეუდგა. პიკასოზე ბევრი წაკითხა, ჯაზზე – ვერა, ლიტერატურა არ იყოო. იმპრესიონისტებით დიდად არ დაინტერესებულა, ისინი თითქოს საბჭოეთსაც მოსწონდა და არ იკრძალებოდნენ, მოსკოვში პუშკინის მუზეუმში ბევრი რომ ჰქონდათ, ალბათ იმიტომო. კომუნისტური რეჟიმის ლოიალობა კი დათოსთვის სავსებით საკმარისი მიზეზი იყო, არა მხოლოდ იმპრესიონისტების, არამედ ყველაზე საყვარელი ადამიანის მოსაძულებლადაც. თან იმჟამად ექიმ-ინტერნის მოწყენილ ნატურაზე ნათელმა, მხიარულმა ფერებმა სათანადო ზეგავლენა ვერ მოახდინა.

მიუხედავად პიკასოსადმი საბჭოეთის სიმპთიისა, დათოს ნეგატიური დამოკიდებულება რატომღაც მხატვარზე არ გავრცელებულა. ნახატების გამოფენაზე კარგად გაჩხერილი მივიდა. ნანახმა დატეხილმა ფიგურებმა, მათმა იდუმალმა, დაშიფრულმა მნიშვნელობამ, პიკასოს ხან მკვეთრმა, ხან კი სევდიანმა ვარდისფერმა და ცისფერმა, დათოზე ნარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა! ღამეები არ ეძინა და გადაწყვიტა დროებით მაინც რაინპოლდ მესნერის ბანაკიდან პიკასოსთან გადაბარგე-

ბულიყო. ის პაბლოს აღტაცებული ფანი შეიქნა. ხანმოკლე დაკვირვებების შემდეგ, მხატვრის შფოთიან ცხოვრებას-თან სილრმისეული პარალელებიც გაავლო და სულ მალე გააიგივა კიდეც თავი მის შემოქმედებასთან:

– ერთი განსხვავება ისაა, პიჭო, პიკასომ ცისფერი პერიოდით დაიწყო, მე კიდევ – ვარდისფერით. მელანქოლიური „ცისფერი“ მიახლოვდება. სიღატაკე, სიკვდილი...

იმსანად ხშირად იმუორებდა მხატვრის გამონათქვამს: „ვინც სევდიანია, ის გულწრფელია...“

სულ უფრო მზარდი სიმაღლის პესიმისტური ნოტები უთუოდ დათოს კუბიზმის ელემენტებისკენ გარდაუვალ სწრაფვას მიანიშნებდნენ.

– ნატურის დეფორმირება და ნატურალიზმის უარყოფა – როგორია?! ასეთია ჩვენი აწმყო და მომავალი! ფორმების გარდაქმნა გეომეტრიულ ბლოკებად? ოჰ, მოცულობების სიბრტყეებად და წახნაგებად გაკვეთამ და მონოქრომატულმა პრიზმებმა სულ ბოლო მომიღო, ძლიერ ჩამაფიქრა... მოკლედ, ასეთია თანამედროვე ადამიანი – პიროვნება სულიერ ლომკაშია! აბსტინენციაა ჩვენი მომავალი!

ასე თავისებურად აჯამებდა მაგრად გაკეთებული დათო საკუთარ შთაბეჭდილებებს. ნიკოლოზი მეგობრის წინასწარმეტყველურ სენტენციებს მომავალ ცხოვრებაზე გაოცებული უსმენდა. მან დათოს მუხლებში ჩარგულ, მთვლემარე თავში წარმოქმნილ პაბლოსეული რებუსიანი კოლაჟების შესახებ არაფერი უწყოდა და კვლავ მოთმინებით პატრონის მოწყალებას ელოდა. დათომ შეიღვიძა, როგორც იქნა, ტახტიდან წამოდგა, ბებიამისის ოთახში გავიდა და ორი ამპულა გამოიტანა:

– ბოლოა, იცოდე! არა და, ჯაზის ფესტივალი გვიახლოვდება, ჯაზის! რაღაც ახალი ჩალიჩი უნდა მოვიყვანოთ, ჩემო ნიკალა.

მუსიკალური ფესტივალის მოახლოება დავითის მკვეთრ გააქტიურებას მოასწავებდა. ამიტომ ნიკამაც სიტყვა ჯაზი ძლიერ შეიყვარა:

– დათო, მე-8-ში იძლევიან თურმე ანესთეზიოლოგები ფენტანილს...

– ვინ გითხრა, შენ ვიღაც სიაფანდი გეტყოდა?

– ვანომ, მე ლიჩნად გამოვართვიო.

– ოოო! ვანო სერიოზული კაცია! აბა მიდი, მოყევი.

ერთ საათში ვანოც მოქროლდა თავისი წითელი „06“-ით და ბრიგადა მე-8 საავადმყოფოსკენ დაეშვა. ნიკოლოზი მანქანაში დატოვეს და განყოფილებაში ისე ავიდნენ. ჯერ ნაცნობ ექიმ-მორფინისტებთან „გააიასნეს“ ოპერატიული ვითარება. გაირკვა – იყო და აღარ არიო, იქვე თავიანთ ოთახში ედოთო. ვიღაც „ბეზპრედელშჩიკებმა“ დაწვეს ანგელოზივით დირკაო.

– ვანო, ამხელა გზაზე წამოვედით, მოდი, მაინც შევუაროთ ანესთეზიოლოგებს, ეგებ ნაცნობი გავჩითოთ.

დათომ სახე დაალაგა, ვარცხნილობა შეისწორა და კარზე დააკაკუნა – არავითარი პასუხი... ყური მიადო – სიჩუმე... ინტერესით შეათვალიერა საკეტი და სახელურს ძალით დაქაჩა. უცებ საორდინატოროს კარი გაიღო:

– რა გინდა?! ვის ეძებ?!

თვალწინ მატილდა მაღაზონიას განრისხებული ორეული იღრინებოდა.

– ფუ, შენი დედას შევეცი! – ჩაილაპარაკა დათომ და დამდუღრულივით უკან გადმოხტა.

– „რესპუბლიკურის“ მატილდას უფროსი დაა, ესეც გაუთხოვარია, მაგის... – დაამშვიდა ვანომ.

– ბედი არ გინდა! ეს სად გამეჩითა, ამის დედას რო შევეცი!

დამწუხრებული წყვილი „მატილდას“ გინება-გინებით წითელ „06“-ში დაბრუნდა. პირდაპირ დათოსთან მივიდ-

ნებ. კარი გიტარიანმა, კარგად შენახულმა ბებიამ გააღო. მარცხნივ, ოთახში შევიდნენ, შემდეგ დათო სამზარეულოსკენ გაეშურა და უცებ ადგილზე გაშეშდა! თვითონ ასე ჰყვებოდა:

– ბიჭო, როგორც კი ჩემი ოთახის კარი გავაღე, ხელის გულმა თავისით დაინახა და მახსოვრობით იცნო – მე-8-ს საკეტია! თვალით არც შემიხედავს, ძმაო! „რესპუბლიკურის“ ხორკლიანი კედლის დამსახურებაა, ხომ გეუბნებოდი – ხელი კი არა, საცეცია-თქო!

დათოს წამალმოწყურებულ მტევანს ანესთეზიოლოგთა საორდინატოროს სახელურის ფორმა დაემახსოვრებინა!

– ეგრევე ჩემი ოთახის კარებს ვეცი! ისევ სახელური, საკეტი... კარგად დავათვალიერე, ხელიც შევავლე. ნალდად ისაა! ნახევარ საათში გასაღებით ჯიბეში ადგილზე ვიყავით – მე და ვანო. დავაცადეთ, სანამ მატილდას ორეული სასწრაფო ოპერაციაზე გავიდოდა. მიმოვიხედე... გასაღები ღრიჭოში შევჩარი, დავატრიალე... არის! ზუსტად ისაა! ოთახში შევვარდით, მე კარადას ვეცი, კარი გამოვაღე... ხალათები, ხალათები, ზემოთაც არაფერი საინტერესო... ქვემოთ დგას ორი მუყაოს ყუთი, „Сгущенное молоко“ აწერია, ზემოდან ზენარი, შიგ?... პირამდე სავსეა ფენტანილით! ვანოს გავხედე, გაშეშებული დგას, მე მიყურებს... ზაფხულია, ჯინსის კურტკაში ვარ, ვანო – მოკლემკლავიან პერანგში. სად გინდა ამოდენა დოვლათი ჩაიტენო?! დახამებულებმა ფენტანილის ყუთების უბეებში ჩაკვეხება დავიწყეთ, ათ-ათი ყუთი ძლიერ ავისხით ტანზე, ამდენს რას გაწვდები?! იქვე ექიმების საწოლი დგას, ბალიშს პირი გადავაძვრე, ახლა იმაში ვტენით, ისიც გაივსო. საბანს ვეცი, კონვერტიდან ამოვაგდე, დარჩენილი ფენტანილი შიგ ჩავყარეთ. ისე გავღორდით, ვანომ გამოსვლის წინ ბარემ ლოგინთან მდგარი ტუმბოც გატეხა. უჯრაში სულ ერთი, ნახევრად ცარიელი ფენტანილის ყუთი იდო, ისიც

ნამოვილეთ. გარეთ გამოვედით, გრძელი დერეფანი გვაქვს გასავლელი, გავსებული ავადმყოფიანი საწოლებით, მნახველებით და რაც ყველაზე საშიშია, ექინებით – მორფინისტების დაუძინებელი მტრებით! მოვდივართ მე და ვანო, ზურგზე მოკიდებული ფენტანილით სავსე ორი უშველუბელი ტომრით. 20-30 მეტრი არ გვაქვს გამოვლილი, მთავარი ექთანი დაგვედევნა. ქვეშაგებელი სად მიგაქვთო?!

მაშინ საყოველთაო დეფიციტი მეფობდა, საავადმყოფებში თეთრეულს იპარავდნენ. „რა დაგემართათ, ქალბატონონ?! მომაკვდავი ავადმყოფი განერეს და ჩვენი ქვეშაგებელი სახლში მიგვაქვს-თქო!“ – გაპრაზებით ვუთხარი და შეუჩერებლივ გავაგრძელეთ გზა. ავადმყოფის გარდაცვალებამ გააშტერა, დაიბნა გომი... წინ, დერეფნის ბოლოს, ორი ძალლი შევნიშნეთ – ალბათ გამომძიებლები! ჩვენკენ მოუყვებიან, ექიმს ესაუბრებიან... მე და ვანომ შიშისგან კინალამ ჩავიფსით! არა და, რა უნდათ ჩვენგან?

წესიერი მორფინისტები ვართ, ჩვენთვის ვიკეთებთ და ვართ ასე. გამომძიებლებს კი საავადმყოფოში თავისი საქმე აქვთ: ავარიის ვითარება ან ვინ ვინ დაჭრა, ვინ იყო დამნაშავე, მოკლედ, ვის რამდენი ფული შეაწერონ. ჩვენი ზეამოცანაა – ფენტანილი სამშვიდობოს გავიტანოთ. უფლ, როგორც იქნა, ერთმანეთს ავცდით!

## პასჩი II.

### ნერა ბარა ეს ფანტანიცი

მეხუთე სართულზე გიუებივით აირბინეს და საქმეს შეუდგნენ! დათო კეკელიძეზე ცხოვრობდა, ვარაზისხევში, 70 წელს მიტანებულ ბებიასთან ერთად. კარგად შენახული მოხუცი ნაღვლიანი სახითა და წითელსაცხიანი ტუჩებით,

უმზადებდა საჭმელს, ურეცხავდა სამოსს და უკერებდა მოწყვეტილ ღილებს. შემდეგ ეტყოდა: „Ну, дорогой, я пошла к Циале“ – და გვერდზე გადაქინდრული თავით დათოს დეიდასთან ვარაზისხევს ჩაუყვებოდა, რათა იქაც იგივე ეკეთებინა. ციალასთან მისული ნინა პეტრი ჰყვებოდა – „Радаც საეჭვოდ ჭამა გუშინ დათომ დამის 2 საათზე ბორშჩი. Ну а потом ешче чай выпил! სამი ჭიქა მაინც იქნებოდა?!... прямо не знаю, что и думать?!“.

მარტოობის გამო ბიჭები დათოსთან ვიკრიბებოდით, იქ იყო ჩვენი ახალგაზრდული გართობის ცენტრი. ის, რაც ახლა გარეთაა, ღიად – კაზინო, კაფე-ბარი, დისკოთეკა, საროსკიპო – იმუამად დათოს ოთახში გვქონდა გამლილი. „დიოგენეს კასრში“, როგორც თვითონ უწოდა თავის სამყოფელს, იდგა მოზრდილი, ფართე ტახტი, მაგიდა სკამებით. ერთი კედელი მთლიანად, ჭერამდე, წიგნებიან თაროებს ეკავა – დათოს სიამაყის და განსაკუთრებული ზრუნვის საგანს. შუაში წიშა, ფირფიტების საკრავით „Бердск-2“, 50-ვატიანი, მუდამ ბოლო ხმაზე ანეული დინამიკებით. სწორედ აქ, „დიოგენეს კასრში“, შეაფარეს თავი მე-8 საავადმყოფოს მთავარ ექთნებს განრიდებულმა ფენტანილის ამპულებმა.

მთელი ღამე ნარკოტიკს, რატომლაც, ამპულებიდან იღებდა და ოდეკოლონის ბოთლებში ასხამდა, ამდენს სუნამოსაში რაღას ჩაატევდა! ამჯერად ბიჭები ერთი კვირა „რომეო ი ჯიულიეტას“ და „სპარტაკის“ სურნელით ვყარდით – ოდეკოლონები იყო ასეთი. ნადავლი ორად გაუყვია: გასაკეთებელი – ბოთლებში, ვითომ გადასანახი – მტვერსასრუტის ცარიელ ყუთში. „ეპ, წამალი ხომ იცი, რა გადაგირჩება?“...

მაღალი კლასის მორფინისტებს მომავალში ლომკაში დარჩენის მუდამ თანმდევი შიში სჩვევიათ. მიუხედავად ამისა, განუწყვეტელი წამლის მოპოვება-გროვების პრო-

ცესი, დათოს ხელგაშლილობაზე სულაც არ აისახებოდა. ერთი ტონაც რომ ეშოვა, ჰა-ჰა დილამდე გაჲყოლოდა. შეიძლება ითქვას, მასში ერთმანეთს ორი ურთიერგამომრიცხავი ვნება ებრძოდა – წამლის ძლიერი სიყვარული და ნარკოტიკისადმი ასეთივე დიდი სიძულვილი:

– ბიჭო, ჯერ იმას ვჩალიჩობ, როგორ დავიადო, მერე ისე მაპეზრებს თავს ამდენი წამლის კეთება, ერთი სული მაქვს, როდის მოვიშორებ – ამბობდა ის სინააულით. იმჯერადაც ჩვეული გულუხვობით მოიქცა. დამირეკა:

– გაუმარჯოს ჩემს ძმას! როგორ ხარ? დადიხარ გარე-გარე, არა?

– რა არი, როო?

– როგორ მომიტყდით გუშინ?! ფილარმონიაში უსმენთ ჯაზს, კაიფობთ არა, შენ და ის ნუკრი?!

– რა იყო, ბიჭო, სულ ორი ცალი ჰქონდა და ეგ იყო, არ გაიყოფოდა. ახლა ვაგდივარ ლომკაში...

– ეეე, ამო ჩემთან! დროზე!

მივხვდი, ასე თამამად რახან მებაზრება, უეჭველი ბევრი წამალი აქვს დათრეული! საერთოდ, გარკვეული რიდითაც მელაპარაკებოდა – წესით და რიგით, ქუჩის მხრიდან მევიყავი ჩვენ ორში წამყვანი და იმიტომ. ქუჩურ იერარქიაში მდგომარეობის გარდა, განსხვავება თვითგამოხატვისადმი მიდგომებშიც საკმარისი გვქონდა. დათო მუსიკით ამჟღა-ვნებდა პროტესტს – დილიდან საღამომდე „Led Zeppelin“-ს, „Deep Purple“-სა და „Grand Funk Railroad“-ს აბლავლებდა მეზობლების გულგასახეთქად. მე უკმაყოფილებას ქუჩი ვაფრქვევდი, სამაგიეროდ, სახლში – „Blood, Sweat & Tears“-ს და ფრენკ ზაპას ვუსმენდი. საერთოც ბევრი გვქონდა: „ბიტლები“ და „როლინგები“, ფოლკნერი და კაფკა, ჯინ-სები, კარგი გრძელი გაბოლება და, რაღა თქმა უნდა, წამალი. მთავარი მაინც არსებულის წინააღმდეგ პროტესტი იყო და ამაზე გათენებამდე გულდაწყვეტით ბჭობა.

საბჭოეთის კრიტიკაში ბადალი არ ჰყავდა! ერთადერთი, რაშიც დათოს ვერ შევედრებოდი, ამ საკითხების ცოდნა და მისი უკიდეგანო პესიმიზმი იყო:

– ზურა, ხანგრძლივმა ძალადობრივმა წნევებმა და თვალთვალმა ისე დააშინა მასა, ხალხი ისე მიერვია მორჩილებას, რომ საკუთარ მონობას ვერც კი ამჩნევენ. რა გინდა, რო ქნა?.. დღეს პრესი აღარცაა საჭირო, შიში სადღაც ქვეცნობიერში ბუდობს და ამ გომებს იქიდან მართავს. მონობამ გენეტიკური ხასიათი შეიძინა, შენ გესმის, დედა გვაქვს მოტყნული!

… კეკელიძე ზე ერთ წუთში გიჟივით ავქროლდი! ცუდად ვიყავი, იმ დღეს ვერაფერი ვიშმოვე. მანამ ვინმეს რომ ეთქვა, აპა, ვაკეში, ბარნოვზე ოქროს ზოდებს არიგებენ, წადი და აიღეო, დედას გეფიცებით, ფეხის გადამდგრელიც არ ვიყავი. აი, რას აკეთებს წამლის სახელის გაგონებაც კი, გაკეთებაზე რომ არაფერი ვთქვა!

ავედი, წვანან ოთხნი თუ ხუთნი, შეიძლება მეტნიც. სიგარეტის ბუღი და პარფიუმერის სურნელი. დათო დამსწრე საზოგადოებას უჩინოავს, ოღონდ სასტიკად „გამოზომილად“, ოდეკოლონის ბოთლიდან. მაგიდაზე უდგათ მაღვიძარა, დაყენებული 15-20 წუთიან ინტერვალზე. როგორც კი საათი დარეკავს, ინტერნი საქმიანი სახით დგება, ხსნის თავსახურს ოდეკოლონის ბოთლს, ყველანი ერთსულოვნად იკეთებენ. გადის ნახევარი წუთი, ნაზი პრიხოდი... ხელებზე მაცივრიდან გამოღებულ სველი პირ-სახოცის საფენებს იდებენ, სიგარეტს უკიდებენ და ისევ წვებიან. ვენიდან ნემსის გამოღებისთანავე ერთდროულად ჰყვებიან რაღაც გიჟურ ისტორიებს, ასეთივე შიზოიდური კომენტარებით... გადის 10 წუთი, საზოგადოება ნერვიულობას იწყებს, 15 წუთისთვის შფოთი პიქს აღწევს! ისევ რეკავს საათი, დათო ისევ დგება... და ასე მესამე დღე-ლამე მიდის! საჭმელზე არავინ ფიქრობს, ჩაის სვამენ.

კარებზე ზარია, რეზო შემოდის. დათოს ხელში უჭირავს დიდი სია, ჩამოწერილია მეგობარი მკეთებლები: ბიძინა, ზურა, რეზო, ვარდენა, „ბანაჯუ“, კოკა, მერაბა, გოგიტა... ასე, 30-ზე მეტი ახლობელია დავთარში. ისევ საქმიანი სახით დგება, რეზოსთვის ულუფა გამოაქვს, ამჯერად ბების ოთახიდან, 2-დან 5 ამჟულამდე – „რეზოს“ გააჩნია – და სტუმარს უკეთებს. მისი სახელის გასწვრივ პლუსს სვამს. მორიგი „რეზოც“ ყველასთან უნისონში იწყებს თავისი ისტორიის მოყოლას. დათო ახალი რეციპიენტის ნომერს კრეფს: „ალო, ალო... შენა ხარ? გამო ჩემთან, შუსტრად!“

ფენტანილი ძლიერი სინთეტიკური ნარკოტიკული ანალგეტიკია. ნარკოზის დროს გამოიყენება ოპიუმის ჯგუფის პრეპარატების შემცვლელად. ტკივილგამაყუჩებელი ეფექტით 100-200-ჯერ ძლიერია სხვა ნარკოტიკებზე. მორფინს იმითაც სჯობს, რომ მისი მოქმედება, ოპიატებისგან განსხვავებით (5-6 საათი), სულ 20-30 წუთი გრძელდება და ამიტომაც ანესთეზიის სიღრმის მართვა მეტად ხელსაყრელი ხდება. ასეთი ხანმოკლე ეფექტი, ნარკომანული თვალსაზრისით, რაღა თქმა უნდა, დიდი ნაკლია. პრეპარატს არც ეგრეთ წოდებული „პრიხოდი“ ახასიათებს, რითაც იგი ძალიან ჰგავს პრომედიოლს, რომელიც, თავის მხრივ, მოქმედების მეტი ხანგრძლივობით (2-საათი) ხასიათდება, ვიდრე ფენტანილი. ამიტომ უნევდათ ბიჭებს ასეთი დიდი შრომა – ხშირი, თუ საშუალება არის, დღეში 5-10-ჯერაც, პრეპარატის შეყვანა დაგლეჯილ, ჩხვლეტისგან დალურჯებულ ვენებში და მაცივრიდან გამოღებული სველი საფენების დასიებულ მკლავებზე დება. კაიფი მსხვერპლს მოითხოვს, ძმაო, აბა, როგორ გინდა?!

იმხანად სწორედ ეს ორი ნარკოტიკი – პრომედიოლი და ფენტანილი – შეადგენდა ექიმ დავით ჩიჩუას მამოძრავებელ ძალას, როგორც თავად ამბობდა გაკეთების შემ-

დეგ – „ბენზინი ჩავისხიო!“ მოკლედ, ასვლისთანავე მეც მკეთებელ-მთხრობელ ბიჭებს შევუერთდი.

### პატიო III.

#### ნერა გამო, „მოჩიცა“ ან ქოქაინი

- რა ხდება ფესტივალზე, ჯაზი ასწორებს?
- რა არი იცი, ბიჭო, ადრე ყოფილა მაგარი ჩამოსული, დიზი გილესპი. ახლა ვ ასნავნომ სსსრ-ი უკრავს ფილარმონიაში....

ეგ იყო და ეგ, ხათრით ერთხელ წამომყვა და შემდეგ დათოს აღარც გაუხედავს ფესტივალისკენ და ჯაზიც კარგა ხნით მოიძულა.

– ხვალ, ზურა, დაბადების დღე მაქვს, 31-ია, ამო, გავიკეთოთ. წესით, ერთი უნდა მოვიდეს, გახსოვს, კოკაინზე რომ მოგიყევი, მერე გეტყვი, ცალკე...

– ჰომ! კანეშნა, ამოვალ... მაგარი მოსაწევიც მაქვს, იცოდე! ხვალამდე არ გაიჩირო მთლიანად. ესენიც მოტეხე რა, ბიჭო. რა ჩემს სირათ გინდა ეს ჩემისები?!

მეორე დღეს ოდნავ შემაგვიანდა, მამის საფლავზე უნდა გავსულიყავი, დედამაც იგივე მთხოვა. საფლავი მივალაგე, კიდეც შევღებე. დათოს მოცემული 20 ამპულაც თან მქონდა. შევყევი ჩალიჩს, მამასაც ვესაუბრე. ცოცხალი რომ ყოფილიყო, მაგარი ცემა არ ამცდებოდა. თუმცა, მაშინ ამას ხომ ვერც გავბედავდი... არც გულწრფელი საუბარი შედგებოდა.

აგვისტოს თბილი ღამეა, ავედი. ახალი დაწყებული აქვთ „შარაფი“! მაგიდაა გაწყობილი! რვა თევზი, ხილი, ბლომად წვენები, ყველას თითო ყუთი „მარლბორო“, დანა-

ჩანგლის მაგიერ ხუთკუბიანი ბაიანები, ზედ დაკრული ლეიკოპლასტირის ლენტები წარწერებით: ბიძინა, კოკა, ვარდენა, რეზო, „ბანაჯუ“, ვანო, „გორილა“, დათო. ყველას ვიცნობ, ამხანაგებიც ვართ, ერთის გარდა – ვიღაც „გორილა“? თითქოს ნანაზიც მყავს? ზის დაქაჩული, გაშტერებული თვალებით. სახე პირველყოფილ ადამიანს მიუგავს, უფრო პითეკანთროპს, მყაფიოდ გამოხატული, კლდეებივით გადმოწოლილი წარბსზედა რკალებით და გამოწეული ყბა დიდი პირით, წვრილი, გამხმარი ტუჩებით. ვატყობ, ეშინია, თვითონ არ იცის რისი. უსხედან სუფრას, თითო ჭიქა-ბაიანი ჩემამდე აქვთ მიღებული. დათო მაჯარიმებს 10-კუბიანი შპრიცით! გამოვართვი, სადღეგრძელო ვთქვი, დაბადების დღე მივულოცე, ერთი მასტირკაც დაუადე, გავიჩირე... რა გაასწორა! ოდნავ გული ამიჩქარდა, გამიარა და შევიქენი „Perpetuum mobile“! კედელში გადიო, რომ ეთქვათ, დარწმუნებული ვარ, თავისუფლად გავივლიდ! არა და ფენტანილია, ასე მაგრად არ უნდა ემოქმედა! შემდეგ გაირკვა: კოქტეილია – ფენტანილი კოკაინით!

მე ეგზოტიკური წარკოტიკები მაინტერესებდა, წიგნების ბრალია ეგ. დათოს საიდანლაც კოკაინი დაუთრევია! როგორც სხვა წარკოტიკი, ესეც გიუური რაოდენობით ჰქონდა – ორი წარკოტიკიანი შტანგლასი (სამედიცინო ბოთლი სითხეებისთვის) 5%-იანი სტერილური სსნარით! ვაა, ნეტა საიდან?.. მომიბრუნდა, ნდობით მატყობინებს:

– „გორილა“ გატყდა, როგორც იქნა! თვალში რომ მუშაობს ისაა, არ გახსოვს? ის წაგიუარია, შეშინებულ რაკეტასავით რომ დაქრის „რესპუბლიკურის“ დერეფნებში. სულ ვეჭვობდი, ვინ თუ რამ დააშინა ასე? თურმე რამ – ცარიელა კოკაინის მარტო ხშირ-ხშირად კეთებამ. კედელზე ცოცვის დროს არ დავუწვივარ ამ შიზოიდს! მე შევხვდი წამლიანი, თორემ სიგიურის პირას ყოფილა მისული,

თვითონ მითხრა ჩუმად. რა მექნა, ვუშველე მეც. თვალის საოპერაციოში ამოაქვთ თურმე კოკაინი, შატილოვას დაუ-ჩემებია ადგილობრივი ანესთეზიისთვის, ხომ იცი, ძველი სკოლის პროფესორია. ესეც იქ მუშაობს და ითრევს, შტან-გლასებში კოკაინის ხსნარის მაგიერ ნოვოკაინს ასხამს, რა!

კოკაინს, როგორც ქალს – კაცი, ისევე აუცილებლად სჭირდება მორფინი. უყვართ ერთმანეთი და რა ქნან?! თუ უმორფინოდ იღებ, ფობიერი იცის. საკმარისია, კოკაინის კოკორმა სულ პატარა დოზით მიიღოს მამაკაცის ძალა, ანუ მორფინით დაიმტვეროს, და იგი იფურჩქნება, ახალი ძალით ყვავის, იწყებს ულამაზესი სურნელოვანი ნაყოფის გამოსხმას!

ამასობაში „გორილა“ წამოხტა, სადღაც გარბის, საქმე მაქვსო! სინამდვილეში ეშინია, თვითონ არ იცის, რისი. წელზე მეტია, ცარიელ კოკაინზე ზის! ასე უცებ ვერ უშველის „გორილას“ ჩამხმარ კოკორს სუსტი მამაკაცის – ფენტანილის – ძალა. ძლიერი მორფინით მრავალჯერადი დამტვერვა სჭირდება და გაუვლის კოკაინური კლიმაქსი ქალიშვილური უმანკობის კომპლექსებთან ერთად, ანუ არამოტივირებული შიშები.

– მაიცა რა, სად მიდიხარ? მთავარი წინაა! ოღონდ ჯერ გავიკეთოთ.

დათოს გამოაქვს თავისი ცნობილი ოდეკოლონის ბოთლი ფენტანილით და კოკაინიანი შტანგლასი. ბაიანებს ვავსებთ, ჩავუჯექით, კოლექტიურად ვიკეთებთ და სახეზე მკვდრებივით ცხვირსახოცნაფარებულები ნოხზე ვიშებლართებით. ყველა ხმამაღლა მიუთითებს ერთმანეთს: „ბიჭო, ჩუმად! სუუ, ჩუუ, რა!“ ცხვირსახოცი ფობიებისგან დამტველის როლს ასრულებს, უფრო სწორად კი სინათლისგან, რათა კოკაინის პრიხოდში კაშკაშა სხივებმა არ გაგალიზიანოს და არ დარჩე სამუდამოდ „გორილა“. ამგვარი ფსიქიატრიული სეანსი ბევრჯერ მეორდება, ასე

კოკაინის ხავერდოვანი ტალღა მოითხოვს, სულ რამდენიმე წუთს გრძელდება. ამიტომაა ხშირი გამეორება აუცილებელი. შედეგად – ეგრეთ წოდებული „შუშის ვენები“. უამრავი გაჩერისგან ვენები ტრავმირდება, ხმება, საცოდავი სისხლძარღვები შუშის სიმყიფები იძენს. მოყვითალო-მომწვანო ლურჯი ზოლები, ვენების სახით ხელს რომ დაუყვებიან, ოდნავი შეხებისგანაც შეიძლება დაიმსხვრეს. იდა-ყვში უპრალო მოხრაც კი დიდ სისხლჩაქცევას იწვევს... ასე რომ, თუ ვინმეს მოგეწონათ – გაიკეთეთ, დროზე გაიკეთეთ და უფრო ადრე დაიბრიდებით!

დათო გადის ბებიამისის ოთახში და შემოდის! თავზე ფენტანილის ყუთებისგან გაეკეთებული კბილოვანი გვირგვინი ადგას, ხელში სტუმრებისთვის საჩუქრები უჭირავს – ინგლისური წინდები, გდრ-ის „პადტიაჟკები“ და ჩინური ცხვირსახოცები „ფირმა“ პარკებთან ერთად. თეატრალურად ხელს მაღლა წევს და მკაფიოდ წარმოთქამს: „ელჩებო და ვეზირებო! საზეიმო ცერემონიას „რესპუბლიკური საავადმყოფოსა და ფენტანილ-კოკაინის გაერთიანებული სამეფოს“ მონარქის კორონაცია-კურთხევისა გახსნილად ვაცხადებ! და-და-დაან! და-და-და-დანნნ!“ ამ გიუს არ დაზარებია და გვირგვინზე ქონგურებიც ამოუჭრია! ყველას გვირიგებს საჩუქრებს, თითო ყუთ ამერიკულ სიგარეტსაც გვიმატებს.

– მონარქი ვარ, ძმებო, ერთპიროვნული, მაგრამ გულ-მოწყალე მმართველი! ხომ ყველას ვუკეთებ, არა?! მთავარი ექიმი, პროსტა, პრაქტიკული საქმეებისთვის მყავს დანიშნული, აბა მე ხომ არ დავიხარჯები!

საჩუქრების ჩამორიგება ძლიერ უყვარდა, განსაკუთრებულ გულუხვობას კაიფში იჩენდა. ნივთებისადმი დამოკიდებულებას ასე გამოხატავდა: „ვეშჩი მაშინაა კარგი, როცა შენ ხმარობ, თუ ის გხმარობს, უნდა მოიშორო. ეგეთი რამეები უნდა გაყიდო და წამლად აქციო, ისე ტყუილად

გაგაწვალებს.“

იმ ფანტასმაგორიულ ღამეს დათოსთან დაკრჩი. დათი-შულებს დაგვძინებია. ბებიამისის მოსვლა არც გაგვიგია. შუადლისთვის გამეღვიძა, დათოს ჯერ სძინავს. კარს უკან ბებია ნერვიულობს: „Дата, чай, пора просыпаться!“ – ოთა-ხში შემოსვლას ვერ ბედავს. ბებია ხმას უწევს... უცებ დათო საწოლიდან წამოხტა, თვალები დახუჭული აქვს, კარებისკენ გაქანდა. შეუჩერებლად, ერთი სვლით, ვითომ სიცარიელე დახვდა, მინაში გაიარა და ტუალეტში შეირ-ბინა. დამსხვრეული შუშა ხმაურით დაცვივდა იატაკზე, ზედ აფარებული თეთრი მიტკალი ჩამოიხა... ტუალეტი-დან მალევე გამოვიდა, თვალები არც შეუხელია, ღიობს, რომელშიც სულ ახლახანს მინა იყო, გადმოაბიჯა და ჩაწვა. შეშინებული ბებია უშუშო კარებიდან მიყურებს, ხელში გახეული ფარდის ბოლო უჭირავს:

– ЧТО С НИМ?!..

– Не знаю, нина ბებო, გუშინ ბევრი დალია, არაყი...

დათოს დავხედე – ერთი ნაკანრიც არ აქვს, არა და იმსისქე მინაში გაიარა!

ბევრი ფენტანილის კეთება გულს სტკენს. თან ამდენი სიგარეტი, ლომკაში დარჩენა... კინაღამ დავიბრიდეთ. გაყინულებს გაგვეღვიძა, უნამლოდ, ჯიბეში უკაპიკოდ. რა ვქნათ? ცარიელი გავიკეთეთ. გატეხა... 1000 ამპულა გათავდა. ვსხედვართ... მაინც რომ არ გავცდეთ, 5 წუთში ერთხელ კოკაინს ვიკეთებთ, თვალებზე ცხვირსახოცებსაც ვიფარებთ და ვართ ასე, დაყინული ვირთხებივით... უცებ ბებია შემოდის აცრემლებული: „Давид, что это такоё?!" – და თავისი ოთახისკენ მიგვითითებს.

– რა იყო ბებია, რაზე ტირი? რა მოხდა?

ნინა ბებოს მივყვებით. კარადის კარი ღიაა. ძველმო-დური, ბრჭყვიალა, წარსულში არისტოკრატიზმზე პრეტენ-ზიის მქონე შმოტკები... ზედა თაროზე, ნინა ბებოს შავვუა-

ლიან შლაპაში... ორი ყუთი ფენტანილი არ დევს! ბარო ნინა ბებო, ბარო! დათოს გადაუნახავს გუშინდელ განამარიაში და გადასხმა-გადმოსხმაში. ფენტანილი თავისით მოინახა და რაც თავისით ხდება, ის ღმერთს ბრალდება! ასე ცხოვრებაში არაფერი გაგვხარებია! ნინა ბებო უცებ დავკერეთ, რაღაც გიშური ტყუილი ვუთხარით. სასწრაფოდ კოქტეილი შევამზადეთ და წავიდაა!

პირველი, რაც გაკეთების შემდეგ გავარკვიე, შუშაში გასვლის ამბავი იყო. მანამდე ვის ჰქონდა მაგის თავი.

– ბიჭო, დამესიზმრა ისა, ჩვენ რომ ვიცით – ქეთი მიღია-მის... უნდა მივიდე, ვაკოცო, უცებ მაგრად მეფსმება, ისე, რომ თავს ვერ ვიკავებ და ვიწყებ ჩაფსმას! როგორია?! ქეთი მიყურებს! სირცხვილისგან ვიწვი, დროზე უნდა მოვტყდე! ფეხები თავისით წავიდა, სიზმრიდან პირდაპირ ტუალეტში გადავედი. მინა თითქმის არც გამიგია, მერე აღვიქვი.

დათოს ჩვენი ქუჩელი გოგო შეყვარებია, როგორც თვი-თონვე გამანდო, ცოლად მოყვანაც დაუპირებია. მაშინ პირველად შეიგრძნო, სად ძგერდა მისი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მტკიცენეული გული, ოღონდ რა იყო ამის მიზეზი – ფენტანილ-კოკაინიანი კოქტეილი თუ სიყვარული – კარგად ვერც თვითონ გაერკვა.

კოკაინიც, როგორც ყველაფერი ამქვეყნად, დამთავრდა. კიდევ კარგი, თორემ დამფრთხალები სახლიდან ვეღარ გავდიოდით! მთელი დღე დათოს ოთახში ვისხედით, ჩამოშვებული ფარდებით, სიბნელეში, ვირთხებივით. ცხვირსახოცაფარებულები, უხმოდ (სუუ..., ჩუუ...), ცარიელ კოკაინს ჯიუტად ვიკეთებდით და ვიკეთებდით. ამასობაში „გორილა“ გამოცვლაზე დაუწვიათ. დაშინებულა და გადაუბიჯებია მარადისობაში – მე-7-დან, თუ მე-8-დან ან მე-9-დან? რა მნიშვნელობა აქვს, ხორკლიან, მწვანე ბუჩქებით ასფალტს ასიანი ვერ ასცდებოდა! საცოდავი

„გორილა“ ფინური ფანჯრიდან უსასრულობაში გავიდა,  
„რაკეტასავით“ გავფრინდებიო, იქ, სადაც ამდენი მტერი  
და მდევნელი არ მეყოლებაო... როდის იყო გორილები  
დაფრინავდნენ? საწყალი „შეშინებული ვირთხა“ დათოს  
მაგიერ „რესპუბლიკურის“ ასფალტზე დაენარცხა. ბიჭებს  
უნახავთ, ფეხებით დამხტარა – კისერი პირდაპირ მუცლი-  
დან ეწყებოდაო, ბარძაყის ძვლის თავები იღლიებთან  
ამოსვლიაო!

ԵԱՀԱՆ ՀԱՊՈԵԱ. Վ. ԱՐԵՔ

ყველანაირი გათვლით ამ დროისთვის „რესპუბლიკურის“ გამოცვლილი სანახები „ცელკა“ ამპულებით უნდა გამდიდრებულიყო. პირველივე საცდელი გადაძრომა წარმატებული გამოდგა. მთავარ ექთნებს, ჩვენდა გასახარად, ნამდვილი ამპულებით გაუზიზინებიათ სეიფები! დათოს ალპინიადა საბურთალოს ზურგის ქარით განახლდა. მართალია, „გორილას“ ნახტომის შემდეგ ფინური ფანჯრები ქალალდის ლენტებით გადაუზებებიათ, მაგრამ ეგშეაჩერებდა ამხელა მთამსვლელს! ერთ-ერთი ლაშქრობისას ყელ-ყურში ფული უნახავს, 3000 მანეთი! მთავარი ექთნის სეიფში ინახებოდა კათედრის და განყოფილების თანამშრომელთა გაერთიანებული „ლატარია“, რომელიც მონაწილეთა სიაში იყო გახვიული.

- დავათვალიერე, სია გადავიკითხე, გადავითვალე კიდეც, დაწერილს ზუსტად ემთხვევა – 3000 მანეთია!
  - მერე დავაი რა, მოვტეხოთ, ზაფხული მოდის, დათქა!

– ასეთი იყო ნიკას მყისიერი რეაქცია ამხელა თანხის გაგონებაზე.

– ბიჭო, მაგ ორგანიზმში ცოტა ტვინი ხომ უნდა გქონდეს, შე ჩემა! მაყუთი რომ მოვტეხო, ამპულებს ვინდა დაგიტოვებს სეიფში, ჰა?! თუ მაგაზე არც გიფიქრია?..

საიდუმლო მეც გამანდეს. არადა, ბატონი ნიკოლოზი სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებდა, ზაფხული მართლაც გვიახლოვდებოდა. უკანასკნელი სტუდენტური არდადებები, ბიჭვინთა, ზღვა, კაი რუსი ნაშები – „კორპუსებში“ და კეკლუცი ქართველი სვეტები – ლიძავაში! ეგაა ცუდი, ფული არ გვაქვს საკმარისი. ასე დაიწყო ოცნებები საზღვაო რომანებზე, ჩქარ და შემდეგ ნელ, „ჭიპხახუნა“ ცეკვებზე, უძილო ღამეებზე....

ამასობაში ნიკალამ მოახერხა და ჯგუფელ იაშასთან 1000 მანეთი დომინოში წააგო. რა ექნა დათოს, ძმაკაცს ფუფლოს ხომ არ გააკატავებინებდა?! მეორე დღეს ყელყურის განყოფილებიდან ამპულებთან ერთად დერეფნებში განთავსებული პატარა სეიფების გასაღებები და 3000 მანეთიც წამოაყოლა ხელს.

– უკანასკნელად, როგორც ტაიფუნმა, ისე გადავუქროლე და დავემშვიდობე გაძარცვულ „რესპუბლიკურს“

– ეჟ, „Прошай оружие“, და დავინახებოდით, რაღა აზრი ჰქონდა? მთავარი ექთნების სანახების შემდეგ გარეთა სეიფებს დავუარე, სულ მუსრი გავავლე. ყოველ სეიფს ქარხნიდან ხომ ორი გასაღებით უშვებენ. სათადარიგო გასაღებები ინახება მთავარი ექთნების კაბინეტებში. აი, ეს გასაღებები მოვიპარე ფულთან და ამპულებთან ერთად.

– ბიჭო, მერე მოყევი რა, წამალი გაქვს? ცუდადა ვარ!

– მთავარი ექთნების წამალი მე და ნიკოლოზმა გავიკეთეთ, ცოტა იყო, მთელი ღამე რას გვეყოფოდა ორ კაცს?.. მაიცა, მომისმინე, მოგიყვე...

აკი ვთქვი, ჩვენ ორში ლიდერი მე ვარ და ასეთი გაჩხერილი ამდენ მოყოლებს ვერ გაძედავდა, არც იკადრებდა, იცოდა – ცუდად ვიყავი. ეგრევე ვიყიდე, რაღაც სურპრიზი აქვს ჩემთვის, ასე იცოდა სულ. უნდა მოვუსმინო ბოლომდე.

– მიდიხარ ღამის მორიგე ექთანთან და უმართავ სიაბანდ ფლირტს. მორიგეობისგან მოწყენილი ახალგაზრდა გოგოს დაბმას რა უნდა? ეგრევე დნება. გასაღებიც ჯიბეში უდევს, იმედიანადა – სეიფის უსაფრთხოებას თითქოს არაფერი ემუქრება. შენ, გოგო, სჯობს სხვა რამის უსაფრთხოებაზე იფიქრო! კაროჩე, სანამ მე და დაშვიდებული ექთანი სხვენზე სიგარეტს ვაბოლებთ და ვეხუტებით ერთმანეთს, სათადარიგო გასაღებებით შეიარაღებული ნიკალა განყოფილების სეიფებს აცარიელებს. ადრეც გამიკეთებია, ოლონდ გამოცვლილებს ვაბრუნებდი. ახლა რაღა აზრი ჰქონდა, „ლატარიის“ ფულის გამო მაინც დავიწვებოდით... არა, ჩვენ არა. ფოკუზის მთავარი სეკრეტი გასკედებოდა, ფანჯარაზე გადაძრომით რომ აცარიელებს ვიღაც სეიფებს. აბა ფულის კუკლას ხომ ვერ დავდებდი! შენ პროსტა აზრზე მოდი, დილით რა ხიპიში ატყდებოდა! 3000 მანეთი გაქრა! მას მიჰყვა მთავარი ექთნების სეიფები და გარეთა განყოფილებების ამპულები! ტაიფუნი „დავითი“! დაინგრა საავადმყოფო! 500-მდე ამპულა მორფი გავითრიეთ! ზურა ხარ თუ ოჩილა, გაიღიმე, ბიჭო, გაიღიმე, ეს წუთია სახლში ავაცანცულე, ხუთ-ხუთი გავიკეთეთ და სახარებლად შენთან წამოვედი!

ჩვენთან გართ ეზოში. ბოლო შეტყობინებამ ნიკალას წაგება, საზაფხულო განცდები და საერთოდ ყველაფერი გადაფარა! იუდას ხეც კი შეზანზარდა ჩვენი სიხარულით. თუ ატირდა... არ ვიცი. დათოსთან ავფრინდით! ამპულები სასწრაფო შველას ითხოვდნენ!

ასე უხეშად დასრულდა სიზმარივით ტკბილი ზღაპარი

სახელად „ამპულების მოპარვები რესპუბლიკურის მაღლივი სეიფებიდან“... ფანჯრებს დიდი ბოქლომები დაადეს, ყველა კარი საიმედოდ ჩარაზეს, რაღა თქმა უნდა, ახალი „დავითის“ გამოჩენამდე. ყოველ სეიფს, საკეტს თუ სანახს ხომ ქარხნიდანვე თავისი, ჯერ ჩვენთვის და მთავარი ექთნებისთვის უცწნობი გამდები მოჰყვება. ალბათ ახლაც არის ის სხვა და ახალი გზებით დაძვრება ვიღაც ისეთივე მაგარი და გაბედული, როგორიც იტალიელი მთამსვლელი რაინ-ჰოლ მესნერი.

## პატი II.

### თავის ზებუნაშიც პატიოტიკური სახე

მაშინ გაიხსნა პირველად საბურთალოს რაიონის მილიციის ქვეგანყოფილება რესპუბლიკურ საავადყოფოში და სამმართველოს „ნარკამანიის“ ხელმძღვანელს, პოლკოვნიკ ჯანაშიას, უფროსად საკუთარი მოადგილე, ან დაშტრაფული ლეიტენანტი გ. ვეშაგური გამოუშვია. „პალაჩას“, როგორც მას „უგ-როზისკის“ თანამშრობლები ეძახდნენ, ისე და იმდენჯერ უცემია მორფინისტი პატი-მარი, რომ ეს უკანასკნელი სამმართველოს მე-8 სართულიდან გადმოფრენილა. „გორილასავით“ ისიც დახეთქებია ასფალტს, ოლონდ სამმართველოსას. პატარა „პალაჩას“ ბავშვობაშივე შეყვარებია ფანჯრიდან ქაღალდის თვითმფრინავების გაშვება. სამსახურებრივმა მოკვლევამ ვერ დაადგინა, ლეიტენანტმა გ. ვეშაგურმა პირადად გაუშვა ქაღალდის ფურცელი ჰაერში საფრენად, თუ ქარმა გამოსტაცა ხელიდან, დღესაც არავინ იცის „პალაჩასა“ და „თვითმფრინავის“ მეტმა.

– ...მე დავაარსე, ძმაო! ჩემი მიზეზით საბჭოთა კავშირში პირველად სამედიცინო დაწესებულებაში საძალეეთი გაიხსნა. ასეთი რამ არ ახსოვს მედიცინის ისტორიას! ერთი არაქურდული საქციელი მეც ჩავიდინე, რა მექნა? ნიკოლოზამ წააგო, ხომ არ გავაფუფლოშნიკებდი?! ყელ-ყურში 3000-ის მაგიერ კუკლას ხომ ვერ დავდებდი? დავწვი „დირკა“ და „რესპუბლიკურში“ გულავიც მოკვდა. გატეხა მაგრად! თუ არც ვიცი, ეგებ ასე სჯობდა. როდესლაც ნალდი მომინევდა „გორილას“ შეცვლა – „ჩაის სახლში“ ტრაბახობდა უბნელ ბიჭებთან ოპიუმჩაყლაპული დათო, ნოქსირონიც რომ შეეხსნა, მერე. დამწყები ექმი იძულებული გახდა „რესპუბლიკურის“ ბუნაგი დაეტოვებინა. წამალმა ის ქუჩაში გამოიყვანა. დათოს აქ უცხო, მტრულად განწყობილი გარემო დახვდა, რომელშიც ძალლები და ძველები ბატონობდნენ. „რესპუბლიკურის“ მესნერს ქუჩაში არავინ სცნობდა მონარქად, აქ არად მიაჩნდათ მისი ძველი დამსახურებები. პირიქით, რადგან დათოს სულ მუდამ ჰქონდა, მას მთელი მონდომებით დასდევდნენ დასაჭრად ძალლებიც და ძველებიც, პირველები – ფულის დასაწერად, მეორენი – წამლის გასაკეთებლად.

– ქუჩაში მივხვდი, რას განიცდიდა ჩარლზ პირველი ნესბისთან კრომველისგან დამარცხების შემდეგ, შოტ-ლანდიაში რომ გაიქცა – მაშინ... თუმცა შიგნით, გულში, მარია სტიუარტად უფრო აღვიქვამ თავს – ისტორიული სინანულით შემომჩივლა ქუჩის მკაცრი კანონებით გატან-ჯულმა დათომ, მაგრად გაკეთების შემდეგ, ჩვენი ხშირი, თითქმის ყოველდღიური „ლამის საუბრებისას“. მე, რაც შემეძლო, ვიცავდი და ვეხმარებოდი მიმდინარე ადაპტაციაში. თუ ძველებს კიდევ დროთა განმავლობაში შეეჩვია და შავებმაც მეტ-ნაკლებად თავისიანად მიიღეს, ძალლებთან ურთიერთობა დღითი დღე მძაფრდებოდა. დაჭერისას, რბილი ხასიათის გამო, ვერ ახერხებდა სათანადო

პასუხი გაეცა ძალლებისთვის, ენაგლა ან რაიმე წინააღმდეგობა გაეწია. დათოს ტყუილის თქმის რცხვენოდა, არადა მართალსაც ვერ ამბობდა – ხომ არ იბოზებდა?! უწევდა გაურკვეველი ლულლული. „თანამშრომლები“ გრძნობდნენ – დათო აშკარად სხვანაირი იყო, არა მათნაირი და არც მათი მსგავსი შავებისა. კანონზომიერებაა ასეთი მათემატიკაში და არა მხოლოდ მათემატიკაში: წინააღმდეგობები სადღაც აუცილებლად ეყრდნობიან და კვეთენ ერთმანეთს. ასე იყო ეს ორი კრიმინალური ჯვეფი – შავები და ძალლები – ერთი მანერები, ერთი მორალი.

უხმოდ, მორცხვად მყოფი დათოს დანახვაზე ძალლებს სულ ეგონათ – აი, შეშინებული არიფიც, ცოტა დანოლა და ყველაფერს დაფქვავს. მას კი, უბრალოდ, არა ქუჩის კანონი, არამედ სინდისი არ აძლევდა უფლებას, თავის გამოხსნის სანაცვლოდ ვინმე ჩაეშვა. ამიტომაც იჭერდნენ და, ინფორმაციის მიღების იმედით, მაგრად ურტყამდნენ. ხშირად აკავებდნენ და უმოწყალოდაც სცემდნენ. ასე ნარნარად შეენაცვლა კუბიზმის პერიოდს დათო-პიკასოს ცხოვრების დინებაში ულმობელი სიურეალიზმი. დაიწყო ზღაპრის ნაწილი, რომელსაც თვითონ დავითი „ლურჯპერანგიან, ნაცრისფერპალსტუხიან, შარვალზე წითელზოლებიანების ეპოსს“ უწოდებდა. „ეპოსიო“ – ასე ეძახდა, იმდენად გმირული და ხანგრძლივი იყო ეს უმძიმესი ხანა.

– თავი ახლაც მტკიცა, განსაკუთრებით ყურები მეწვისო – შემდეგ მიყვებოდა – თავსა და სახეში „დვუხშილნიი“ ზონარები უყვართ „ლურჯპერანგიან ვარსკლავბიჭუნებს“ და იმიტომო. კიდევ ცელოფნის პარკების თავზე ჩამოცმა და ისე ხრჩობაო. კიდევ ფული უყვართ ძალიან, თავის დედაზე მეტადო, მაგათ დედებს რო შევეციო!

### ქახი III. ქაველურასი

დათოს წინაშე ფინანსური პრობლემები მთელი თავისი  
სიმწვავით დადგა. ფული სულ უფრო მეტი სჭირდებოდა.  
ყოველდღე ამდენი საიდან?! ვანომ შესთავაზა რეალური  
წყარო, ცოტა იყოყმანა კიდეც, მაგრამ ლომკა...

– ბიჭო, მე დიდი ხანია ასე ვჩალიჩობ „რესპუბლიკურში“.  
პროსტა, კაი პადელნიკი მინდა, ნიკოლოზი კარგად ვერ  
მუშაობს, ხომ იცი.

– ნიკალა პრიჩომ? დაკარგულია ბოლო დროს, აღარ  
ჩნდება ეგ გაიძვერა... რამე იმოვა მაგ არამზადამ და მე  
მემალება?!

ჯერ კიდევ ახლობლების ღალატს შეუჩვეველი დათო  
ვანოს მიაჩერდა:

– ჰო, ეს დღეებია მე-9-ში ვიღებთ სანიტრებისგან. წყნე-  
თელი გეო და კომპანია, არ იცი?

– უუხ, მაგის ნაბომბარი... აზრზე ხარ, ბიჭო, რა ქნა?  
– კაი, ბიჭო, შეეშვი ამ იდეალიზმს, არ იცი – სადაც  
იქნება წამალი, იქ გაიქცევა მორფინისტი. აბა, რას ელოდი?  
დღეს მაქვს სტრელკა მე-9-ში, კოლასთან, ამპულებია 15  
მანეთად. ავიღოთ?

– ფული?  
– კაროჩე, უყურე... წამომყევი...  
ვანოს ფულის შოვნის განსაკრთომელი მეთოდიკა  
შემდეგში მდგომარეობდა: მოქმედების ადგილი ისევ და  
ისევ „რესპუბლიკური“. მოქმედი პირები – ვანო, დათო და  
ფულიანი ავადმყოფები, რომელთა ერთადგილიანი პალა-  
ტები განთავსებულია საავადმყოფოს დერეფნის ერთ მხა-  
რეს.

– მრცხვენია, მაგრამ იყო და ხომ არ დავმალავ, ამის

დედას რო შევეცი! იყო, იყო და ამას ვერსად გავექცევი! ვიპარავდით, ავადმყოფებს ვპარავდით! წარმოიდგინე, კიბის მხარეს, „ადინოჩკებში“ ბლატნოები წვანან. მე და ვანო თეთრ ხალათებში, ფონენდოსკოპებით კისერზე დერჯანში დავდივართ, ვუყურებთ, როდის გამოვა პალატიდან ავადმყოფი დომინოს სათამაშოდ ან ტელევიზორის საყურებლად. ერთი „ატასზე“ დგება, მეორე შერბის პალატაში და აცარიელებს. ერთნამიანი საქმეა... არც მოწმეა ვინმე, პაციენტი ხომ მარტო წევს ოთახში. ფულსაც სად ნაიღებს? ან „ტუმბოჩკაშია“, ან ლეიბის ქვეშაა ამოდებული... და პარავ, რა... წარმოიდგინე, კაცი რაიონიდან ჩამოვიდა, ბოლო ფული შეაგროვა, ისესხა კიდეც და შენ პარავ! თავიდან არ შევდიოდი, მხოლოდ „ატასზე“ ვიდექი. მერე გამიჭირდა... ჩემით დავრბოდი, მარტო, ვანოს გარეშეც... აბაა.... წარმოიდგინე, ჩამოსული კაცი რჩება რეიტუზებში – საავადმყოფოში უფულოდ! უარესის ლირსი ვარ, გაცილებით უარესის! დამსაჯა ღმერთმა მაგისთვის და კიდევ ბევრი რამისთვის – სუბუტექსის გაჩხერისა და მაგარი დაბოლების შემდეგ შემომჩივლა დათომ, ინფექციურის რეანიმაციაში რომ იწვა მუცელში წყალჩამდგარი, მომაკვდავი.

ნარკომანი ადრე თუ გვიან, გაუსაძლისი ყოფისგან, მარტოობისგან და იმ იმედით, რომ ნარკომანის მოჯადოებულ წრეს თავს დააღწევს, ცოლს ირთავს. იწყება დანებებების ხანგრძლივი პროცესი. ათიდან რვა-ცხრა შემთხვევაში ეს ცდები წარუმატებელია – მიუხედავად ტიტანური ძალისხმევისა და საშინელი წვალებისა, უარესი სასოწარკვეთით და ნარკომანის უფსკრულში საბოლოო ჩაძირვით მთავრდება. მორფინისტი დაუსრულებელი დანებებებით იღლება, ცოლ-შვილი კი – იმის ლოდინით, თუ როდის დაანებებს მამა და შეწყვეტს ბავშვის თვალწინ წამლის ხარშვას. ოჯახი ინგრევა.

მე და დათომაც მოვიყვანეთ ცოლები. მე შევინარჩუნე, მან – ვერა. ერთი სიტყვით – ბიშვეეკით, ჩემით, ცოლით, შვილებით, გადასხმებით... როგორც იქნა, დავანებე!

ცოლი ორი დღის მოყვანილი მყავს, ამხანაგები არიან სტუმრად, ვქეიფობთ, ვერთობით. მოვიდა. დაპერებული, წვერგაუპარსავი, სახედასიებული, არყისგან ამღვრეული მზერით. ნამდვილი ბომში. გარშემო გოგო-ბიჭები მხიარულობენ, ცეკვავენ, ზოგიც აბოლებს. ერთ დროს „რესპუბლიკურის“ მონარქი, რომელსაც მრავალი გოგო ნატრობდა, განათლებული, ოდესლაც წესიერიც... იდგა მარტოდმარტო, ამდენ ახალგაზრდებში და არა მხოლოდ ჩვენ, არამედ თვითონაც მიხვდა – იგი აქ ზედმეტი იყო! წარმატებამ მას გვერდი აუარა, თუ თვითონ აიცილა იგი და ამის გამო ჩემთან, ჩემს ახალ მეუღლესთან, ჩემს მეგობრებთან აშკარად შეუსაბამო შეიქნა... მარცხს მაინც არ დანებდა! მაგიდასთან მივიდა, სავსე ჭიქა ვისკი დალია და გავიდა – მალე მოვალო. ლამაზმანებმა დამცინავად შესძახეს – აბა, შენ იცი, დათკაო... მკვეთრად მოტრიალდა, ჩამქრალი მზერით შემომხედა და გაიმეორა: „ძმოო, მე ახლავე მოვალ, ახ-ლა-ვე!“.

ნახევარ საათში დაბრუნდა. ხელში უჭირავს წითელი ლენტით თავნაკრული, გამჭირვალე ცელოფანში შეფუთული პირამიდის ფორმის დიდი საჩუქარი. სამი ბოთლი კონიაკი, შამპანური, ტკბილეული, ამასთან ერთად იმხანად ძნელად საშოვნი ფრანგული პარფიუმერია. ასეთი გახლდათ საბჭოური ხრიკი: თუ გინდოდა სატრფოსთვის მისართმევად ფრანგული, „იმპორტული“ კოსმეტიკა, თავისასაც გტენიდნენ. ამგვარი სასაჩუქრე ნაკრებები ძირითადად პოპულარული გასტრონომების ვიტრინებს ამშვენებდა. ყველამ დათოს მიაქცია ყურადღება. სუვენირი 300 მანეთი მაინც ეღირებოდა! მან საზეიმოდ მიართვა ლამაზად შეფუთული საჩუქარი ჩემს მეუღლეს და მალევე

დაგვტოვა. მანამ ვკითხე:

– საიდან ამდენი შესაძლებლობა?

– მაღაზია გავტეხე... ჰო, რა გეცინება, კეკელიძის გასტრონომის მინას დავეტაკე თავით და ჩავამსხვრიე. ხომ გახსოვს, ჩემთან სახლში რომ ვქენი, კოკაინი რომ გვქონდა, აი, ისე...

არც ამჯერად ეტყობოდა დათოს თუნდაც ნაკანრი. მთვრალებს სწყალობთ ღმერთი. დილით სპეციალურად შევამოწმე – დათოს მონათხრობში მაინც ეჭვი შემეპარა, ალკაშებმა ტყუილები იციან, უფრო სწორად კი – ხატოვანი ფანტაზიები და ტრაბახი. მაღაზიის უშველებელი, სქელი მინა, რომელიც ზემოდან თითქმის ასფალტამდე ჩამოიდოდა, მართლაც ჩამსხვრეული დამხვდა. იქვე სირენიან „პპ“-თან მილიციელები ფუსფუსებდნენ. მხოლოდ მოგვიანებით შევაფასე თუ რა და რატომ გააკეთა დათომ, მაშინ კი გიუად ჩავთვალე, მეგობრებთან დავცინე კიდეც. საკუთარი მდგომარეობით გულდაწყვეტილს, უბრალოდ, არ სურდა სამეგობროდან გამორჩენა და დაჭერის, თავის გადახლების რისკის ფასად, ჩვენ სიხარული მოგვანიჭა, ყოველ შემთხვევაში, მაგრად ეცადა ამას.

სანამ სმას დაინყებდა, დაცემის უკიდურეს ხარისხს მიაღწევდა და საბოლოო უიმედობას მიეცემოდა, დათომ 15 წლიანი საექიმო კარიერის გზა განვლო. ნებისმიერ საავადმყოფოს ჰყავს თავისი, ყველასათვის ცნობილი ნარკომანი, რომელსაც სამედიცინო პერსონალი იტანს, ეცოდება ის და როგორც ეგზოტიკურ რელიქტს, უვლის კიდეც. ოღონდ ასეთი ტიპის მორიდებული მკეთებლები, გარკვეულ დაშვებულ ზღვარს არ გადადიან და თავიანთ მორიგეობაზე 1-2 ამპულით კმაყოფილდებიან. დათო არ გახლდათ ამგვარი ფინია მარტოხელა მორფინისტი. მაქ-სიმალიზმის გამო მას აუცილებლად მთელი აფთიაქი უნდა გამოეცვალა, მრავალრიცხოვან მეგობრებთან ერთად

წამლის წლიური მარაგი გაენადგურებინა და საავადმყოფო ერთ დიდ „ეუკლად“ ექცია. ამას გარდა, არ ერიდებოდა კომუნისტური სისტემის კრიტიკას, მრავალრიცხვანი პარტკომების და პროფკომების წინაშეც კი. აშკარად, ღიად დასცინოდა რეჟიმთან თანამშრომლობას და მის მონურ მორჩილებას. თვითონ საკუთარ ძირითად ამოცანას, ცხოვრებისეულ დანიშნულებას, ჯერ კიდევ როდესაც გამართულად საუბარი შეეძლო და, რაღა თქმა უნდა, კარგად გაჩერერის შემდეგ, ასე აყალიბებდა: „ბიჭო, მინდა ამ ტიპებს როგორმე გავაგებინო, თუ როგორ „შეუმჩნევლად“ შეიქნა ბოლშევიკური ულლის ქვეშ მათი ყოფა „მხიარული“ და „საამური!“ მინდა საკუთარი მონობა, რომელიც მათ ბუნებრივ მოთხოვნილებად იქცა, რეალურად შეიგრძნონ და შეიზიზდონ! მინდა მივახვედრო, რომ ამ ცხოვრებაში „კალბასზე“ ბევრად მნიშვნელოვანი – იდეალებია! ამიტომაც მიძულებს კოლექტივი...“

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დავითი პროფესიონალიზმით ყველა თანამშრომელს ბევრად სჯობდა, ადვილი მისახვედრია, რამდენ შურს, გაღიზიანებას იწვევდა კოლეგებში თავისი ორიგინალობით, იმ ეპოქისთვის, შეიძლება ითქვას, მარგინალობითაც.

... „ომის ინვალიდების ჰოსპიტალი“, სადაც დათო ინტერნატურის დამთავრების შემდეგ ანესთეზია-რეანიმაციის განყოფილების გამგედ მოეწყო, განსაკუთრებით უხვმორფიანი აღმოჩნდა. სულ ერთი შტრიხია საკმარისი, რომ დაგანახოთ, თუ რა ბობოქარი მოღვაწეობა გაშალა ახალებდა ექიმმა საავადმყოფოს სეიფების დასაცარიელებლად. თვითონ ასე იხსენებდა ცხოვრების ამ ეტაპს:

– გვიან ზაფხულია, შვებულება დამთავრდა, ცოლშვილთან ერთად გაგრიდან ჩამოვედი. არ ვიკეთებ. ამოვდივართ სახლში, ვლაგდებით, ქეთი რთავს ტელევიზორს, გადაცემა „ჯანმრთელობა“... ნაცნობი ექიმები თეთრ

ხალათებში, რატომღაც დამნაშავე სახეებით. ასევე საავადმყოფოს ჩვეული გარემო. ნამყვანის ხმა: „ამას წინათ, ოცდამეოთხე ყრილობის გადაწყვეტილებების თანახმად, ომის ვეტერანების სოციალური მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, თბილისში ომის ინვალიდებისთვის საზეიმოდ გაიხსნა შესანიშნავი ჰოსპიტალი. ის აღჭურვილია უახლესი სამედიცინო აპარატურით და დაკომპლექტებული მაღალი კვალიფიკაციის პერსონალით...“ – ვაა! – გავიფიქრე, – ცუდადაა საქმე და სასწრაფოდ ტელევიზიზორი გამოვრთე. სანამ დასასვენებლად წავიდოდით, მთავარ ექიმს ჩაკეტილ კარქვეშ განცხადება შევუგდე და ისე წამოვედი. მორიგეობაზე უცებ შიშმა ამიტანა! იმდენი ამპულა მქონდა გამოცვლილი, დაჭერა არ ამცდებოდა და იმიტომ. ჩემი ასეთი ორიგინალური წამოსვლა მთავარ ექიმს მაგრად გაუკვირდა, თანამშრომლებსაც. რეკეს და რეკეს, ხალხიც მომიგზავნეს – ეგებ გადაიფიქროსო. მაგრამ რა ექნათ? სამ დღეში ავტომატურად გამათვისუფლეს. კანონი იყო ასეთი... ცოლი ეცა ტელევიზორს: „დათო, თქვენს ჰოსპიტალზეა, ბიჭო!“. მე ისევ გამოვრთე. მოკლედ, ქეთიმ თავისი გაიტანა. დიქტორი ბაზრობს: „... ვიღაც-ვიღაცებმა სათანადოდ ვერ დააფასეს პარტიისა და ხალხის ნდობა...“. ბიჯოს! როგორია?! პარტიის ნდობა თუ ვერ დააფასე, ესე იგი, დახვრეტის ლირსი ყოფილხარ და ზემოდან კიდე ხალხი – გადაგასახლებენ, ციმბირს უკან მოგატოვებინებენ! მოკლედ, კომისია მისულა შესამოწმებლად, აფთიაქში ნარკოტიკები უნახავთ და ბევრი მახინჯი, წყლიანი „კუკლები“. იმდენს ვიკეთებდი, სტუმარიც უხვად მყავდა, კარგად აღარც ვაპამდი თავს, უბრალოდ ვიჩირავდი და ვიჩირავდი... მთავარ ექიმს საყვედური – პოლკოვნიკი იყო, თუ გენერალი, სანიკიძე, იმ სანიკიძის ძმა... დანარჩენები დახსნეს, დედა უტირეს. დაჭერას ძლივს გადაურჩნენ, მოხსნას ვინ ჩიოდა?! მე დროზე ვიყნოსე და

წამოვედი, გადავრჩი პარტიის ნდობის უგულებელყოფის გამო სამჯერ დახვრეტას გადასახლებით!

იმ დროისათვის დათო თურმე 100-200 ამპულაზე ასულა დღეში! როგორც განყოფილების გამგეს, სეიფიც თავისი ჰქონდა და ნარკოტიკებიც. მეგობრებს არ ჰყოფნიდათ! საავადმყოფოს აფთიაქში მრავალჯერ მოუწია შეღწევა და ათასობით ამპულის შეცვლა. მთელი დღე იკეთებდა, ნემსი მუდმივად ვენაში ჰქონდა. სწორედ აქ, ჰოსპიტალში, საბოლოოდ გამოიტანა სავალალო დასკვნა: დარჩენილი ცხოვრება წამლის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა! ანუ დათომ პარტიის და მთავრობის გარეშეც დახვრეტის განაჩენი გამოუტანა საკუთარ თავს და ნარკოტიკთან ბრძოლა შეწყვიტა. კაპიტულაციის შედეგები დამანგრეველი აღმოჩნდა! ახალგაზრდა, 27 წლის მამაკაცმა თავის მოკვლაზე დაიწყო ფიქრი...

## **ორივან მცხვარი. აცქოვები**

**პატი I.**

**...მა მაგის გამართებაში?**

— ისე ჯდები, ოჩილ, წამალს პროსტა უკვე ვერა გრძნობ, ლიშბი ლომკაში არ იყო... კაროჩე, ვსიო, დამთავრდა! აზრზე მოდიხარ, რო ასე ცხოვრება არ ღირს, თავსაც ვერ ანებებ... რჩება ყურება და ვარდნაზე კაიფი. აი, „რესპუბლიკურიდან“ გადმოფრენაზე რომ იკაიფო ისე, აქ თან ბეტონო-ასფალტიც არაა. მის მაგიერ სირცხვილი, უთავმოყვარეობა, დიდი გულდანყვეტაა... მოკლედ, ცხოვრების ერთადერთ კაიფად, უფსკრულში ვარდნაზე კაიფი რჩება! მორჩა, ეგაა რა — ალსარებასავით მიყვებოდა დათო ინფექციური საავადმყოფოს რეანიმაციაში, კისერში კათეტერგაყრილი, გაშავებული რომ იწვა. გადასხმების და შარდმდენების ფონზე გონება უნათდებოდა, ამიტომაც საუბრობდა ამჯერად გამართულად.

მანამდე კი ინერციით მოსკოვს გაემგზავრა და ბაკულევის სახელობის გულმკერდის ქირურგიის ინსტიტუტში ინერციითვე საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. ასე

მოითხოვდა საბჭოური წარმატებულობის ფორმულა და დათოც აღარ ენინააღმდეგებოდა კომუნისტური ცხოვრების დინებას. გაუთავებელ ჩხერას თუ არ ჩავთვლით, იმას აკეთებდა, რაც არ უნდოდა, რასაც მისგან საზოგადოება და ოჯახი მოითხოვდა. გაჭირვებული ხავსს ეკიდებოდაო. ეგონა, დისერტაცია გადაარჩენდა.

– წარმოიდგინე, ბიჭი, 8 წელი მაინც ვცხოვრობდი მოსკოვში, თან – ცენტრალურ სასტუმროებში, იგულავერა, რომ გაიკეთებ მერე მაინც. არა! მთელი დღე მე-9 სართულზე ალიკას სამზარეულოში პრატივაგაზით გაზთან დგომა და კოკნარის ხარშვა... ალიკა ერთი ნეიროქიორუგი იყო, მაგარი ექიმი და მაგარი ჯიგარი.... 8 წელი ვიყავი, ბოზი ვიყო, გოგოსთვის არ მიკოცნია! ამის დედას... ამიაკი, რასტვარიტელი, ხარშვა, ანჰიდრიდი, რასტვორი, პუზირები და ისევ... კვირაში 2-3 იაშჩიკ რასტვარიტელს ვხმარობდი. ხელებზე კანი გადამძვრა, რეზინის ხელთათმანებში მიწევდა ხიმის კეთება, „Крокодиловая кожа“-ო – ასე ეძახდნენ რუსები...

დისერტაციის დაცვის შემდეგ აღარც უმუშავია, უკანასკნელი ძალები იქ, მოსკოვში დატოვა. დაცვიდან გამოსული, სასწრაფოდ „რინოკზე“ გავარდნილა თათრებთან წამლის ასაღებად და გზად ტაქსიში 8 წლის ნაშრომი დისერტაცია დარჩენია. ეგრეთ წოდებულ „დესერტაციის სუფრაზე“ აღარც მისულა, გადაუგდია სუფრის წევრები, ხელმძღვანელთან, დედასთან, მეუღლესთან და შვილთან ერთად.

მხოლოდ „ერთი ეგზემპლარია ჩემი დისერტაციის დარჩენილი, ისიც იმ არამზადა ლენინის ბიბლიოთეკაშიო, – მნარე ირონიით შემატყობინა დათომ – ხელზე კანგადამძვრალი, გაძვალტყავებული, მუცელგადიდებული, ფეხებდასიებული და ფეხებგაშავებული ინფექციურის რეანიმაციაში რომ „ეგდო“. საავადმყოფოდან საავადმ-

ყოფოში მოგზაურობის პროცესს კი ხანგრძლივი არყის სმა უძლოდა წინ. გაუთავებელი სმა, დღეში რვაჯერ გამო-თრობით, ჩხუბით, შფოთით და ისევ დათრობით. ენა აღარც მიბრუნდება, დათოს ცხოვრების ამ მონაკვეთს ზღაპარი ვუწოდო. ეს გახლდათ ტანჯვა, ტანჯვა და გარდაცვალების გაუთავებელი ლოდინი, რომელიც ბოლოს, სახლში, სასიკვ-დილოდ გამზადებული დათოს სამწლიანი გაუნძრევლად წოლით სრულდებოდა.

ჯერ კიდევ სანამ ლოგინად ჩავარდებოდა, ყველამ მია-ტოვა. სულ მარტო დარჩა საკუთარ თავთან და უკიდურეს გაჭირვებასთან. მეგობრებზეც განაწყენდა და საერთოდ, ცხოვრებაზეც. ისე ჩაიკეტა საკუთარ თავში, რომ მეტყვე-ლების უნარიც კი დაკარგა. ასეთი რამ ხშირად ემართე-ბათ ნარკომანებს. მათ უყალიბდებათ ეგრეთ წოდებული „გახლეჩილი“ აზროვნება, როდესაც პიროვნება მხოლოდ მისთვის გასაგები ცალკეული ფრაზებით, ხოლო მსმე-ნელისთვის უთავბოლო, აბსტრაქტული სიმბოლოებით მეტყველებს. წინაპირობა მძიმე ცხოვრება და ასეთივე განცდებია, მუდმივი დევნილობა და კარჩაკეტილობა, რაღა თქმა უნდა, ორგანიზმის ზოგადი მოშსამვა და ტყინის ნეირონებზე ნარკოტიკის და ალკოჰოლის ზემოქმედება. ყოველივე ჩამოთვლილი იწვევს აუტიზმის მსგავს თვითჩა-ღრმავებას, ადამიანი კარგავს კონტაქტს გარესამყაროს-თან. ვერც თვითონ ალიქვამს მას ადეკვატურად და არც გარემოცვას შეუძლია შეაღწიოს მორფინისტის შინაგან სამყაროში.

ნარკომანები, უკიდურეს სასოწარკვეთაში ჩავარდ-ნილნი, გამოუვალი მდგომარეობისგან ეკლესიაში, ღმერთთან მიდიან. მათ მხოლოდ სასწაულის იმედილა რჩებათ და რწმენა იმისა, რომ ამქვეყნად ეკლესიაში მაინც იპოვიან სამართლიანობას, წესიერებას. დათოც მივიდა და გარკვეული დროის შემდეგ წერილი გამომიგზავნა:

„...ეჰქ, იქაც იგივე ჩალიჩია... მანქანა, ფული, სკამი, ძალაუფლება. მხოლოდ ეგენი არიან კარგები, ქათქათები და მუდამ მართლები! დანარჩენები ტყუილად ირჯებიან, არსებობენ, რა... და იცოხნებიან ძროხებივით. ისე, ძროხა რძეს მაინც იძლევა, ხორცს, შენ მაგის მაქნისიც არა ხარ... მაგაში მგონი მართლები არიან, ოღონდ რატომდაც მცოხნელებში თავის თავს არ ათვლიან. ერთი აქვთ ყველაზე მაგარი! ჩვენ ვართ, ქართველები, თურმე რჩეული ერი და ღმერთს მაგრად ვევასებით. ჩვენ, ბიჭო?.. ინგლისელები და ამერიკელები მასონები ყოფილან, ჯოჯოხეთის ლუკმა! მილარდობით ჩინელი და ინდოელი ხო ვაპშე ეშმაკები არიან, განსაკუთრებით ტიბეტი, ლამა.... ბეთჰოვენი, სერვანტესი, ფოლკნერი თურმე ჯურლმულში იწვიან მწვადივით. პელეზე, მარადონაზე და „ბიტლებზე“ ხომ ბაზარიც არაა! და სჯერათ ამისი?! შენ წარმოიდგინე, რა ყოფილა ამპარტავნება?! ოღონდ ადამიანს უთხარი – შენ ყველაზე მაგარი ხარ-თქო და ირწმუნებს, რო აინშტაინზე აღმატებულია ყველაფრით! რა გითხრა, აბა? ეს სოფელი გაუხდიათ მიზნად, ხოლო რწმენა – საშუალებათ... იქ არ ვისმინო სიაბანდები, აქ რა, ცოტაა ეგა?“

წერილი ასე სრულდებოდა: „ჩვენი საშველი არაა, ყველა ერთია! ფარისევლობა – ეს არის ნიღაბი, რომლის უკან იმალება ტოტალიტარული საზოგადოება!“

მიღებული ეკლესიური გამოცდილების შემდეგ, დათომ მკვეთრად უმატა სმას, რამდენიმეჯერ თვითმკვლელობაზეც შეუსწრეს. დათოს გულისოვის ვინ შეცვლიდა ყოფიერების ულმობელ კანონებს? ცხოვრება თავის ჩვეულ კალაპოტში მიედინებოდა. სიმარტოვე, თვეობით სახლში ჯდომა და ალკოჰოლის გაუთავებელი მიღება გაუსაძლისი გახდა. დათო ცხოვრებაზე გაბრაზდა. მანამ სათნო, მშვიდობიან ადამიანს გრანდიოზული ჩხუბის მოსაწყობად სულ პატარა საბაბი ჰყოფნიდა. აგრესიული შეიქნა, შვილების

გარდა ყველას ერჩოდა – ყოფილ ცოლს, მეგობრებს, არა-ფერს ვამპობ გარეშე ხალხზე. ხშირად ისეთ კონფლიქტებში ყოფდა თავს, თვოთონაც უკვირდა – რატომ ვიჩხუბე, რა მეშარებოდა? ერთხელ, ომიანობისას, სამხედროებს უცემიათ სასტიკად, 7-8 კაცს! ვკითხე – ვერ გაეცალე, მაგათი... ?

– ბიჭო, მართალი ხარ, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“, მაგრამ... როგორ გითხრა?.. გამარჯვება ცემაზე, მორევაზე ხომ არაა?! მთავარია, უკან არ დაიხიო, პრინციპი არ დათმო და ძალით თუ გაჯობა, რას იზამ? შენ ხომ მაინც სძლიერ მორალურად, ერთი ათს არ შეუშინდი და დასცე, რა... იმ არამზადებმა მითხრეს, რა კარგი „ლაპატ-ნიკი“ გაქვს, თბილისში მივდივართ, გვათხოვეო. „რააო“ არც დაუყოლებიათ, ისე. „მხედრიონი“ მაშინ გულაობდა ორპირში. დამეტმო?! მიმეცა?! ეგ ბებიაშენს სთხოვე მასე-თქო, შენი დედიკოს... მე არც მახსოვს, ვინც სახლში მიმათრია, იმათმა მოუთხრეს დედაჩემს – დათო ფეხებით ზემოთ აწიეს და „ატბოინი მალატოკივით“ ნახევარი საათი თავს ასფალტზე არტყმევინებდნენო... 3 თვე გაუნდრევლად ვიწექი... მაინც მე გამოვედი გამარჯვებული. არ დაუთმე და იმიტომ!

ამგვარი თავგადასავლები თვეში ერთხელ მაინც ემართებოდა. პერიოდულად იკარგებოდა ხოლმე, ჩვენი „ლამის საუბრებიც“ თითქმის შეწყდა.

## ქახი II. ფეოდა

– ყველამ მიმატოვა, რაღად უნდივარ ახლა ნიკალას... და სხვებსაც... ერთი შენ დამრჩი, ზურა.

...ლამით დამადგა ნარკოლოგიურიდან გამოქცეული, მაგარი მთვრალი. სამედიცინო სპირტი ჩაურტყამს და „მეჩნიკოვის“ შენობის სახურავიდან „გადმოფრენილა“. სამი სართული მაინც იქნება! ბედად, ვარდნისას შარვლით ნარკოლოგიურის ეზოში ამოსულ ხეს ჩამოკიდებია და შედარებით უვნებელი პირდაპირ „ნაბერეჟნზე“ დამხტარა. შარვალი ჰქონდა სულ მთლად შემოხეული, ფეხი – მუხლი-დან დუნდულო კუნთამდე ახლეჩილი, ხელი – ნაღრძობი თუ მოტეხილი.

- ამ „რაუნდებით“ ხომ შემცეს ამ ძალლებმა, ბიჭო! თვეში ერთხელ კაი ძმაკაცებივით დაგადგებიან ლოგინში ავტომატებით და დავაი!
- შე ჩემა, იმ სიმაღლიდან რამ გადმოგახტუნა, სულ გაუ-ბერე, ბიჭო?
- ეეე, მე შენთან გულით მოვედი და... შენ კიდე მიტრა-კებ...
- აბა, რაღაც ერთი კვირა დაგრჩა და რას მორბოდი, მაგის დედას შევეცი მე?!
- ძმაო... ახლა გეტყვი რა მოხდა.
- წადი, შენი კარგიც...!
- ეეე, ისევ რა... გუშინ გამთენისას 32 კაცი გაიქცა, „რეშეები“ გადახერხეს და ისე. მე არ ნავყევი, არ მევა-სება ეს ძველი ბიჭები და შემეცი თუ გინდა! მთელი დღეა მარტო ვარ, გავგიუდი კაცი. მთავარ ექთანს სპირტი გაუწიე, ჩავარტყი და გადმოვიფრინე შენთან... მომენატრე რაა... სიმაღლე ხომ იცი, სადაც მკიდია, ადრე ის ვიყავი... რა ქვია? რო დაცოცავს კედლებზე... ახლა არწივი ვარ, არწივ! პროსტა ფრთები მომაჭრეს ამ ბოზებმა და ეგ არი... გულია მთავარი, ფრთების დედა არ მოვტყან!
- ეეჲ, აბა შენა გყავს, დაგაბერინა მაგ არაყმა, სულ გარეკე, ბიჭო?! რა უთხრა ახლა დედაშენს? იმას რაღას ერჩი, შე ჩემისა?!

– ძმურად, ნუ მიტრაკებ რა, ერთს მოგიყვები და თუ არ დავბრუნდე შენი ხათრით ნარკოლოგიურში, ჩემი დედას შევეცი!.. გუშინ უჩვენებიათ ტელევიზორში ისა... უჰ... სახელს ვერ ვიხსენება...

კინოგმირის სახელზე ჩაფიქრდა, ვერ გაიხსენა. მართალი რომ ვთქვა, სახელებსა და გვარებზე, ნორმალური რომ იყო, მაშინაც ჭედავდა.

– ისე, ძმაო, ეგ ამერიკელები სად იყვნენ, მე რომ „რესპუბლიკურის“ კედელზე დავცოცავდი, დღეში შვიდჯერ. ნარკოლოგიურის ბიჭებმა თქვეს, ის ამერიკელი ფარჩაკი ტელევიზორით უნახავთ, წითელ კალგოტკებში რომაა გაჩითული... მე ვერ ვუყურე, ცუგრიამ არაყი შემომიგზავნა, მარტომ ჩავყლაპე პოლ-ლიტრა პრახოდში... აბა ისე წამართმევდნენ, ეს ბოზები... ჰო, რას გეუბნებოდი?..

ერთ დროს საუკეთესო სტუდენტის, შემდეგ უმაღლესი კვალიფიკაციის ექიმის გაბრუებულ თავში ამჟამად ღრმა ამნეზია სუფევდა. თუმცა გონება მაინც ძველებურად ხატოვანი, ფილოსოფიური კატეგორიებით უმუშავებდა. ასეთებზე ამბობენ – ანალიტიკური აზროვნება აქვსო, უფრო სწორად კი, ჰქონდაო.

– რას ვბაზრობდი?.. ისა, ეეე! გამახსენე შენაც, რაა...

– ნუ შემეცი, რა! „ადამიანი ობობაო“!

– ჰომ, ნაღდი ხარ, ეგაა! ბევრი ვიფიქრე და დავასკვენი: ობობებიც თავის წებოვან სეკრეტს, აბლაბუდას რომ ქსოვენ, იმას ალბათ შიშისგან გამოყოფენ! კედლიდან ჩამოვარდნის ეშინიათ! ეჲ, ობობები დღეს უნდა გენახა თავში, პახმელიაზე! კიდევ კარგი, ბიჭებმა ცოტა წამალი გამიკეთეს, თორე ვიბრიდებოდი... კაკ ნი კაკ, სტარიკი ვარ მაგათან შედარებით, ნარკოლოგიურში მე-19-დ ვზივარ უკვე... ეგ მხოლოდ ნარკოლოგიურში და ისე...

– აკი გაიქცნენო, შე სიაფანდო?!. ტყუილებიც დაიწყე? ოოო, რა გაგიბერია, შე ჩემა!

– ეგ ადრე იყო, მე-16-დ რომ დამაწვინეს და ჩაურთე რა... დათესვის რამე პრიჩინა ხომ უნდა მეთქვა შენთვის?!

– ღამე გძინავს, საძილე გააქვს? გამოვატანო დედა-შენს? შენ არ მოგცემ, იცოდე, დალევ მთლიანად და ვეღარ მიხვალ ნარკოლოგიურამდე.

საწყალი დათო, ოღონდ გათიშულიყო და საძილეებს სვამდა განუსაზღვრელი რაოდენობით, 30-40 ტაბლეტს, რამდენიც ჩაუვარდებოდა, იმდენს.

– გმადღობთ, გმადღობთ, დედაჩემმა მომიტანა, მთელი ნარკოლოგიურის შავებს იქეთ ვამარაგებ.

...დათოს სახლიდან გამოსვლა და დაჭერა ერთი იყო. იქ იგივე – ცემა, ნარკოლოგიური, ფულის გადახდა. სახლში წამოსვლა, სმა, სმა, სმა... ერთხელ სადღაც პრიტონში სხვისი ნარჩენების გაკეთება და ისევ დაკავება... ასე გაუ-თავებლად. იმდენად დააფრთხო მილიციის შიშმა, რომ გარეთ სპეციალური კომუფლაჟის გარეშე არ გამოდიოდა. ხელში ბაზრის ჩანთა, შიგ კარგად შეფუთული საქონლის ძვლები, კარტოფილი და ვაშლი – ვითომ სახლში ბრუნ-დება წესიერი მეოჯახე კაცი. ვინ ჭამდა დათოს დაღმულ სპექტაკლს? ყველა იცნობდა! იჭერდნენ და სცემდნენ, ფულსაც შეძლებისდაგვარად ახევდნენ.

ასეთ „ძაღლურ“ განამარიაში იყო, უკვე არაბუნებრივად წაწვეტებული სახის ნაკვთებიანი დათო, სანამ ლოგინად ჩავარდებოდა. სანოლშიც სვამდა. პერიოდულად დგებოდა, „მარკეტში“ ჩადიოდა და კისერში გაყრილი კატეტერებით გამყიდველს აცოდებდა თავს – არაყს ასე ჩალიჩო-ბდა, ნისიად. ერთი თვის შემდეგ ინფექციურის რეანიმა-ციაში დააწვინეს. მუცელში სითხე ჩაუდგა, შორს წასული ციროზი დაუდგინდა. ძლივს სუნთქავდა, სითხე დიაფრაგ-მას აწვებოდა და ფილტვებს გაშლის საშუალებას არ აძლე-ვდა. ერთი-ორჯერ სისხლიც წასკდომია. მოკლედ, სულ ღაფავდა. საკუთარ ბიძას, აკადემიკოს ვ. ბოჭორიშვილს,

დათოს დედისთვის უთქვამს: „რას აწვალებთ ამ კაცს? ნაიყვანეთ სახლში, აღარც თქვენ გაიტანჯებით და... ესეც ბარემ საკუთარ ლოგინში მაქსიმუმ ერთ თვეში მოკვდებაო“.

„მაგარი ექიმი იყო, ეგეთი ინფექციონისტი საქართველოს არ ჰყოლია, იმას სიკვდილის მოახლოვება არ შეეძლებოდა,“ – მომწერა დათომ საავადმყოფოდან დის ხელით გამოგზავნილ წერილში, სანამ საკაცეზე დადებულს სახლისკენ გაუყენებდნენ გზას, რათა ბარემ საკუთარ სარეცელზე დაელია სული.

... იწვა დათო მუცელში წყალჩამდგარი, დალეული, შარდმდენებისგან სიქაგამოცლილი, დამის ჭურჭლით საწილის ქვეშ და სიკვდილზე ფიქრობდა, ელოდა ზღაპრის ბოლოს და ალბათ სურდა კიდეც აღსასრულის დროზე დადგომა. იწვა და იწვა გაუნძრევლად. 3 წელი ილეოდა, რაც არ ამდგარიყო. დღეში ერთ მოხარშულ კარტოფილს ძლივს იტენიდა პირში. მნახველები მოდიოდნენ. ჯერ წინა ოთახში დედამისთან მოიხებდნენ ტირილით გულს და შემდეგ ანითლებული სახეებით, მომაკვდავის სანახავად ცრემლშემშრალი შემოდიოდნენ. დათო კი გაუნძრევლად იწვა და სიკვდილს ელოდა. მესამე შემოდგომა ილეოდა, დათოს სანახავად ძველი ძმაკაცები, „ერთი“ და „მეორე“ მისულან.

– ბიჭო, შემოვიდნენ ოთახში, ვწევარ. რაღაცეები მკითხეს, მეც ვუპასუხე, რაც შემეძლო... ჩამოჯდნენ, აღარ მიდიან. დედას ესაუბრებიან ჩემი მკურნალობის შესახებ. მივხვდი, ყნოსავენ თავიანთი ჭუჭყაიანი ცხვირებით, წამალი ხომ არ მაქვს დანიშნული, კიბოიანის პონტში, რა. მინდა ორივე დავბრიდო. ისედაც ვერავის ვერ ვიტან, გაეგოისტებული ვარ მაგარი. მე უნდა მოკვდე, ეს ნაბოზვრები უნდა დარჩნენ?! უუხ, თქვენი ყველასი! „ერთი“ მომიტრიალდა და მეუბნება: „ბიჭო, ზამთრისთვის ბატინკები არა მაქვს

და მაიტა რა ესენი...“ – ზამშის „შუზები“ იქვე საწოლთან იდო, ჩემს დას გამოუტანია, ალბათ გასამზეურებლად. რა მითხრა, შენ აზრზე ხაარ?! შენ ფეხსაცმელი რა ჩემ ფეხებათ გინდა, მაინც მალე უნდა დაიპრიდოო! გავსკდი ბოლმისგან! ცრემლი მომაწვა. არ მინდოდა დაენახათ, ზურგი შევაქციე. გავიდა ნახევარი საათი, ვტირი ჩემთვის ჩუმად. დედაჩემთან სამზარეულოში გავიდნენ, ერთი-ორი ჭიქა არაყიც ჩაუფინეს და წასვლამდე ჩემთან შემოიარეს. დამხედეს, იფიქრეს, ალბათ ჩაეძინაო. „ერთი“ „მეორეს“ ეუბნება: „ბიჭო, ამ ნაბოზარს შეხედე, რა უმოტია?! რა ჩემს ყლეთ უნდა ამას ფეხსაცმელი, კვდება და ბატინკებს მაინც არ იძლევაო!“. „მეორე“ პასუხობს, – „აბა, აბა, ხომ გახსოვს, ადრეც რა კრახაბორი იყოო“ ... რა მომივიდაა, გავრეკე! შენით წარმოიდგინე, ძმობა, ამდენი ამაგი – ყველაფერი წყალში ჩამეყარა! გავგიჟდი! გავსკდი ტირილით!.. მაგრამ მონებს რა გინდა მოსთხოვო? ყველაზე ამაზრზენი კი ჩემს მდგომარეობაში ის იყო, რაც დედაჩემს წამოსცდა – „ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობსო...“ ეს სიტყვები უროსავით თავში მომხვდა! სპორტული ველოსიპედივით, დღემდე მახსოვს! მანამ ერთი-ორი ამპულა ვთხოვე და ალბათ იმი-ტომ გამიმეტა, ისე არ მეტყოდა. ყველას მოვაბეზრე თავი, კაროჩე!

ამ ვიზიტის შესახებ დათომ, საბოლოოდ რომ წამოდგა, მაშინ მიამბო. გაბრაზებულა, ისე გაბრაზებულა, რომ უთქვამს – არა, მე სასიკვდილოდ ჯერ არ მცალიაო, ამათ ჯინაზე ფარჩაკულად არ ჩავკვდებიო, გამშორდი სიკვდილოო!

## „ԷՇԵՐԵՑՈՒԹՅՈՒՆ“

Ծառու գլուխաց վրապեսալու, բալա տյեմա յնձա, ցեղոթլած  
վեռարոնձն ու առաջատանի հեղարզու մեմքաշ պահապերս  
դանեծա տապո!

– Ծովու, ոհիու, პոկասուսաց գայմարութա վեռարոնձն մունցութա! Երտ գրանձն նամաս գայուսաթլուզա, րոմը լաւաց որու մասունք գայինա. Մասունք ու գոտերա, յուզա միազ որու. Սայրանցութա սամերեւու դասաթլուզուլա. միուս, პլայու դա նուզու սուսարուլու աղմունինու... դա մտացարու – սոսպարունու! Երտու րամ ար մասունք մուսպենցաւ. ցուժունաց օգուզ դամեսութմա – սածուրտալուս նուրգու յարու... ամքեն նուլու ցալու, մանց սուլ մասուզու, սոմալու միուս ար մանց եցեց տապու. մունչու տյուրու ხալատու զարգնա դա սակեստան մուսլուզուլու „րեսպունուլուզուրու“ րուսու ասուալու... Առ, մարտու, զանո ուժուզուատ – ზամենու „մունչունու“ յունունու դա ցակարուլա „րեսպունուլուզուրու“ բուլութմու. ցարեւա կարեց ծամք զեր մուսլունու, սամազուա ռոմ դայմասա զոնմեստուու. ասյ մումեյս, ոնչա ხալատու, ցամուսասալուզունու ելլանց ցանունու. ալիսա, սոյուզուլու նուն ցայուրուզուլու ազագմպու ցանքուստուու գուլուս դածրունցա դաապուրա... տուրեց էլլունու մուսուլունու յարու սանտուրու, ցամուզու զելար մուսնու, ոսյ դածրուգուլա.

Ծառու ոսյ այցու սոմալու միուս ցամյագարու, ամյամագաց პորզել սարտունչու վեռարոնձն. մեռու սարտունչու գագ մուեցաւ գումասաց յունաշա յունաշ գրմենունու. յուգու նոմ գունչունցա ալար ուսեգեցա. ցագաս տապու ցուսուսենան այցանչու դա პորզելու սարտունչու մասունքու.

განათლება მასებში – დასავლურ ფასეულობებს ქადაგებს და დაუნდობელ ანტინარკოტიკულ პროპაგანდასაც ეწევა. საბჭოეთს მაინც არ ივიწყებს და გამვლელ გამომვლელს აფრთხილებს: „სსრკ-ს ტერიტორია იყო და რჩება იმედების, იდეალების ერთ დიდ სასაფლაოდ, სადაც მილიონობით ადამიანი იბადება და ეგრევე კვდება.“

„რესპუბლიკური“ საავადმყოფოც ადგილზეა! დღესაც არემონტებენ, ალამაზებენ, ცდილობენ თანამედროვე იარ-სახე მისცენ, ის კი დგას უცვლელი, ურყევი, ბაბილონის კოშკივით გიგანტური, მონუმენტური, როგორც ტოტა-ლიტარიზმის ცოცხალი სიმბოლო – დაუნდობელი ძეგლი – ტორტი „რესპუბლიკური“.

რაც შეეხება დათოს: ერთი მწვერვალი ყოფილა დედა-მიწის ზურგზე დაულაშქრავი – მთა მონტ-სიპლი ანტარ-ქტიდის კუნძულ სიპლზე. აქამდე ჯერ არავის დანებებია. დათომ თავისი მონტ-სიპლი დალაშქრა და ამითი აჯობა კიდეც ლეგენდარულ რაინპოლდ მესნერს – გაბრაზდა და დაულაშქრავ მწვერვალზე ავიდა!



**ԵԿԱՏԵՐԻՆՈՎԱՐԱՐԱԿԱՆ  
ԿԱՌԵՎԵԼՎԱԿԱՅ**



## **ნაჩემბანის „შეორთზე“ უფლებას მახვილი პირებს ეცნონ**

ეს მოხდა 1974 წლის 31 აგვისტოს. „თათარმა ბარიგამ“, ყველა ამოდებული ამპულებით „ბადენ-ბადენის“ სასტუმრო „ქიაფაზში“ შეაბიჯა. თვალების ცეცებით ფოიე გაიარა და თბილისიდან ჩამოსული სტუმრების ნომერში აირბინა. ბიჭებმა წამალი გაიკეთეს, ერთმანეთი გადაკოცნეს და ღამის კიროვობადში „სატასაოდ“ გასვლისთვის მზადებას შეუდგნენ. უთქმელადაც ყველამ იცოდა – გასეირნებისას რუსი ნაშების დაბმის მცირე, მაგრამ რაღაც შანსი მაინც არსებობდა. აი, ამ დროს თბილისელების გულმოდგინე ოდეკოლონ-დეზოდორული პროცედურებით გაკვირვებულმა „ნარიმანაძ“ ისტორიული ფრაზა წარმოთქვა: „თავარიშჩი! ზაჩემ ეთა დუხი? დეზადორ ვიაცა?! ნასთაიაშჩი მუჟჩჩინა, თემ ბოლეე ნარქამან, დოლუენ ფახნუთ: ფოთომ, ს ფერმოი ი გავნომ!“.

ამ სიბრძნით „გაჩხერილმა“ ნარიმანმა ნარკომანების განსაკუთრებული ვაჟუაცობა აღნიშნა, ხოლო ბიჭებმა ეს სიტყვები მის გომობას მიაწერეს და „საკაიფო“ გამონათქვამი სამუდამოდ დაიმახსოვრეს. ახალბედებმა ჯერ არ იცოდნენ, რომ ნარკომანიაც ამგვარი სამბუნებოვანი ბუკეტით ყარს – „ლომკის“ ოფლით, აბსტინენციის პოლუციებითა და ფალარათით.

## I. ከአቀባይ ማስታወሻ ደንብ

ვაკელი ექიმი დევი კრამნიკი საკუთარ ხუთოთახიან ბინაში მარტო ყოფნის დროსაც კი წამალს რატომღაც მხოლოდ ტუალეტში იკეთებდა. თუ განაცილები ცოლისთვის ერთი დღით ნათხოვარი შვილი სტუმრად არ ჰყავდა, მაშინ საპირფარეშოს კარს ღიას ტოვებდა, ხოლო თუ პატარა ლიკა სახლში იყო, საგულდაგულოდ ირაზებოდა და ისე იჩხირავდა. ათი წლის გოგო ხვდებოდა, რომ მამა რაღაც აკრძალულს, „დედიკოსთვის“ საზიზლარს, სჩადიოდა. ტუალეტის კარზე მიყრდნობილი ბავშვი „მამიკოს“ ვენაში მოხვედრის კვნესას უსმენდა, მასთან ერთად წვალობდა, ხოლო დევიკას გამოსვლისთვის დიდ ოთახში გარბოდა და ტელევიზორს არაბუნებრივად აშტერდებოდა.

უცნაური ქცევისკენ ექმდ კრამნიკს ნარკომანის ხილა-თიანმა ცხოვრებამ უბიძგა, ხოლო დროთა განმავლობაში მალვა ჩვევად გადაიქცა და ის ტუალეტების ჭეშმარიტ ესთეტად ჩამოყალიბდა. დადგენილ წესს იშვიათად თუ უღლალატებდა. მაგალითად, ერთხელ მარნეულიდან ჩამორ-ბენილმა ვეღარ მოითმინა და სანამ ჩაკეტილ კარს მიღმა სახლში დატოვებული ძმაკაცი „ძროხა“ იჭინთებოდა, სამ-ზარეულოშივე გაიკეთა.

დევილ (ასეთი ჟღერადობა დევიკას სახელმა მას შემდეგ შეიძინა, რაც სტომატოლოგმა დედამ ამერიკის შეერთებულ შტატებში წასვლა გადაწყვიტა) ლეოპოლდის ძე კრამინიკი უმაღლესი კვალიფიკაციის ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი გახდათ. მან ორი მწვერვალი ერთდროულად დაიძყრო – კოლეგებს შორისაც წამყვან სპეციალისტად ითვლებოდა და ამავდროულად, მედიკოს-მკეთებელთა კასტაშიც მოხმარებული წამლის რაოდენობით პირველბას არავის უთმობდა. მე ის ჯირ კიდევ სამედიკიზინო ინსტი-

ტუტში სწავლისას გავიცანი და შემდეგ დავრნნმუნდი, რომ ასეთ საქმეებში სწორედაც რომ დაეჯერებოდა.

პრაქტიკულად მთელი შეგნებული ცხოვრება ექიმი დევი კრამნიკი კაიფში იმყოფებოდა, რის გამოც მას მუდ-მივად კუჭში შეკრულობა აწუხებდა და ამიტომ ტუალეტის ძირითადი დანიშნულება მისთვის მეორეხარისხოვან ხასიათს იძენდა. დევიკას თეორიის მიხედვით, თუ სამედიცინო მანიპულაციების ჩატარება მხოლოდ სპეციალურად განკუთვნილ საპროცედუროებში იყო ნებადართული, სრულიად ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ტუალეტები ნარკოტიკის უცხო თვალისგან მაღლად შესაყვანადაც შეექმნათ. „რაღაც, იმის... სუნი ასდის მთელ ამ საქმესო“, ალნიშნავდა ის და მეცნიერული ირონიით, მორფინისტის ბედისწერას „ჩეჩიმის გარდაუვალობის ფენომენს“ უწოდებდა. მას ხომ კომარვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის რუსული სექტორი ჰქონდა დამთავრებული, ხოლო შემდეგ სამედიცინო მეცნიერებაშიც საკმაოდ წარმატებით მოღვაწეობდა.

## II. ჩერვების მჩავაცივების ტყვეობა

იმ საბედისწერო დღეს დევი კრამნიკს ტუალეტების შედარებითი შესწავლის ჩინებული საშუალება მიეცა. ყოველივე ერთ დღე-ღამეში მოხდა: ქუთაისში იყო, ექიმ მშობლებთან სტუმრად ჩავარდნილი – ძირითადად წამალზე, არც ზედმეტი ფული აწყენდა; იქვე, „სანავიციიდან“ („სანიტარული ავიაცია“ [საბჭ.] – რაიონში კვალიფიციური ექიმის სასწრაფო გამოძახება) დაურეკვეს; ღამითვე მატარებლით თბილისში გაემგზავრა. სანამ ბილე-თებს აიღებდა, ვაგონების შემადგენლობა ჩამოდგებოდა,

რაღა თქმა უნდა, დევიმ შარდოვანასა და ქუთაისის სადგურის ამიაკის სუნით გაუდენთილ ფეხსალაგში გასაჩერად შეირბინა. არც კაბინის კარი იკეტებოდა, შემობარბაცებულმა მექორნილებმაც შეუსწრეს... როგორც იქნა, ვენაში შევიდა, „კანტროლი“ მისცა და წამალი გაუშვა. შემდეგ იყო გზა. მატარებლის საპირფარეშო სასტიკად სძულდა:

— გარედან სულ ვიღაც გიყაკუნებს, კარების საკეტს ეჭიდება, ყურებში მატარებლის გრუხუნი გაწვება და, რაც მთავარია, იატაკი უხეშად ირყევა. რიტმს ვერ აუბამ, შეყვანის პროცედურა ძლიერ ძნელდება, თან ეს ფორმიანებიც სახიფათოდ მიდი-მოდიან.

შემდეგ მოვლენები მისთვის ჩვეული სქემით განვითარდა. „კალინინზე“, ტრავმატოლოგიურ კლინიკაში შეიარა, ქირურგს შეხვდა და მასთან ერთად ავადმყოფის პატრონის ცისფერი „ვოლგა-21“-ით, რიკოთის უღელტეხილის გავლით, სურამის ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში ჩავიდა. გზის სიგრძე დევიკასთვის, კილომეტრაჟის მაჩვენებელ ბოძებთან ერთად, შემხვედრი საპირფარეშოებით იყო მონიშნული. გზისპირა ტუალეტები, როგორც მანანალა ძალლს, სპეციფიკური სუნითა და მოსალოდნელი საფრთხით ამახსოვრებდნენ თავს. „თბილისშივე იმ დებილს – „ძროხას“ შევუარეთ, ვიფიქრე: „წამომყვება, ცოტას წამალსაც გაიკეთებს, მაინც ჩიტის დოზა ჰყოფნის და მეც გავერთობი“.

სურამში ლირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. „ცის-ფერვოლგიანი“ მსუქანი მამაკაცის მეულლეს ფეხი წვივში მოუტეხია. „მცირე“ ოპერაცია ჩატარებულა – ოსტეოსინთეზი (ბერძ. osteon – ძვალი, synthesis – შეერთება). მას ნაავარიებ ავადმყოფებზე ორი „უმნიშვნელო“ ქირურგიული ჩარევაც მოჰყოლია. დევიკა ოპერაციის მოცულობას, არა როგორც ანესთეზიოლოგი – ტრავმის სიმძიმისა და დაკარ-

გული სისხლის რაოდენობით აფასებდა, არამედ როგორც მორფინისტი – ქირურგიულ ჩარევაზე საჭირო ნარკოტიკის – ფენტანილის რაოდენობის მიხედვით მსჯელობდა. მთავარი მედდის მიერ ოპერაციებისთვის გამოყოფილი 25 ამპულა ფენტანილი ასე გადაუნაწილებია: 18 ამპულა – ექიმ დ. კრამბის, 5 – ავადმყოფებს, 2-ც „ძროხას“ (მომკვდარა რწყევით) და 200 მანეთი ფულიც ჩაუჯიბავს.

სალამოსკენ ცოლზე გადაყოლილ ღიპიან ქმარს დაუჩემებია – პური უნდა ვჭამოთ. „ცისფერვოლგიანი“ ხაშურის რაიონში განთქმული ღვინის ტექნოლოგი და თანაც სურამის ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს მთავარი ექიმის ძმაც ყოფილა.

– ბიჭო, გაჩერილს რა მექეიფებოდა, „პოლნი ბაკი“ მქონდა ჩასხმული! მაგათი მუავე ღვინო ვის უნდოდა, მაგრამ ბიძამ ვენები გადაიჭრა, თანაც ქირურგს და „ძროხას“ მაგრად შიოდათ. არ უნდა დავრჩენილიყავი, კაიფში არწყევდა და მაინც ჭამდა, „ძროხას“ ღორი დედას რო შ... იო – თავგადასავლის მხოლოდ მესამედ მოყოლისას დაამატა დევიმ. „ძროხას“ ხომ ჩემი მეგობარიც იყო და ამის გამო მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში აგინებდა:

– თან ღამდებოდა. ვიფიქრე: გამოვიძინებ და დილით სახლისკენ მივაწვები. იმხანად სახლში ცოლი – ნანაც მელოდებოდა, ჩემი ნანიტა და პანაწინა ლიკა... ეჰ... ფულს ჩავუტანდი, გავახარებდი!

„მესამე ჭიქა მუავე, ცივი ღვინის შემდეგ, ამ ლოთების გადამკიდე, ასო „ღ-ც კი გულს მირევდაო“ – შეზარხოშებული ტექნოლოგი გვერდზე გაუყვანია და ნაუცბათევად მოგონილი ტყუილი უთქვამს:

– ბატონი მურმან... თქვენს მეუღლესთან უნდა მივიღეთ სასწრაფოდ! წამოსვლისას რომ დავხედე, ჰაბიტუსი რაღაც არ მომენტონა... ძლიერი ტკივილი ჰქონდა, წნევამ არ აუწიოს. ჰიპერტონიის ფონზე არაა სასურველი, საში-

შიცაა! გამაყუჩებლები გვჭირდება, ოღონდ ფენტანილი – ეს წამალი სუნთქვას არ აჩერებს... გულში ხინჯად დარღს ლამით ნუ დავიტოვებთ.

აღელვებული მურმანი აფაცურებულა – ხრუსტალის ყანით განსხვავებული შეუსვამს, ერთი შამფური მწვადი მიუყოლებია და „ზამენა“ თამადაც დაუნიშნავს.

– მეღვინის დასთან მივედით, სურამის ტრავმატოლოგიურში გადარეკა. მთავარ ექიმს ვინ გაუბედავდა უარს?!

ერთი ყუთი ფენტალინი დევიკას ჯიბეში განმარტოვდა. წინ მთელი ღამე იყო: მჟავე, ცივი, საზიზღარი ღვინო, მთვრალების მომაპებრებელი ღრიანცელი და მეღვინის განკრიალებული, „ევრორემონტიანი“ საპირაფარეშო. მასპინძლის ტუალეტი: მუხის კარებით, ოქროსფერი საკეტით, „დაკიდული“ შუშის ჭერით, ჩეხური სანტექნიკითა და იტალიური კაფელი, ცისფერი უნიტაზი და შავი მეტლახი, ზედ შემთვრალი დევიკას სისხლის წვეთებით – „ნითელი სისხლი შავ მეტლახზე არ ჩანდაო“. არც მოუწმენდია, მხოლოდ ფეხსაცმელი გადაუსვამს.

### III. მესცის აოზა ბასტეა!

დილით ადრე, 7 იქნებოდა, ხაშურის რკინიგზის საავადმყოფოს მთავარი ექიმი მილიციის უფროსთან ერთად დასდგომიათ თავზე. მილიციელის მამისთვის მუცლის აორტის გარშემო მდებარე სიმსივნე უნდა ამოეკვეთათ. იმხანად კარგი ანესთეზიოლოგი წართმევაზე იყო, თბილისიდან ჩამოსული „პროფესორი“ ხომ – საოცნებოც.

– ბედად, დილის ლოთობას ავცდი! მე და „ძროხა“, როგორც საპატიო სტუმრები, შავი, სახურავზე მოკლე ანტენიანი „24“-ით ხაშურის რკინიგზის საავადმყოფოში

მიგვაპრძანეს.

...შუა ოპერაციისას მუცლის აორტა გასკდა! დილით მეღვინის „ევროტუალეტში“ ცოტა წამლის გაკეთება კი მოვასნარი, მაგრამ 5 ამპულა რას გეყოფა? დიდი შიში ვჭამე, მთელი საოპერაციო ალისფერი სისხლით გაი-ულინთა! გულის ყოველი შეკუმშვისას მუცლიდან წითელი შაშრევანი ასხამდა: „ფშშუ! ფშშუ!“ მე და ქირურგები საალდგომო კვერცხებივით შევიღებეთ. საოპერაციო ლამპა სისხლით დაიფარა, განათება პრაქტიკულად აღარ გვქონდა. წნევა ნულამდე დავარდა, პულსი არ ისინჯე-ბოდა... სასწრაფოდ, კათეტერი: ნაკადით გადასხმა, პრედნიზოლონი, მუცელში ქირურგების ბრმად ხელების ფათური... და... დაა, გა-დავ-რჩით! გული გაეშვა, წნევა 80-ზე გაჩერდა. ყველანი ოფლში გავინურეთ. მთელი ფენტალინი გარეთ გამოვიდა, შემამცივნა. მხოლოდ ჩემი ალისფრად შეღებილი ხალათილა იყო კაიფში. ბევრი ნარკოტიკი მიაქვს ავადმყოფზე ნერვიულობას, ბევრი...

3-4 საათის შემდეგ ოპერაცია, როგორც იქნა, დასრუ-ლებულა, ნაოპერაციევი მოხუცი რეანიმაციაში გადაუ-ყვანიათ:

– ამჯერად ენდემურ ფენტანილს გავუსინჯეთ გემო, იქვე, საოპერაციო ბლოკში, ტუალეტში გასვლა არც დაგვჭირდა. მარტო რომ დავრჩით, „ძროხას“ ვთხოვე, მედდების მაგიდიდან ბაიანი მოეწოდებინა. დაღლილი ლომკაში ვეღარ ვინძრეოდი. მაინცადამაინც სტერილური ზენარი ასწია და საოპერაციოდ გამზადებულ ინსტრუმენ-ტებში დაიწყო ხელის ფათური! ასეთი რეგვენი არაფერი მინახავს!

დავუყვირე: ბიჭო, ეგ სტერილურია, შე ჩემა, რას შვები?! მანდ ჭუჭყიანი ხელის შეყოფა როგორ შეიძლება?!

დებილმა მიპასუხა: „შე ჩემა, დავიბანე, საჭმელი რომ ვჭამეთ, მერე... ბოზის შვილი ვიყო! არ გჯერავს?“

რა გინდა უთხრა, გვიანდა იყო, „ძროხას“ მუდმივად შორისის ფხანით დაკავებული ხელის მიკრობები საოპერაციო ინსტრუმენტებზე გადაბარგდნენ. მივვარდი, 20-იანი შპრიცი თავისი ნემსითურთ ორი თითით ამოვასრიალე და ზენარი ისევ გადავაფარე. საოპერაციო მედდას ხომ ალარ ვეტყოდი – თქვენ მიერ გასტერილებულ ინსტრუმენტებში „ძროხამ“ ყველებიანი ხელი აფათურა-თქო. ისე დარჩა.

მონაპოვარი: მე – 10 ცალი, „ძროხას“ – 2. კვლავ რწყევით გასკდა, ტუალეტში სირბილი მაინც მოუნია და იქაური სურნელის ყნოსვა. მაგის! ფენტანილნარევი ოფლით სველი, გასისხლული ხალათი გავიხადე. ისეთ კაიფში იყო, ღონემიხდილი, კრახმალგამოცლილი და უფორმო. საცოდავს, იქვე, ემალის ტაშტში მიეძინა – იწვა თავისთვის საოპერაციო ტაშტში და ჩემ მაგიერ ყვინთაობდა. ოფლი, სისხლი და წამალი.

გაკეთების შემდეგ ისევ მოვყოჩალდი, სამედიცინო პერანგი მოვიცვი და რეანიმაციისკენ გაგსწიე. სიგარეჭს მოვუკიდე და მადიანად დავქაჩე. დერეფანში მილიციის უფროსი დამედევნა, ჯიბეში 100 მანეთს მიკუჭავდა. გავუძალიანდი, თავისი გაჭირვება ეყოფა-მეთქი – რამდენიმე თვეში პანკრეასის კიბოთი მამა მოუკვდება.

#### IV. ხავერდის №1 სახავებულებოს პირის განვითარების პროცესის უზრუნველყოფა

– ამ ჭიდაობაში ვართ, წინ დიდი ჩოჩქოლია. ამჯერად, ქალაქის საავადმყოფოდან არიან მოვარდნილნი, თოფით მუცელში ბიჭი დაუჭრიათ. ხომ იცი, ანესთეზიოლოგი რაიონში ახლაც დეფიციტია, ისეთი კვალიფიკაციის, როგორიც მე, თბილისშიც არ იყო ბევრი. ნაოპერაციებ ბაბუს დავხედე – ნორმალურადაა. მილიციელმა ისევ

ჭიდაობა დამიწყო. დავუთმე და „თეთრი ხალათის შავლა-ქებიან ჯიბეში“ ხელი, როგორც იქნა, ჩამისრიალა. 20 ექთანს ვაჩუქე, 30 ბაბუს ბალიშის ქვეშ ამოვუდე, 50-იც – მე. წავედით დაჭრილის გადასარჩენად, წინ!

დევიკა, როგორც ყველა წარკომანიაში დაძირული ადამიანი, საშინელი პესიმისტი იყო. გამუდმებით კაფუას კითხულობდა, ერთსა და იმავეს ბევრჯერ, განსაკუ-თორებით ტარაკანებზე, ვირთხებსა და თხუნელებზე. შავ თხელ ტომებს, ფრანცის ვერცხლისფერი ხელმოწერით, აკადემიკოსი მამის ბიბლიოთეკიდან, „ძროხას“ ჰპარა-ვდა. „კაფუას გონიერით რაც უფრო ვერ ვიგებ, გულით მით მეტად მევასებაო“.

– ადგილზე მივედით. საავადმყოფოს მოწყენილი, გატანჯული გამომეტყველება მიეღო. სახის კანი – კეთრო-ვანივით ხორკლიანი, სველი, ხავსმოკიდებული ბეტონი. შენობა ჩამსხვრეული ფარჯრებით მიმზერს. დაღებულ, ყოველივეს შთანმთქმელ ალუმინის პირს მივუახლოვდი და შუშის მაგიერ აჭედილი, ფანერის დამპალი კბილები გავიარე. წინ – ბეღლი გამოქვაბული, თხუნელების მრავალი შესაძრომით. ქირურგიაში ავედით. ავადმყოფი სადაცაა საოპერაციოში უნდა შეიყვანონ. უკვე წყნარადაა, მშვიდად კვერცხის – შერიგებულია სიკვდილს. დროზე უნდა შველა, სიკვდილი უნდა გადავაფიქრებინ.

ბლოკში შევაგორე, საკაცეზევე სწრაფად გავსინჯე. მუცელი ამოტრიალებულია კატლეტის აზელილი ფარში-ვით. სისხლი და დენთის მური. შავი ნასაფანტევი იარები ფუფუყებს. მიბჯენითაა ნასროლი. მოკლედ, დასაწყისის-თვის ორივეს წამალი გვჭირდება. მედდას გამაყუჩებლის გაკეთება დავავალე, გადასხმა დავუყენე და პირადი მარა-გებიდან დექსამეტაზონიც მივაყოლე. საოპერაციოდან ქირურგებთან სასაუბროდ გამოვედა. ჩემი კატეგორიული მოთხოვნა ასე უღერდა:

– ჩქარა ფენტანილი! ორი ყუთი – დროზე!

რაღაც ყოყმანობენ, ერთმანეთს გადახედეს, განძის გაცემა არ უნდათ.

– ორი ყუთი! სას-წრა-ფოდ!

ექიმები მტკიცე უარზე იდგნენ, განსაკუთრებით, ერთი დაბალი, მსუქანი, წვრილი ულვაშით. საუნჯე მას ჰქონია ჩაბარებული – ჩვენ საიდან ფენტანილი? მაშინვე უნდა მივმსვდარიყავი, რაღაც ესენი ცუდად იპრანჭებიან, ნარკობიზნესში იქნებიან ჩართულნი და ამიტომ ძუნწობენ. უნდა მეყიდა, ბიჭო, უნდაა! სიფრთხილე დაკვარგე – წამალი საჩქაროდ გვჭირდებოდა ორივეს – მეც და დაჭრილსაც.

დებატების დასასრულს დაბალმა მოკლე, მსუქანი ხელი არაქირურგიული, კოტიტა თითებით ჩაიქნია, ზიზლით შემომხედა და დერეფანში გაუჩინარდა. მთავარმა უთხრა, მიეციო, იქ ხომ პირობებს მე, „თბილისელი პროფესორი“, ვკარნახობდი.

ჯერ კიდევ იყო დრო, კოლეგების ლალატი მეგრძნო! „ძროხამაც“ მითხრა დაბალ-მსუქანზე, – „სომეხია, რაღაც არ მევასება ეგ როუა, არ ენდოო“. ნეტავ დამეჯერებინა, მაგრამ „ძროხაა“, როგორ გინდა მოუსმინო?

სანამ წამალს მომიცუნცულებდნენ, დამხმარე ექთანი – „ანესთეზისტკა“ – დავარიგე, ავადმყოფი წინა საოპერაციოდან მაგიდაზე გადავაწვინე და მეორე ვენაში „რინგერი“ დავუყენე, მაინც, რა იცი, რა ხდება... მუცელი – აზელილი სისხლი და დენთის მური, კვლავ ფუყფუყებს. ახლოდან უსვრია, ნაბიჭვარს, მიბჯენით!.. თუმცა, რას გაიგებ, ვინ იყო დამნაშავე?

რელანიუმი, დიმედროლი – ატროპინით დავამატე, სულ მიყუჩდა, თვალები მილულა. ქირურგებმა ხელის ბანა დაიწყეს. საოპერაციოს ალუმინის კარის ჭრიალი მომესმა, მივხვდი, შიკრიკი მოპრძანდა! მოვიდა ჩემი გაო-

ფლილი, აქოშინებული, მსუქანი – ფენტანილის ულვაშიანი მაცნე! გულდაწყვეტით მომაწოდა, შუბლზე ეწერა – ოჟ, ეს დაჭრილი რომ არა, მე კი ვიცი, შენ რას მოგცემდიო. მიღწეული გამარჯვებით აღელვებულს შემიყვარდა კიდეც „კოტიტა“. ქირურგებს დავუბარე:

– თქვენ საოპერაციო ველი მოამზადეთ, გაპარსეთ, გან-მინდეთ, მე ახლავე მოვალ. საოპერაციოდან გასვლისას უკან მოვიხედე: მთელი მედ-პერსონალი დაკვირვებით მიცემდა, თვალებით მაცილებდნენ და მზერით ხაშურის №1 საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ტუა-ლეტშიც შემომყვნენ. ოცი თვალი მაინც იქნებოდა, რომ წამომყვა, დერეფანში კიდევ ამდენივე ამედევნა, ავივსე მოწებებული თვალებით... და ზედმეტი ყურადღებისგან საკუთარი დამიბნელდა – ამპულების სიგრძეს ყურადღება არ მივაქციე!

არა და მანამ უნდა მეყიდდა! „კოტიტას“, ყუთებს რომ მაძლევდა, თვალები დაურბოდა, მზერას ვერ მისწორებდა. ვერ დავწვი მე გომიმა, მეჩქარებოდა – სულ სისხლში იყო მუცელი! შავი ნასაფანტევი იარები, სუნთქვისას ფუყფუ-ყებდა, შველას ითხოვდა, მაგის დედაც!

საოპერაციოდან გასვლამდე ერთი ყუთი ფენტანილი ექთანს დავუტოვე და „ანესტეზისტკის“ მაგიდიდან 20-იანი „რეკორდი“ შეუმჩნევლად ჯიბეში ჩავიცურე. მანამ დაჭრილის მუცელს გაპარსავდნენ (სანიტარი, როგორც ეს ყველა საავადმყოფოში ხდება, „პრიტვას“ ეძებს დუდლუ-ნით, დიდხანს), ქირურგები საოპერაციო არეს ანტისეპ-ტიკური ხსნარით დაამუშავებდნენ, გაჩერასაც თავისუ-ფლად ვასწრებდი და სიგარეტის გემრიელად გაბოლება-საც. მაგრამ ხომ იცი, ბიჭო, წამალმა არ იცის სიდინჯე. საოპერაციო ბლოკიდან მაინც გიუივით გამოვვარდი, „ძროხას“ ჩავუქროლე და ხაშურის №1 საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ღირშესანიშნავ ტუალეტში

ფეხი შევდგი... ოჰ, ნეტავ სულ არ დავპადებულიყავი, ან იქ შესვლამდე მომტეხოდა ფეხი! ოლონდ იქ არ შევსულიყავი, მაგის დედაც!

მუავე სუნი, ხაშურის ქირურგიული განყოფილების ფეხ-სალაგში რომ იდგა, რიკოთის ულელტეხილისა თუ ქუთაი-სის ვაგზლის ჩეჩიმების მეთანის ჩამყაყებული სიმყრალი-საგან, ნაკლები სიმძაფრით აშკარად განსხვავდებოდა, თუმცა, იგი არ იყო იმგვარად დამახასიათებელი სამედი-ცინო დაწესებულებისთვის, როგორიც სურამის საავადმ-ყოფოს და მით უმეტეს, თბილისის ტრავმატოლოგიური, ო. ღუდუშაურის სახელობის კლინიკის, სუფთა ტუალე-ტების დახვეწილი, ქაფურნარევი სურნელებაა. ექიმ დევი კრამნიკის ხაშურის ფეხსალაგის არც თუ ისე სასიამოვნო არომატი თავიდან მოსწონებია კიდეც: „ასეა, როდესაც ჯიბეში წამალი გიდევს, კაიფის ასოციაცია მყრალ სუნსაც კი კეთილსურნელებად აქცევს“.

– ბიჭო, მე ამდენს ვშრომობ, სიქა გამძვრა, ვნერვიუ-ლობ, ეს დებილი მაინც ვერ მოვიშორე. შემცა, გამიკეთე, გამიკეთეო! არადა, მეორე დღეა არწყევს, რაღად უნდა?! მაგის ფენტანილი დედაც! სულ ამირია დებილმა თავგზა, „ძროხას“ დედაც! ერთი კი არის, არ დავმალავ, გამაფრ-თხილა – სომეხია, თვალებში უყურე, მაგის დედაცო! ძმაო, ოჩილ, არ გეწყინოს, ამდენ „დედებში“ სულ დავიბენი: „ძროხას“, სომეხის, ფენტანილის – ჩემი დედას რომ შ.....ი!

ასე მეტყველებდა – ბაზრობდა დევიკა შემდეგაც, როდე-საც მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა. ალელვე-ბულმა დევიკამ მორიგ სიგარეტს მოუკიდა, ღრმად დაანა-ფაზა და თხრობა განავრძო:

– ფეხსალაგში შევვარდი, აცახცახებული ხელებით 10-ვე ამპულას თავები კბილებით მოვაკვნიტე. ენა გამეჭრა, პირი წვეტიანი შუშებით ამევსო, ტუჩიდანაც სისხლი მდიოდა, პირში მუავე გემო ჩამიდგა. წამალი ამოვსრუპე – 20 კუბი

და ხერხივით ბლაგვი „რეკორდის“ ნემსით შევუდექი ვენე-ბის თხრას. „ცენტრალუა“ (ანუ დიდი, ცენტრალური ვენა) ბლაგვი ნემსით, როგორც იქნა, შევგლიჯე და გავუშვი. დგუშმა ერთი-ორი კუბი უკნიდან გააპარა. 10 კუბის ნიშ-ნულზე რაღაც ცუდი ვიგრძენი – თითქოს, ვიღაც თავში ხელს მკრავდა, არასასიამოვნო ტალღამ დამიარა... მაინც ბოლომდე მივაწექი დაა: დროპერიდოლი აღმოჩნდა – 20 „კუბი“ დრო-პე-რი-დო-ლი!!!

ეს ამბავი 7-ჯერ მაინც მომითხოვ, შვიდჯერვე ერთნაირად, მოყოლიდან მოყოლამდე მხოლოდ „ძროხას“ გინება მატულობდა. დროპერიდოლის პირველად ხსენებისთანავე მთელი ტანით შეკრთა, მხრები ჩამოუვარდა, ცრემლიანი თვალებით უმწეოდ მიყურებდა: „ძმაო, ოჩილ, ერთადერთ შემთხვევაში წალდი წავიბოზებ!“ – დროპერიდოლი, რომ გამიკეთონო. არადა „ძალლებს“ სულ რტყმაში ჰყავდათ, ერთხელაც არ გამტყდარა, ის ხომ „ლირსების კოდექსს“ ზედმინევნით იცავდა.

– ბიჭო, შენ მაინც ხომ იცი დროპერიდოლი რაცაა!  
– ჰო, ნეიროლეფტიკია, 10-ჯერ ძლიერია ამინაზინზე...  
– არა! არა! ეგ სტუდენტურ წიგნებში, არიფებისთვის წერია – მაგრად აწყნარებსო, ამშვიდებსო... მერე აღმოვაჩინე, დისერტაციას რომ ვწერდი – დროპერიდოლის ავტორებს მუნ დე ლეერსა და დე კასტროს ადამიანის ფსიქიკაზე პრეპარატის მოქმედებისთვის „გაქვავების სინდრომი“ უწოდებიათ! ანუ გაქვავებს და ძეგლივით უმოძრაოს გხდის. გვერდიდან თითქოს მშვიდად ხარ, პროსტა, გან-ძრევის ტრაკი არა გაქვს, ქვა ხარ, ერთი დიდი ლოდი! თან ეს ლოდი რაღაც საშინელებებზე ფიქრობს! სიძლიერეს რაც შეეხება, ზოგი მონაცემით, ამინაზინზე 16-ჯერ ძლიერია! შენ, აზრზე ხარ?..

## V. ახალი სახელმწიფო პრინციპები

სულ ბოლოს ხაშურის ამბავს უკანასკნელად, მე-7-დ რომ მიყვებოდა, ანესთეზიოლოგობა კარგა ხნის მიტოვებული ჰქონდა, ზოგადი მედიცინაც აქა-იქ ახსოვდა. ამერიკაში გადასახლებული დედის ვაკის ხუთოთახიანი ბინა თავისი ავეჯით გაუყიდია და ხილიანზე ერთოთახიანში გადასულა. „შტატებში ოპიუმი, ანჰიდრიდი, „რასტვარიტელი“ და მარნეულელი მესიკა სად ვეძებოო“ – დედისთვის უთქამს და თბილისში დარჩენილა. მთელი ფულით, 80 000 მაინც იქნებოდა, წამალი უყიდია და გამხმარ, დაკარგულ ვენებში გაუშვია.

იმჟამად ექიმად აღარც მუშაობდა, დილიდან მარნეულის გავლით ოპიუმის საყიდლად კიროვობადში დაქროდა. მარშრუტი: რუსთაველი „სვეტაფორა“, მარნეულელი მესიკა და „კიტაია“, ყაზახელი ილხამა, კიროვობადელი ნორიკა და ამირა.

მორიგი შეხვედრისას მიამბო: „ახალი გამოსული ვარ. კირავაბადში დამიჭირეს და სანამ ჩემები ფულს გადაიხდინენ, საგიჟეთში დამამწყვდიდეს! „ბადენ-ბადენის“ (დღე-ვანდელი განჯის, ყოფილი კიროვობადის მორფინისტული სახელი) პირველი მაისის რაიონული განყოფილების „უგროზისკის“ უფროსმა დაკითხვაზე მითხრა: „თი ნე ქანდი-დათ მედიცინსკის ნაუქ, ა თი ქანდიდათ ნარქოლოგიჩესკის ნაუქ!“

დევი ორ რაიმეს არ ითვლიდა და ყურადღებასაც ნაკლებს აქცევდა – დროს და ფულს:

– ამბობენ: „დრო – ფულიაო“... ოღონდ, ზოგს გროვება იტაცებს, ზოგსაც – ფლანგვა. მე უკანასკნელთა რიცხვს მივეკუთნები – ფულის დედაც მ...ნ და ზევიდან გაცდენილი დროისაც! ჩემი თავისთვის ბევრჯერ მიკი-

თხავს: ბიჭო, წამალმა ამდენი გაჭირვება გამოგაცდევინა, პროფესია, ოჯახი, მთელი ცხოვრება დაკარგე და თავი-დან რომ დაგაწყებინა, როგორ მოიქცეოდი? ბევრი ვიფი-ქრე და დავასკვენი: წამალს მაინც გავიკეთებდი, ოღონძ უფრო ჭკვიანურად. ეს დედა მ....ი, ხომ იცი, როგორი მაგარი რამეა, ერთხელ თუ გაუსინჯე გემო, დამთავრდა – ასი ცხოვრება რომ იცხოვრო, კაიფს მაინც ვერ დაი-ვინყებ! ჭკვიანურად კეთებაზე რა გითხრა, აბა? მოკლედ, წამლის ერთადერთი პრინციპია – თავიდან ერთხელაც არ გასინჯო! თუ არა და მ....ი გაქვს დედის ტ....ი!

ასეთი „იდეინი“ მორფინისტი გახლდათ დევიდ ლეოპოლდის ძე კრამნიკი. ბოლოს „ძალლებისგან ატმაზ-კისთვის“ ლიკასთან ერთად მხოლოდ მარნეულში დადიოდა – მესიკასთან, დღეში ორჯერ: დილით ადრე და შეღამები-სას. კიროვობადი უკვე შორს იყო, ძალლების გამოც ჭირდა წასვლა. შვილს თუ არ ჩავთვლით, წამლის გარდა ვეღარა-ფერზე ფიქრობდა – იმიტომ ვიკეთებ, რომ ლიკა ვნახო, აბა, ისე საწილიდან ვერ ვდგებიო:

– ამ ცხოვრებას, ბიჭო, ვერაფერი გავუგე. რისთვის ცხოვრობს ეს ხალხი? რა უნდათ? ისე მოვკვდები, ჭიანჭვე-ლების საქმიანი ფუსფუსის აზრს მაინც ვერ გავიგებ... თუ ტარაკანების ან ვირთხების? არც ვიცი, მაგათ რა ჰქვიათ? ცხოვრების ერთადერთი აზრი შვილებია! მაგარი რამეა! ისეთი ძლიერია, რაღაც ცხოველურია მაგ სიყვარულში, პირველყოფილი.

უკანასკნელად რომ შემხვდა თავისი ნარინჯისფერი „06“-ით, ზამთარი იდგა. შიშველ ფეხზე შავი „ბასანოუკები“ ჩამოეცვა – ახლა ჩამოვედი მარნეულიდან, გზაში მესიკას-თან კარგად გავიკეთეო! მასთან ბინაში ავედით: პატარა 5 X 4-ზე ოთახი, სამზარეულო, გაერთიანებული აბაზანა-ტუალეტი, გამჯდარი სიგარეტის, „რასტვარიტელის“, ანჰიდრიდის და მარტოობის სუნით. ოთახში „ლექანკა“,

გვერდზე დაბალი მაგიდა, ზედ „ბიჩოკებით“ სავსე საფერ-ფლე, ტელევიზორი, სკოჭჩ-გადაკრული პულტი. აბაზანაში შემიყვანა, ჩამქრალი მზერით მომიტრიალდა:

– იმ ფულით მარტო აბაზანა-ტუალეტი გავარემონტე, დანარჩენზე ალარ მეყო, წამალი ხომ იცი, დაითვალე, მეტი არც გამოდის. პრინციპში, მთელი დღე მაინც აქ ვზივარ, ჩეჩიმა მაინც იყოს ნორმალური. რომ ვიკეთებ, მიჭირს, 1 საათი მაინც ვეძებ ვენებს და ოთახში ხომ არ ვიჩალიჩებ. მერე კუჭის გამორეცხვებს ვიწყებ, ხომ იცი, ზაპორების ამბავი. თან „ჩ“ – მაქვს, ციროზით... ერთი, სპიდს ამაცდინა ღმერთმა. ამასობაში ღამეც მოდის და ისევ მარნეულში მიწევს წამალზე წასვლა.

დევიკამ ხელი შორისში ჩაიყო, ვერცხლის ქალალდში გახვეული ოპიუმიანი ცელოფანი გააძრო და კარგა მოზრდილი – 2-3 გრამი იქნებოდა – ბურთულის ხარშვას შეუდგა.

– გაიკეთებ?

– ...

– კარგი, არ გინდა, არ გინდა, არ დაჯდე ისევ. ისეეე, რა იშუსტრე, ბიჭო! ვინ როგორ გამოიყენებს უარყოფით გამოცდილებას. მა-ლა-დეც!

ამასობაში, საცოდავი დევიკა თავის გაერთიანებულ ევრო-აბაზანა-ტუალეტში სხეულზე ბაბოჩკით ქარგვასა და გამქრალი ვენების ძიებას შეუდგა. ჯერ იღლიაში სცადა, მერე „პახში“ ანუ შორისში. იტალიური ვარდისფერი კაფელით განყობილ საპირფარეშოში, თეთრ ჩეხურ უნიტაზზე, შიშველი, გასისხლული იჯდა – დაწყლულებული, გაშავებული ჩონჩხი, თავის ქალაში მწარე ცრემლით სავსე ჩასმული კაკლებით. ოფლი, სისხლი და ცრემლები.

10 კუბი ოპიუმის „ბანია“ თავისი რელანიუმით, პიპოლ-ფენითა და როპიპნოლით, როგორც იქნა, გაიკეთა. იქვე პეშვით რაღაც ტაბლეტები მიაყოლა. ერთი საათი შარვალ-ჩახდილს და ყბაჩამოვარდნილს ეძინა. შემდეგ თვალები

ოდნავ შეახილა, წამოდგა, ბარბაცით ოთახში გამოვიდა, სიგარეტს მოუკიდა:

– ბიჭო, მაგრად ცუდად ვარ, დავიბრიდები მალე, სტო-პრო დავიბრიდები. ღმერთის საკითხმა მაგრად დამაინტე-რესა, მაგრამ შენ არ გეცოდინება, ჯერ ჯანმრთელი ხარ, რომ დაგენძრევა, მერე მიხვდები. გინდა გაიგო ხაშურში რა მომივიდა?.. რაღაც მინდა გიჩვენო, ოღონდ არ დამცინო...

დევიკამ ლეიბი ასწია და იქედან გადაკეცილ გაზეთში ჩადებული თაბახის გაყვითლებული ფურცლები ამოიღო:

– მე დავწერე, დროპერიდოლი რომ გავიკეთე ხაშურის საავადმყოფოს ტუალეტში. ვიცი, შენ რაღაცებს წერ, ნახე, ეგებ გამოგადგეს. თუ გამოაქვეყნე, იცოდე, ჩემი სახელი შეცვალე, ძალლები ხომ იცი!

სიკვდილის პირას მდგარსაც კი, დევიკას მილიციის აჩრდილი მუდამ სდევდა. ეს საზარელი, დამამცირებელი გრძნობა მხოლოდ გარდაცვალებასთან ერთად თუ გაქრებოდა. დევიკა „ლეჟანკაზე“ მიწვა და ჩაყვინთა. თითებში ჩამწვარი სიგარეტი ამოვაცალე, რატომლაც ოფლიან შუბლზე ვაკოცე და გარეთ გამოვედი...

## VI. „შჩანც ქაფქას ბაქვავებაზე სიხეროიან“

...ფურცლებს ჩაისა და ყავის ლაქები ამშვენებდა, ზოგიც სიგარეტით იყო ამომწვარი, რამდენიმეს გამხმარი სისხლის ჟანგისფერი წვეთები ეტყობოდა. ოფლი, სისხლი, დროპერიდოლი.

პირველ გვერდზე ეწერა: „დროპერიდოლის 20 კუბი!“.

„ზოგჯერ მიკვირს, ადამიანებმა როგორ შეძლეს ცნება „მხიარულება“ გამოეგონებინათ; სრულიად შესაძლოა,

რომ მათ ის მხოლოდ თეორიულად – წინააღმდეგ სევდისა გამოიანგარიშეს“ – ფ. კაფუა (წერილებიდან მიღენას)

ჩამჯდარი ვარ ხაშურის საავადმყოფოს საზოგადოებრივი დროში. დროპერიდოლი გავიკეთე 20 კუბი! მანამ შეუცნობადი ეჭვები სწორი აღმოჩნდა! სომები ქართველ კოლეგებთან ერთად ბარიგობდა, ანუ ფენტანილს ყიდდა. შემდეგ ვიღაც მცოდნე ფალსიფიკატორი ცარიელ ამპულებში ამ საშინელ დროპერიდოლს ასხამდა. ქირურგებიც კმაყოფილნი იყვნენ, მორფინისტებიც. ნარკოზში მყოფი ავადმყოფი ხომ ვერ იტყოდა, ნარკოტიკის მაგიერ დროპერიდოლი რატომ გამიკეთეთო? რატომ, თქვე ჩემისებომ?!

ღორობამ დამღუპა, ვიჩქარე. აი, თურმე რატომ არ მაძლევდნენ წამალს, მიხვდნენ ვინც ვიყავი, გამხელის ეშინოდათ ამ ბოზებს! დროპერიდოლი – ოჟ, ეს მედიკოსი ნარკომანის ბედისწერა და განგება! ჩაუზული, როგორც ვიჯექი, ისევე დავრჩი. ერთ უშველებელ, დაუცველ, სიმარტივეში მყოფ, ჩაფიქრებულ ქვის ლოდად ვიქეცი. ტვინში ტყვიასავით მძიმე ბურუსი და უსასრულოდ გრძელი გვირაბიდან მომავალი სიჩუმე ჩამოწვა. შიში და შფოთი. ბაზრის დახლზე ღორის შეტრუსული თავი. ცუდად გაპარსული დიდი ყურებითა და დრუნჩით – ასე, 500 კგ-ს მაინც იწონის, ამდენივე ზურგზე დამაწვა და ფეხებში მომთელა.

მუნ დე ლერისა და დე კასტროს ბელგიურ-ფრანგული შედევრია – „ფრანც კაფუას გაქვავების სინდრომი“! ოჟ, ეგენი დამაჭურინა სადმე ვაკეში და ორივესთვის ორ-ორი კუბი მაინც გამაკეთებინა! ჩემში დიდ კლდოვან მთას უზარმაზარი ტალღები შენელებულად ეჯახება, ოღონდ უხმოდ, ჩუმად. პერიოდულად მთას ვეებერთელა ლოდები სწყდება და ისინი თავში იწყებენ გორვას.

2,0 კუბი დროპერიდოლი სავსებით საკმარისია სრული „გაქვავებისთვის“. 20,0 კი ას გიუს ადგილზე მიაყინავს. მე

რას მიზამდა?! უკიდეგანო, აზვირთებულ ოკეანეში ერთ დიდ, ქვის „ტიტანიკად“ ვიქეცი. ერთადერთ აზრობრივ სხივს, ჯერ კიდევ მიბმულს რეალობასთან, აციმციმებს დაჭრილის დამშვიდებული სახე და კატლეტის ფარში-ვით ამოტრიალებული, სისხლით მოფუყუყუყე მუცელი. სადღაც ბნელი გვირაბის უსასრულობაში ჩემი ხვედრიც თრთოლვით ელის მძიმე განაჩენს. წინ ხანგრძლივი, ძნელი ოპერაცია – რა ვქნა?! ტუალეტში აღელვებული „ძროხა“ შემოვარდა:

– ბიჭო, ამდენი ხანია, სადა ხარ?! არ მიკეთებ?! წამალი ამოიღე დროზე, რაა...

მთამ ნათქვამი შორიდან წარმოთქმულივით გაიგონა და... პასუხი დაეზიარა:

– წადი შენიი-ი

საპირფარეშოს კარს მიღმა მრავალხმოვანი ბგერები ვიბრირებდა:

– რას შვება? არ გამოდის? ქირურგები ელოდებიან! კლდე მძიმედ წამოდგა და ბარბაცით, იატაკზე ფეხის დაუბიჯებლად, გემივით ნელი სვლით გასცურა. სანამ საოპერაციომდე მიმავალ დერეფანს გადალახავდა, ხომალდს დიდი თეთრი აისბერგი შეეჯახა. ყინულს დაჭრილი ბიჭის პატრონების იერი ჰქონდა. წამლის მოქმედება ძლიერდებოდა, „ტიტანიკმა“ წყლით ავსება იწყო. სული და ხორცი ერთმანეთს საბოლოოდ გაეყარა.

...საოპერაციო მოცულობაში მეტად გაზრდილა, ჭერი ძლიერ დანეულა, შიგ მყოფი ადამიანები დაპატარავებულან. მთა გულივერის მზერით უცქერდა ლილიპუტებს: დაბალ ჭერზე – „შ“-ის გრეხილით დაკიდებული, გამაღიზიანებელი ყვითელი სინათლით, საოპერაციო ლამპა, რომელიც იისვერი წერტილ-ხაზებით სამედიცინო პერსონალს ედება; ცენტრში – მაგიდაზე გაწოლილი გასისხლიანებული არსება, რემბრანტისეული ცეცხლით კაშკაშად

განათებული; სურათის სიღრმეში – მწვანე ხალათებში ბნელით მოცული ქირურგები, პირზე აკრული ბადეებით, მხოლოდ თვალები უჩანთ და დიდი, წაწვეტებული ყურები; ხელთათმანიანი ხელები დამახასიათებელ მდგომარეობაში – იდაყვში მოხრილი, ზემოთ აწეული გაწვდენილი თითებით; მსუქან, ღიპიან ქირურგს ულვაში ხაზივით დასწვრილებია, ხელის გულები ერთმანეთზე მიუდია, თითები ერთმანეთში გაუყრია; საოპერაციო მედდა თავის პატარა, ამაღლებულ მაგიდასთან ფუსფუსებს, ნიკელით მოელვარე ინსტრუმენტებს ჩუმად ალაგებს, სისხლის საშრობ ტამპონებს ამზადებს; ქვის ცივი იატაკი.

ერთადერთი ნავთსაყუდელი ამ უცხო, მტრულად აზვირთებულ ოკეანეში ჩემი საყვარელი ექთანი „ანესთეზისტკა“! ისიც რემბრანტის ცეცხლით ალმოდებული დგას, მე მელოდება! საერთოდაც, ამ პროფესიის გოგონები გამორჩევით კოხტები და ლამაზები არიან, ზოგი ქოფაკის გარდა, წამალს ქორივით რომ სდარაჯობენ, ისეთების. „ტიტანიკა“ ამ თვალებშეღებილ, კოპნია ნავთსაყუდელისკენ ნელი სვლით გეზი აიღო. ღუზა ჩუმი გრუხუნით წყალში ჩაუშვა და ავადმყოფის მიძინებულ თავთან, საოპერაციო მაგიდის ცივ რკინას ორივე ხელით ჩაებლაუჭა. მთას ერთი დიდი ლოდი მოსწყდა, შემდეგ – მეორე... და უხმოდ, შეეფებით, ოკეანეში ჩაეშვა. „ანესთეზისტკა“ გაკვირვებული გამომეტყველებით, სექსუალურად, ოდნავ შეღებული პირით ელოდა მთის მითითებებს. ყველა თვალი შემოსულ, დეფორმირებულ ობიექტს ყურადღებით ათვალიერებდა.

კლდეს უშველებელი ტალღა შეასკდა, იგი თითქოს შექანდა. მან ხელები მთელი ძალ-ლონის მოხმობით საოპერაციო მაგიდას ჩასჭიდა და ავადმყოფს ნახევრად მიღულულ თვალებში ჩააშტერდა: „ეჱ, შე საცოდავო, რა დღეში ვართ ორივენი“.

– ექიმო, რა გჭირს, ცუდად ხომ არა ხარ? – გაისმა „ანეს-

თეზისტკას“ ხმა.

„თქვენობით რომ აღარ მომმართავს, ცუდი ნიშანია, ეტყობა, არ უნდა იყოს საქმე კარგადო“, გაიფიქრა მთამ:

– ჰო... ძალლ...ნ ცუ... დთ...

ამ დროს ექთანი ქირურგებთან ზურგით დგება და ვითომ შეუმჩნევლად, თვალებს ჩქარ-ჩქარა აფართოებს და ცხვირით მთის მარჯვენა ხელის იდაყვზე მიანიშნებს. გაქვავებული „ტიტანიკ“ ხალათზე დიდ ლაქას უცქერს, ხელი რომ იხრება იქ. სისხლი, სველი ღაულაჟა სიწითლით ქვემოთ ვრცელდება... „რა ცოცხალი წითელია, რა სხვა-ნაირად წებოვანად სველი!“ ჩაბნელებული უსასრულო გვირაბი სისხლის სილამაზით მოიხიბლა (სქელი, ბლა-გვი ნემსით გავიკეთე. სიჩქარეში, ხელზე ცხვირსახო-ცის გადაჭერა დამვიწყებია. სისხლი პირდაპირი სვლით ვენიდან მოედინება და თეთრი ხალათის გავლით წითელ, ძალიან ცოცხალ წვეთებად ქვის ცივ იატაკზე ეცემა):

– მკიდ... ცუდდ...თ ვრ... ძლ... ცუდ.. – მთა მთვრალივით მრავალმნიშვნელოვნად თავს აქიცინებდა.

– რა ვქნათ, ექიმო?!

„კიდევ კარგი, შენ მყავხარ, ჩემო ცქრიალა! აბა, „კოტიტა“ მზადაა ხელთათმანები მოიძროს და ყელში მწვდეს. ამ გველს თვალები სულ დავიწროებია, სხვებსაც გამარჯვებით უყურებს, – ხომ გეუბნებოდით, ვინცაა ეს თბილისელიო! წუთიერად სული ხორცს შეუერთდა, დროის შეგრძნებაც თითქოს დაბრუნდა! „ოჳ, „კოტიტა“, შენი თავი მომცა კეკელიძეზეე!“ – ლოდი ზანტად მრისხანებდა. სული ისევ გვირაბის ბნელ ეთერში განზავდა:

– ვინმე მო... ყვ...ნ... დრზზზზე! მე ვკრ...ნახბ – დიდი ძალისხმევის შემდეგ გამოთქვა მთამ. ხუთ-ათ წუთში, ნახევარ საათზე მეტი არ იქნებოდა (ქვის დრო სულ სხვა, გვირაბის გაწელილ სივრცეში მიედინება), ახალგაზრდა პრაქტიკანტი ფერია შემოფრინდა: მე არა, მე არაო, ჯერ

არაფერი ვიცი, მეშინიაო – წიკვინებდა. ამასობაში სანიტრებმა ჩემი მფარველი ანგელოზის – „ანესთეზისტკა“ მედდის მითითებით „ლეჟანკა“ შემოიტანეს, საოპერაციო მაგიდასთან, ავადმყოფის პარალელურად განათავსეს და კლდე ზედ წამოაწვინეს. „ტიტანიკი“ შეუდგა ბნელი გვირაბიდან ნარკოზის წარმართვას.

მთავარი ახლა ინტუბაცია იყო, ანუ ტრაქეიდან ფილტვებში (ბრონქებში) დრეკადი პლასტმასის მილის ჩათხრა, რათა შემდგომ ამ მილის მეშვეობით ავადმყოფი შეუერთო აპარატს და ხელოვნური სუნთქვა აწარმოო. სულ ერთნამიანი მანიპულაციაა, მაგრამ სახითათო. პაციენტის სუნთქვა ამ დროს გათიშულია, მაქსიმუმ 5 წუთში თუ ვერ დააინტუბირე, იქაურია!

ლოდი უსაშველოდ გადიდდა, უკიდეგანო გვირაბი გაიზელა, კლდოვან ნაპირს მორიგი ვეებერთელა ტალღა ჩუმად შეასკდა:

– გექ... სე... ნალლი... შეყვნ... ჰო... ეს... მიდი, წნუუ გშინი! მიდი! მიდი!

მთამ ქვის სიმტკიცე დამწყებ ექიმს უკლებლივ გადასცა. ინტუბაცია წარმატებით განხორციელდა და დაჭრილი ხელოვნურ სუნთქვაზე გადაიყვანეს. მთამ შვებით ამოისუნთქა. დროპერიდოლის რეზინივით დრეკადმა მასამ საოპერაციოს სივრცე მთლად ამოაგსო და გამოტქესა რა კარები, საავადმყოფოს დერეფნებში ჭყლეტით გაფართოებას შეუდგა. შემდეგ რაფებიდან ფანჯრები ამოაგდო და ხაშურის ქუჩებში გაედინა. თვალები დახუჭა, ხაშურის ქუჩებიდან ეზოებში შეედინა და სახლებს მიადგა. მეტად აღარ გავრცელებულა...

ბუნდოვნად მახსოვს მხოლოდ ის, რომ ოპერაცია დასრულდა, ბიჭი გადარჩა! გვიან ღამით ხაშურის საავადმყოფოს ცივ, მიტოვებულ საკუჭნაო-პალატაში გამეღვიძა. გაოფლილი ვეგდე ჭუჭყიან ლეიბზე, თეთრეულის გარეშე.

დროპერიდოლის ვულკანის ამოფრქვევით გამოწვეული მინისძვრა შეჩერებულიყო, ლავა ქუჩებიდან უკანსვლით, საავადმყოფოს ფანჯრების გავლით ყურებში შემოედინებოდა. გვირაბის სივრცის უსასრულობაც შემცირებულიყო. ძველი გამოცდილებით ვიცოდი – საბოლოო გამოჯანმრთელებამდე, როგორც ეს წიგნებში ეწერა, მინიმუმ 48 საათი მაინც უნდა გასულიყო, თან ახლა ახალ მეთოდიკას ვეცნობოდი – 20 გრამიანს!

„ძროხა“ შემოეთრია, ისევ იმავეს ითხოვს – წამალი უნდა ამ დებილს. მაგის თავი მქონდა?!:

– წადი შენი...  
– წამოხვალ? გურამა ვნახე, საშარაფოდ მივდივართ – მაგარი ლვინო, კაი მწვადი!

„ძროხა“ ინსტიტუტის ხაშურელი მეგობარი უნახავს და ეს მართლა ძროხა, გასართობად ემზადებოდა.

– რა მექეიფება, თუ ძმა ხარ, ლავა შემდის ყურებში.  
– რაა?!

– წადი შენი... ანესთეზისტება მოიყვანე, რაღაც ვუთხრა.  
„ძროხა“ ახალგაზრდა ექთნები ძლიერ უყვარს... პრინციპში, ხნიერებიც და არაექთნებიც, მაგ ხურუშიანს! სიამოვნებით გამეგზავნა. გზად გურამას ხატა თუ ექნებაო, ფიქრობდა. ჩემი საყვარელი ცქრიალა შემოფრინდა:

– ჩემო გოგო, ჩემო ფერია!  
– გისმენთ, დევი ექიმო...  
– დაჭრილი რას შვება?  
– კარგადაა, დევი ექიმო!  
– წადი, ერთი 3-4 ამპულა სედუქსენი ამომილე და ვენაში გამიკეთე... ჰო, არ დაგავიწყდეს! – იმ კოტიტა ქირურგს გადაეცი – მე მაგის დედას შევეცი ა-ლა-ლი გუ-ლით!!!

დევი კრამნიკი, 1984 წელი

## VII. ქათაისები ნოვაცია - ციფრული მატერიალის და ტეატრის!

დაღონებული, ძალაგამოცლილი დევიკა, ხაშურიდან პირდაპირ ქუთაისში ჩასულა. სახლში მივიდა და ოომკაც თან მიიტანა. გამოსავალი არსაიდან ჩანდა, არც ადგილობრივ მორფინისტებს იცნობდა. მამის ტახტზე მტკიცე გადაწყვეტილებით დაიძინა, რადაც უნდა დასჯდომოდა, სანადელისთვის მაინც მიერწია. ძილშიც კი წამალზე ფიქრობდა. თვალი სულ ნახევარი საათის მიხუჭული ჰქონდა, როდესაც ქვემოთ ჭუჭყიანმა სისველემ გააღვიძა... სიზმრად ხაშურელი, ოდნავ შეღებული პირით, ექთანი „ანესთეზისტკა“ ენახა. თვალებაცრემლებული, ლიმონივით გამოწურული დევიკა ტახტზე ეგდო. საწოლის ამობურცული ზამბარა გვერდში უშნოდ ერჭობოდა.

ამასობაში რეინიგზის საავადმყოფოს პოლიკლინიკიდან ექიმი მამა დაბრუნებულა. მამამ გამოიცვალა, წამოწოლილ დევიკასთან მივიდა, შუბლზე აკოცა, თავზე ხელი ალერსიანად გადაუსვა:

– დევი, მოდი, ვისადილოთ, საჭმელს გავაცხელებ, კარგი?

მამამ კარადიდან სამედიცინო სპირტი გამოილო. გაუზავებლად ჩაარტყეს. მამა-შვილი მაგიდასთან ისხდა და ერთ-მანეთს მიმდინარე პრობლემებს გულითადად უზიარებდა:

– ამ დღეებში სამინისტროდან კომისია ჩამოდის. მთელი ქალაქის ექიმობა ფეხზეა, ისტორიებს ალამაზებენ, ლევს აპრავებენ. აი, მე რომ მთავარი ექიმი ვიყავი, სულ სხვა-გვარად იყო...

დანარჩენი დევიკას არც კი მოუსმენია, მამა ხმაჩანეულ ტელეწამყვანად იქცა. წამალზე მოწყურებული და მხოლოდ ერთი მიმართულებით მოაზროვნე მორფინისტის ტვინის უჯრედებში გეგმა ელვისებური სისწრაფით მწი-

ფუდებოდა. სიგარეტს მოუკიდა, ერთი ჭიქა სპირტიც მიარ-ტყა. სულ ოფლში გაიწურა და დროებით, ისევ მამის საე-თერო ტალღაზე გადაერთო:

– მამა, დამიჯერე, დაიკიდე. მაგათი დედაც! მომწყინდა მაგ პარტიულ არამზადებზე საუბარი. მაგათი ცხოვრების აზრი მხოლოდ ფული და „კალბასია“... კიდევ მსუქანი, „წითელპამადიანი“ ბოზები. ეგენი ძროხები არიან და თან რძესაც არ იძლევიან. მაგათი დედაც იქ მ...ნ! დაიკიდე, სხვანაირად მაინც არ გამოდის.

დედას დაურეკა, ერთი-ორი-სამი ტრამალი მინდაო. სამალავი გაუმხილეს, საძილესთან ერთად დალია, ძლივს დაიბანა, გაიპარსა და შედარებით წყნარად მიიძინა. დილით ადრიანად წამოვარდა, შიშველმა, პირველად, სარკესთან ჩვეულებრივი, არაოპტიკური შუშებით სათვალე მოირგო და რამდენიმე ჩინოვიკური სახის გამომეტყველება მოსინჯა. კოსტიუმსა და ჰალსტუხში გამოეწყო და გარეთ გავიდა. გზად სახელგამში შეიარა, კონვერტის მსგავსი, სამინისტროს მუშაკები რომ ატარებდნენ, ისეთი, შავი დერმატინის პაპკა შეიძინა. ყალბი საბუთები, ისევე როგორც ოქროსფერ ჩარჩოიანი სათვალე, ხომ ისედაც მუდამ თან ჰქონდა.

10 საათისთვის, დევიკამ საავადმყოფოს შესასვლელში მდგომ დარაჯ-სანიტარს ჯანმრთელობის სამინისტროს წითელ ტყავში ჩასმული საბუთი დაანახა და ახალი თეთრი „09“ ზედ კლინიკის კარებთან მიაყენა. ნარინჯისფერ „06“-მდე ეს მანქანა ჰყავდა, მანამ რუხი „ვოლგა-24“, შემდეგ ღია ყავისფერი „07“ – საჭესთან ჩაძინებულმა ან მილიციის მიერ დევნილმა ყველა ავარიაში დაამსხვრია და ისე გაყიდა.

შენობაში შესვლამდე ჰალსტუხი გაისწორა, ფარულად პირჯვარი გადაისახა, ტფუ-ტფუ-ტფუ, თქვა და გრილ დერეფანში შეაბიჯა. მთავარი ექიმის კაბინეტში დილის

კონფერენცია დასასრულს უახლოვდებოდა. საბუთების წარდგენა არც დასჭირვებია. მთავარ ექიმს, ხელმძღვანელი მუშავის დამუშავებული უესტით, მხოლოდ სამინისტროს წითელი წიგნაკი შორიდან დაანახა, რაც დამფრთხალი ექიმებისთვის საკმარისი აღმოჩნდა, რათა მთელი პერსონალი დევიკას ფეხ-ქვეშ გაგებოდა. მხრებზე გაკრახმალებული ხალათი მოასხეს და იგი საავადმყოფოს შემოწმების ღვაწლს მიეცა.

არც დევიკას საბუთები, არც მისი რევიზორული გამოცდილება არ გახდდათ სავსებით ყალბი. უბრალოდ, ორივე წარსულიდან იყო, რადგან სამინისტროდან, უამრავი გაცდენის გამო, ის სულ სამი წლის წინ გაათავისუფლეს. ექიმ დევი კრამნიკს წელიწადში ერთხელ მხოლოდ მოძველებული თარიღის გადასწორება უწევდა. ახლადგამომცხვარი კონტროლიორი, განსაკუთრებით დაკვირვებული და მკაცრი, ქირურგიული განყოფილების შემოწმებისას შეიქნა. ბოლოს ბრძანა – ნარკოტიკები მთავარი ექიმის კაბინეტში ჩამოეტანათ. იქ დევიკა გულდასმით შეუდგა მთავარი ექიმის მიერ ჩამოცუნცულებული ნარკოტიკების რაოდენობისა და მათი აღრიცხვიანობის უურნალის შესავლა-შედარებას.

აქამდე გეგმა დასახული მონახაზით წარიმართა, ახლა საქმის კეთილად დაბოლოებადა იყო დარჩენილი. სულ რაღაც ერთი სხარტი მოძრაობა და საავადმყოფოს ნარკოტიკიანი ამპულები „კუკლებით“ ანუ წყალჩასხმულებით შეიცვლებოდა. დროპერიდოლიან „კუკლებს“, ჰუმანური მოსაზრების გამო, პრინციპულად არ იყენებდა!

მსუქანი, ულვაშიანი დეიდა – საავადმყოფოს მთავარი ექიმი – მის მიერვე სათუთად ჩამობრძანებულ ნარკოტიკულ განძს ქორივით დაჰყურებდა. ქალბატონმა ოქროს-ფერ სათვალეს ამოფარებული ნარკომანის მზერა გამოცდილი თვალით განჭვრიტა. მთავარი ექიმის წინაღობის

გადალახვის შეუძლებლობაში რევიზორი ამპულების შეცვლის პირველივე მცდელობაზე დარწმუნდა. როგორც კი დევიკამ დამატებითი საბუთები მოსთხოვა, რათა ზედა-მხედველი კაბინეტიდან გაეშვა, ქალი ამპულებს ეცა, მაგი-დაზე გადმოაწყო და დემონსტრატიულად ორ სახაზავს შორის მოაქცია:

– ხომ ხედავთ, ბატონო ექიმო, ყველა ერთი სიგრძისაა! ექთანმა ზიზღიანი მზერით დევიკას არაოპტიკური შუშები გაბურდა და დავალებულ საბუთებზე გავიდა. ამპულების უმანკოების სადარაჯოზე მდგომ ქალბატონს იმ დროისათვის სრულიად ნოვატორული „კუკლების“ დამ-ზადების საიდუმლო ხერხი სცოდნია. ამპულების ფალსი-ფიკაციის მეთოდიკის შესახებ თბილისშიც კი ერთი-ორმა მკეთებლებთან გათქვეფილმა ახალგაზრდა ექთანმა თუ იცოდა. ქუთაისისვის ესოდენ განსწავლულობა დევიკას უკიდეგანო ფანტაზიის მქონე გონებასაც კი აღემატებოდა! „ბიჭო, ბედი არ გინდა?! ასიანი მივხვდი, შვილი ჰყავდა ნარკამანი!“ – სამინისტროს რევიზორმა მთავარი ექთნის სასტიკი ხვედრი ბიბლიური წინასწარმეტყველივით ზუს-ტად განჭვრიტა. „მაინცადამაინც მე შემხვდა, ჩემი ბედის დედას რო შევეცი!“

ამპულების ფალსიფიკაციის ოსტატს – ექიმ-ანეს-თეზიოლოგ დევი კრამნიკს – ამ ფილიგრანულ ხელოვნებაში დედაქალაქშიც კი ბადალი არ ჰყავდა! შეცვლისთვის წინასწარ გამზადებული გამოცვლილი ამპულებიც დევიკას კოსტიუმის გულის ჯიბეში ედო. ტრაგედიის არსი კი შემ-დეგში მდგომარეობდა: თავების მოხერხვისა და შემდგომი გაზქურაზე შედებულების შედეგად, ფალსიფიცირებული ამპულები ორიგინალთან შედარებისას 2-3 მილიმეტრით მოკლე იქნებოდა.

დევიკას გული ჩაუვარდა და „გენიალური“ გეგმის კრახს მწუხარებით შეურიგდა:

– ვინ დამთარსა, რა საშინელ „პალასაში“ ვარ, რა ხდება, ღმერთო?!

– მერამდენედ ამოიოხრა ცრემლმორეულმა დევიკამ. შემოწმების დასასრულს რევიზორმა ბოლო ხრიკი მაინც მოსინჯა და... გაუმართლა! მთავარი ექიმისა და ფხი-ზელი მედდის თანდასწრებით მან თავის ტკივილი მოიმი-ზეზა და მეორე დღემდე, სანამ შემოწმებას გააგრძელებდა, ამპულები იქვე, კაბინეტის სეიფში დალუქეს. ბრძოლის გასაგრძელებლად მზად მყოფი, თეთრ ქათქათა ხალათში გამოწყობილი, ღოინჯშემოყრილი ულვაშიანი დედაკაცი გამარჯვებული მხედართმთავრის მზერით დევიკას წელ-შიგატეხილ სილუეტს დერეფანში მიაცილებდა...

სახლში დაბრუნებულმა ტრამალი მაინც მოიძია, დედის რამდენიმე სამალავი გადაჩერიკა და დაიძინა. გეგმის დამა-გვირგვინებელი ეტაპი ლამის სიბნელეს ელოდა...

დევიკა საავადმყოფოსკენ დაიძრა. კოსტიუმსა და ჰალს-ტუხში გამოწყობილ სოლიდურ მამაკაცს რატომდაც, კვლავ ოქროსფერი სათვალე ეკეთა და იღლიაში რევიზო-რის შავი დერმატინის პაპკა ჰქონდა ამოჩრილი. მთვარიანი ლამე იდგა. დევიკა ხარაზოვის ბალს მიადგა, გალაკტიონის თავთან შეჩერდა, მასთან ერთად ცაში აიხედა. კუთხეში, გაზონზე, რამდენიმე საეჭვო გარეგნობის მამაკაცი შენიშნა, ისინი რაღაცის მოლოდინში, გამუდმებით საათზე იყურებოდნენ და ვიღაცას უკანასკნელი სიტყვებით აგი-ნებდნენ. თითქოს, ადგილობრივ „თანაპარტიელებს“ ჰგა-ვდნენ...

შენობას ქუჩის მხრიდან მიადგა. ორი-სამი მარჯვე მოძრაობა და იგი მეორე სართულზე, მთავარი ექიმის კაბი-ნეტის აივანზე დახტა. საზაფხულოდ გახსნილი სარკმლის დახმარებით კარები შეხსნა და კაბინეტში შეაბიჯა. ასან-თიც გაკრა და დიდი საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო. გასა-ლები ადგილზე იდო. სეიფი გახსნა, წამალი გამოალაგა და აკანკალებული ხელებით პრომედოლის ყუთი გახლიჩა.

ხაშურმოვლილი, დამბლაში მყოფი, მიძინებული კუჭ-ნაწლავი წამლის დანახვაზე ხალისიანად ამოძრავდა და დევიკას გამხმარი მუცელი მტკივნეულად გაჭრა. შემდეგ ხანჯალი ჩასცა! მეორედ, კიდევ და კიდევ! საჭმლის მომნე-ლეპელი ტრაქტი, ჩამხმარ მწვადებთან, ხარჩოსთან, განსა-კუთრებით კი გოჭის ხორცთან თანაცხოვრების აუტანლო-ბას მწარე კონვულსიებით აპროტესტებდა. აღარც ღვიძლს სურდა მომწამვლელი წარჩენების დესპოტური ბატონობის ატანა. მოთმენა სულ მეტად ჭირდა...

დევიკამ გაიხსენა: ხაშური, დროპერიდოლი, „ანეს-თეზისტკა“, პოლუცია, განვლილი დღე – გულგატეხილი მამის შესიებული სახე, ულვაშიანი ექთნის დამცინავი მზერა და მედიდური დოინჯი... ის მთავარი ექიმის დიდ, მწვანე მაუდ-გადაკრულ მაგიდაზე მარდად ახტა, შარ-ვალი ჩაიძრო და ხაშურში მირთმეული სურსათ-სანოვაგის გარეთ გადმოტვირთვას შეუკავებლად შეუდგა. პროტესტი მე რომ ვიცი, ისეთი უნდაო! – გაიფიქრა.

კონვულსიები ოდნავ რომ მოეშვა, აუდგომლად, 10 ამჰულა „ხირანის“ შპრიცით ამონწუპა და მთავარი ექიმის ლამპის შუქზე ვენაში შეასრიალა. „ლვთიურმა“ სითხემ, რატომდაც „წმინდა ელენეს ცრემლებს“ რომ ეძახდნენ, სითბო ვენიდან სხეულის ყოველ უჯრედამდე მიიტანა. თანდათან დევიკას ფრჩხილები, თმებიც კი წარკოტიკით გაიჟილინთა – იგი მაგრად ჩაკაიფდა! თითქოს გაუგებარია, რისთვის ითხოვს წამალს, მაგალითად, თმები ან ყურები? ცხვირი გასავებია – მოსაფხანად! ამგვარ ყოვლისმომცველ ზემოქმედებას ნახევარი საათი მაინც სჭირდება, რადგან დასაწყისში შეყვანილი წამლის კარგა დიდ ნაწილს „ლომკა ჭამს“ – მილიარდობით ორგანიზმის უჯრედი, ყველა ცალ-ცალკე, თავის ულუფას ითხოვს, ხდება დამშეული ქსოვი-ლების გაჯერება, ამას კი დრო მიაქვს. ჩამჯდარმა, თვალე-ბმილულულმა დევიკამ სიგარეტიც იქვე გააბოლა.

...ერთ საათში დევიკა ბლომად ამპულებით ჯიბეში, მამასთან ერთად ტელევიზორს უცქერდა. გახარებული, ოდნავ ჩაფიქრებული დედა სამზარეულოში ვახშამს ამზადებდა. ცენტრალური ტელევიზით, ლუცერნიდან თუ ბერნიდან (შეიძლება ციურისიდანაც?) ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიო ჩემპიონატს უჩვენებდნენ. ლუცერნი, ბერნი, ციურისი... ჩაკაიფებულ დევიკას ამ სპორტის მხოლოდ ესთეტური მხარე აინტერესებდა და ის, რომ სანახაობა კაპიტალისტურ ქვეყანაში ტარდებოდა: ოფლი, სისხლი და თავისუფლება.

შემთვრალი მამა სიყვარულით სავსე, იმედიანი თვალებით ექიმ დევი კრამბის უმზერდა, დედა კუზნეცოვის სერვიზს მაგიდაზე სათუთად აწყობდა.

დილით მისულ მთავარ ექიმს კაბინეტში სოციალისტური რეალიზმის ტრადიციებში შესრულებული ნატურმორტი დახვდა: კედელზე მედლებიანი ლ. ი. ბრეჟევის მოზრდილი პორტრეტი; აივნის ღია კარი და დროშასავით ქარზე აფრიალებული ნეილონის თეთრი ფარდა, რაღაცით მაგიდის მწვანე მაუდზე დაწებებული; ცისფრად გადაღებილი სეიფის ღია კარი შიგ გაყრილი გასაღებით. დიდ მაგიდაზე: მწვანე შუშიანი, ანთებული ღამის ლამპა, არეული, დაკუჭული საბუთები, რომელთაც ზემოდან, სოკოს გადაუხარშავი ნაწილაკებით, ყავისფერი მასა გადასხმოდა... ამ ჩათლახს რა უჭამია! – გაუფიქრია ღიპიან მთავარს. მთავარ ექთანს გამოუძახა, მდივანს დამლაგებლის მოყვანა უბრძანა.

შემოლივლივებულმა ულვაშიანმა დეიდამ, განავლის გვერდზე ნაცნობი შავი დერმატინის პაპკა შენიშნა:

– გრიგორიჩ, ეგი ვისია?!

– რა ვიცი, ქეთო! ჩავყოფ ცხვირს და გევიგებ, ისე! მაგრათ კი უჭამია, ვინცხაა!

– არა, არა! მაი, არა – პაპკა ვისია, პაპკა?!

...დილით ადრიანად გაღვიძებული დევიკა ღვთიურ გან-გებულებაზე ფიქრობდა და შიშველი, ლოგინზე წამომჯ-დარი, „ბაიანში“ წამალს იღებდა:

– აი, თუ არაა ღმერთი! ხომ გამისწორა მაგათ ჯინაზე!

ბარემ კარგად გავიკეთებ და სალამომდე აღარ დამჭირ-დება დამატებაო – იფიქრა და ძირითად დოზას კიდევ ხუთი ამპულა მიამატა. ამგვარად წყნარ, იდილიურ მდგომარეო-ბაში, მომავალი შეცვლებისთვის, ამპულებს თავებს აკურა-ტულად ახერხავდა. ხელით შავი დერმატინის პაპკა მოიძე-ბნა – მუყაოს მრგვალი ხერხები იქ ედო, წინა განყოფილე-ბაში... ელდა ეცა! ჯერ საქმეო – უცებ გადაწყვიტა. იქვე მხვრინავი მამის „პადტიაჟუკები“ მაჯაზე გადაიჭირა და წამალი გაუშვა. პრომედოლის ნაზ, ხავერდოვან პრიხოდში რევიზორ დევი კრამნიკს შავი დერმატინის პაპკა, შიგ მოთავსებული საკუთარი ნაღდი საბუთებით და გადაკე-თებული რიცხვით ელანდებოდა...

დანარჩენი საბუთები: პასპორტი, სამუშაო ადგილიდან პარტკომისა და პროფკომის დახასიათება, საფიჩეილი ქუჩის კომიტეტის ყალბი ცნობა დევიკას ვითომდა ოჯახის ერთადერთი მარჩენალობის შესახებ მშობლებს მილიციაში ჩაატანინეს. „სროკს“ მათმა ავტორიტეტმა და ფულმა გადაარჩინა. საკანში სამდლიანი ჯდომის მიუხედავად, დევიკა ოპერაციის შედეგებს მაინც დადებითად აფასებდა – შავი „პალასა“ ხომ გადავტეხე წელშიო! რაც მთავარია, დროპერიდოლის ნარჩენები გამოდევნა წამალმაო! პატი-მრობიდან დაბრუნებულს კარადის თავზე „ულვაშიანი ექთნის შვილის სახელზე“, 30 ამპულა „უხეში“ მორფინიც ჰქონდა გადანახული.

## VIII. პაის თუ ახა დავითი?

ექიმ დევი კრამნიკის ყოფიერების ძირითადი კითხვა დიდად აღელვებდა. ლმერთზე ფიქრი მით უფრო ხშირად უწევდა, რაც მეტად ეფლობოდა ნარკომანის ჭაობში.

მოსკოვში დისერტაციაზე სამუშაოდ ჩასულ დევიკას პროფესორმა ტიგრან მოსეს ძე დარბინიანმა, დალლილმა კომუნისტების ათეისტური პროპაგანდით, საკითხი ასე განუმარტა:

— გაუგებარია, თუ ლმერთი არ არსებობს, მისი ამდენი ლანძლვა-გინება რა საჭიროა? ხოლო თუ იგი ნამდვილად არის — მისი ძაგებით ლმერთთან ურთიერთობა რატომ უნდა გავიფუჭოთ?

გავიდა დრო. ამგვარად ზედაპირული, მომხმარებლური მიდგომა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, ანეს-თეზიოლოგ-რეანიმატოლოგ დევი კრამნიკის მომაკვდავ სულს უკვე აღარ აკმაყოფილებდა. მან მთელი ტანჯული ცხოვრება გამოსავლის ძიებაში გაატარა და ბოლოს „ცხოველ ლმერთს“ მიადგა. იმჟამად იგი ნარკომანის უკანასკნელ სტადიაში იმყოფებოდა, სვამდა კიდეც. მის სიმბოლოებით დაშიფრულ, წყვეტილ ლუდლულს ერთი-ორი ადამიანი თუ იგებდა, მათ შორის მეც. ამიტომ მიწევს წამოწლილი დევიკას მონათხრობის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა.

მაშ ასე, ექიმ-ანესთეზიოლოგ დევი კრამნიკის მიერ „ლეჟანკაზე“ ყვინთაობისას მოთხრობილი ისტორიის დასასრული თავისი თეოლოგიური დასკვნით:

— რა არი, იცი, მე იმდენად ნაგლიც არა ვარ, ლმერთი რომ უარვყო, მაგრამ იმათსავით თვითდაჯერებული ბალვანიც ვერ ვიქნები, მის რეალურად არსებობას დარწმუნებით რომ ქადაგებენ — ისე, თითქოს გუშინ „სტრელკაზე“ ნახეს.

არ გაუგრძელებია. „არ განიკითხოო“, ასე ასწავლეს. იმ დროისთვის სანთლის დასანთებად უკვე ეკლესიაში დადიოდა, შვილთან ერთად რომ გაიკეთებდა, მერე:

– ამ ცხოვრების რეალობას მხოლოდ შვილის ჭიკარტით ვარ მიმსჯვალული. ეს ბოლო სამაგრიც მალე მოსწყდება. ჩემი ფურცელი მორცინისტების საპატიო დაფიდან ჩამოვარდება, მას ქარი ააფრიალებს და სადღაც წაიღებს... ნამალი კი მორიგი მსხვერპლის სურათს მიაკრავს...

მაგარი რამე გითხრა! ბიჭო, ხაშურელი დაჭრილის ბედი მოვიკითხე, სასწაული მომხდარა, ღვთის მართლმსაჯულებაში საბოლოოდ დავრწმუნდი. აი, მაგისი კი ნაღდათ მჯერა! დაჭრამდე იმ ბიჭისთვის 15 წლის ცოლის დასთან ნათესავებს შეუსწრიათ. გოგოს ძმას იმ ნაბოზვრისთვის თოფი მუცელში ჯიგრულად ჩაუცლია!

ბიჭო, „ძროხაც“ მთლად დამნაშავე არ ყოფილა. ფაქტია – იმ არამზადას, თან ოხრად ეშმაკები მოყვებოდა, ალბათ სულ გარს ეხვივნენ. ყველას გვაცდუნებდნენ – მეც, „კოტიტასაც“ და „ძროხასაც“! ერთი-ორი ეშმა ზურგზე ხომ მეც აუცილებლად შემომახტებოდა. ჰოდა, სომეხმა დროპერიდოლიანი მოკლე ამპულები რომ შემომაჩეჩა, თვალები დამიბნელეს, ვერ შევამჩნიე...

მოკლედ, ჩემი აზრი ასეთია: რადგან ეშმაკები იავნად არიან, ესე იგი ღმერთიც არსებობს! – საწინააღმდეგოზე დაყრდნობის მეთოდით დაასკვნა მორწმუნე დევიკამ და მიაყოლა:

– აბა, იმ მანიაკს, ჯერ ჩემი გადამკიდე, ცოცხალს რა გადაარჩენდა და მერე ვინ მოკლავდა?! პასუხი ერთია – მხოლოდ ღმერთი!

დაჭრილს ოპერაციის შემდეგ ხელი ოდნავ დასჩირქებია – ჭრილობაში ერთი-ორი საფანტი ჩარჩენილა. ანთება ძვალზე გავრცელებულა. 20-მდე ოპერაცია – ძვლის ფხე-კითა და საშინელი ტკივილებით – გადაუტანია. ბოლოს

ძალამიხდილს ანაერობული ინფექციით სული დაულევია – ექთნების წყევლაში, ყველასგან მიტოვებულს, საავად-მყოფოს ჭუჭყიან ლოგინზე. როგორც ერთი ეკლესიური რიტუალის აღსრულებისას ამბობენ – აქსიოს (ლირსია)!

დევიკა კი წამალსა და თეოლოგიურ ძიებებში ჩაიძირა... პასუხი კითხვაზე, არის თუ არა ღმერთი, ზედმიწევნით ზუსტადაც დაადგინა. ვაკის ბინაში აღებული ფულით, 80 000 მაინც იქნებოდა, წამალი იყიდა, მთლიანად გამხმარ, დაკარგულ ვენებში გაუშვა და ისე დაიბრიდა. სულ რაღაც 10-15 წლის წინ „კაიფში გაპარული“ სახლში უპოვიათ. მონდომებულ მეგობრებს კარები შეუმტვრევიათ – ეგებ წამალი დარჩა მიმალული სადმეო.

„ძროხა“ დღესაც, გარეგნულად მაინც, თითქოს ცოცხალია. დევიკას გარდაცვალების შემდეგ ოცთეთრიან არყებს სვამდა, ბევრს. აბა, დარმავონ წამალს ვინ მიართმევდა, „მერძევე“ საიქიოს მოუტყდა. „ზედმეტს შვებოდა და აბა, რა მოუვიდოდაო“, ასე ამბობდა დევიკაზე. „ძროხა“ ექი-მებმა ძლივს გადაარჩინეს. ცოლიც გამძლე შეხვდა, ლოგი-ნად ჩავარდნილს უვლიდა. ბედი უნდა, ძმაო, ყველაფერს, ბე-დი!

ჩემთვის ყველაფერი ჩემივე დაბადების დღეს, 31 აგვისტოს დაიწყო – დევიკამ, როგორც იუბილარი, „ისე დამპატიუა. აი, ასე შემოაბიჯა „თათარმა ბარიგამ“ ყვერებში ამოდებული ამპულებით „ბადენ-ბადენის“ სასტუმრო „ქიაფაზში“ და ჩემს ცხოვრებაში. მაგრამ ამაზე სხვა დროს...

მე იმავე დროპერიდოლმა გადამარჩინა, აღარ გამამეორებინა დევიკას მიერ განვლილი გზა. მეგობარ ექთანს შემთხვევით შპრიცები არევია და ამ საშინელი პრეპარატის 2-3 კუბი გავიკეთე. ჩემს მდგომარეობას ვერც კი გადმოვცემ! გარეთ გამოსვლა და ტაქსიში ჩაჯდომა მოვასწარი. ბარნოვის ხიდზე ჩამოვედი, ვიდექი და ვფიქრობდი – ახლავე გადავხტე და დავეხეთქო კეკელიძის ქუჩაზე,

თუ მეზარება? ერთი კვირა თავში ლოდები დაგორავდა,  
თავის მოკვლა საოცნებო შემექნა. განცდილი შოკი იმდე-  
ნად ძლიერი იყო, რომ ნარკოტიკზე ფიქრიც კი დამავიწყა!  
სულ 2 კუბის ერთმა ინექციამ, აბაა!



## სპეციალისტი – „ოქი მუცხვის გენ“

„ჩემი აზრით, ომის ვეტერანთაგან ყველაზე სიმპათიურები, ყველაზე კეთილები, ყველაზე მომლხენი და ყველაზე მეტად ომის მოძულენი ისინი არიან, ვინც ნამდვილად იბრძოდა“

კურტ ვონეგუტი, „სასაკლაო ნომერი ხუთი, ანუ ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა“



სახელი ვიზუალი.

## სახელი სახელი

ეს ომი რაღა იყო? მე კიდევ გავიუქება მაკლდა?! დაარყებული ტვინი ისედაც ასტრალშია გასული. სულ გადავედი ჭკუიდან. ჯერ მაგრად არ ისროლდნენ. აქა-იქ მხოლოდ. ისიც ღამით. საქმე, გართობა? ცოტა გაკეთება. ბევრი პლანი არყით. ვარაზისხევით ტელევიზიის მიტიგზე. ან იშვიათად პარლამენტთან. ტელევიზიის მიტინგი სჯობდა – იქ ნაცნობიც მეტი იყო, ცნობილი ადამიანიც, თან, წამალს თუ არა, გაბოლებას მაინც გამოჰკრავდი ხელს. გაუთავებელმა სმამ, პოლიტიკურ კამათში გათენებულმა ღამეებმა ძლიერ დამლალა...

ერთი სიტყვით, თბილისმა თავი მომაბეზრა. არა შუქი, არა გაზი, ცივა. მაგიდიდან, სკამებიდან თუნუქის „პილკები“ ტომატიანი ბიჩოკებით იკრიჭებიან. არა და, გარშემო ყველა გაიძახის – მთელ საქართველოში შუქი მხოლოდ სამტრედიაშია! სახლი მაქვს იქ დიდი, დედ-მამა ცხოვრობს. მეც ვიფიქრე: „ნავალ, ჩემთვის წყნარად წამოვწვები, სმასაც გადავაგდებ, ტელევიზორია, რამე, პლანი... ეს აურზაურიც მე აღარ მეხება – თავიდან ჰო, ყველასი იყო, მათ შორის ჩემიც, ახლა სხვისი გახდა...“

მშვიდობის ოზისში დილით ჩავედი! სადგურზე ერთი-ორი ავტომატიანი შევნიშნე, არ მევასა, მაგრამ სახლში მისულს გადამავიწყდა. ფორმიანები იყვნენ, ეგ არაფერი, მაგათ „AKM“-ც უხდებათ, ისეა აპასი - ბენდენებზე და ტყავის უილეტებზე. დედის გამომცხვარი ცხელი ხაჭაპური, ლიმონიანი ჩაი, ტარიანშიც საუკუნეა არ მომიწევია

– დახურა! წამოვუნექი, „Marlboro Lights“ ტკბილად გავაბოლე, ტელევიზორი ჩავრთე – საკაიფო შიშინია! მაგრად ასწორებს სამტრედია! ნეტარებაში ჩამეძინა.

ათისთვის გავიღვიძე, კარგადაც გავიზმორე და გავაგრძელე საწოლში ნეპივრობა. ისევ ჩაი, შეცხელებული ხაჭაპური, თხელი გაბოლება, ჯერ დილაა მაინც. სამსახურში წასულ დედას მაცივარში მწვანე „Heineken“-ბი შეუწყვია და მესამედი ბოთლი ვისკი. მთლიანი არ დატოვა, სულ არ დალიოსო. ყველაფერი მივიღე, რამსები გავასწორე და მომავალზე ფიქრს შევუდექი. ვაზროვნებ და ვფიქრობ, ვარ ასეთ განცხრომაში. ზღაპარი გრძელდება! ტელეფონის ზარი, დედაჩემია – ზურა, ეგ ვისკი არ დალიო, აგერ ორი ამპულა მორფი გიჩალიჩეო, ეგებ, შვილო, ლოთობა გადა-აგდოო. სიზმარში ვარ?! კაი, ჩემო საყვარელო დედიკო-მეთეი! აქამდე წამოვთრეულიყავი, რა ჯანდაბა მინდოდა ამ დამპალ თბილისში?!

ორი კარგია, მაგრამ სმას ასე ადვილად ვერ გადავაგდებ, დიდი ხანია ალკოჰოლს ვუძერავ, დედას უნდა ვუთხრა – მარაგი მჭირდება. ამასობაში ავტოც მოქროლდა, ექთანი შემოცუნცულდა და მორცხვად გაღიმებულმა, მეც ყველა-ფრის აზრზე ვარო, ორი შუშა ჩამიჩრიალა. შევედი, ორი ამპულა – „ლან!“ ზედ ერთი ვისკიც – „სკოტჩ!“ გავხდი კოსმონავტი – ნუ, გაგარინი თუ არა, ტერეშკოვა მაინც! ისევ წამოვგორდი, თვალმილულული სიგარეტს ვაბოლებ.

მეზობელი გენო შემოვიდა – ბარო ოჩილაო! ბარო, ბარო-მეთეი! მამაჩემთან ჩუიდან ორი ქალია მანქანის საყიდლად ჩამოსული, თან მაგარი აქვთ ჩამოტანილიო. ათასი მანეთი ჭიქაო. ვაა, ეს სადა ვაარ?! ბოლოს და ბოლოს დავპრედილ-ვარ, ვერ გამიგია და სამოთხეშიც გავჩითულვარ, თუ რა ხდება?! მაგრამ გამოცდილი გაიძვერა ვარ, ეგრევე გავიფიქრე: „ეე, ჩემო ოჩილ, რაღაც საეჭვოდ გიმართლებს! თუ დიდ გასაჭირს აუცილებლად მხიარულება მოჰყვება და

პირიქით, შესაბამისად, წესით, შენ ამ დღეებში ბომბი მაინც უნდა დაგეცეს თავზე – აბა, რომელი ღმერთი შეგარჩენს ერთად ამდენ გასწორებას?!“...

ფიქრებმა წამილო, ღვთიური „ბომბდამშენის“ მოლო-დინი გამძაფრდა. შიში ვისკი უხდება... დავლიე, გამიარა. გენო-გენადი გამოვიძახე.

– რაო, ჩუ-ჩუ დეიდებმა?

– „ჩუ“ რატომ?

– თან ჩუ-იდან არიან, თან პლანი ა-ჩუ-მებს, ჩუუ... ასე.

– მართალს იძახი, ოჩილა... ბიჭო... უფ, არც წეეთრენ ე შობელძალლები, დემედალა ტვინი! ბედი არ გინდა – სად ჩუი და სად სამტრედია? რა ვქიათ?

– უყურე, ფული მაქვს, აი, ათი ჭიქისაა! ჰოუ, რა გაშტერებული მიყურებ, ცივი წყალი შეისხი, ცოტა აზრზე მოხვალ, ბიჭო! რამ გაგამტერა, მთელი დღე ეწევი, არა?

– უფ, მაგრათ ვარ, ოჩილა, უბედურათ წამილო... კაროჩე, ათი წამევილო, ხო?

– ჰო, ჰო და აღარ მოწიო. მაიცა, ასი გრამი დაარტყი, ვისკია, ცოტას გამოგიყვანს, თორე სახლს ვერ მიაგნებ, ისე ხარ.

მოიტანა – ათი! ჯიში – „Белый Спирт“! მწვანეა, მოთე-თრო და იმიტომ. გავაბოლეთ და წავიდა, ხუთი მასტირკაც თან გაიყოლა. სრული ნეტარებისთვის ყველაფერი მაქვა! გარიურაჟიდან ტახტზე იკოტრიალე, მონატრებულ შიშინს უსმინე, გრძლად გააბოლე და იყავი! არა, ჯერ მოწევა არ შეიძლება! თავიდან ჩაი უნდა, კატერპინ-ტრამალ-რელა-დორმებით, შემდეგ – ასი გრამი ვისკი, ნახევარი საათი საამური ციმციმის ცქერა და მერე მოსაწევი, ისე წამლის გახსნას ვერ გაიგებ. დილის რვისთვის გახდები, როგორც სამტრედიელები იტყვიან – „რეიკასავით“! დევხარ ასე, ფიცარივით, მთელი დილა და ცხრისთვის „კურიერსაც“ მიაყოლებ. შემდეგ იმავეს გაიმეორებ, ამასობაში გუშინ-

დელ სერიალსაც შეიყვან. აი, თორმეტიანი ნიუსების დროც მოსულა! ასე გაიტან თავს 4-5 საათამდე და დედაც მოვა. ერთი-ორი ამპულა, დაბანა, გაპარსვა, ოდეკოლონ-დეზოდორები... საღამოც დამდგარა! ბიჭები-მწეველები იწყებენ შეგროვებას. ვაბოლებთ და ვპაზრობთ, ვპაზრობთ და ისევ ვაბოლებთ. არ აჩერებენ სამტრედიელები ტარიანის ხემს, უკვე ხელისგულები აექერცლათ. აკეთებენ და არიან გვრიტებივით ჩემ გარშემო ჩამომსხდრები. ძილის წინ მშობლებთან საუბარი მომავლის გეგმებზე, დაპირებები, დაფიცებები, ოცნებები, იმედები... ოჰ, რა მშვენიერია ცხოვრება! წამო, შეჩერდი, რა-ა-ა!

...რამდენიმე თვე გავიდა, შეიძლება მეტიც, არც ვიცი. ერთი, რაც შეიცვალა, ტელევიზორის შიშინი იშვიათობა გახდა და კარგად მივლაგ-მოვლაგდი. მაგრად შეცენტრილი ვარ წესრიგზე და კაიფში ჩემ ირგვლივ ყველაფერს გიურივით ვალაგებ. საწოლთან, პატარა მაგიდაზე, ნავთის ლამპის მკრთალი შუქია, ერთი-ორი გაზეთი, კურტ ვონებუტის რაღაც რუსულად, საფერფლე და სიგარეტი. იქვე თავთან კარადაა, აუდგომლად ხელს გადაყოფ, პატარა კარს გამოალებ, დაინახავ ბოთლს და ტარიანს. იქვე გულ-მოდგინებით მოწესრიგებული დევს: სიგარეტის ბლოკი, საბუთები, გასაღებების აცმა, დანა, შვილების სურათები, პარფიუმერია, მაკრატელი... მოკლედ, აქაა „სათავე ოფისი“. პლანი ლეიბის ქვეშაა, გულთან ახლოს. ახლა უკვე სხვა ჯიშია.

ბიჭო, სიარული დამავიწყდა! ისე მივეჩვიე წოლას, რომ ვდგები, თავი მიბრუვდება! ისე, ყველას გვაწყობს: კაი ბიჭებს – სახლში მნახავენ პლანიანად, არ მოუწევთ ნერვიულობა და ცდა; დედას – ძალლები ვერ დამიჭერენ და იმიტომ; მე – მეზარება, გარეთ რაზე გავიდე რომ? დანარჩენი იგივეა – მე ვაბოლებ, ღმერთი კვლავ დუმს.

რა გინდა ამაზე კარგი, ინექი მხარ-თეძოზე და იკითხე

წიგნები. აბა, ვნახოთ, რას გვიამბობს ძია კურტი? თბილისიდან წამოვიღე, ერთმა მაგარმა გოგომ მირჩია. ასე დავგეგმე: ალკოჰოლს გადავაგდებ, წავიკითხავ, თან ვიცი, თემაც საომარია. ამასობაში ეს გაუგებრობაც დასრულდება, მეც გამოვსწორდები და ნანასაც ვნახავ – უმაგრესი გოგოა, ჩემი ნანა-ნანიტინო! ტაკს... სტაფილოსფერი წიგნი – კურტ ვონეგუტ. ყდაზე შავი ლაქები თუ გუბები, სისხლის? „Бойня номер пять, или Крестовый поход детей.

Колыбель для кошки. Завтрак для чемпионов“. იმედისმომცემი დასახელებაა, მაგრამ... ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, რა დროს ვონეგუტია, თუ ძმა ხარ, ჰა? ეს გახევებული ტვინი მაქსიმუმ საგაზითო სტატიას თუ გაქაჩავს. მეც ადგილზე ვაპრუნებ წიგნს და „პერესტროიკის“ ხალისიანი დროის პრესას ვათვალიერებ. ძლივს არ ითქვა – ორჯერ ორი ოთხი ყოფილა – ესეც დიდი მილწევა იყო მომაკვდავი სსრკისთვის. ისე, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, თუ კომუნისტურ გოლიათს თიხის ფეხები აღმოაჩნდებოდა და ასე თითოს ერთი მიკვრით პირქვე დაემხობოდა. რა მეტანიები აუტეხა შტატებს! საღლოლ რეიგან, ჯიგარი ხარ, რონალდ! უუხ! „შლაუ!“ ხო შეუდეს კარგად! აი, ეგრე!

გვიან ღამით გენო მოვიდა, მეშვიდედ, კვლავ გასაბოლებლად? ეგ თავისთავად და – სადგურში ვაგონებია ჩამომდგარი, ზედ ტანკებიან! წამდვილი ტანკი არც მინახავს, მხოლოდ სურათზე. წავედით. უმოძრაობისგან სახსრებს ტკაცანი გააქვს.

სხვენა გეოჩე.

## ბათუმის იურიდიკული ტანცვალი და პირები

ღამეა მთვარიანი. სადგურში ორი ნათურა ციმციმებს, ერთი – სალაროსთან, ერთიც – პერონზე. გავედით. განათებული წყვდიადი, მოყვითალო, რძისფერ ღრუბელს ამოფარებული უშველებელი სავსე მთვარე. მის თეთრ ნათებაში ლიანდაგი ლაპლაპებს. დგას ლია სატვირთო პლატფორმები... კიდევ პლატფორმები... და ისევ, უამრავი პლატფორმა. ზედ მუხლუხა ჯავშნანი მანქანები, ფოლადის დაჭიმული ტროსებით მიჯაჭვული. ბავშვობის წიგნიდან ზღვის პირზე ლილიპუტების მიერ ძაფებით მიბმული გულივერივით. ერთ პლატფორმაზე კუდებით მიდგმული ორი ტანკი დგას. წინა ნაწილი ჩამოდებულია პლატფორმის ბორტზე და ზემოთ იყურება – ცხვირაბზეკილი, ქედმალი ტანკები! ერთის ლულა თბილის უყურებს, მეორის – სოხუმს. მაგარი პირქუში ლამეა, ოო, სერიოზულადაა საქმე?! ათი წლის არ ვიქნებოდი, დედას დავეკარგე მოსკოვის „Детский Мир“-ში. ბევრი ხალხი ირეოდა, დედა არსად ჩანდა. აი, ზუსტად ისეთი შეგრძნება მაქვს ახლაც. შფოთიანი დროის მოლოდინი და გაურკვევლობა. ეჰ, ამდენ ღელვას ვეღარ უძლებს ჩემი სუსტი გული, დროზე დასალევი!

იმდენი ხანია სახლიდან არ გავსულვარ, გარეთ რა ხდებოდა, ვერც წარმოვიდგენდი. თან მაგარი გაბრუებულიც ვარ, მეჩვენება, თითქოს რაღაც სპექტაკლში ვმონაწილეობ და ყოველივე ეს სიზმარში ხდება. სადგურის ჭუჭყიანი სასადილო, ასეთივე დამლაგებელი დაძინებული სახით. იქვე, დახლზე, მყრალ ჭაჭა. ფუი, რა გემო აქვს! ბარემ ბოთლით მივიყუდე, ყველაფერი თან ჩაიტანა. თითქოს

დარდიც. რაღაც სხვანაირად ათრობს, უფრო სწორად კი, წამლავს და პრუვდები. პერონზე გავედით. გენადი მოტყდომას ჩალიჩობს, არკვევს, მაქვს თან მოსაწევი თუ არა. ეჰ, ჩემო გენკა, მოგცლია ერთი, ჯერ რა დროს გაბოლება? ხუთი ტრამალი ამოვილე, თავისი ორი რელადორმი, პირში ჩავიდე, ვერ ვყლაპავ, სიმშრალეა.

- გენ, არაყი დაიადე რა.
- რა ამბავია, ოჩილა, ხო დალიე პოლიტრა, წევიდეთ სახში...

- მიდი, მიდი! ჯერ შევარტყათ, მერე მოვ-ს-წიოთ!  
მიყიდა და უცებ გაქრა. „წადი, შენი კარგიც...! „ს გორლა“ დავუშვი, ბალაზზე ჩამოვჯექი. გულის ჯიბი-დან შეკეთებული ტარიანი ამოვილე, უნდა გავაბოლო. ასანთი არ მაქვს. „აოე, ძმაო, მომიყიდე რა, ძმურად...“ – ადგომა ვცადე, არ გამომდის... ეჰ, ცუდადაა საქმე, გენოც მომტყდარია, მაგის კარგიც...! ვიღაც მიკიდებს:

- აგი ოჩილე არა? რაია, ბიჯო, ოუშვი თლაათ? მოსაწე-ვია?

ვერ ვცნობ, მაგრამ ამ ჩემისას დიდი ავტომატი კი აქვს ჩამოკიდებული. გააბოლოს რა ამანაც, ამის კარგიც... ერთი, ორი, სამიი... ფუ-ფუ... ფუ-ფუ - და გადავაწოდე:

- ჰა, გამომართვი. აჰა, ჰმმ... ჰეხა, აჰხა.
- კაია?
- წადი შენი...
- რაი?

- არააფფერი, იდი ნა ხუი-თქვა!  
- ბიჯო, ოჩილა, წაი სახში, არ დაგიჭიროსკენ.  
- ჯიგარი ხარ! მაგრამ, თუ ძმა ხარ, წადი შენი...  
ამ უკანასკნელმა ფრაზამ, მხოლოდ ტვინში გაიარა, ისიც ძლივს, შენელებული მორბენალი სტრიქონივით. კალიკე-ბიც შეიხსნა, საძილემაც დაქაჩა. ეჰ, რა ვქნა, მივეჩვიე კოტრიალს, არ უნდა გამოვთრეულიყავი – ოხ, გენო, მე

შენი! იქვე კლუმბაზე გადავწექი, დახუჭული თვალებით თეთრ მთვარეს ვუყურებ, ღრუბლებში შავი ტანკი მიცურავს... ფარდა დაეშვა, წავეე-დიო!..

ასე დაიწყო ჩემთვის ომი. იმ დროზე, ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვთქვა, მუდმივად ისე ძლიერ გაპრუებული ვიყავი, რომ ყველაფერი ბუნდოვნად, ცალკეული ჩაბნელებული სურათებით, ადგილ-ადგილ მახსოვს. ასე რომ, მოვლენათა თანმიმდევრობის სიზუსტეზე პასუხს ვერ ვაგებ. საერთოდ, ნამდვილად იყო ზოგი რამ თუ ჩემი ნარმოსახვის ნაყოფია, ან მოჩვენებაა თუ სიზმარი, არც ეს ვიცი, ვერ დავიჩემებ. მოკლედ, როგორც მახსოვს, ისეც ვყვები.

– ბიჭო, ჰოუ, ბიჭო, გაიღვიძე!

ჩამძინებია. „გ-ა-იღვიძე“ – არ მევასა, აპასნია, „გ-ე-იღვიძე“ – სჯობს, სამტრედიულია. თვალები გავახილე, თავზე ავტომატიანი ამბალი მაღდგას. ვა, შენ აქ რამ მოგიყვანა, შე ჯიშიანო, შენა?! მაიორია მიახლოებით...?

– ვინა ხარ?! საბუთები!

აა, ალბათ სამხედრო პატრულია, გადავრჩი დაჭერას!

– ვინა ვარ და რიხარდ ზორგე! ბალახში გაწოლილი, ცაში ტანკებს ვითვლი. გაწყობს?

ძალიან არ გაბრაზებულა, გაეცინა კიდეც. იუმორის გრძნობა რომ აქვს კაცს, ასწორებს, შენთვისაც და იმის-თვისაც, ორივესთვის კარგია.

– ეე, ესა ნახე, რა? სანამ თავს მაცემინებდეს, წაათრიეთ დროზე!

სამტრედიელები მოვარდნენ – ოჩილე, ბიჭო, რამე – ფეხზე წამომაყენეს და დავაი, სანამ მთელი ხარო. სახლა-მდე ასე, ორასი-სამასი მეტრი მაქვს გასავლელი. მივბარბაცებ. წამიღო, რა წამიღო! კედელი მეჯახება – ბაახ! ნაპერწკლები არ მცვივა, არც მტკივა, მაგარი მთვრალი ვარ და იმიტომ, მხოლოდ გონებას ვკარგავ უცებ. წამოვ-

დექი, ფეხები მეკეცება, ამჯერად მეორე მხარეს მიმაქანებს, მაღაზიის ვიტრინებისკენ. იგივე – ბუუხ! გადარჩა ვიტრინა! კარგი რა, ნუ მკრავ ხელს, თავია თუ ტანკი!... მივალნიე, როგორც იქნა! ჩემი შესახვევია, ჩემი საყვარელი ჯერ კიდევ ენგელსის ქუჩა! აქეთ-იქით თხრილებია, კარგა დიდ დელესავით, სავსე ტალახით, სამტრედიულად – „ლოყოფოთი“. პირდაპირ და მეზობლებთან მოურიდებლად რომ ვთქვა – ერთი მეტრის სილრმის საკანალიზაციო, პრეისტორიული ჭაობია, მხოლოდ დინოზავრები აკლია. გავიარე, გავიარე... ჭიშკრამდე ერთი ნაბიჯი-ლაა... ეეე! ასე იცის, ვეღარ დავიმახსოვრე რაა! მიზანს რომ მიუახლოვდები, უცებ ემვები, თავი ქუდში გაქვს, ასე გონია და... ამერიკული სპირტი მუხანათურად ხელს გკრავს – გვერდზე გისვრის! ადრეც მომივიდა, სამშვიდობოს გასული უკვე ეზოში დავეცი და ზურგით გადაჭრილი ალუბლის ხის ძირს დავასკდი, შუბივით ბასრს. ალუბლის ხემ ნეკნები გაიარა და ჩემს ნაზ, ვარდისფერ ფილტვებში კეთილი ნაყოფი გამოისხა. ზაფხული იყო და ჩან-გრეული ფილტვებით იქვე მივიძინე და დედამ მიპოვა. ეჰ, ვერ ვისწავლე ჭუუა – მოდუნება დაუშვებელია, ყველაზე დიდი ყურადღება და ძალისხმევა სწორედ მაშინაა საჭირო, როდესაც თავი სამშვიდობოს გგონია!

ზედ ჩემს ბოგირთან, თხრილში გავიშხლართე! ზაფხულიაო, ვერ იტყვი, ზამთარი იწყება, ოქტომბერი უნდა იყოს. ჯერ ძალიანაც არ მცივა, ეგაა, ქურთუკი მაცვია მაგარი, ნალდი იტალიური „Kappa“, ეგეთს სად იშოვი?! ბამბის ფირმა ბუშლატია, შავი, დიდი ლითონის ელვით! მოსკოვში ვიყიდე, დისერტაცია რომ დავიცავი, იმ დღეს. Sole Mio ქურთუკი სითხით იუღინთება! რა ვქნა? თავი ტალახიან წყალში გავაქნიე – ბრრ – ცივა, აი. ძალები მოვიკრიბე, ამოძრომა ვცადე – შენც არ მომიკვდე! საშრობ ქაღალდად ქცეული „Kappa“ ორ ტონას მაინც იწონის, ნაპირი სრია-

ლებს, ხელს ვერაფერს ვავლებ, წამოდგომა მე არ შემიძლია და როგორლა ამოგბობლდები?! ვწევარ თხრილში და ვფიქრობ: „დავიყვირო? როგორია?!“ ჯერ ის რომ, გვიან ლამეა, არავინ გამოვა, მერე, სირცხვილია. მაგრამ, აქ სანამ ვიწვე? აუ, როგორ ყარს! ეე, ისევ ჩემით ვიჩალიჩებ“. ამჯერად ახალი მეთოდიკით მოვცვრები. ჯერ ფეხი ამოვილე წყლიდან, მუხლი ჩამოვადე ნაპირს, რობერტ შავლაყაძის პოზაში ვარ, რა! ცალ ხელს თხრილის ძირს ვკრავ, მეორეთი ხავსიან ნაპირს მინდა მოვეჭიდო. ეჱ, ამაოება ამაოთა... სულ მეტად მინოვს ჭაობის ტალახი და ჩემი სიმთვრალე. ცაში ისევ სავსე მოვარეა, მოყვითალო, რძისფერ ღრუბელს ამოფარებული. სიცივისგან სხვანაირად გამჭვირვალე ჰაერი. ნუთუ ნანიტას ვეღარ ვნახავ, არადა, რაღაც ტკბილი გემო მიდგება პირში, ასე რომ ვეძახი – ნანიტა, ნანიტინო... ისე, კიდევ კარგი, მაგრად მაინც ვარ, თორემ უცებ გავიყინებოდი და ჩავეფლობოდი. მერე სანამ მეზობელი ჯემალი თხრილს არ ამონმენდს, ვერც მნახავენ. ეგ კიდევ, ზაფხულამდე არ იქნება...“

ვიღაც შეზარხოშებული სამტრედიელი ველოსიპედისტი გამოჩენდა. დავუძახო თუ ტეხავს?.. ამასობაში ჩამიარა. თხრილში ვაგდივარ და ჯემალის დამწუხრებულ სახეს ვხედავ, სხვა მეზობლებიც აქ არიან, ჩემი ნანიტაც – ვა, საწყალი ზურა, უყურე, სად ყოფილაო... ნნ, ნნ, ნნუო – სიბრალულით ამბობენ.

„...მანქანამ შემოუხვია, ჩემს სახლთან გაჩერდა! ღმერთმა დღოებით შემიცოდა, შეწყვიტა მძიმე ბომბდამშენებით შეტევა. დედაჩემია საავადმყოფოდან მოვარდნილი – გათენდება სადაცაა, შვილი არ ჩანს, ძებნაა გამოცხადებული. მოდი ჩემთან, საყვარელო ჩემო დედი!“

სანიტარი – ექთანს, ექთანი – მძღოლს, მძღოლი – დედას, დედა – მე. წიეს, წიეს, როგორც იქნა, ამომნიეს! აღარ გავაგრძელებ და მთელი დღე მრეცხავდნენ, სუნი

მაინც ვერ გამაშორეს. დედის სუნამოები, ჩემი ოდეკოლონები მივახმარე, დღეში სამჯერ ვბანაობდი – უშედეგოდ! ერთი კვირის თავზე იმედი დავკარგე – ვაი, თუ ასეთი არომატიზებული დავრჩე?! პირველი თვის შემდეგ სამტრედის კანალიზაციის სურნელების ინტენსივობამ კლება იწყო. რაღაც ღრმად ჩამპალი, საძაგელი, ნესტიანი – ერთი სიტყვით – „ლოყოპო“! ეჰ, იტალიური „Kappa“-ც ისტორიას ჩაბარდა, როგორც სხვა ბევრი რამ. არადა ისე მიყვარდა, ისეე.. როგორც სხვა ბევრი რამ, რაც სამუდამოდ დავკარგე! მთელი ცხოვრება ამ დაკარგვებში გავატარე, ეჰ!

## სსხვა გესაბა. თეთრი ქოქას

გასაგებია – გაიხსნა ღვთიური ცეცხლი, ჩემს თავსა ზედა ზეციდან მოვლენილი. თურმე ჯერ სადა ხარ, ძმაო მჩილ, სად?!?

გამეღვიძა. ყველაფერს ეს საშინელი სუნი ასდის – ლოგ-ინში მორთმეულ საჭმელსაც, ოჯახის წევრებსაც, რაც ყველაზე ცუდია, სიგარეტსაც. მოწევისას, თითქოს თხრილის ტალახი ჩაგედინება ფილტვებში. ერთი ვისკი თუ უშველის ამ ყოვლისმომცველ აყროლებას! გამოვალე „სათავე ოფისის“ კარები – ვისკი ფა-ფუუ! გასაგებია, დედაჩემი მოტეხავდა, დაიწყო „მშრალი კანონის“ ულმობელი ხანა. დამთავრდა ვისკები, მომიწევს უიმედო გადართვა მეზობლებთან ნამათხოვრებ ჭაჭებზე და მაღაზიის ნისია „რუსთავებზე“, დილის შიშებზე, ხელების კანკალზე და გახევებულ პირზე. უპარაშუტო ვარდნის პროცესი სტაბილურ,

შეუქცევად ხასიათს იძენს. არა და პახმელიაზე ვარ, ვერც ვაბოლებ და საერთოდ, ცხოვრებაც ყოველგვარ აზრს კარგავს! დღეს მეკუთვნის, ამხელა სტრესი გადავიტანე, ავადმყოფი ვარ მაინც, რაც არ უნდა იყოს.

– დედა... დედა-აა!

– ... რა იყო?!

– რა და... ახლა, ასე უცებ ხომ ვერ დავანებებ, ერთ-ბაშად...

– ხმა არ გავიგონო, თორე არ ვიცი, რას ვიზამ!

– გავიგე და, ხომ დაგპირდი, მორჩა, რა! დავამთავრე! მიყიდე ღვინო, ჩავრეცხავ მთელ ტოქსინებს, მერე საძილეები და მოვრჩი! ვინც დალიოს, იმის...!

– არც კი გრცხევნია ამხელა კაცს!

ნახევარ საათში მივიღე ერთი ბოთლი „საფერავი“ ორ ამპულასთან კომპლექტში. პირობა დავდე – ქვას ხეთქავს! უცებ, ერთი განსხვავებული – „ყლუწი“, კალიკები – „შლაუ“, ამპულები – „ზიზინ!“ და... არა, მაინც მაგარია! ასწორებს ცხოვრება! გადის ნახევარი საათი, იწყება ღრმა სინანული. „აუ, რა გოთვერანი ვარ, ბიჭო, რეებს ვაკეთებ! ეს, რა მჭირს?! მაიცა, ერთი ჭიქაც მივარტყა. აუ, ეს არ მეყოფა, ღამისთვის უნდა მოვიმარაგო... რა ჰქვია ჩემს ყოფაქცევას, სულ წავედი ხელიდან, რა! სინანულის აღმავალ ტალღაზე შევუდები კოკასთან წერილზე ფიქრს. ერთი დიდი პაპიროსი გავაფულე და წავიდა! (მე უშველებელი, ფილოსოფიური წერილები ვიცი, ამიტომ ტექსტს ვამოკლებ, სტილი დაცულია).

„ჩემო კოკა!

გწერს შენი ძმა, ოჩილა სამტრედიიდან. ჩამოვედი აქ და არყებს ვაგდებ. სულ არა, მაგრამ თითქმის შევეშვი. ცოტას იმას ვახმარ, ჩვენ რომ ვიცით – ბალახეულს და ერთი-ორი წელში გამოყვანილი „პოთლიც“ მოაქვს დედაჩემს. ვარ

წყნარად, მშვიდად და ვფიქრობ გასულ დღეებზე, ეროვნულ მოძრაობაზე, ბიჭებზე, თქვენზე ყველაზე...

გახსოვს ალბათ, როგორ კარგად დაიწყო ყოველივე, რა ენთუზიაზმით ვიყავით ყველანი გამსჭვალული. შენი საქვეყნოდ ცნობილი, 8 აპრილს ტანკების ქვეშ დაწოლა! მე მაშინაც დასალევზე ვიჯექი, არც იმას ვაკლებდი ხელს (რასაც, მიმიხვდები...), მაგრამ, მიუხედავად ამისა, კარგად მახსოვრართ ყველანი: მერაბი, ზვიადი, კოკო, იასონა, სოსო, ნიკო, ბოცო, ჩვენი რეზო... და რა ვიცი, ბევრი სხვა. შემდეგ მოკლეს მერაბი და ყოველივე თავდაყირა დადგა! ახლაც რუსების შემოგდებულ პროვოკაციებზე აყოლის შედეგებს ვიმკით. თუ გახსოვს, იმ დროსაც მაგ რუსულ „ჩიორტებს“ – „შეთქმულების თეორიებს“ ეძახდნენ და თქვენებს დასცინოდნენ. ბატონ ზვიადს – „დიქტატორი“, ხოლო თქვენ – „ფაშისტებიც“ კი გინოდეს. საინტერესოა, სადაა ახლა ის ხალხი, რას ამბობენ ამ ნაბოზვარი შევარდნაძის ჩამოყვანაზე?! ისევ იტყვიან – რუსეთის საფრთხე გეჩვენებათო? ნუთუ ასეთი საშინელი სამოქალაქო დაპირისპირება, როგორც ჩანს რუსებთან გარდაუვალი ომი აფხაზეთში, უკვე წართმეული ოსეთი, აღარ ეყოფა სამუდამო გაკვეთილად ამ „ნითელ ელიტას“?! ნუთუ კიდევ დაუჯერებს ვინმე „კგბ“-ს აგენტებს, ნუთუ გაიხედავს ვინმე იმპერიისკენ?! იმედია აღარ...

გემახსოვრება, როგორ მოგნერე – მე თქვენთან ყოველ-გვარ ურთიერთობას ვწყვეტ, რადგან ჩემი ნარკომანობით არ მინდა რაიმე ჩრდილი მიადგეს ეროვნული მოძრაობის წმინდა საქმეს-მეთქი. ჩემი ჭუჭყიანი ხელებით დამოუკიდებლობის დიადი შენობა არ უნდა შეილახოს-მეთქი! ეჲ, თურმე რა იდეალიზმის ტყვეობაში ვყოფილვართ ყველანი! გაიხედ-გამოიხედე, რა ხდება გარშემო! თურმე ყველაფერიც შეიძლება და ნებადართულია...

ერთი რამ მინდა გიამბო, შენთვის უცნობი, ცხონებული

მერაბის შესახებ. თქვენ ხომ ისე მეგობრობდით, ეგებ როდისმე დავწერო კიდეც.

...როდესაც პირველად დაუპატიმრებიათ და ათი წელი მიუსჯიათ, ჯერ ტაშკენტის პერესილკაში გაუშვიათ. იქ დახვედრია ქურდული ზონა, თანაც ყველაზე ცნობილი, საბჭოთის მაყურებლებით დასახლებული. იცი, კომუნისტები ყველა პოლიტიკურს, სიმტკიცის გასასინჯად, ჯერ ქურდულ „ლომკებს“ უწყობდნენ. ჰოდა, მერაბიც ასეთ საპატიმროში გაუშვეს. რომ შევიდა, თავისი სახელიც თან შეჰყვა – მოგეხსენება ციხის ტელეგრაფის შეუფერხებელი მუშაობა. ერთი სიტყვით, ქურდებმაც გარკვეული პატივისცემითა და რიდით მიიღეს. ნარზე სათანადო ადგილიც მიუჩინეს და, რომ იტყვიან, კარგად იყო არითვის პირობაზე. და აი, სულ რაღაც მეორე-მესამე დღეს ხდება ასეთი რამ: ვიღაც ახალგაზრდა ქურდს „პეტუხი“ შემოჰყავს და უმონყალოდ სცემს. რამდენიმე ქურდი წამომდგარა და „პიდარისთვის“ წიხლიც მიუხმარებიათ. მერაბი ნარიდან ჩამომხტარა, შევარდნილა ქურდების ხროვაში და გადაფარებია „პეტუხს“! ასე უთქვამს:

– კაცებო, რას სჩადით?! რას ჰგავს თქვენი საქციელი?! აქ ყველანი კომუნისტებისგან ჩაგრულები ვზივართ და რაღა გამოვა, თუ ჩვენც იმავეს გავიმეორებთ და უმწეოს, სუსტს დავაბიჯებთ ფეხს?!

ახალგაზრდა „განაბი“ ძლიერ გაბრაზებულა – ეს ვინდა არის და ქურდებზე ჭკუის სწავლებას როგორ ბედავსო?! ბებერ ქურდებს დაუწყნარებიათ, მაგრამ ახალგაზრდას უთქვამს – ამ „პეტუხს“ მაინც ვასწავლი ჭკუასო!

ახლა, ამ სიტყვებს რომ გწერ, გული მიჩუყდება, რომელი ვართ ამის ჩამდენი?! უყურე, შემდეგ რა უქნია! ქურდების უკმაყოფილო ბუზღუნის თანხლებით, ეს შენი „პეტუხი“ წამოუყენებია, საკუთარი ხელით გაუწმენდია და საცოდავი საწოლამდე მიუცილებია. შემდეგი ერთი თვე ყოველდამე

თურმე მასთან ერთად წვებოდა, რათა მისთვის შეურაცხ-  
ყოფა არავის მიეყენებინა!

როგორია?! საერთოდ ვინმე თუ გეგულება, საკუთარი  
თავის ჩათვლით, ამის მაგვარის მაინც ჩამდენი?! ქურ-  
დების საწინააღმდეგოდ, იმ დროს! დღესაც კი, ბევრი  
„სიყვარულის ჭურჭელი“ და „კაბოსანი“, მერაბის ვაჟკა-  
ცური საქციელის 50 წლის თავზე, ქადაგებს მამათმავლე-  
ბის კოცონზე დაწვას! იმხანად ხომ, საერთოდაც ამგვარი  
გარყვნილების დაცვა გაუგონარი რამ იქნებოდა!!! საკუ-  
თარი თავისთვის მიკითხავს: როგორ მოიქცეოდი შენ ანა-  
ლოგიურ სიტუაციაში? სამწუხაროდ, პასუხი ერთი მაქვს:  
ქურდებთან თავის გამოსაჩენად, ალბათ „პიდარმონს“ მეც  
ერთ წიხლს მივაყოლებდი ...

უყურე! წარმოიდგინე, სად იყო მერაბი უკვე 60-70-  
იან წლებში, როგორ მიუწვდომელ სიმაღლეზე სუფევდა  
ამ ადამიანის სული, აზროვნება! მარტო კაცი, ციხეში,  
ქურდებით გარშემორტყმული! მე თუ მკითხავ, სულის  
არნაბული სიდიადეა!

და ბოლოს, რა?! უმაღური ხალხი, უშნო ჭორები. საუკე-  
თესო შემთხვევაში: „მოკვდა რა... ნაშასთან ერთად... კაი  
კაცი იყო, შარაფი უყვარდა. ცოტას უბერავდა, თორე...“.

შენგან ვიცი, რომ ციმბირში გატარებული პირველი  
ათი წლის შემდეგ, მერაბს მონანიების ქაღალდზე ხელის  
მონერა შესთავაზეს. არ დათმო! კიდევ დაუმატეს და  
ოცამდე წელი ციხესა და გადასახლებაში გაატარა! ეწამა  
ჩვენთვის, რათა ჩვენ მონობიდან ვეხსენით!.. და – „მოკვდა,  
რაა...?“

ორმა სკოლის მერხის მეგობარმა, მიზნად დაისახა და  
ოც წელზე მეტი თავგანწირული ბრძოლის შედეგად, სანა-  
გვეზე გადააგდო ამხელა იმპერია! როგორ, რითი?! მხო-  
ლოდ თავისი წესიერებით, მართლობით, სიმტკიცით და  
გაუტეხლობით! ისეთი ადამიანები, როგორებიც იყვნენ

ზვიადი და მერაბი, საუკუნეში ერთხელაც თუ გაუჩნდა ერს, ისიც დიდი ბედნიერება! ვისლა ახსოვს დღეს ისინი? ვის?! არადა, მე რომ მკითხო, ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნდა იყოს აღმართული მათი – საქართველოს დამოუკიდებლობის რაინდისა და კლდის ძეგლი! ვინ გვყავს მათსავით დიდი?! ვინ?

და „კაი კაცი იყო, ნიშტიაკ...?!“. აი, დღესაც ეს ვართ ქართველები – ფარისევლები, შურიანები და უმადურები!

P.S.

კარგი, დავასრულებ. როგორ არაან თქვენები – ნინო, ნინუცი? რას შევება შენი ბიჭი? მე ჯერ აქ დავრჩები. ჰო! ის ნაბოზვარი ხომ არ გინახავთ, მაგის დედას რო....! რა დამიადა, მაგის ძალად ძველი ბიჭი! თუ შეგხვდა, ერთი ჩემ სახელზეც დაუადე! იარალი დაიბრუნე? დაჭრა ტეხავს, ომი იწყება და ხალხი დაგვჭირდება. გიგზავნი კარგ ბალახს, აბა შენ იცი!

მე მაინც იმავე პოზიციას ვინარჩუნებ: მე ამ წმინდათა წმინდა ბრძოლიდან ჩემი ჭუჭყიანი ხელებისა და ქცევის გამო გამოვდივარ, არ მინდა სმით, ნარკოტიკებით ეროვნულ მოძრაობას ზიანი მივაყენო და ეს სუფთა საქმე ჩემ გამო შეილახოს. ხომ იცი, იტყვიან – „შავი ლაქა ეროვნული მოძრაობის თეთრ დროშაზე“! ასე რომ...

ზურა. სამტრედია... მართალი გითხრა, რიცხვი არ მახსოვეს...

გავგიჯდები, ბიჭო, არც წელი ვიცი?!. სულ გავტყიურდი ამ სამტრედიაში!

კარგი, ეგ არაფერი, დროებით!“

– დედა! თბილისში წამსვლელი რომ გამოჩნდეს ვინმე, შემატყობინე, რაღაც მაქვს გასაგზავნი.

5 საათიც მოსულა. დალევდა კაცი, ცოტას. სახლში არ გამოვა, ახიპიშდებიან, გარეთ უნდა გავიხედო. ფეხსაც-მელი ამოვიცვი.

- საით მიბრძანდები?
- რა ვიცი, მთელი დღეები ვწევარ, გავალ ბიჭებთან.
- გუშინ გახვედი და თხრილში ამოყავი თავი! არ დალიო, იცოდე!
- არა გრცხვენია?! აქვე ვიქნები, ჩვენ ქუჩას არ გავც-დები. აბა, წავედი.

## სურა მცოთხე.

### შემოტკიცების კაცები

რაღა ბევრი გავაგრძელო და თავდაპირველად „ფსოუს წყლის დასალევად“ მსუბუქ გასეირნებად მიჩნეული საზე-იმო სვლა დაუნდობელ ომში გადაიზარდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა, რუსთა, აფხაზთა, ჩეჩენთა, კაზაკთა, სომეხთა, ბერძენთა და სხვათა სასაკლაო ამო-ქმედდა. შენ ოღონდ სისხლი გაიღე, ხორცსაკეპი მზადაა!

სამტრედია ფრონტისპირა ქალაქად იქცა. აფხაზეთამდე მხოლოდ ცენტრალური მთავრობისადმი დაუმორჩილე-ბელი სამეგრელოს სულ რაღაც ასიოდე კილომეტრილა იყო გასავლელი. მეამბოხე სამეგრელოსთან მეზობლობაზ სამტრედიას განსაკუთრებით მაღალი სტრატეგიული სტა-ტუსი შესძინა. ჩვენთან წარმოებდა თბილისიდან ჩამოყვა-ნილი საჯარისო შენაერთების საბოლოო დაკომპლექტება და მათი შემდგომი სამხედრო მოქმედების ადგილამდე გადასროლა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აფხა-ზეთამდე, სწორედ სამტრედიაში მდებარეობდა უკანასკ-

ნელი მსხვილი სარკინიგზო კვანძი, გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალაქს, როგორც პლატფორმს ფრონტის ტექნიკით და ცოცხალი ძალით უზრუნველყოფის საქმეში.

სამტრედიაში ირეოდა ყველა: ვინც აფხაზეთში ბრძოლის ველზე მიდიოდა თუ მხოლოდ იჩემებდა, რომ წასვლას აპირებს და ისინი, ვინც ფრონტიდან ნაომარი ბრუნდებოდა ან უბრალოდ სიკვდილის შიშს გამოურბოდა; განცალკევებით იდგა ნაკლებად მიმზიდველი ავანტურისტთა ჯგუფი, რომლის წევრებიც საერთოდაც იგონებდნენ, რომ სადმე მიდაან ან საიდანლაც ბრუნდებიან, ხოლო სინამდვილეში გარშემო ტერიტორიების ძარცვა-გლეჯით იყვნენ დაკავებულნი.

ყაჩაღობის მხრივ, არც სამთავრობო ჯარი აკლებდა ხელს. გზად, როგორც ალვნიშნე, სამეგრელო მდებარეობს. აქ მამაცი მეომრები, ფრონტზე გადამწყვეტ ბრძოლებში ჩაბმამდე, მშვიდობიანი მოსახლეობის დატერორებით, „ზვიადისტების“ დარბევითა და მდიდრების ზედაპირული შეპარსვით მსუბუქ მოთელვას გადიოდნენ. აბაშა-სენაკი-ხობი-ზუგდიდი-გალის მონაკვეთზე გაისულა-რუნებდა იარაღი პირველად, გაიმართებოდა მეომრების საბრძოლო ნათლობა, სისხლთან შეჩრევა და კიდევ ბევრი არასასიამოვნოდ მოსაგონარი რამ... ზოგიერთისთვის აქა-მდე გაურკვეველი დარჩა, რუსებს ეომებოდნენ თუ მეგრელებს, თუ ორივეს ერთად?

სამეგრელო-იმერეთის მოსახლეობის საფუძვლიანი, პროფესიულ დონეზე აყვანილი შენჯლრევის მძიმე ტვირთი, ძირითადად მაინც „მხედრიონის“ გამხდარ ბეჭებს დააწვა. რა ექნათ წელში მოხრილ, ტყავეურთუკიან და ბენდენიან მეომრებს? ბიჭებიც ცხვირის ქექვას მიეცნენ და კარდაკარ თავდაუზოგავად დარბოდნენ, რათა ადამიანები მატერიალურ ფასეულობებზე ზრუნვისგან ეხსნათ

და ამით მიწიერზე ზედმეტად მიჯაჭვულობისგან გადაერჩინათ.

ჯერ კიდევ თბილისის ქუჩებში დაპატენტებულმა სამხედრო ნოვაციამ, ხოლო შემდგომ აფხაზეთში წარმატებით გამოცდილმა „*Exclusive*“ საჯარისო შენაერთებმა გრიგალივით გადაუქროლეს იმერეთს. სამტრედიელებს ეგონათ, რომ ცუნამის ყველაზე დამანგრეველი დაქროლვა ქალაქს პირველივე ტალღაზე გადაუვლიდა და დროთა სვლასთან ერთად ჩაცხრებოდა. იმერლები საბედისწეროდ შეცდნენ – „მხედრიონმა“ საბოლოოდ შერყვნა მათი რწმენა კაცობრიობის ჰუმანურ ბუნებაზე! იმედის გაცრუების მიზეზს კი, მიუხედავად თბილისიდან არაერთგზის თავს-დამტყდარი ტაიფუნისა, ძირითადად, მაინც ორგანიზაციის ადგილობრივი უჯრედი წარმოადგენდა. „მხედრიონის“ პროვინციული ფილიალი, იმის გამო, რომ ცენტრის საყდენი ბაზა სამტრედიაში მდებარეობდა, უფროსობისგან უხვად დელეგირებული განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა. იმერული კრიმინალური კადრებით დაკომპლექტებულ სამხედრო ბანდას გენერალ პარმენ აქვსენტის ძე შენგელიას დაუნდობელი ბრიგადა ხელმძღვანელობდა.

ბევრი მიკიბ-მოკიბვის გარეშე რომ ვთქვათ, „პარადი“ სამტრედიაში გენერალ პარმენ შენგელიას ძმებს (ერთი მაიორის წოდების, ხოლო მეორე ქურდული გაგების გახლდათ) და ქუთაისელ ყაჩაღ-რეციდივისტს, „პავლოვიჩ-გებელსიას“ მიჰყავდათ.

შენგელიების სახელოვან მეომართა ოჯახი კიდევ ერთი პოლკოვნიკი ძმით გახლდათ წარმოდგენილი. ეს გმირი ფრონტისპირა საომარ მოქმედებებში ანუ სამტრედიელების დაყაჩაღება-დაშინებაში უშუალო მონაწილეობას ვერ იღებდა, რადგან მოსკოვის გენერალური შტაბის აკადემიაში იყო სამხედრო ხელოვნების ასათვისებლად

გაგზავნილი. რა ექნა საცოდავს, იჯდა აკადემიის „აბს-ჩეჭიტიაში“ და იჩხირავდა ძმების გამოგზავნილ წამალს. ბრიგადაში ერთი „კანონიერიც“ ჰყავდათ, სამტრედიული წარმოშობის თბილისელი „გლდანელო“. დეკორატიული ფუნქციების მატარებელი და წამლის მკეთებელი „გლდანელო“ სასწრაფოდ წამოყენებულ იქნა ქურდად, იმერეთში საპასუხისმგებლო უბანზე შემდგომი მივლინებით. ახლად-გაგანაპებული „გლდანელოც“ დაულალავად იღვნოდა, რათა უჯრედის ბირთვი ესთეტიკურად შეელამაზებინა და სამტრედიელები „სწორ ცხოვრებაში“ მეტად გაენათლებინა. ერთი სიტყვით, „ადამიან“ ძალ-ღონეს არ იშურებდა და „ასტერ სტორიო“-თი ხელს მუდამ „მხედრიონისკენ“ იშვერდა.

ახლა იმის შეხსენება, რომ ამ ხალხს არც სკოლა ენახა თვალით და არც აფხაზეთზე სმენოდა რაიმე, ზედმეტად მიმაჩნია. უბრალოდ, იმისთვის, რომ „არიფისთვის“, იგივე მკითხველისთვის, გასაგები გახდეს, თუ რა ხილია აბსოლუტური მონარქია „შენგელიების“ შესრულებით, საკმარისია გავიხსენო სახელოვანი კორტეჟის სამტრედის ქუჩებში დიდებით გატასავება... და ჩემთვის ცემაში სულის ამოხდა.

„მეფისნაცვალი“ გენერალ-გუბერნატორი პარმენ შენგელია, რაღა თქმა უნდა, მაგრად გაჩერილი, ყავისფერი სიგარეტის „More“-ს ჩამწვარი ბიროკით ხელში, კულაშის ქალაქგარეთა რეზიდენციის „კუშეტკაზე“ განისვენებდა – „ასტერ ევასებოდა პარმენიას და ვსიო! ხმაი არ გევიგო, ბიჯო, თვარა, გაგათავე ადგილზე!“

ლოკალური ტაიფუნის შედეგად კულაშის დაცარიელებამდე და ებრაელების ემიგრაციაში გაქცევამდე „კიდო ხანდისხანე დგებოდაო“, ბიჭები ჰყვებოდნენ, „მარა, რაც სამლიტრიანებით ნიკოლოზის თუმნიანები ამოუთხარა კულაშელ „მენაშე ილიიჩს“... „აბრაშკა ჭუტას“, „დათიკო

კოლოფას“, „ელიაო რიკი-რიკის“, „სიმონა ლამაზოს“, „შათიას“, დუდუ ექიმს და სხვათა და სხვათა... მას მერე წოუწვა და ქე დენაო, ნამეტანი დეეჩვია დიმედროლიან წამლსო“. ასეთი სევდანარევი სინანულით იხსენებდნენ სამტრედიელები სამუდამოდ ჩაყვინთულ მონარქს! სულ ერთხელ თავის „კუშეტკიანად“ გარეთ გამოუტანიათ და მამისეული ძველი, დანგრეული დიდი ჯიხაიშის სახლიდან, კულაშელი ებრაელის მდიდრულ „ასაპნიაქში“ გადაუბრანებიათ. მანამ გაშეშებული პარმენი გვერდზე გადმობრუნებულა, ოდნავ თვალებიც კი შეუღია(!) და უკითხავს: „სადანე მივდივართ, ბაბაიაო... ლომეაში ვარ, წამალს არ მიკეთებთ, თქვე დედა მოტყყ...ოო?!” არა და მამა კარგახნის გარდაცვლილი ყოფილა. ალბათ ეჩვენა ხილვაში, იცის დიმედროლმა ეგეთები.

სამეფო კორტეჟი მოსკოვის წითელი აგურით ნაშენი, „მარსელის“ კრამიტით გადახურული, იზრაელში დათესილი ებრაელის კოშკიდან სამტრედის „ცენტრისკენ“ მისრიალებდა. კავალკადას წინ ორი დიდი ვეზირი – ქუთაისელი „მოზგი“, ამავდროულად, „დერზგი“, „პავლოვიჩ-გებელსიე“ და ქურდული გაების, „უნაგლესი“ შენგელია უმცროსი, მოყავისფრო-მონითალო „MW“-თი მოუძღვნენ. იმავე ავტოში, უკან, კუთხეში, განცალკევებით იდო და ცხვირს იფხანდა ავტომატიანი დეკორი „გლდანელო“. ოდნავ ჩამორჩენით, აქეთ-იქიდან მსუბუქი კავალერია მოდიოდა. ორი ავტო – „მერსედეს შისოტი“ და „აი, „დიდი შავი“ „ზატემნიონი“ შუშებით, არა კაცმა არ იცის, რა ფირმაო?! – რბილად მოსისინებდა. კულაშის წმ. გიორგის ეკლესიაში შეიარეს, ბიჭებს პირჯვარი ხომ უნდა გადაეწერათ!

სამტრედიული დიდი გასეირნება ადგილობრივი მოსახლეობის მაღალ მორალურ ტონუსში ყოფნასა და „მეგრული ხიფათის“ პროფილაქტიკის დიად საქმეს

ემსახურებოდა. ერთხელაც სასწაული მოხდა – სასწრაფო გამოძახებაზე საჩქაროდ გამოვარდნილმა ქირურგების ბრიგადამ ყაჩაღების კორტეჟს დანჯლრეული „06“-ით გაუსწრო!.. „აი ნაგლი პიდარასტებს შეხედე ერთიო!“ – ერთხმად წამოიძახეს გაკვირვებულმა „პავლოვიჩმა“ და ქურდული გაგების „უნაგლესმა“ შენგელიამ. მხოლოდ ამ კეთილი განზრახვის აღმოთქმა დასცლიათ მთავარ მანქანაში მსხდომთ და მსუბუქი კავალერისტების კორტეჟი დაქვეითებულა... ერთი საათი მაინც ურტყეს, ფეხქვეშ გაგდებულ თეთრხალათიან, ხანშიშესულ „ნაგლ-პიდარასტ“ ქირურგებს!..

...ექიმების ამბავი კი ჩავამთავრე, მაგრამ საკუთარი ცემის მტკიცნეული გახსენება არ გინდა?! ო, არა, ნუ მოხოვთ!

სცხნა მახვილი.

„ჩვებოს“ მაშტი!

მოგვიანებით, როდესაც დასაყაჩაღებელი აღარავინ დარჩა, ფართომასშტაბიანმა ოპერაციებმა „პლოცკოთი“ კბილების დაძრობით („ფული სად გაე ჩამარხული თქვი, თვარა აღარ დაგრჩა ოქროს კბილები!“) თითქოს იკლო. სამაგიეროდ, რაც მეტად ღატაკდებოდა სამტრედის ელიტარული საზოგადოება, მით უფრო ბრაზდებოდა და ბოროტდებოდა შენგელიების ბრიგადა. ქუჩაში ვეღარავინ ბედავდა გამოსვლას, მაღაზიები საიმედოდ ჩაირაზა, ქალაქი გაუკაცრიელდა. „მაგ ოხრებს სახში არ მეეკითხენ, თვარა, ცხვირს რავა გავყოფ გარეთ!“ – ჩურჩულით ამბობდნენ დაბრძენებული სამტრედიელები. თავისი პირ-

ვანდელი დანიშნულება და გადამწყვეტი მნიშვნელობა რაიონის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში მხოლოდ ბაზარმა შეინარჩუნა.

დილით, პახმელიაზე, ბაზარში გავქანდით მე და შარა – მეზობელია, საშინელი ძველი ბიჭი. იმ დროს – ძმა და „პადდელნიკიც“. ფული მაქვს! სასადილოში შევედით, კუპატი, რამე, ხორცები ავიღეთ, ზეიდან ორი „პოლლი-ტრა“ და ლუდი. არაყი ჩავარტყით, ჩვენთვის ვართ და გრძლად ვაბილებთ. უახლოეს მაგიდაზე ვიღაც ზის, შემცა, კაი ბიჭებს გაუმარჯოსო, თქვენ გვერდზე მიგულეთო და ამგვარი ათასი ყ....ბა. ვიფიქრე, მეტენება ეს დებილი. მეც ცოტას ვუსწორებ, შავურად ვპასუხობ – კანეშნა, რაზეა ბაზარი-თქო... შარა თან ღრმა ნაფაზებს ურტყამს, თან ცალი ყბით მიჩურჩულებს – მეეშვი, მაგ ჩემისას, „რემბოა“, შენგელიების ბაზრის მაყურებელიო. შევთვერით, დავბოლდით და გავდივართ. საფულე გავაძრე და გადა-ვიხადე...

– ძმაო, დღეს თბილისში მივდივარ და ლაპატნიკი მათხოვე, თუ ძმა ხარ...

ღმერთო, რას მერჩი?! ამათ თბილისიდან მოუტყდი და აქ დამახვედრე?! ეჲ, მართლაც რომ ბედს ვერსად გაექცევი! ვერაფერს გააწყობ, ღმერთი მაღალიაო:

– ვაა?! ფულიც ხომ არ დავტოვო შიიგ?!

მე გამხდარი ვარ, ყბა ყბაში მაქვს გაყრილი, შარა ხომ – პაპიროსის ქაღალდივით სიფრიფანაა. „რემბო“? ოოო, „რემბო“ – დიდმუშტებიანი, ჩლუნგი რემბოა, რა! გაკვირვებისგან ყბა ჩამოუვარდა. აბა, რა იქნებოდა?! რაც „გლდანელოს“ თბილისელი ბიძაშვილი – „რემბო“ – შენგელიებმა ბაზრის მაყურებლად დაადგინეს, მას შემდეგ „არა“ სიტყვა არ სმენია და შელაპარაკება ხომ საერთოდ რა ხილია, არც იცის!

– ეეე, ამას შეხედე, ჩემი დედას შ...ი!

მთელი სასადილო ჩვენ გვიყურებს. მაგარ შარში გავეხვიე! კი მინდა დავპატარავდე და გავქრე, მაგრამ პრესტიული?! სასადილო? კაი ბიჭობა? მთელი მულამი და ვაჟკაცობა ხომ სიმართლისთვის იმ დროს ჩხუბია, როდესაც იცი – დამარცხდები და მაგრადაც გაილახები:

– მიყურე და იყავი. არ გინდა ეგ ბაზარი ჩემთან, თუ ძმა ხარ, რა!

– ბიჭო, შეგჭამ, ჩემი დედას შევეცი!

– ყლე არავის მოაჭამო, შე ნაბოზვარო, გაიგე?! თუ, ჩაგხადო და ისე აგიხსა?!?

რა მექნა, „საუკეთესო დაცვა – თავდასხმაო“ . „რემბო“ ახტა-დახტა, „იაუ!“ – დაიძახა და მუშტი დამიადა. დამიადა და მეც დავუადე. შარა არ ჩანს, ადგილობრივია და ზუსტად შეაფასა სიტუაცია. უკვე ბაზრის წინა ტერიტორიაზე ვართ გამოვარდნილი, გავაძრე „მონკავშირის“ ყამა. „რემბო“, ხარივით დაწითლებული თვალებით, ჩემზე იქაჩება, ნახევარი ბაზარი აკავებს ... მერე რა მოხდა, გიამბოთ?! ო, არა, არა, ნულარ მაიძულებთ!

...რა და, სამეფო კორტეჯი თავისი მსუბუქი კავალერიით ფეხებთან წაჩერდა! პირადად მე აღარაფერი მახსოვს. ოთხ-ხუთ კაცს იმპროვიზებული საკაცე-ლეჟანკით სახლში მოვუთრევივარ, გონიერ სრულად მხოლოდ საღამოსკენ მოვედი. „სრულს“ პირობითად ვუწოდებ – დასიებულ თვალებში ოდნავ ვიყურები, გაგლეჯილ თავს ძლივს ვამოძრავებ, გატეხილი შვიდი ნეკნით ზედაპირულად ვსუნთქავ. ორივე ყვრიმალი და წარბაზედა რკალები ისე მაქვს სისხლჩაქცევისგან ამობურცული, საკუთარი თვალებით ვხედავ. ცხვირი გვერდზეა მარჯვენა ყურთან. მნახველები მიყვებიან: „... რომ გადმოლაგდნენ მანქნებიდან, შენ ერთი კარგათ შეუკურთხე. მერე ჯერ გამოხარშული ხის დრინით მოგთიშეს და ფეხებით აგწიეს... ნახევარი საათი თავით ასფალტზე ატბოინი მალატოკივით გაჭახუნეს. ბოლოს

რემბომ ფეხები დაგცხო გვერდებში და წევიდენ“.

ყველაზე რთული მაინც ნეკნებია. თაბაშირში ვერ ჩას-ვამ, გატეხილი ძვლის პირები სუნთქვისას ერთმანეთს ეხახუნება და საშინელ ტკივილს იწვევს. გადაბრუნება-გადმობრუნებაზე ხომ ლაპარაკიც ზეღმეტია. ყველა უბე-დურებასთან ერთად, საავადმყოფოში წამალი არაა, ეგეც წაიღეს მაგ ოხრებმა! რა მექნა? ვეგდე, ვსვამდი კაშმარ-ნად, თვალის გახელისთანავე ეგრევე პოლლიტრას! ვაყო-ლებდი 40-50 ტაბლეტ სიბაზონს და მასტირკას. ვინექი და ვიწექი. სამი თვე მაინც გაუნძრევლად ვიდე. ფიქრი მიჭირდა. თითქოს დროც ბევრი მქონდა და შენელე-ბულ აზროვნებას ძალიანაც არ უნდა გაველიზიანებინე, მაგრამ ელემენტარულ არითმეტიკულ მოქმედებებს ვერ ვასრულებდი, ასოების წერა მიჭირდა, განსაკუთრებით მაბრკოლებდა კითხვა: შ თუ ნ? ხ თუ ძ? მ – ნ? კარგია, არა? არ გაბრაზდები ეს ექიმი კაცი?! ამიტომ საკუთარ თავს ფიქრიც კი აცუკრძალე... ნუ, გარდა, „რემბოს“ და ზოგა-დად, სამტრედის „მხედრიონის“ ადგილობრივი უჯრედის ხელმძღვანელობის მწარე გინებისა. თბილისელები, მაინც ვცდილობდი, არ გამელანძლა.

## სსკნა გევარას.

## ომის პირასის პანიკის

სამოქალაქო ომს თან სდევს მდგომარეობა, როდესაც ყოველივე ცუდი, რაც ადამიანში დევს, ზედაპირზე ამო-დის და მანვერი მხარეები არა თუ არ იმალება, არამედ ვაჟკაცობის, მამაცობის ელფერსაც კი იძენს. იმხანად ძირითადად ასეთი პიროვნებები მართავდნენ მოვლენებს და მისაბაძ მაგალითსაც წარმოადგენდნენ. ამას გარდა,

აღმოვაჩინე ომის კიდევ ერთი თვისება – ის თავის მღვრიე მორევში ყველას ითრევს და გინდა-არ გინდა, შენც სამხე-დრო ყაიდაზე იწყებ ცხოვრებას. ყველაზე საშინელი კი ისაა, რომ სამოქალაქო ომი ჩვეულებრივ უწყინარ ადა-მიანებში ყველაზე მდაბიო ინსტინქტებს აღვიძებს და მხეცებად აქცევს. ჩვენც ხშირად ამგვარი ცხოველური ინსტინქტებით ვხელმძღვანელობდით და ამაზე ნაკლებად ვდარღობდით.

სულ მოკლე ხანში არსებული რეალობის აღქმა სამტრე-დიაშიც შეიცვალა. დიდი ტრაგედიიდან, ომი ჯერ ცხოვრე-ბის წესად და მოსაწყენ ყოველდღიურობად იქცა, შემდეგ კი, „დიდი ბიძიების“ გასართობი „ომობანას“ თამაში გახდა. ასე უპასუხეს უკიდურესად გადაღლილმა ქართულმა ინფანტილურმა ნეირონებმა ხანგრძლივ დუხტირ ყოფას.

მეც დიდი მონდომებით ჩავები სამხედრო გარდაქმნე-ბში. მახსოვს, თუ რა მონდომებით დავრბოდი დილაადრიან ბაზარში და ვარჩევდი ჩემთვის მოსახდენ სამხედრო ფორ-მას, ჩემებს და სათანადო ზომის „მონკავშირის“ დანებს. პორტუპეა და ტყავის სხვა ქამრები მამის ძველმანებში აღმოვაჩინე. ასე გიუკივით გამოწყობილი ვიწონებდი თავს ქუჩის ბიჭებთან. მათ მორთვა-მოკაზმულობაშიც ერთი ელემენტი მაინც სამხედრო დანიშნულების იყო. იარაღს არც ვახსენებ, ყველას ეკიდა.

ღმერთი კვლავ დამცინოდა – თბილისიდან ომსა და შფოთს გამოვეძეცი და ჯოჯოხეთის ცენტრში ამოვყავი თავი! სამეგრელოსა და იმერეთის საზღვარზე მდებარე-ობის გამო რაიონული ცენტრი გარდამავალ დროშასავით გადადიოდა ხელიდან ხელში. ხან „ზვიადისტები“ მოიწე-ვდნენ სამტრედის გავლით ქუთაისისკენ (იჩემებდნენ, ვითომ თბილისისკენ, „მარა, მეტი არაა ჩემი მტერი, მაგენს პერევალამდეც ვერ ჩეელწიენ“), ხან კი „პუტჩის-ტები“ უტევდნენ სამეგრელოს, ესეც ჩვენს ტერიტორიაზე

„გადაჯლიგინებით“. ყველანი ისე შევეჩვიეთ ამ „კაზაკი ი რაზბოინიკის“ თამაშს, რომ, წუხილის მაგიერ, გვიხაროდა კიდეც დილიდან ელვის სიწრაფით გავრცელებული შეტყობინება მორიგი ახალი სამხედრო ადმინისტრაციის შესახებ. ასე ვხარობდით სამტრედიელები მთავრობების გახშირებული ცვლით! ჩვენი რა მიდიოდა, რომ? ერთ დღეს გამოხვალ, შემხვედრ სამხედროს უპასუხებ – „ეე, ეგ რა პონტია, ჩემი დედას შ...ი?“ მეორე დილას შემოგეფეთება ქერათმიანი გმირი და ეტყვი – „არაა მაი სტორი მოქცევა!“

მე პირადად ამ ომმა საბოლოოდ დამძუპა და გამაცამტვერა, როგორც უმეტესობა იმ დროს. არა, არც მანამ ვიყავი ფრთიანი ანგელოზი, მაგრამ ამ საშინელებამ, უპირველეს ყოვლისა ყოველგვარი ოცნება გაფანტა, კეთილი განზრახვები ძირშივე ჩაკლა! საომარი დროის ერთადერთი ნატვრა ხომ სისხლია და მტრის დაჯაბუნა-განადგურება. მტრებიც ბევრი და ყველგან ჩნდებიან, შენც სულ მეტად და მეტად ებრძვი მათ!

ყველა სვამს, თანაც გამოუფხიზლებლად, მნარეს და საზიზღრობას, ოღონდ დასალევი იყოს. მე რა, ნითელი კვერცხი ხომ არ ვიქნები? მეც დათიშული დავდივარ ყველასთან ერთად და ყველაზე მაგრად! სამტრედია ამერიკული სპირტის ოხშივარით აყროლდა – ქუჩაში დაეხეტებიან მუდამ ახლადგადვიძებული ტიპები, შეშუპებული, გაუპარსავი სიფათებითა და ჩალურჯებული თვალებით, ხალხს მიწისფერი ადევს. რაც მთავარია, ყველამ დავკარგეთ სიკვდილის შიში!

... ბიჭო, რა დროს შეფასებებია, ჩვენ ისევ შევხურდით ომობანას თამაშში! ამ ომში ორივე მხარის საიდუმლო გეგმები მთელმა ქალაქმა ერთი დღით ადრე მაინც ვიცოდით. ამჯერად დასავლეთის მხარე ანუ „ზვიადისტები“, მოძლიერდნენ, ეგ „მიწადასაყრელები“ (ან ჯიგრები) და ხვალისთვის დაიწყებენ სამტრედიაზე შეტევას. იატაკევე-

შეთში წასული სამტრედიელი „კანონიერები“, იგივე „ზვია-დისტები“ კბილებს ილესავენ, დროშებს ამზადებენ. „პუტ-ჩისტები“ უკან დასახევად ემზადებიან. ორივე მხარეს დიდი ფუსფუსია ატეხილი. წარმოდგენა დილის 7-8 საათზეა დანიშნული! სცენა – აპაშა-სამტრედია, წყალგამყოფი – ცხენისწყალი; მიზანსცენა: ერთი დღით ადრე, სიტყვებით – „ჩემი დედას რო შევეცი!“, ქალაქს ტოვებს „სამთავრობო“ ჯარი, სამხედროების გაუმართაობის გამო, ორი „БТР“-ი რჩებათ; სცენაზე შემოდიან „კანონიერი“ ხელისუფლების ჯარები შეძახილებით – „**სკანი დიდა ფხოდი, ედო (ჯაბა)!**“ მათ შემოჰყავთ ამაღლებულბორტიანი „КАЗ“ („KAMA3“)-ები; მთავარი მოქმედი პირები – მე, შარა, ჩეჩენი მეთაური და მეგრელების ჯაჭვი. ვიმეორებ, არ გამოგრჩეთ, სპექტაკლი დილადრიან იწყება! დასწრება აუცილებელია საცოდავი სამტრედიელებისთვის.

## სსხვა მეთებელები.

### მფიციანი „ზეინაებისტები“.

#### ნოვ ეს ცოტი

დილა თენდება. სამხედრო ოპერაცია დაიწყო! ჯერ საარტილერიო მომზადებაა, აქა-იქ ჭურვები სკდება. მე და შარას ჩვენი გეგმა გვაქვს – საომარ არეულობაში ცენტრალური აფთიაქის მიბომბვა წამლის კონფისკაციით, მისი შემდგომი დანიშნულებისამებრ მოხმარებისთვის. უკანას-კნელად ვამოწმებთ სამუშაო იარაღს: კარების გასატეხი ფომკა აღუნული ორკაპით, „მანტიროვკა“, „ატვერკა“, „ზუბილა“, უფრო ურო, ვიდრე ჩაქუჩი და „პლოცკა; ამას გარდა, ბოქლომის გადასაკვნეტი მაკრატელი, სამუშაო ხელთათმანი, ერთი-ორი დიდი დანა-შტირი, გისოსების

ამოსაგდებად „კირკა“ – ეგაა, ყველაფერი ადგილზეა. თოთო ჭიქა – „აბა, ღმერთი ჩვენებენ და გავეშვით!“

ჩვენი ქუჩის თავამდე გასვლა იყო და, „ზვიადისტების“ 10-15 კაციანი ჯაჭვი სროლით ცენტრისკენ მიიწევს. წინ დაბალი ტანის, ხმელი ჩეჩენი მეთაური მიუძღვის, „რეიბანებით“ და წვრილი ულვაშებით – ტიპური საკადრო ოფიცერია, ხაკის, თხელ წელზე მომდგარ ფრენჩში, ასე 40 წლამდე. უკან ორმეტრიანი, ცისფერთვალება, ქერათმიანი მეგრელი ბიჭები, სადესაწორ კომბინეზონებში – რა დედამ შობაო, ალტაცებით იტყვი!

„წავე-დით!“ – გავეცი ბრძანება და ჩვენი ქურდული ორეული მოიერიშე „ზმიკას“ უკან ამოუდგა. მე „Adidas“-ის ლურჯი რეიტუზი მაცვია და წითელი ხასხასა ყვითლით „Puma“-ს ზედა, შარა შედარებით სადადაა – შავი ჯინსი და პერანგი, ასეთივე ფერის ქურთუკი. კაი ბიჭის სტატუსი ავალდებულებს, რა ქნას. ხელში დიდი ჭარხლისფერი ჩანთა. მეომრები გაკვირვებით გვიყურებენ, ვერ გაუგიათ ვინ ვართ, რა გვინდა? ვერც გვიშორებენ, გაქანებული სროლაა. ციდან დიდი თვითმფრინავი პიკირებს, მგონია, სადაცაა თავზე დამაფრინდება.

– Лажись!

თვალის დახამხამებაში მთელი ბატალიონი უჩვეულო ფრენას იწყებს. ორმეტრიანი მეომრები, წინ გაწვდენილი ხელებით, ადგილიდან წყდებიან, ისე, თითქოს წყალში უნდა გადახტნენ და მინაზე რბილად ეშვებიან. განსაცვი-ფრებელი სანახაობაა!

– Лажись! Ёб твой... Всех накроет суха, что охуели, ёб вашу мать! Что как клоуны оделись! Лажись-говорю бляды!

მე და შარა დამცინავი სახით ვუცქერთ ჩაწოლილ ჩეჩენ მეთაურს – ჩვენ, ჩემი ძმა, ტყვიისა არ გვეშინია, შე ყლეო, აბა რისი კაი ბიჭები ვართ?! წინიდან ტყვიამფრქვევა დაუშვა – „და-და-და-დან, და-დან!“.

– შარა, გააძრე „პერშინგი“! პულემეტჩიკ, შენ დამეხიე ყლეზე!

ეიფორიაში ვარ, ვყვირი. ლეიტენანტი შარა-ში-ძე ჩან-თიდან იღებს სამხედრო მათარას, ხსინს თავსახურს და იყუდებს.

– ჰოუ, ჰოუ გააჩერე, გააჩერე, რა ამბავია, აფთიაქამდე არ მიგვყვება!

– ოჩილ, შენ ნუ გეშინია, ერთი კიდო მაქ სუმკაში – სააფ-თიაქო! ჰა, ჩაარტყი.

ჩეჩენი, გაყ... და, თვალებს არ უჯერებს! მეგრელები ზიზლით გვიყურებენ, თან ჩემი თბილისური აქცენტია საეჭვო. დიდად მაინც ვერ იცლიან ჩვენთვის, წინ ტყვიებია.

– Встать! Вперёд! Пошли, пошли!....Ложись!

ისევ ხელგანვდენილი გადაფრენა მიწაზე გაშელართ-ვით. ტრადიციული – „**Ёб вашу...!**“ და თავიდან... ალარ ისვრიან, როგორც ჩანს, მოწინააღმდეგის ნაწილებმა საბოლოოდ დატოვეს სამტრედია. მხოლოდ უშველებელი თვითმფრინავი ურტყამს ქალაქის თავზე წრეს, არც მანამ უსვრია და ახლაც არაფერს აძავებს. ვითომ დაზვერვაზეა თუ ჩვენ გვაშინებს? ჩვენ არ გვეშინია, ჩიტუნი!

ჩვენი ბატალიონის შეიარაღებას ვუკვირდები. ტორე-ბში – უზარმაზარი, ჩემი წონის მაინც იქნება – ხელის ტყვიამფრქვევი, ფართე ზურგზე – თითქოს სათამაშოა, ცეროდენა კალაშნიკოვები. დამცავი შეფერილობის კომბი-ნეზონები, გულმკერდზე – ჯვარედინად, წელზე – შემორ-ტყმით – ლენტები, მტკაველისოდენა ტყვიებით. რა ძალა უნდა მარტო ამ ამუნიციის ზიდვას და ამას დამატებული სირბილი, ფრენა?! რაჟოკები, ლიმონკები, შტიკ-ნოჟი და ამგვარი წვრილმანები მხვედველობაში არც მიიღება. სალოლ, ძმებო მეგრელებო!

სამტრედიის ცენტრალური ქუჩით მივიწევთ. გზაჯვა-რედინია. აბა ჰე, ნახვამდის, მამაცო ჯარისკაცებო, „გუუდ

ბაი“ ჩეჩენ! „ზმეიკა“ მილიციისკენ მიცოცავს, ჩვენ ჩამოვრჩით. აფთიაქამდე არასაუნიყებო დაცვის შენობა გვაქვს ასაღები. რისთვის, ჩვენც არ ვიცით, უბრალოდ მიტოვებულია და ალბათ იმიტომ. გაგვიტაცა ომობანამ, ხელს არავინ გვიშლის, არც გვიჭრს, ჩვენც განუსაზღვრელი თავისუფლებით ვთვრებით! მტვრევავ, ნგრევავ, მსხვრევავ, რა საამური ხარ შენ! შევრბივართ და სიგნალიზაციის პულტზე ვიყრით მილიციისგან ჩარჩენილ ჯავრს. ჰო, რა გამეტებით დავცხეთ დიდი რკინები სასიგნალო წითელ-ყვითელ-ლურჯ ნათურებს! ო, რა მომხიბლავი ჰანგებია – „ბაახ!“ „ჭახ-ჭუხ!“, „ლრიჭ-ხროუშ!“ ზემოდან ხმა: „ბიჭო, რომელი ხარ მაქანე?“ შევკრთი! სხვენიდან ჯერ აბურძენილი თავი გამოჩნდა, შემდეგ, ჩვენი დანახვით გათამამებული მამაკაცი ლურჯ ფოხანა ტრუსებსა და ჭუჭყიან მაისურში. კიბით ქვემოთ დაეშვა.

– ბარო, შარაია, ვერ მიცანი?!?

– უი, აი ვინ ყოფილა! რაია, ნიფხავში რო დარჩენილხარ?

– ბიჭო, ფორმა გევიხადე და გადავაგდე დროზე, რაი მექნა? ვერ მოვასნარი სახში გაქცევა, მორიგე ვიყავი და ქეშემეტრენ ე ოხრები... თქვენ ვერ მომცემთ რამეს?

– მერე შენსავით ტიტველი ვირბინოთ?!

– არა, იქნება... რა ვიცი... მაშინ ავძვრები ისტოვლე, მარა პულტის უკანე ველოსიპეტი მაქ დამალული და ამომაწოდე ჭერზე, რაია? არ წამართვასკენ ამ კეთილმოტყნულებმა!

– ჩერდაკზე გინდა იკატავო, შე ჩემა? მიდი, მიდი, გაძლევ. ჰო, კაია, გამომართვი და ჩვენზე კრინტი არ დაძრა იცოდე, მერე, ვლასტი რო შეიცვლება!

კარგია! ერთი დიდი საქმე მოვითავეთ – სიგნალიზაცია გამოვრთეთ, თუმცა უფრო არა უსაფრთხოებისთვის, უბრალოდ, როგორც ვთქვი, ძველი ზუბი გვაქვს ძაღლების. მივემართებით აფთიაქისკენ. სამტრედიის ცენტრი სულ ასი მეტრია დიამეტრში, ასე რომ, სამხედრო მოქმედებათა

თეატრი ჩვენ თვალწინაა გადაშლილი. „ზვიადისტებს“ სამტრედის აღება უკვე მოუსწრიათ. შემოდიან მეომრებიანი ბორტებამაღლებული „КАМАЗ“-ები – სამხედრო ტექნიკის ავანგარდი, მეგრული „პოპ-არტი“! ეჭ, გაჭირვებას რა ვუთხარი მე – საწყლებს ჯავშნიანი მანქანები არ ჰყავდათ, რა ექნათ? ხომ უნდოდათ მათაც ომობანას თამაში?! გამოსავალი ასეთი მოინახა – რაც რკინები იყო „მეტალობაზებზე“ და „დელავორ დვორებზე“, სატვირთო მანქანებს მიადულეს. კაბინა, მთელი კორპუსი გარშემო, ძარა, თავისი ორმეტრიანი ბორტებით, საბურავები – ფოლადის სქელი ფურცლით დაითარა. გამოვიდა, რა გამოვიდა – „მარგალიული“ ტანკი „მონსტრი“! რკინის დინოზავრებმა სამტრედიამდეც გაჭირვებით მოალწიეს, უღელტეხილის გზის შედგომა იყო და საბჭოურმა მოტორებმა, ალარ შეგვიძლია ამდენი რკინის თრევაო. ეს იყო უკანასკნელი, რაც აღმოხდათ მომაკვდავებს და იქვე, რიკოთის მისადგომებთან, სათაფლის განთქმული დინოზავრივით სამუდამოდ მიიძინეს.

ძალების კონცენტრაცია მილიციასთან წარმოებს. სამხედრო კომენდატურა, „პუტჩისტების“ მსგავსად, „ზვიადისტებმაც“ ამ შენობაში განათავსეს. წინ ბალახზე წამოკოტრიალებული მეგრელი დევიაცები მშვიდობიანად აბოლებენ. ვერც დაიჯერებ, რომ ეს ახალგაზრდები ბავშვური გამომეტყველებით, სულ რამდენიმე წუთის წინ, გამხეცებული სახეებით შემოცვივდნენ სამტრედიაში და გააფთრებით უშენდნენ ადამიანებს ტყვიებს.

უცებ მთელი ქალაქი შეზანზარდა – „ბა-ბათქ!“ გარშემო შენობებში შუშები ჩაიმსხვრა. ყველა პანიკამ მოიცვა, მეომრებმა კვლავ ფრენა იწყეს. ჩვენ ხმაზე გავიქეცით. გაირკვა, რომ სამთავრობო ჯარების მიერ დატოვებული ჯავშნიანი მანქანა დეტონაციისგან აფეთქებულა. გასაოცარია, რა დიდ ენერგიას იტევდნენ ტანკები ბოროტი გან-

ზრახვით დატოვებული ჭურვები. მისვლისას ადგილზე ორი-სამი პეშვი რკინის ნამსხვრევი დამხვდა, თითქოს თეფში გაეტეხათ! მეორე ასეთივე ჯავშნიანი მანქანა მილიციიდან სულ ოციოდე მეტრში დგას, მას ვერავინ ეკარება. ცაში ისევ მზვერავი თვითმფრინავი გამოჩნდა, სროლებიც განახლდა.

აფთიაქს ვუახლოვდებით, გზად სამტრედიელი გივია- „სიქა“ მხვდება მოტოციკლეტზე ამხედრებული. ესეც კაი ბიჭია. მუჯნება, სამშობიაროსთან ტანკებია გაჩერებულიო. დედაჩემი ხომ გინეკოლოგია, რა უნდათ, ეგებ ქალებს ერჩიან? გივიას უკან შემოვუჯექი, გავვარდით სამშობიაროსკენ.

საგიუჟთია ნამდვილი! ჯავშნიანი მანქანა უტვინო მეომრებს თხრილში ჩავარდნიათ, ვერ ამოჰყავთ. უკან დავბრუნდით. როგორც იქნა, ოცნების ადგილამდე მივაღწიეთ. აფთიაქის დიდი შუშები აფეთქების ტალღას გამოუგდია. შევედით, თითქოს არავინაა. მივიხედ-მოვიხედეთ, სათავსოს კარები გაიღო, ხნიერმა თეთრხალათიანმა ქალმა გამოყო თავი:

– ტი-ტუ! ტიტუია, დეინგრა, დეიდა, აფთიაქი! **რას შობიერ ხვა რიცით?**

– ომია, ქალბატონო, რა დროს აფთიაქია, ვერ წახვალთ სახლში?!

– მარტო ვარ და მეშინია, რაფერ წევიდე? ისვრიენ კიდო?

– წადით დროზე სახლებში, თორემ აქ შემოცვივდნენ და ცუდ დღეში ჩაგაგდებენ!

ამათ უყურე, რა თავგამოდებით იცავენ წამლის სანახებს! აფთიაქის ფოიეში ვდგავართ სამნი – მე, შარა და გივია.

– აბა, ძმებო, აღვნიშნოთ, შარა, გააძრე „პერშინგი“!

– ვაა, თქვენ რა მომზადებილები წამოსულხართ?! აგი

ჩანთა რათ გინდენ და ვაბშჩე, რას შობით აქანა?

ომის განამაწიაში გართული „გივია-სიქა“ აქამდე ვერ ჩასწვდომოდა ჩვენს მზაკვრულ გეგმას. წამალი ოხრად გვექნება, ტონობით. გივია – კაი ბიჭია და სატრანსპორტო საშუალების, სახელდობრ შავი, გაპრიალებული „ურა“-ის მფლობელი. გავიყვანოთ უნდა წილში, რაზეა ბაზარი?!

– აბა, კაი ბიჭებს გაუმარჯოს! ჩვენ გაგვიმარჯოს!

– გაგვიმარჯოს! ბიჭო, ზურია, ჯონდოიქს მანქნა ყავენ აი ბოზებს შტრაფნოიზე და იქნება კი მოგვცესკენ „ზვია-დისტებმა“?

ვალაგებთ ახალ გეგმას. სანამ შარა პროვიზორების ევაკუაციას უხელმძღვანელებს და სეიფამდე მისასვლელ გზას გაწმენდს, „სიქა“ თეთრხალათიანებს სახლებში გადაზიდავს, მე მილიციისკენ გავიხედავ. ჯონდოს „ზაპორო-ჟეცი“ დგას საჯარიმო სადგომზე, ომამდე წაართვეს. ისიც კაი ბიჭია და იმ დროისთვის მოსკოვში გახლდათ საყაჩა-ლოდ.

გავედი მილიციასთან. შესასვლელთან დაცვაა. აქეთიქით წამოწოლილან ნაცნობი მფრინავი მეომრები, კვლავ აბოლებენ, საუბრობენ, ხმამაღლა იცინიან. მეგრული არ მესმის, მაგრამ თითქოს ირონია მე უნდა მეხებოდეს. ჩაცმულობა? მივაჭერი მთავართან. შუახნის მეგრელია, გრძელი ჭალარა თმებით და დიდი წვერით. ტანი – მოჭიდავის, ჯიჯგვიაო, რომ იტყვიან, აი, ისეთი.

– ძმებს გაუმარჯოს!

– ...ჰმიჰმ.....?

გაკვირვებით შემომხედა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მიბრუნდა მეგობრებისკენ და ყველამ ერთად ატეხა სიცილი. ვაა, ამათ უყურე შენ, გამარჯობასაც არ კადრულობენ ეს ჩემისები. ავტომატი არ მაქვს და ადამიანადაც არ მთვლიან.

– ჩვენი ძმა, გამომხედე, რა. საქმე მაქვს უფროსებთან,

გამატარე.

- მითხარი, აბა, რა გინდა შენ?!
  - კაროჩე, რა მინდა ძმაო დაა... აგერ, ეზოში, შტრაფ-ნოიზე დგას ჩემი ძმაკაცის მანქანა, გაასწორე და ძმურად გამატანე რა – კა ბიჭია და ამ პოზებმა წაართვეს, ნუ. ხო აზზე ხარ, თან ზის ეხლა. კაროჩე, ოჯახი მარტოა, გაყიდის და საჭმელს შეჭამენ, რა. **აზრეს?**
  - ვინ ხარ შენ?!
  - მეე, რა ვიცი, ვარ რა...
  - თბილისელი ხარ შენ? ძველი ბიჭი იქნები, ბაზარზე გეტყობა. რას გეტყვი, იცი, დაახვიე, ბიჭო, აქედან, სანამდე მთელი ხარ, ჩემი ჯიმა კოჩი!
  - ე, რანაირად მელაპარაკები, ძმაო?!
  - წაეთრიე ახლა, თვარა მოგიტყნავ კარგის ტრაკს!
  - წესიერად ილაპარაკე და მანქანა გამატანე, გაიგე?!
  - უხ, სკან დიდა ფხოდი! აბა, ეხლა იცეკვე, თორე შენიო!
  - ჭალარა მეომარმა ავტომატი მომიღერა. ყველამ ერთად ატეხა სიცილი. შეძახილები: „მიდი, ნოე, მიდი, აცეკვე მაი თბილისელი პიდარასტი!“.
  - შენ დამეხიე, ბიჭო, ყლეზე შენი ავტომატიანად! შენი ნოე დედას შ...ი მე!
- დამთავრება იყო და ჩემთვისაც მოულოდნელად ავტო-მატის ლულას წავავლე ხელი. ყოველივე იმდენად უცებ მოხდა, „კალაშნიკოვის“ დიდ სამიზნეს ისეთი ძალით ჩავეჭიდე, ცოტაც და იარაღი წართმეული მქონდა! კიდევ კარგი, ვერ მოვასწარი, მფრინავი ჯაჭვის ტყვიამფრქვე-ვები ერთბაშად მე მომაშტერდნენ... არ გამიმეტეს. სულ ბოლო მომენტში მოასწრო ნოემ და გამოჰკრა თითო ჩახ-მახს. მოკლე ჯერი და „მამამთავრის“ ერთი ტყვია მარ-ჯვენა ტერფში შესრიალდა. წავიქეცი. ისეთი მთვრალი ვარ, ტკივილს ვერც ვგრძნობ. წამოვდექი.
- ჩვენი ძმა, მანქანა გამატანე და გაპატიებ. თორემ

იცოდე, ვპრაზდები და დაგენძრევა!

– იდი ნა ხუი, გიხოდ დიდა შმუნდი!

ამის თქმა იყო და ცხვირწინ დავინახე... თუ შემდეგ ვფიქრობდი, რომ დავინახე და მხოლოდ დარტყმის ძალის მიხედვით წარმოვიდგინე? ჩემი თავის ხელა? არა, გაცილებით დიდი, ვეებერთელა მუშტი. კუვალდა! მეხი! რკინა-ბეჭონი! სახეში კლდე შემასკდა! ბუნდოვნად მახსოვს – ძვალმა, „ღრჯულ“, სისხლის შადრევანი. გონება დავკარგე...

წარკოზიდან გამოვდიგარ. ლოგინზე ვდევარ, ბურუსია, ვხედავ ქალებს. საფენებს მადებენ, ვეცოდები. მიღიციის გვერდზე სახლში გადაუთრევივართ, დედაჩემის ექთნის ოჯახია. ნახევარი საათი მაინც გამაქვავა, მაგის ნოე დედას... რა დამიადა! ბევრჯერ მომხვედრია, ერთხელ რელსი მგლიჯეს თავში, ისე რომ ყბები დამტყდა, ასეთი გრანდიოზული არაფერი მინახავს! მალადეც მარგალიკაზი! თავი წამოვწიე – ტანს თითქოს მოწყვეტილია, ისე ქანაობს, როგორც პატარა ჩინურ ფიგურაზე.

– დეიდა, არაყი, დროზე!

– აპა, შვილო, აგერაა, სტოლზე!

რამდენიმე ქალი საფენებს ამზადებს, სისხლს მწმენდენ.

– ჭიქა...

მომაწოდეს პატარა, სათითურივით პანაწინა, ნორმალური ადამიანებისთვის, ნუ.

– წყალი?

– აგერაა, დეიდა, ბაკალში, ეილე, ჭისაა.

– კაი რა, დეიდა, რა დროს ჭაა, მაიცა რა!

ქვემოთ ტაშტია, სავსე სისხლით და ჭუჭყიანი ბამბებით. კათხა ამოვაპირქვავე და არყით ავავსე. ვგლიჯე სულმოუთქმელად... უუფ! ბრრ... წავიდაა! ცოტა თავი გამითბა, სარკეში ჩავიხედე... ეეე, ეს რა არი, ცხვირი აღარ მაქვს?! სად წავიდა ამხელა ცხვირი?! თვალები დაწვრილებული, ჩინულზე მეტად, ნინ აირწინალის მიღივით გამონაზარდი,

სადღაც თავს უკან იკარგება. ძგიდე გაგლეჯილია, სისხლი ნაკადით ასხამს. ხელით ცხვირი მოვიძიე... კეფაზეა! ცხვირი მომტეხა, მე მაგის დედას...! წავედი! არა, ჯერ ჩასწორება უნდა. ექიმი? არა, ჩემით... მტკივა. დავქაჩე და ყურამდე მოვიტანე. ერთხელაც სარკე... პიკასოს „გერნიკიდან“ გადმომხტარს ვგავარ!

გარეთ გამოვედი, თავში, თუ ამას თავი ჰქვია, ერთი აზრი მაქვს – რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა დავბრიდო ნოე! წინ ტანკია, აი ის, მილიციასთან რომ იდგა, გვარდიელების დატოვებული. ომის ყველა კანონით, ესეც დანაღმული უნდა იყოს. ფეხებზე მედია, სასტიკად ვარ გამწარებული, ძალები გამიორმაგდა. ჩემზე იტყვიან, გააფთრებულია, ჯავშანზეც აფთარივით ავხტი!

– ლაჯის! მინე!

ყვირის „რეიბანებიანი“ ჩეჩენი, მეგრელები იწყებენ აქეთ-იქით გადაფრენას. ტანკის კოშკურაზე სარქველს ვეჭიდები. ჩემი ამღვრეული აზრით მოტორს ავაგუგუნებ თუ ავაბრუხუნებ და შევვარდები მილიციის ეზოში. ამათ მაუტყნავ დედებს!.. არც აფეთქდა, არც გაიღო, ჩამოვხტი. ნაბოზვრები დამცინიან. მეც ვაგინებ, რაც ძალა და ღონე მაქვს, აღარც ბრაზდებიან, რომ მესროლონ და გამა-თავონ, ეს განდონები! დამცირებისგან სულ გადავირიე – საცოდავი სანახაობაა! როგორც იქნა, შარამ, გივიამ და ვიღლაცებმა სახლში წამომათრიეს. ისევ წოლა, თავის ტკი-ვილები, ექიმები, წამლები და არყები.

დაღამებულა, ვწევარ, თავში ორთქლმავალი დადის. ნოე, ოს ნოე, შენი დედას...! უჳ, რა ვქნა, სანამ ვიწვე? „სათავე ოფისი“ გამოვალე, სამედიცინო სპირტი დაუშვი... გუგუნმა იკლო. „ზვიადისტებო“, მე თქვენიანიც ვიყავი, თქვე ნაძირლებო! ეს რა მიქენით, თქვე არამზადებო! მეტი-რება...

დილაადრიან ბაზრისკენ გავბოდიალდი, ცენტრალურ

უნივერმალში არაყი შევიძინე და იქვე, ეზოში, ლოთებთან ჩამოვჯექი. გსვამ, თან ქუჩაში გამვლელებს ვათვალიერებს, სამხედროები დადიან – ნოეს ვეძებ. რატომდაც უნივერმალის შუშის დიდ ფანჯრებს მივაშტერდი, თვალი სიგნალიზაციის ვერცხლისფერ ზოლებს გავაყოლე, გვერდითა პატარა სამკუთხედი გამორჩენიათ... ნოე ისევ არ ჩანს, ვატყყობ, ვერც ვნახავ. ეჱ, სჯობს ალკოჰოლით ჩავიკლა ბოლმა.

ლამისკენ გამეღვიძა, თავში ისევ მატარებელმა ჩაიქროლა. რა ვქნა, სანამ ვიყო ასე უმოქმედოდ? გავალ გარეთ, ეგებ ნოეს წავაწყდე სადმე. ამერიკული სპირტი კარგა ხანია გათავდა, კარბიდის არაყია გადამყიდველებთან. შევიარე, ვიყიდე, იქვე დავლიე და სახლისკენ წამოვედი.

უნივერმალთან ვარ, ფანჯარა გამახსენდა... აი, აბაროტიც! გავტეხავ, ამათ ჯინაზე გამოვაცარიელებ და გულსაც მოვიოხებ. ადრე შემჩნეული უსიგნალიზაციო გვერდითა სამკუთხედი იდაყვით ჩავამსხვრიე. იქვე, ახლოს, ჩვენი ქუჩის დასაწყისში, ბოძს ამოვეფარე. ბალაზზე პატარა სუფრა გავშალე, წამოვუჩექი, ვსვამ და ობიექტს ვათვალთვალებ. არავინ ჩანს, ჩემი და შარას ვიზიტის შემდეგ ვერც სიგნალიზაციის აღდგენას მოასწრებდნენ. ერთმა მეზობელ-მეგობარმა – ზაზამ ჩამირბინა, აქ რას აკეთებო? უნივერმალი გავტეხე და ვყარაულობ-თქო. ვააო! ჩვენ მილიციიდან დაგვირეკეს, სიგნალიზაცია ჩაირთო და დაცვაში მოდითო, არ დაგიჭიროსკენო. ესეც კაი ბიჭია. ეეჱ, წავედი? არა, ჯერ შევხედავ, მოვარო ვინმე? ომია, ვის ცხელა მაღაზიისთვის? სიწყნარეა... მაგის დედაც, სადაც ვიწროა, იქ განყდეს!

უნივერმალში ვარ. დახლიდან ჩამოხსნილ უზარმაზარ ჩანთაში ყველაფერს განურჩევლად ვყრი. უცებ აივსო. ბიჭო, რა გეჩქარება, მთელი ღამე წინაა?! დაწყნარდი! თავი ხელში აიყვანე, რა! შევუდექი მაღაზიის მეთოდურ

განმენდას. ყველა სექციას დაკვირვებით ვათვალიერებ, შემდეგ ძვირ ნივთებს დახლზე ვაწყობ და მათში გამარჯვებული ჩანთაში თავსდება. სერვიზები, ნაირ-ნაირი ბროლის ვაზები, მაჯის საათები, ტანსაცმელი, რუსული დეკორატიული ყულაბები და ბევრი სხვა რამ... ეგაა, კონკურსს მიაქვს ბევრი დრო! გადავალ ახალ განყოფილებაში, რაღაც მომენტონება, მინევს ჩანთის ამოპირქვავება და ნივთების ახლიდან გადარჩევა. მოკლედ, მაგარ ამბავში ვარ! ამოდენა სიკეთეს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება დაემატა – ყოველ სექციაში ვპოულობ გამყიდველების მიერ გადატეხილ ფულს. ვაღებ უჯრას ან ვწევ დახლზე გადაფარებულ გაზეთს, დევს საკმარისად დიდი თანხა – ოცი-ოცდაათი ათასიდან – ას-ორას ათასამდე. ერთი მოზრდილი ცელოფნის პარკი პირამდე ავავსე! ძველი მორფინისტული ჩვევით, სამი ჭარხლისფერი ტკიცინა ორმოცდაათათასიანი ფეხსაცმელში ჩავიდე, დაჭერისას ძალლებმა რომ ვერ გიპოვონ და საკანში შეგყვეს. მოკლედ, ვგულაობ! ისე გავერთე, ძვირ საქონელს თავი დავანებე, ესთეტიკურ სიამოვნებაზე გადავედი. ვარჩევ ლამაზ, თვალისმომჭრელ ნივთებს. დახლქვეშეთში აღმოვაჩინე გადამალული ჭურჭელი, სპილენძის ინდური დოქები, ბროლის ჭალი... საკანცელარიო საქონელმა გამიტაცა! შვილების-თვის ვარჩევ ჩინურ კალმებს, პასტებს, სახაზავებს, ფანქრებს, ათ-ათი რვეული – ცალხაზიანი და უჯრედებიანი, არა, ოც-ოცი იყოს... დავიღალე, დროა წავიხემსო. გადავედით სურსათში! არყები და კონაკები, ვისკები და შნაპსები და... მუხრუჭების ხმა! ჩქარი მეგრული საუბარი!

ეუფლ! ავფრინდი და ტელევიზორის ცარიელ ყუთში ამოვყავი თავი. გავიყუჩე, გავშეშდი და საერთოდ მოვკვდი! როგორია – გაგანია ომია, კომენდანტის საათია, შენ მაღაზიას ქურდავ?!

შემოვიდნენ. მეგრული გინება. მეძებენ, რას მეძებენ –

სულ გადააბრუნეს დახლები! ჩანთები ნახეს, მარადიორი არ ჩანს...

– ნამდვილ-ი-ად აქაა, ბიჭო?! ტყვილ-ი-ა არ მაძებნინო, იცოდე!

– უფროსო, ორი საათია რუსულ სკოლაში ვარ ჩამჯ-დარი, რავარც ჩეირთო სიგნალიზაცია, გამევიქეცი და მაგას უდარაჯებ. ერთი საათის წინ შემოძვრა და მის მერე აქანა დაბორიალობდა და რა ვიცი? ჩანთები ხომ მაგერაა და...

ავოე, რა დავიწვი! ეს არამზადა არ ზის თურმე მოპირ-დაპირე შენობაში!

– იქნებ გაიქცა?!

– არა... თქვენ რო მოხვედით, სადღაც გადახტა და გაქრა.

– სხვა გასასვლ-ი-ელი იქნება სადმე?

– არა, ერთი კარია მარტო, ატვეჩაი ვარ, აქანა!

– მაშინ ჩვენ წავალ-ი-თ, დიდ ფანარს მოვიტანთ. არ გაგექცეს, თორემ შენ დაგბრიდავ, იცოდე! ხო აქაა ნალდი?!

– კი, უფროსო, კი-თქვა!

– იარალი შეაყენე და თუ გამოჩდა, გლიჯე იცოდე!

კომენდატურის ხალხი წავიდა, ეს ადგილობრივია, ეგებ რაიმე გამოვიდეს... დროზე! სამალავიდან თავი ამოვყავი.

– არ გეინძრე, გესვრი!

– გაუმარჯოს ძმას! არ მესროლო, ადგილზე ვარ. ბიჭო, აჲა, ნახე რამდენი ფული მაქვს! პაპალამ გავიყოთ და გამიშვი რა!

– არ გამოვა მაგი ამბავი...

– რატო არ გამოვა, შენ გამატარე და მერე ატეხე სროლა, ნახავ, თუ არ გამოვა!

– მეც მინდა, მარა დამინძრევენ მეგრელები...

– რას დაგინძრევენ, დამჭერი თუ გინდა! ძმაო, ხომ იცი, დამხვრიტავენ მარადიორობისთვის, გამაქციე რაა! გთხოვ,

ძმურად!

მანქანის ხმა. მე ისევ ტელევიზორის ყუთში ვზივარ კურ-დლელივით. ვგრძნობ როგორ მიუთითებს ჩემი განმარტობის ადგილზე სამტრედიელი მილიციელი.

– აბა, ამოეთრიე მაქედან, სკან დიდა პხოდი!

სელი თმებში, ქეჩოში. უნივერმალის მოზაიკაზე პირქვე გავიშელართე. სუნთქვისას ცხვირში მტვერი შემდის, თავს ოდნავაც არ ვატრიალებ, მზერა პირდაპირ იატაკისკენ მაქეს მიმართული. არ მინდა საკუთარი სასიკვდილო ტყვია დავინახო... ავტომატის კონდახი გვერდებში, მუჯლუგუნები თავში:

– ფეხები გაშალე! ხელებიც! დროზე! ამოტრიალდი, შენაბოზვარო, ერთი შეგხედო, შენი...!

ლულა თავზე მაქვს მობჯენილი... ასე ახლოს სიკვდილ-თან არასოდეს ვყოფილვარ. ხელები საფეთქლებზე მივიფარე, არ მსურს თვალის მოკვრითაც კი ჯალათის ფეხებს, თუნდაც ჩრდილს ვხედავდე. სიბნელე მამშვიდებს, მასში არავინაა, არც მე, არც მკვლელი. გაცოფებულია, სადაცაა დაუშვებს... ჩემ ბედზე, ამ ჩემისას კარგადაც დაულევია. გასაოცარია, რა სიცხადით აღვიქვამ ყოველივეს – გატიალებულ მთვრალს სხვისი ოხშივარი სასტიკად მაწუხებს! სრულიად გამოვთხიზლდი, ხმა საიდანლაც შორიდან, ზემოდან მოდის:

– ამობრუნდი, თორე გესვრი, შე ახვარო! ჩვენ აქ სისხლს ვღვრით, ეს განდონი იპარავს! აი, შენნაირ პიდარასტებს ვეომებით, თქვენი „მხედრიონი“ დედებს შევეცი მე! ამობრუნდი-თქო!

თავში მწარედ მერჭობა ავტომატის ლულა. პირველად ვესწრები საკუთარ დახვრეტას. მთავრდება? ამოტრიალება არ შეიძლება! არაფრით, არა! სულ რომ გასკვდეს სიბრაზით, მაინც! თორემ ასიანი გამათავებს! თვალებში რომ ჩამხედავს, მერე ადვილად მესვრის. ასე ვერ ბედავს,

უცნობს ვერ მიმეტებს. განძრევა და დანძრევა ერთი იქნებაო, ამაზეა ნათქვამი.

— არა, ხო?! არ გადმობრუნდები, ხო?! აბა, ვნახოთ, შენი დედას...!

და დაუშვა და დაუშვა! წვიმა, ნიალვარი, ტყვიების, რა თქმა უნდა. ჯერი ყურისძირში – „დრო-დრო-დრო-დრო...“ ყურები დამიგუბდა, მინუსი. ისევ ჯერი – „დრ-დრ-დრდდდ-დრ...“ კარგი მსროლელია ეტყობა! ისე ახლოს აჯენს ტყვიებს, რომ ატკეჩილი მოზაიკის პანაწინა ნაწილაკები სახეში მესობა. თავს ცოცხალი თავით არ ვანძრევ, ქვესკნელში ვიყურები. „ჩხაკ-ჩხუკ“ – სულ გაცოფდა, ეს ჩემისა, მეორე მჭიდრი გააძრო. ისიც თავთან დამაცალა. ამოუშვა როგორც იქნა ბოლმის ორთქლი, გაუარა გაშმაგებაშ. აი კაცი – მეგრელიც ჭეშმარიტი ქართველია, ვერ დასწამებ სეპარატიზმს! ჯიგარი ხარ! არ დამბრიდა! გადავ-რჩიოთ!

— წაათრიეთ, ამის დედას შ...ი, არ გამომაფხიზლა ამ დედააფეთქებულმა! მანქანაში არ ჩასვათ, თორე შემომაკვდება! ბანარია ბაგაუნიკში და გამოაბით!

— მიმაბეს „06“-ზე და კომენდანტურაში წამაჩანჩალეს. წავიქცევი, ცოტას გამათრევენ, გააჩერებენ და ასე... ცირკია ეს ცხოვრება.

საკანში შემაბრძანეს, მანამ ისე, მსუბუქად წამითაქეს. დავიღალე, ძილის დროა...

გამელვიძა, ყველაფერი მტკივა, ცუდად ვარ. არც სიგარეტი, არც დასალვი, რა გინდა, რომ ქნა? გადავხედოთ ადგილობრივ თანამეგობრობას. „შენ რაზე დაგიჭირეს? მე ამაზე ვზივარ...“ — გაცნობითი მიმოხილვა ჩავამთავრეთ. სამი ახალგაზრდა მეგრელია, მარადიორობაზე დაჭერილი; ერთი თბილისელი გვარდიელი, შეთავსებით დეზერტირი და კაი ბიჭი, თვითონ ასე ამბობს; მამა-შვილი აპაშიდან. ნელ-ნელა, მიმართვის სტილით, სათანადო ფრაზებით,

გამოკითხვის ტონით ვიმკვიდრებ ადგილს ბნელი საკნის მზის ქვეშ. მარადიორები თავისთვის სხედან, ერთმანეთში ჩქარი მეგრულით საუბრობენ. ისეთი თვალებით იყურებიან, ეტყობათ, მანეთად გამოსჭრიან კაცს ყელს. თბილი-სელმა უცებ აულო ალლო მდგომარეობას, ეგრევე გვერდზე ჩამომიცუცედა. მამა-შვილს ჩემთან შემოაქვს სააპელიაციო საჩივარი, მათ „მხედრიონის“ გულშემატკიცრობაში სდებენ ბრალს:

– რა მექნა, კაცო?! შემოვარდა „მხედრიონი“ და მომეცი მანქანა, საცხა რო გყავს გადამალულიო, მეზობელს ჩოუშვივართ. არ მოგვცემ და შენ ძუკუს დავხვრიტავთო და არ მიმეცა?! თივაში მყავდა ანგელოზივით „ნივა“ და ქე გავატანე... აბა, რაი მექნა?! მევიდენ მერე აგენი და რეიზა გაატანე მაშინა „მხედრიონს“? შენი შვილი ბალელშიკობს მაგენსონ და წამოგვათრიენ აქანა, აბა! რამდენი მიბრაგუნეს, რო იცოდე, კინაღამ დახვრიტეს აგი და გადევეფარე, არ ქნათ მაგი-თქვა! და მირტყეს, რა მირტყეს! ჰო, ჰო, ჰო!

– კაი, დაწყნარდი, ბიძაჩემო, დაისვენოს კაცმა, დაჭრილია, ლომკაშია, რამე და მერე გავარკვიოთ შენი საქმე.

აი, თანაშემწეც ასეთი უნდა! გაწრთვნის გარეშე მოქმედებს კაი ბიჭი, იცის საქმე და! უფლე, რა პახმელიაზე ვარრ... უი, ფული ფეხსაცმელში! გავიხადე, ადგილზეა! გისოსებთან დავდექი: „აოე! რომელი ხარ მანდ, კარებიი! ოუ!“ მოვარდა „ნუ პაგადი“ – შეიარაღებულ ყაჩაღებზე დაგეშილი მილიციელია, დაბალი ჩინის, ოლონდ უბოროტო, შტერიც. უჯაშო, ასაშვები ძალია, დაუფიქრებლად მიდის ტყვიაზე და სახელიც სათანადო შეურჩიეს. ჰგავს კიდეც მულტფილმის გმირს. ომი უხარია, ავტომატი მისცეს და იმიტომ, შტიკ-ნოჟიანად დაათრევს. ყოველ შემორბენაზე რკინის კარის ძელს გამოსდებს, წელში გადატყდება – „უს შენი დედას შ...ო!“ – შეიყვირებს და აგრძელებს გზას. არ იხსნის ცოცხალი თავით, დაქრის ასე წელში მოხრილი

უკუდო მგელივით.

– „ნუ, პაგადი“, შეხედე რა მაქვს!

– ვაა, პიისიატ ტისჩი, საიდან?!

– საიდან და ტუმბოჩკიდან. მიყურე, სამი ბოთლი დასალევი მაიტა და ორმოცდაათიანი შენია, ხარაშო?

– ახლა არ შემიძლია, ჯერე აქანე არიენ, მერე.

– ეე, მიდი რა, გამომართვი რა, ვინ გაიგებს...

შებმის პროცედურა ასჯერ მაინც გავუმეორე. ფული ეგრევე აიღო, ოღონდ არ მოაქვს. ყოველ შემოსვლაზე მპირდება და თითო ღერ „ასტრას“ მაძლევს. ვერ ელევა „ნუ პაგადი“ ფულს. როგორია, ორმოცდაათი ათასს, ასი ყაჩალი რომ დაატყვევოს, არავინ მისცემს. დრო გაჩერდა, ცოტას დავიძინებ, ეგებ გავიდეს ერთი-ორი საათი...

ძილში ჩამესმის საკნის წინა კარების ჩხაკუნი, თვალები გავახილე. უკან „ნუ პაგადია“, წინ? ვხედავ ამერიკულ სიგარეტს აბოლებს, წამოვხტი. ნამძინარევზე თვალები არ მაქვს ბოლომდე გახელილი, ვეძახი:

– აუ, ძმოო, სიგარეტი მაიტა რა...

„ნუ პაგადის“ ენა ჩაუვარდა. გარშემოც სამარისებული სიჩუმეა. მოვიხედე, ყველანი ზურგშექცევით წვანან გაშეშებულები, ვითომ სძინავთ. ვაა, რა ხდება? ვუყურებ ახლად შემოსულ დაბალი ტანის გამხდარ მამაკაცს. შავი ტყავის ქურთუკი, წელში გადაჭრილი ქამრით, „NKVD“-ს კომისრებს რომ ეცვათ, ისეთი; „მაუზერის“ კაკლის ხის ბუდე; გალიფე შარვალი, ფეხზე მომდგარი შავი ჩექმა. სახე – მოყვითალო, მკვდრისფერი, თეთრი წვერი, უკან გადავარცხნილი თმები, წინ ოდნავ მელოტი. მელოდება, გაკვირვებასაა – ნუთუ ვერ ვცნობ?!

– თბილ-ი-სელი „ტო“ იქნები შენ! გიყვარს ხო, მალ-ი-ბორო! უყურე შენ ამასა!

კომისარი მიუბრუნდა გაფითორებულ „ნუ პაგადის“, ჩემს წარმომავლობას არკვევს. „ნუ პაგადიც“ მთელი გულითა

და სულით პასუხობს, მაგრამ პირი გაუშრა, ენა ებმება, რაღაცეებს ბლუკუნებს. უკიდან მესმის დამფრთხალი მეგრელი მარადიორის ხმა: „გაჩუმდი, ბიჭო, ლოთია მაგი! დასახვრეტად მიყავს ხალხი!“ ოხ შენი! პახმელიამ იცის ამგვარი გადებილება. ჰო, ესაა – ბიბლიური გმირი, ლოთი ქობალია! მამამთავარი ესაა, თუა! კაცი კი არა, ცეცხლია, ცეცხლი! ერთი უხერხულობაა – უკან დახევის მრცხვენია, თან არც ვარგა, სულ გაგიუდება ეს ჩემისა. სანამ ვიდგე მათხოვარივით გაწვდენილი ხელით? სიგარეტისთვის გაშვერილი ორი თითი უცებ კი მოვკაკვე, ხელის დაშვება არ გინდა?! ტეხავს:

– მომე რა, ერთი ლერი, რა მოხდა, რომ? კაცი არა ხარ, დილიდან ამ ნაგავ „ასტრას“ ვეწევი...

წვეროსანი ჩემკენ მობრუნდა, თვალები დაუწვრილდა, უელავს, „მაუზერისკენ“ წაილო ხელი.

– მალ-ი-ბორო გინდა იმენნა, ხო?! ა, შენ!

„მაუზერის“ შავი ლულა გისოსებიდან შუბლზე მაკვირდება, ისევ თითქმის მიბჯენით. თავია თუ სამიზნე, თქვენი..! არა, ასე არ წავა, ხელის ჩამოშვებას ახსნა უნდა, სად წავილო?! მომძრეს მაინც რა!

– რა მოხდა, შე კაი კაცო, სიგარეტი გთხოვე, ის ხომ არ მითხოვია...

„მაუზერმა“ იქუხა, რა იქუხა! კედელს თუ ჭერს ბდლვირი აადინა! ხელიც, როგორც იქნა, დავუშვი – უხერხული მდგომარეობიდან ორივენი ღირსეულად გამოვედით. ინციდენტი ამონურულია, ისევ გა-დავ-რჩიო!

– გნახავ მე შენ! დამელ-ი-ოდე იცოდე! მოვალ, მოვალ და ვნახოთ ერთი, რა ვაჟკაცი ხარ?! ეს სამი გამოათრიე ჯერ!

ეჰ, გაუყენეს მეგრელი მარადიორები უკანასკნელ გზას? საკანში ითქვა – დასახვრეტად მიყავს მაგენიო, მანამდე ვინც წეიყვანეს, არაკაცი არ დოუბრუნებიენო...

„დამელ-ი-ოდე, იცოდე... მოვალ, მოვალ...“ ტრიალებს

თავში. მართლა რომ მოვიდეს, ეს კეთილმოტყ...ი? ომია, ვინ გაპატიებს მარადიორობას? ფიქრებმა წამილო, შიშები იცის პახმელიამ. „ნუ პაგადისაც“ არ მოაქვს, ამ ქობალია-მაც – დამელოდე, მოვალო... რა ვიღონო? კლასიკური გამოსავალი – ძილი.

გამელვიძა, გვერდები მტკივა, ცივი ოფლი მასხამს, მაკანკალებს. „დამელოდე... მოვალ, მოვალ...“ – რაღაც ცუდად ავიკვიატე. ცემენტის ჭუჭყიან იატაკზე ვწევარ და ღიღინით რეკვიემს ვატრიალებ გუნებაში – „და-მე-ლო-დე-ე-ე, მე მო-ვალლ შე-ნნ-თან და მი-გა-ყე-ე-ნებ კე-დელ-თან-ნ-ნ, და-და-დანნნ!“ ბიჭო, რაღაც ისეთი მოჭუ-ტული, ღვარძლით სავსე თვალებით მიყურებდა, იმხელა „მაუზერი“ ეკიდა მაგ... ბიბლიურ კაცს, არ უნდა გავდეს გადამგდებს! ნაღდად მოვა! „და-მე-ლო-დე...“ – არა! უნდა ვიმოქმედო, ვიცნობ ზვიადის ახლობლებს, აქედან მივაწვ-დენ ხმას? თავში ათასი აზრი ირევა... წერილს მივწერ!

„ბატონო ზვიად!

ომი ველურ ცხოველებად აქცევს ადამიანებს, დაბადე-ბულებს, რათა იცხოვრონ ძმებად.

ვოლტერი

გწერთ სამტრედიის საპატიმროდან ზურაბ ო-ძე. ბატონო ზვიად, ეგებ გამიხსენოთ და გადამარჩინოთ გაუგებრობას, რომელშიც ჩემდაუნებურად აღმო-ვჩნდი. გატყობინებთ, რომ ვცხოვრობდი ე. წ. „აკადემიის სახლში“, ჭავჭავაძის პროსპექტისა და კეკელიძის ქუჩის გადაკვეთაზე, ჩაის სახლთან. გავიზარდე აკაკი განერე-ლიას ოჯახში, რომელსაც თქვენ და მამათქვენი ხშირად სტუმრობდით. ვარ თქვენი ნათლულის, კოკას მეგობარი. გემახსოვრებათ, იმავე ეზოში ცხოვრობდნენ ბატონები

გრიგოლ (ქიცა) ხერხეულიძე, კოტე ჩოლობაშვილი და სხვა ღირსეული მამულიშვილები. მამათქვენმა – დიდმა კონსტანტინემ – რომ გაიგო ჩემზე, სამტრედიიდან არისო, ხუმრობით „სამტრედსკი პროლეტარიატ რვიოტსია ვ ბოი“-ც კი მიწოდა! თურმე, მის არქივში ინახებოდა რენეგატი სამტრედიელი რკინიგზელების ანალოგიური წერილი ორჯონიკიძისადმი.

ჩემზე რა გიამბოთ? ვარ მაღალი კვალიფიკაციის ექიმი ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი. ეგებ გამოგადგეთ ჩემი პროფესიით, დიდი მონდომებითაც ვიმსახურებდი თქვენს ჯარში. ეს ჩემი მოვალეობაც კი არის სამშობლოს წინაშე, რომელსაც ჩვენმა მშფოთვარე ცხოვრებამ ამაც-დინა. მოგეხსენებათ – „ყოველგვარ შეშლილობას თავისი ლოგიკა გააჩნია“ – მეც ასე დამემართა... (დაწვრილებით, პირადად შეხვედრისას მოგიყვებით).

რაც შეეხება ჩემს დაკავებას, ბატონი ზვიად, მართალი გითხრათ, სულ უდანაშაულოდაც არ ვზივარ... მაგრამ, ხომ იცით (თქვენ არ გესწავლებათ), როგორი მოულოდნელობებითაა აღსავსე ყოფიერება, თანაც, ადამიანი ცვალება-დიაო, გვასწავლის დეკარტი. საქმე ისეა, რომ შესაძლოა ლოთი ქობალიამ დამხვრიტოს. მე ხომ სარგებლის მოტანა შემიძლია სამშობლოსთვის და გამოსწორების პირობასაც ვდებ! გთხოვთ, საპატიმროდან დამიხსნათ, რათა სისხლით გამოვისყიდო დანაშაული!

ვასრულებ რა წერილს, სერვანტესის სიტყვებით მოგ-მართავთ – „ულმობელობა არ შეიძლება იყოს მამაცობის თანამგზავრი“.

სამტრედია, კომენდატურის საპატიმრო. პატივისცემით, ზ. ო. („ოჩილა“)

„ნუ პაგადის“ ჩაუცურე ჯიბეში – ტკიცინა „ჭარბლის-

ფერს“ გჩუქნი, ოღონდ წერილი რომელიმე მაღალჩინოსან „ზვიადისტს“ გადაეცი-თქმ. კარგიო, მაგაზე რავა გეტყვი უარსო.

მეორე დღეს მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა. დედამ მოალბო ერთ-ერთი ზედამხედველის გული და ამანათი შემომიგზავნა. სიგარეტი, საჭმელი, ერთი ბოთლი ლვინო და სიბაზონი. დილით გამომძიებელი შემოვიდა – ქობალია მაგრად გაგიპრაზებიაო, ასე დაიბარაო, უჩემოდ არ გაბე-დოთ გაშვებაო. „დამელოდე, მოვალ, მოვალ...“ დახურა, გადმომხედა ლმერთმა! შუადღისას ზაზა-ზაზიამ მომა-კითხა ამანათით – სიგარეტი, დასალევი, საჭმელი და... და... და წა-მა-ლიი! ნაცნობმა მილიციის თანამშრომელმა „პერედაჩის“ მისალებად გარეთ გამიყვანა, მორფინზე თავს იკლავს – შპრიცს კამერაში ვერაფრით ვერ შევატანინებო! რაზეა, ძმაო, საუბარი, ბაიანი რად მინდა, შიგთავსია მთა-ვარი! შეყვირებალა მოასწრო – ჰა, ჰა, რას შობი, ზურია, არ დაგიჩირქდესო! იქვე, გამომძიებლის თვალწინ გავიქანე და პირდაპირ შარვლიდან ვიდლლიზე ბარძაყში. ამდენ ნანერ-ვიულებზე, უძინარზე, დაღლილზე რა ჩავკაიფდიი! ეუფფ! მაგარია! ერთი ჭიქაც მივარტყყი და – „გელოდები, ლოთი, შე არამზადა, თუ არ მოხვიდე, შენ იყო შპროტი!“ კამერაში ჩავიმუხლე და გავაბრუე ხალხი, იმდენი ვიბაზრე.

ოთხი-ხუთი საათისთვის „ნუ პაგადი“ შემოვიდა, ისევ მოედო შტიკ-ნოჟით კარებს, კვლავ კინალამ მოს-ტყდა კისერი და მადლობა უთხარი გერონტი უფროსსო. გერონტი ბანქოს პროფესიონალია და შეთავსებით სამ-ტრედიის აზარტული თამაშების ინდუსტრიის ბოსი. იმუა-მად უცებ ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმა გადაწყვიტა და მაიორის წოდებით „გერონტი უფროსად“ გარდაიქმნა. პოლკოვნიკიც გახდებოდა, ოღონდ მეგობარმა, სამტრე-დიის ყოფილმა მილიციის უფროსმა ფორმა არ ათხოვა. გერონტის ჩვენი მეზობელი ჰყავს ცოლად და დედამ

სთხოვა ალბათ ჩემზე. მონატრებულ დღის სინათლეზე გამიყვანეს, მილიციის ეზოში „გერონტი უფროსი“ მხედართმთავრობს. მფრინავ მეგრელებს მწყობრი ნაბიჯით სვლაში ავარჯიშებს – „ნაბიჯით ი-არ! ზურგისა-კენ! იქვე ათი წლის შვილი უდგას, ცხოვრებას სწავლობს. ხუჭუჭო-მიანი პატარა მეომარი ტყავის ქურთუკში, ავტომატით, „ლიმონკებით“, ტყვიის ლენტებით გულმკერდზე, ნელზე: ათი წლის ვანიკო „მაქსიმის“ ტყვიამფრქვევის სახელურით პანანინა მუშტში, მამის ცქერით ტკბება! ისიც უფროსებ-თან ერთად ომობანას თამაშობს.

მივუახლოვდი, დავდექი. ამხელა კაცი რამ გადაგრიაო? ასეა თუ ისეა, დაახვივე სახლშიო! სვა-ბო-დაა! ოხ, ლოთი...! შენი დასახვრეტი ანი დაიბადება!

ოჯახად ჭირნახული გმირი დავბრუნდი! ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. „ზვიადისტებმა“ იჯახირეს, გარშემო რაიონები – ხონი, ვანი, ბალდაძი, გომი გომნატეხებ-თან ერთად აიღეს, ქუთაისამდე ჩააღწიეს, შემდეგ როკის ულელტეხილის გზას შეუდგნენ და გვირაბთან, როგორც იმერეთში იტყვიან – „მოგჭამეს ჭირიო“...

## სურა გახევ.

### „პეტრისტები“ ეს გვერდიანი იმოხ მიმოხირავ

ჩემს საყვარელ ტახტზე ვწევარ, ავადმყოფი, ომის იარებს ვიშუშებ. მამა მმკურნალობს, ფეხზე ნატყვიარ, დაჩირქებულ ჭრილობას მიხვევს, ცხვირს კეფიდან თავის ადგილზე აბრუნებს. მე და შარა ვაგრძელებთ პლანის, ნაძვის ხეებისა და არყების განადგურებას. ერთი კვირა არაა გასული, რაც „ზვიადისტებმა“ დაგვტოვეს და კვლავ

სამთავრობო ჯარების შეჩვეულ ჭირს ვუძლებთ, „მხე-დროონის“ კიბოსთან ერთად.

შუადღისთვის, შარამ გაურკვეველი წარმომავლობის ვტარიაკები მოათრია. ვტარიაკი – სხვისი მოხმარებული წამლის ნარჩენებია, ანუ მორფინისტის ნასუფრალი ძვალი. უკეთესი არაა, რა გაეწყობა, მეორეულს მოვიხ-მართ. ვითომ ტანსაცმელი თუ მიდის, წამალს რა უშავს, რომ? ვხარშეთ, ვადუღეთ, ვწურეთ და რაღაც მივიღეთ. ასეთ ნაგავს დიმედროლ-რელანიუმს თუ გაურევ და რაც იქნება-იქნება, ერთი ტაბლეტი მორფინი მაქვს სადღაც საიდუმლოდ გადანახული. ადრეც ვეძებე, ვერ ვნახე, არც ამჯერად მწყალობს ბედი. არა და, რომ მახს-ოვს? დიმედროლს დავამატებ. ოცუპინი ბაიანი აისეო, ჩემს დამწვარ ვენებში ამდენის უდანაკარგოდ შეყვანა არ გინდა?! შარამ ბაბოჩკით ქარგვა დაიწყო. ჯერ კისერი – ვერ შევიდა, გამხმარია! მტევნები, ტერფები... არა რა, შენი... სკდება! გავისისხლე, ხელ-ფეხი დამისივდა. ამოვე-დით ბარძაყზე, რაღაც ლურჯი ზოლები კი ჩანს... ეგ არი – ბაბოჩკამ კანტროლი მისცა, შავი სისხლი შემოვარდა მილში!

– ბიჭო, ზურია, რაცხა ბრახუნია წინიდან?

– მიდი, კაცო, მიდი! ვინ უნდა იყოს, მაგათი დედაც, ნელა, არ გასკდეს! ჰო, აი ეგრე, ნუ ჩქარობ!

– ოჩილა, დეინგრა სახლი!

როგორც ყველას სამტრედიაში, სახლის უკანა, სამზა-რეულოს მხრიდან გვაქვს შემოსასვლელი. ჩვენც ამ უკანა ოთახში ვდგავართ. მე – ტრუსებში (როგორც შარა ეძახის – შარვლის მეგობარში), შარა – ბაბოჩკიანი ოციანით ჩემ წინაა ჩაცუცეული. რა დროს სტუმარია, ასეთი საპასუხის-მგებლო მომენტია, ბილო კუბები შედის! – მიდი, ბიჭო, შეიყვანე, მეტი არ დამნგრევია არაფერი. ნელა, ნუ ჩქარობ, კარი ჩაკეტილია. შემოუვლის სახლს, სად ტრაკში წავა! ოუ,

ოუ, მწვავს რა! გაბერა, შენი!

უცებ ურდულზე გადაკეტილი სამზარეულოს კარი  
შემოინგრა! შემოცვივდნენ ოთხნი თუ ხუთნი! ავტომა-  
ტებით ხელში. უცაბედი თავს წადგომით გაოგნებულს,  
დიმედროლ-რელანიუმით გაბრუებულს ისევ კალაშნიკო-  
ვის შავი ლულა მიყურებს. მერამდენედ?! კარგი რა, ჩემ  
მეტი ამ ქალაქში არავინ ცხოვრობს?!

შარას კონდახები ისეთი ძალით დასცხეს, მეზობლის  
ეზოში გადაფრინდა, მე მხოლოდ დამიზნება მერგო წილად  
და ბრძანება – „ჩაიცვი, შე მორფინისტო!“ სახლის ძარცვას  
შეუდგნენ, დარბიან ორივე სართულზე. ზემოთ არაფერია,  
პარკეტის და კედლების გარდა, ავეჯიც კი თითქმის არ  
დგას, რადგან, ან მშობლებმა გამოაგზავნეს თბილისში, ან  
მე გადავახურდავე წამალში. ქვემოთაც მსგავსი მდგომა-  
რეობაა. ამ მათხოვრებმა კონდენციონერები გამოაგდეს,  
ჩემს საყვარელ სამოსს ეცა ერთი. რბილი ტყავის, მაგარი  
მოწითალო ყავისფრით ფრანგული ფეხსაცმელი მქონდა  
და ცისფერი „Lacoste“-ს პულოვერი. ადგილზევე მოირგო,  
ძველი, თავისი სუნით მე დამიტოვა. აი, იმის სახელი კი  
დავიმახსოვრე – „ინდაურა“, მაგრამ რად გინდა? იმის  
ბოლოს სხვამ დამასწრო და ჩააძალლა!

მივედით სულ ერთი კვირის მონატრებულ მილიცია-  
კომენდატურაში. რატომძაც სამტრედიის პროკურორ-  
თან, დალისთან შემიყვანეს – აბა, შენ იცი, როგორ წესიე-  
რად მოიქცევიო და პასუხებს კარგად გასცემო, გენერალ  
გიორგაძეს! ვაა, ბარო ოჩილ, რა დონეზე ხარ გასული,  
დაკითხვაზე „კგბ“-ს გენერალთან აყავხართ! საკუთარ  
თავთან ავმაღლდი, ასე ვთქვათ, დამნაშავის ამპარტავნე-  
ბამ შემიპყრო! გაპრანჭული, წითელსაცხიანი, ოქროებით  
დახუნდლული პროკურორი – დალი; გაბრუებული, ნოეს  
მუშტით ჩალურჯებული ცხვირ-პირით და მისივე მეოხე-  
ბით, ფეხზე სახვევით დამნაშავე – მე; შტიკ-ნოჟიანი

ავტომატით შტერი და ვერცხლისმოყვარე ბადრაგი – „ნუ პაგადი“ – მივუყვებით დიდების გზას! აი, კარები გაიღო და ამობრწყინდა ის – მზეჭაბუკი ლუბიანკიდან, იგორ პანტელეიმონის ძე გიორგაძე! „ნუ პაგადი“ გარეთ დატოვეს. ფინია ძალლივით უყვარს „უფროსების“ კარებთან დგომა – „უფროსის“ ლომკაშია კაცი, რა ქნას?!

საკმაოდ დიდი კაბინეტი. სანერ მაგიდასთან ზის მრგვალთვალება, შემელოტებული, შუახნის მამაკაცი უსერიოზულესი გამომეტყველებით, ისეთით, თითქოს ჩვენს საუბარში საბოლოოდ და გადაჭრით უნდა გაირკვეს – ლირს კი ამ ქვეყნად ცხოვრება? ჰა?! თუ, ტყვნა და შიმშილი! მე და ლამაზმანი პროკურორი ვსხდებით, იწყება საუბარი. ანკეტური მონაცემები, ერთსვლიანი დებიუტი – e2-e4... სანდომიანი, შემპარავი ხმით მწვანე სამხრეულებიანი გენერალი აკეთებს დამანგრეველ სვლას ლაზიერით, „დეტსკი მატს“ მისვამს, თავისი გამწვანებული ტვინით – მაჩვენებს ჩემს წერილს ზვიად გამსახურდიასთან!

– ჩვენ ხელში ჩაგვივარდა თქვენი მიმართვა ზვიადისადმი, რას ნიშნავს ყოველივე ეს?

ბიჭო, ჩემი საკანში დაწერილი პოემა არ მიუცია ვიღაცას?! ოხ, „ნუ პაგადი“, შენი ძალად წესიერი დედას... ! ეს იდიოტი, ინსტრუქციის თანახმად, რომელიმე თავის უფროსს აჩვენებდა. თუმცა, ანი რაღა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ „ნუ პაგადი“, მაინც შენი დედას შევეცი!

– რას ნიშნავს და დახვრეტის შემეშინდა და დავწერე, რა... რა მოხდა, რომ?

– ეთი ვსე სკაზკი! სიმართლე ილაპარაკეთ!

გენერალმა კუც გამოიყვანა და მიტევს. რით გინდა უპასუხო? მე მხოლოდ ერთი ჯაგლაგი ცხენი მყავს, ნაცემი მხედრით და დადიმედროლებული მეფე.

– სიმართლეს ვამბობ. ცხვირი ნახეთ რას მიგავს, აი, ფეხშიც დამჭრეს...

— Это всё комуфляж! Мы сюда пришли для того чтобы выяснить, что же здесь произошло!

აუფ, დაქაჩა დიმედროლმა! იგორს მეორე კუ გამოჰყავს, იკავებს სტრატეგიული მნიშვნელობის დაფის შუაგულს. მეც ვღიზიანდები, მაგრამ საწვავი მაკლია, ვერ ვარ, რომ უნდა, ისეთ ფორმაში:

- რა გითხოვათ, ვერაფრით დაგეხმარებით.

– მაშინ მე გეტყვით სიმართლეს, ხოლო თქვენ დაფიქტ-დით, ღირს კი ჩვენთან თამაში? Итак – ჩვენი მონაცემებით, თქვენ ხართ ზეპიად გამსახურდიას საიდუმლო აგენტი!

ქიშებ! ესეც შენ, უბრალო კი არა – საიდუმლოო! როგო-  
რია, რას დაუპირისპირებ – მატი?!

აბსურდის წინააღმდეგ ხომ არგუმენტები არ არსებობს. ეჭ, ისევ ჩემი გაძვალტყავებული ცხენი უნდა ვაქციოთოხარიყად.

— რა აგენტი, თქვენ ხომ არ გაუბერეთ?! ცხვირი ნახე, ფეხი, ვაა!

– შენ როგორ ელაპარაკები გენერალ გიორგაძეს?!

წამოიკივლა დალი პროკურორმა და ორი-სამი მინიდან ამოსული ბაკლანი თავის ჩვეულ საქმეს გულმოდგინედ შეუდგა...  
...

– წაიყვანეთ! იფიქრე, იფიქრე, მალე შევხვდებით!

ახლა ამან დაიჩემა „იფიქრე, იფიქრე, მალე შევხვდებით!“ „მოვალ, მოვალ, მოვალ...“ – ლოთის მოშხამული შლაგერი კვლავ დატრიალდა დადიმედროლებული მეფის თავში... ვზივარ, ოღონდ ადინორჩკაში. გარე სამყაროსთან, როგორც სახიფათო სპეც-აგენტს, კავშირი არ მაქვს. არც სიგარეტია. აუფყ, რას ქაჩავს დიმედროლი! უფყ, კისერ-შიკ მიჭრს. სხვა რა გზაა, დავიძინებ.

მაშინ პირველად ვიგებე „მწვანე“ დაკითხვის თავისებურებები. გადვიძებენ უსისტემოდ, სადისტურად, სხვა-დასხვა დროს, რათა ვირ შეძლო თვალის მოხუჭვა, ხოლო

თუ მაინც მოახერხე, ძილი შფოთიანი უნდა გქონდეს. ხან სამზე დაგიძახებენ, მერე თითქოს განებებენ თავს და სულ ნახევარ საათში წამოგაგდებენ ახალი დაკითხვისთვის, შემდეგ შესვენება და მოულოდნელად ხუთხე იწყება იგივე. მიზანი – დაძაბულობას ველარ უძლებ და წერ „მწვანე“ გენერლებისთვის სასურველ ჩვენებას.

ჩემი და პანტელეიმონოვიჩის დაძაბული პარტია გრძელ-დება, პოზიციურ ბრძოლას დასასრული არ უჩანს. ის მიჩემებს – აგენტი ხარო, მე ვუმეორებ – აბა, ჩიტები შენა გყოლია-მეტქი და ვართ ასეთ თამაში. ყოველი ასეთი მონაკვეთი ჩემი ზედაპირული ცემა-ტყეპით მთავრდება. ამ გაღვიძება-დაკითხვებმა ისე დამქანცა, ვატყობ, კაპი-ტულაციისკენ მიდის საქმე. რა ვიღონო? „ლირს კი ასეთი ცხოვრება?“ – ახლა გიორგაძისეულ კითხვას მე ვუსვამ საკუთარ თავს. დილის ხუთი-ექვსია, ტკბილად მიმელულა თვალები და დამიძახეს – ბიჭო, არ იძინებს ეს შობელ-ძალი, მთელი ლამე მე მდარაჯობს?! წამოვდექი, მივლას-ლასებ, რაღაც უნდა ვწნა...

შევედი, დავვარექი, დაინწყო შიზოფრენიკების ჭადრაკი.

– რა მოიფიქრეთ, ბატონო ზურაბ?

ვაა, ეს ბატონო, რაღაც ახალია, ესეც გადამწყვეტი შეტაკებისთვის ემზადება? ნუთუ მე გადავლალე?!

– რაზე? არა ვარ აგენტი და რა უნდა მომეფიქრებინა? დაჭ-რი-ლი ვარ და ნა-ცე-მი!

– კარგი, რახან ასე ჯიუტად უარყოფთ თქვენს როლს „ზვიადისტურ“ დაზვერვაში, გავხსნი კარტებს და მოგახ-სენებთ, რომ ჩვენც, „как говорится, не лыком шиты!“ იცით, რას ეფუძნება ჩვენი მტკიცებულებები, გარდა თქვენი დაშიფრული წერილისა და მასში მითითებული შეხვედრის აუცილებლობისა?... მოიცათ ამოვიკითხო... მმ... ა, აი! „(დაწვრილებით, პირადად შეხვედრისას მოგიყვებით)“... საინტერესოა, ეს ფრჩხილები რას უნდა ნიშნავდეს?..

კარგი, ვაგრძელებ სხვა მტკიცებულებების შესახებ. ჩვენ დავათვალიერეთ თქვენი სახლი და აღმოვაჩინეთ ფრიად საინტერესო რამ!

— რა, წამალი ხომ არ გიპოვიათ?! ერთი მორფინი შევ-ჩურთე სადაც, ვერაფრით ვერ ვპოულობ?!

— არა, ნუ მაბნევთ თქვენი ნარკოტიკებით, არ გამოგი-ვათ! ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ქვედა სართულისგან გან-სხვავებით, ზედა სართული, სადაც ჩვენი მონაცემებით მდიდრული ავეჯი იდგა, ამჟამად ცარიელია! რატომ?!

— რატომ?..

— ჰა, ჰა, საქმეც ეგაა! რატომ და თქვენ ზუგდიდში საე-მიგრაციოდ ემზადებოდით!

ვაჲ, შენ აგაშენა ღმერთმა! ამდენი ხანი ამას მიმალავდი, ამიტომ არ მაძინებდი, შე მართლა ტვინგამწვავებულო, შენი დებილიი..! შეხედავ, გონიერ ადამიანს ჰერცე. მწვანე საუნიყებო „პაგონს“ მძლავრი ფესვი გაუდგამს იგორის თავში.

— რაა?! ზუგდიდში საემიგრაციოდ?! ზუგდიდში რაღა მინდოდა?!

— აი, ეგ თქვენ უნდა გვითხრათ და ზვიად გამსახურდიას ზუსტი სამყოფელიც მიგვითოთოთ!

მოკლედ, მუდმივი ქიშის მდგომარეობაში ვყავარ ამ კაცს! სანამ საკადრის პასუხს გაუცემდე და მატს ჩავუს-ვამდე და პარტიას დავუმთავრებდე და მაგრად მცემდნენ და ქვემოთ საკანში ამომამწყვდევდეს, უნდა ვათოხლო ამ ტვინ-დაობებულს! აზრი კი საკუთარმა წამალ-ალკოჰოლ-მოწყურებულმა ტვინმა მომაწოდა.

— ... ეჲ, ვატყობ მომიწევს დანებება... რა გоворится, თავს ზემოთ ძალა არააო. გენერალი, თქვენ გაიმარჯვეთ!

— ნაკონეც-თ! აი, ასე არა სჯობს?! გისმენთ...

— რა და... ბევრია მოსაყოლი, ფხიზლად გამიჭირდება, წამალი უნდა მაგ ამბავს!

უიმედოდ ვუყურებ, მთელ სამეფოს ვითხოვ, რათა ნაკლები მივიღო...

– წამალი არა და არაყს კი მოგცემთ, ოლონდ სიმართლე! არა?

– სიმართლე?! გეგადრებათ, მე ტყუილი არ ვიცი! მომე-ცით და დავიწყოთ რა!

მოიტანეს – სამედიცინო სპირტია! მაგიდაზე უდგას დანახნაგებული შუბის „გრაფინი“, წყლით სავსე. ამ საუწყებო სოცა-ავანგარდის ნიმუშს თავს პატარა, თლი-ლჭიქიანი ხუფი უმშვენებს. ეჰ, სად ნახავ კიდევ ასეთ სილამაზეს!

ჩამოასხა ორმოცდაათი გრამი, მაწოდებს... მეორეს აღარ მომცემს, ახლა რასაც მოვასწრებ და დახლი დაიხუ-რება.

– სპირტია, ვითომ? აბა ერთი, რა ბოთლია ეგ?

– Слово офицера! აი – „Спирт Медицинский. 96%“!

– ერთი წუთით, ბოთლი ვნახო, ხომ იცით, სიფრთხილეს თავი არ სტკივა – რაც არ უნდა იყოს, დაზვერვის გენერალ-თან მაქვს საქმე! ვუყნოსო, აბა...

უცებ მივიყუდე! ორასიანი ბოთლი ჩავცალე, თვალის დახამხამება ვერ მოასწრო, ისე! ეგრევე გამეხსნა.

– ესე იგი, ზუგდიდში საემიგრაციოდ ვემზადებოდი, არა-ა?! ჰა?!

– დიახ, დიახ! ზემოთ სახლი ცარიელია, რა კათო, რა შარო პოკათი.

– თქვენ თუ იცით, სამტრედიაში რაზე ვარ ჩამოსული?

– რაზე, აბა თქვი!

– კურტ ვონეგუტის წაკითხვა უნდა მოვასწრო და მერე ნანიტა ვნახო...

– ვიინ?! ნანიტა ვინდაა, გამსახურდიას სვიაზნოი აგენტი?

– ბიჯო, ამხელა კაცი ხარ, ამოდენა პაგონები გარტყია,

შენ ხომ არ გაჟრიალებს, ჩვენი ძმა?! ჰა?! რა მინდა ზუგ-დიღში საემიგრაციოდ, ისედაც დღეში სამჯერ მიწევს ბარიგასთან მორფინზე ჩასვლა! ეგეც არ იყოს, პარიზია თუ ნევილი, ემიგრაციის ამბავში?

– დაა...ოპერატორი აგენტ გამარჯვებული არ ისმებაო!

ეჰ, დროა დავუმთავრო პარტია. ვინ თქვა, მეფით და მხედრით მატი არ ისმებაო?

– კარგად მისმინე, შე ვონეგუტო! აგენტიც ხარ და ყლე-ზეც დამეხიერ, თუ გინდა, რა! არ გამიტრაკა საქმე!

ერთი კვირა მირტყეს, მერე მობეზრდათ და „მხედრიონ-ნელი“ ჯექსონას თხოვნით გამომიშვეს. სახლში საყვა-რელი, უწყინარი და უსაფრთხო საწოლი მელოდა...

იმხანად საბოლოოდ მივხვდი, თუ რას ეფუძნებოდა მანამ სადღაც მთვლემარე, სულის სიღრმიდან უეცრად ამოტივტივებული ჩემი სიმამაცე. მძიმე ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ცხადად დამარწმუნა ერთ ძველისძველ ჭეშმარიტებაში – ადამიანი ნებისმიერ გაჭირვებას ჯერ ეჩვევა, თანდათან ეგუება და შემდეგ მოთმინებით უძლებს. ფეხებით რომ დაკიდონ, იმასაც კი! ხშირ შემთხვევაში ის არა მხოლოდ მორჩილად იტანს უბედურებას, არამედ მასთან ბრძოლაში გამარჯვებულიც გამოდის! თავიდან შემოთავაზებული ნესებით იწყებ თამაშს, ხოლო დროთა განმავლობაში შენში მანამ დათრგუნული ღირსება, თავი-სუფლების სული ათმაგი ძალით იღვიძებს. სრულიად უწყინარი ადამიანი, ერთი შეხედვით მშიშარაც კი, ექს-ტრემალურ პირობებში, წრთობის შედეგად იძენს უნარს, დაძლიოს საკუთარი სიმხდალე. სათანადო პირობების თუ საჭიროების შემთხვევისას გმირობაც ჩაიდინოს და თავიც განიროს სხვისთვის! თან უხეში ხდები, ცხოველს ემსგავ-სები და შემოთავაზებულ ნესებს ასე უფრო უძლებ.

მე წინასწარ ვიცი – რაც უნდა ცუდი რამ შემემთხვეს ან რაიმე თავზარდამცემი ამბავი შევიტყო, შევეჩვევი,

ის ყოველდღიურობად იქცევა და გავუძლებ. დამატებით ამგვარი გამოცდილება მომცა ომია – უბედურება, რომელიც საყოველთაოა და მხოლოდ შენ არ გეხება, გაცილებით ადვილი ასატანია. თუ სხვასაც უჭირს, ნაკლებად განიცდი პიროვნულს, რადგან ერთი დიდი უბედურების წნევი ბევრზეა გადანაწილებული. ასეც შეიძლება ითქვას – როდესაც არაფერი გაქვს დასაკარგი, გარდა საკუთარი უბადრუკი, მობეზრებული არსებობისა, თავგანწირვაც ადვილია.

## სურა მარტინი

### თაგიცისის პირა ცა ქართული ეროვნული მუზეუმი

ომიანობის ხანაზე თითქოს ყოველივე მოვყევი, ყველა გმირის ბედ-ილბალი მიმოვიზილე. ერთი რამ დარჩა გაურკვეველი – რა ხვედრი ერგო ჩემს მაგიდაზე მოთავსებულ კურტ ვონეგუტის სტაფილოსფერ ტომს? სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ ამხელა მოთხოვობიდან ინტელექტუალური მკითხველი მხოლოდ ამით დაინტერესდება.

... 1993 წლის 31 დეკემბერს წალენჯიხის რაიონის მიკარგულ სოფელ ხიბულაში, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, „გიორგაძეებისგან“ დევნით დაღლილი, ქანცგანვყეტილი და მარტოსული, მოკლეს თუ თავი მოიკლა. „წმინდა გიორგის“ ორდენით გამშვენებულმა „ცეკა“-ს მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ კი, ჩვეული კომუნისტური სიმტკიცით, ჯერ „ზვიადისტები“ დაიჭირა-დახვრიტა, ხოლო შემდეგ „გვარდია“ - „მხედრიონს“ დაერია და წამებით სული ამოხადა. დადგა, ერთი მხრივ, უშუქობის, შიმშილისა და სიცივის, პარაფინის სანთლისა, ნავთისა და ალკოჰოლის სურნელით გაურენთილი კუპონების და

მეორე მხრივ, დაკაიფებული კანონიერი ქურდებისა და დაპურებული „ელიტის“ „საყოველთაო სტაბილურობის“ ეპოქა. „ზვიადისტებად“ და „პუტჩისტებად“ გახლეჩილი ერი მუდმივი მეორედ მოსვლის მოლოდინის რეჟიმში ცხოვრებას შეუდგა...

ერთი სიტყვით, ომი დასრულდა, მე თბილისში ჩამოვედი. რაღა თქმა უნდა, გამოსწორება ვერ მოვახერხე და ლოთობას შევყევი. გავიდა ნლები... ცხოვრების ამ მონაკვეთზე მხოლოდ მოვინანებით დავწერე. მაშ ასე, „რატომ ვერ წავიკითხე „მან“ კურტ ვონეგუტი?“

...ზურა მარტოდმარტო ეგდო ვაკის ცარიელ ბინაში. წლები ისე გადიოდა, ერთადერთი ქალი, რომელსაც ზურა ხვდებოდა, ზორა იყო, ჩვენი უბნის ლომბარდიდან. რის-თვის, გასაგებია – მობილურს და საქორწილო ბეჭედს უტოვებდა „ზალოგში“ და ალებული ფულით წამალს ყიდულობდა.

გავიდა დრო, მობილური და ბეჭედი სადღაც გაუჩინარდა. საკმარისი დოზის შოვნა სულ უფრო ჭირდა და ზურა ოჯახის ნივთებს მიადგა. ჯერ „კუზნეცოვის“ ჭურჭელი და მშობლების ნაჩუქარი ინგლისური სერვიზი გაყიდა ვერცხლის დანა-ჩანგალთან ერთად, შემდეგ „სუხოი მოსტის“ ქორვაჭრებს ავეჯი გაატანა კაპიკებად. ასე ამბობდა – ნივთები შენ უნდა იხმარო და არა პირიკითო.

ბოლოს, დაჭერებითა და ცემებით დაღლილი ზურა კვლავ არაყ მიუბრუნდა. და აი, მოხდა სასწაული – მეგობრებთან დაბადების დღეზე მისულს ნანა დახვდა. ისაუბრეს, შემდეგ გოგო სახლამდე მიაცილა. მეორე დღეს კი ნანა სახლში დაადგა:

– ზურა, რა გეშველება? რა დღეში ხარ, ბიჭო, ხედავ? სხვები რომ მეუბნებოდნენ, არ ვიჯერებდი. გააფრენ ამდენი სმისგან, შე საწყალო! თუმცა მეტი რაღა?

– მაიცა, რა, გავაფრენ არა! მშვენიერ ჭკუაზე ვარ! პროსტა, წამალი გათავდა და არაყზე გადავჯექი. ახლავე აგიხსნი ყველაფერს, აზრზე უნდა მოგიყვანო, სანამ დავიბრიდები.

შენ მაქს პროუდის პონტში ჩემი ნაწერები შეაგროვე და გამოაქვეყნე, ნებას გაძლევ!

უყურე, აგიხსნა! ესაო, ისაო, მოკლედ გეტყვი – ჩემი შენდამი გრძნობები, თუ რაც არი – დადებითი ემოციებია, თანაც ძალიან დადებითი! ემოციები კიდე, იმართება ენდორფინებით. კაროჩე, მაგრად მევასები, ტო, მაგრად! ყურადღებით მომისმინე! ანესთე ზიოლოგი ვარ, ხომ გახსოვს?

– შენ თუ გახსოვს, შენ?!

– არ გინდა, მოეშვი, მომისმინე – ნაღდია! ადამიანის ტვინში განთავსებულია სიამოვნების სეიფი. ნარკოტიკის შეყვანისას წამალი ქურდივით შედის ოთახში, სადაც დამალულია დადებითი ემოციები და მორგებული გასაღებით აღებს სეიფს. ფაქიზი სიამოვნება იფრქვევა სანახიდან და სისხლის მეშვეობით იღვრება ორგანიზმში, სხეულის ყველა უჯრედი იწყებს ნეტარებაში ჩაძირვას... გადის დრო და ზურაც კაიფშია! ანუ ჩვეულებრივ დადებითი ემოციების მართვა მორფის მსგავსი ნივთიერებით – ენდორფინით ხორციელდება და მას ადამიანის ტვინი გამოყოფს. აზრზე ხარ?! – ადამიანი თავისითვის აწარმოებს საკუთარ მორფს! ნარკოტიკი პროსტა, ზუსტად იმეორებს ბუნების გზას და ანაცვლებს ტვინში გამომუშავებულ ენდორფინს.

ამ თემაზე საუბარიც კი ზურას ეიფორიაში აგდებდა. შთაგონებულს თვითონვე უკვირდა საიდანლაც გაჩენილი მჭევრმეტყველების. რაც წლებია არ ელაპარაკა, სულ ერთბაშად მოინდომა:

– ისმის კითხვა: სად – ღმერთი, სად – მორფი?! პასუხი უბრალო და სადაა – ღმერთმაც კი, „რომელმან შექმნა

სამყარო, ერთითა წამისყოფითა“, საკუთარი ხელით შექმნილ ბუნებაში ვერაფერი ნახა თეთრი, ქათქათა ყაყაჩოს – Papaver Somniferum – ის გამხმარ წვენზე უკეთესი, რათა ჩვენი განცდები ემართა! ამ საკითხში ისიც კი უძლური შეიქნა და იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო – აიღო და დაუტოვა ადამიანებს ეს პანდორას ყუთი. აი, ნანიტა, სადაა დამალული უდიდესი საიდუმლო! ღმერთი აზრზე მოვიდა – მორფზე კარგი სხვა არაფერია, გაიგე?!

– გავიგე, გავიგე…  
– ჰოდა, სიყვარული და სმის მოთხოვნილებაც მსგავსი კლასის ენდორფინებით იმართება. აქედან დასკვნა – იმიტომ დავლიე ვისკი, რომ დიდი ხნის ჩამკვდარი გრძნობები გავაცოცხლო, გავასკეცო! ახლა კი დავაყოლებ სიგარეტს, მერე შენ ჩაგეხუტები და ენდორფინებიც გამომეყოფა! ასეა, ჩემო ნანიტა, ასე. ისე, შენც მორფინისტი ხარ, ოლონდ პატარა დოზებზე ზიხარ და სხვა ყველანიც – „ნორმალურები და ფრიად დადებითები“ – ნარკუშები ა-რი-ან! ოლონდ თქვენს პატარა ტვინებს, ასეთივე პატარა ემოციების გამო, ძალიან მცირე დოზები ჰყოფნის, თქვენი მიკროტვინები რომ აწარმოებენ, იმდენი, აბაა! პროსტა მორფინისტებს ერთი ნაკლი აქვთ, თქვენთან შედარებით. დიდი დოზების შეყვანით ისინი თრგუნავენ ტვინის ენდორფინულ ცენტრს და ამიტომ არიან საწყლები უხალისოდ. დადიან საცოდავები ლომკაში სიქაგამოცლილები. ასე ვარ მეც…

– თუ არაყიც იმავე მოქმედებისაა, რაღაზე გაგიჟებს? რეები ქენი, გახსოვს?!

– დაბადების დღეზე? ისე რა…  
– ომის შემდეგ პირველად გნახე და „გეპაკაზუხებოდი“, ვაა! მაიცა ტო! აგიხსნა დასალევზე და მერე ნახავ, თუ არ ვარ მართალი. უყურე! ალკოჰოლის შემთხვევაში რა ხდება: ქურდი შედის იმავე ოთახში, ანუ ემოციების სანახში

და რადგან გასაღები ანუ მორფი არა აქვს, ამტვრევს სეიფს, ნუ „ფომკით“, რა. მოუთოვავი, უხეში, მსხვრევისგან დამახინჯებული ენერგია ერთბაშად გადმოედინება ორგანიზმში! ალკაშურ თავდაჯერებულობას, ჭეშმარიტ კაიფამდე, სიამოვნების რაღაც მთავარი კომპონენტი აკლია. სამაგიეროდ, იგი იძენს აგრესიულ-სექსუალურ, ახვრულ იერს! შედეგიც სათანადოა – ბოროტი ხდები, ტო! შემდეგ, მალევე – 15-20 წუთში იჩუტები. ჩალიჩობ ბოლომდე გაცალო უკვე გატეხილი სეიფი ნარჩენი, მახინჯი ემოციებისგან. გინეს დაამატო „განსხვავებულები“ და ვისკები. შეამის დოზა გრამლავს და ღორივით თვრები! სასურველ შედეგს მაინც ვერ აღწევ. ბრაზდები და იწყება შარიანი ჩხუბი. ასეა ეს ამბავი, ჩემო ნანიტა-ა... ჰო, კიდე, იცი – ვინ გაარკვია, ვინ?! ეგებ საზოგადოების „უარყოფითი“ ნაწილი ამგვარი თანდაყოლილი ენდორფინო-დეფიციტით იბადება, ჰა? ეჱ, მაიცა დავლიო, თორე ავტირდები... ტეხავს, თანაც მაგრად.

– ვაა, ჩემი საყვარელი ვონეგუტი? წაიკითხე, ხო მაგარია?!

წლებია ნარინჯისფერი წიგნი თავთან ედო. აღარც ახსოვდა. მაგრად შერცხვა! ნანა ხომ ძველი მეგობარია, სულ აქებდა – რა ჭკვიანი, განათლებული ბიჭი ხარო.

– მაიცა რა, რა დროს ვონეგუტია?! ვონეგუტის დედას არ შ...ი! მე მატიას რუსტი ვარ, მატიას რუსტი! მე ვცდილობდი ყველასთვის ამესსნა, თუ რა ჯოჯოხეთში ვარსებობთ ჩვენ... მე მინდოდა ავფრენილიყავი და როგორც გერმანელი პილოტი „წითელ მოედანზე“ ისე, თქვენს ტოტალიტარულ გულებზე რბილი დაშვება გამეკეთებინა. შემდეგ თვითმფრინავიდან გადმოვმხტარიყავი და მეთქვა – აი, ხედავთ, მე ყველა საპარო თავდაცვას დავუძვერი, ის მხოლოდ ტოტალიტარული ქიმერაა. ნუ შეუშინდებით ნურაფერს, ხმა ამოიღეთ!

ბევრი ვეცადე, მაგრამ როგორც მატიასი, სადაც ჩავფრინდი, ყველგან შემიპყრეს და იზოლაციაში მომაქციეს. თუმცა, ვინ იცის, შეიძლება მომავლისთვის, როგორც რუსტი, მეც შემიყვანონ ტოტალიტარიზმის მნგრეველთა ოქროს სიაში. მოკლედ, არალიარებული მატიას რუსტი ვარ – მფრინავი, რომელიც ვერ ჩამოაგდეს!

– ეჱ, აქამდე კიდევ რაღაც იმედი მქონდა. შენგან არა-ფერი არ გამოვა! წავედი რა...

– არ გინდა ეგეთები! სად მიდიხარ, მარტო მტოვებ?! კარგი, წადი, მაგრამ იცოდე, თავს მოვიკლავ, თუ არ მომის-მენ! სულ დამაკომპლექსე ამ ვონეგუტით, ტო! როდის წამეკითხა? არ მეცალა, მძაფრსიუჟეტიან სპექტაკლში ვთამაშობდი!

– ზურა, ვონეგუტი რა შუაშია?! ისე ვთქვი.

– კაი, მომისმინე, ალარ ვახსენებ. ჯერ იყო და სამოქა-ლაქო ომი არ გათავდა! ორ ცეცხლს შუა მოვექეცი – ხან „ზოიადისტები“ მიჭერდნენ, ხან კიდე წაბოზვარი გენერალი გიორგაძე მცემდა. მოკლედ, გრუშასავით ვიყავი! მგონი ადრეც მოგიყევი, რეებიც გადამხდა, ისე მცემეს, ცხვირი მომძვრა და ყურთან გადახტა! მერე სამტრედიაში ლოთი ქობალია გადამეკიდა – წარმოიდგინე, საკუთარ დახვრე-ტას დავესწარი, რაღაც სასწაულით გადავრჩი, ტო! მაიცა, ერთი ჭიქაც ჩავარტყა...

ჰო, სად გავჩერდი-ი? ა, რა, ის უნდა იყოო...ეეე...ვონე-გუტი წაკითხული რომ არ გქონდესო, მე მეუბნები ტოო? არა გრცხვენია?! რატომ არ მაქვს გადაბულბულებული, არა? სანამ კითხვა მაგრად მიყვარდა და შემეძლო, ანუ 30 წლამდე, ვონეგუტი „ესესერში“ არავინ იცოდა, მარტო ვონეგუტმა იცოდა ამერიკაში – ვონეგუტი ვარო. ჰოდა, ჩემო დაიკო, მთავარია სიყვარული და გაგება! მეც რა მექნა, გავედი ქუჩაში და ავყევი შავურ ამბებს. მიუწვდო-მელი ლიტერატურის გამოცემა მერე დაინყო. მეც ვიშოვე

და თაროზე ჩამოვდე რა... ისე, რატომლაც მახსოვდა მწვანე ფერის ტომი იყო ოქროსფერი წარწერით და... ახლა ვუყურებ, სტაფილოსფერი არ გამხდარა, ვაა?! მერე-ე, ისევ მორფი და ვოდკა, და ვოდკა-ა, და შავი, და ლუდი-ი, და ვისკი-ი, და ვოდკა-ა, და პლანი-ი... ეგ ისე, მისამლერივით.

– გაჩუმდი, ნუ გამაგიუე! რეებს ბოდავ!.. ზურა, არ გინდა იმკურნალო?

– მეე ტოო?! რა დროს მკურანალობაა, დაინგრა ქვეყანა! ფრანკო-მასონები გვიტევენ, არ გვაცლიან „გაბრწყინებას“, მთელი მსოფლიო გვეჩალიჩება, „ქართული ფასეულობები“ უნდა დაგაწეროთო და რა ვიცი, ათასი პრობლემაა! ახლა გეკითხები – ასეთ დაკავებულ კაცს ვიღაცა ვონეგუტისთვის მეცალა, ტოო?! უწამლოდ, რა დროს ეგაა, ცხოვრება აღარ მინდა! მოვიცლი თითქოს ვონეგუტისთვის, ან ლომპაში ვარ ან ისეთ პახმელიაზე ვიჩითები... არა, დედას! ნუ აი, რა გითხრა, ნუ, არ ვიცი! ბევრი გაფრენები და გარიაჩქები რა. თან ვწევარ და ვონეგუტი მელანდება რქებით და ვირთხები აზის თავზე, ხელში გველები, ბევრი გველები! ამასობაში დიდი რელსებიანი „თოვლის კაცი“ მოდის და თავში მირტყამს. მართლა მომივიდა, არ გჯერა? სამი თვე ვიწექი ყბამოტეხილი ქუთაისის რეანიმაციაში! მავთულები გამიყარეს ყბებში, კბილებს შორის, მერე ზედა და ქვედა ყბა ერთმანეთს მიაბეს... ვიწექი ასე, უსიტყვოდ, ჩუმად. ამასობაში დავბრძენდი, დავდინჯდი და შემიხორცდა. ორი თვეა, რაც გამომწერეს. „დიდი ვონეგუტი“ უკიდან მომეპარა და თავში, რას ჩამარტყამდა აბა, თუ გამოიცნობ? ჰა?! ვერ გამოიცანი-ი! ნალდი რუსული ფოლადის, სამმეტრიანი ლიანდაგი მგლიჯა, ტო! მატარებელი რო დადის ზედ და ასე იძახის – გრუხუნ-გრუხუნ, გრუხუნ-გრუხუნ, ტუუ-უ, ტუუუ-უ!“

– კიდე კარგ ჭკუაზე ხარ! მაიცა, ორივემ ჩაგარტყამა?

– არა, შე სლაბო, არა! „თოვლის კაცი“ და „დიდი ვონე-

გუტი“ – ერთია. ჰოდა, ეს „გრუხუნ-გრუხუნი“-ი მომხვდა თავში! და გამისკდა თავი-ი... ეს არის პირველი თავი მოთხოვბისა – „რატომ ვერ წაიკითხა ზურამ კურტ ვონე-გუტი“. გაგრძელება შემდეგ ცხოვრებაში... ისე, ვაპირებ დავწერო ყველაფერი, რაც იყო. უხ, მე ამ საბჭოთა კავშირის და რუსთის დედას შ...ი, არ წამართვეს მთელი სიცოცხლე! მაკაცმა მითხრა ნარკომანიაზე – ეგ თემა აღარაა აქტუალური. ლმერთმაც ქნას, მაგრამ ჩემი და ჩემი თაობის ცხოვრება აღარ ითვლება? მე მაინც დავწერ და, თუა აქტუალური, თუ არა და ამ ჩემს... იმას რა!

ასე რომ, ჩემო ნანა-ნანიტა, ვონეგუტი კი არა, თავიც რომ მომყვა აქამდე, ისიც ბევრია! მოგწონვარ ეგეთი – მოგწონვარ, არ გევასები და... წადი რა, ნება შენია... თუ არ გინდა. მე მართალი გითხრა, მაგრად კი მიყვარხარ! იცოდე, ძალიან მაგრად! ისე, სიყვარული თუ გამიღვიძებს ემოციებს, ყველაფერს თავს დავანებებ... მე ვიყო არაკაცი! პირობას გაძლევ, შენი გულისთვის მთებს გადავატრიალებ!

ზურას ცრემლი მოადგა. არყის ბოთლი აიღო – ცარიელია! გულჩვილობის დასამალად კედლისკენ მიაბრუნა თავი. ნანა მიუახლოვდა, მხარზე დაადო ხელი და მალევე წავიდა. შეუმჩნევლად მაგიდაზე ფულიც დატოვა. კარის მოხურვისთანავე ზურა გადმოტრიალდა, თავი წამოწია. ფული აიღო – ეპო – ამოიძახა და მაღაზიაში არაყზე დაეშვა...

2000 წლის ოქტომბერს, დილით ავუარე, გარდაცვლილი დამხვდა. ისე მაგრად მომკვდარა, ისე ნაღდად, რომ ბიჭებმა, თითქოს, დავასაფლავეთ კიდეც... ჯერ იყო და საბჭოურმა ჭაობმა მოუკლა ემოციები და ამის გამო წამლით სჭირდებოდა ენდორფინების დეფიციტის შევსება. აბა, საკუთარი გრძნობებისთვის არ ემკურნალა? თუ კომკავშირულ კრებებზე მოხარშული კარტოფილივით გდებულიყო

და თევზივით ეცხოვრა?! მერე იმპერიას მტანჯავი კრუნ-ჩხვები დაეწყო – მშობიარობა სასტიკი შეტევითი ტკიფი-ლებით, სამოქალაქო ომის საშინელი ჭინთვა, სისხლდენა და ცივი, უშუქო, არყით გაჟღენთილი ჩვილის დაბადება. „დედა სსრკ“ მშობიარობას, ზურა კი სმას გადაჰყვა...

დასასრულს, ერთ გარემოებასაც განვმარტავ – რა ბედი ეწვია ნანიტას, ბოლო მიზეზს, რომლის გულისთვი-საც კიდევ ლირდა ზურას სიცოცხლე? გარდაცვალების შემდეგ, მის მობილურზე უნახავთ მესიჯი, დაახლოებით ამგვარი ტექსტით: „*Mivfrinav New-iorkshi. Voneguti waikitxe? :) Rodisme shevxvdebiT, imedia...Gk. Sheni Nanita*“.

ახლა ვიღაც იკითხავს, სულელია ეს კაციო, საკუთარ თავზე თუ მოთხრობას წერს, როგორდა მოკვდაო? უბრა-ლოდ, თავიდან არ გავამსილე – მე კი მოვკვდი, მაგრამ სხვა დაიბადა და მან დაწერა. ის მოკვდა, ეს სხვა კი განაგრძობს ცხოვრებით ტკბობას, მის მობეზრებას და ყოველდღიური ყოფისგან დაღლას.

დიახ, მე „მეც“ ვარ და „ზურაც“, და კიდევ ბევრი, უამრავი „მეც“. ადამიანის მთავარი ნიჭი, მისწრაფება, მიზანი განვითარება და წარმატებაა. ამიტომ ადამიანი ცვალებადია. ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ის თითო „მეს“ თმობს და ამ მორიგი „მეს“ მოკვდინებით, მორიგ კერპს ამსხვრევს და მორიგ კოლექტივს ტოვებს. ასე თავისუფლ-დება და ვითარდება ის – თანდათან გამოდის ყოველდღიუ-რობის მონობის წნეხისგან. „მესგან“, რომელიც გვთრ-გუნავს და არ გვაძლევს ფრთხის გაშლის საშუალებას. რომელიც გვზღუდავს, რაღაც პირობითი აკრძალვებითა და წესებით, გვბორკავს კონკრეტული გარემოებებით და თავს გვახვევს, თუნდაც კაცთმოყვარე თუ პროგრესულ, მაგრამ მაინც კოლექტივიდან წამოსულ, ზემოდან დაშვე-ბულ, მიღებულ, შაბლონურ შეხედულებებს.

გადახედავ შენში არსებულ შეხედულებათა სისტემას,

ჩვევებს, იმ ეტაპისთვის მორიგ კერპს უცუაგდებ და გადა-დიხარ უფრო მაღალი ხარისხის თავისუფლების სივრცეში, სადაც მორიგი კერპები გელოდება და ყველაფერი ისევ თავიდან... წინააღმდეგ შემთხვევაში, განვითარება წყდება, ადამიანი ქვავდება და თვით იქცევა კერპად.

ასე, ამ „მეების“ მოკვდინებით იზრდება ადამაინი... ჰო, როგორც იქნა, მოვიცალე და ვონეგუტს ამჟამად ვკითხუ-ლობ. აი, სპექტაკლიც დასრულდა, ეგაა სულ.